

ქართული გვერდი

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

11 ივნისი 2014

№ 14 (222)



ბიზანტიური კვალი
ფელისიან მარსოს ნოველები
ინტერვიუ კახა მიქიაშვილთან
ლალი გულისაშვილის ლირიკა
თამაზ გოდერძიშვილის რადიოპიესა
სოლოლაკის მიმზიდველი კიბე-აივნები
ბესიკ ხარანაულის მეტაპოეტური ძიებანი
ნათელა არველაძე ნანა დემეტრაშვილზე
მაშინაც უნდა წერო, როცა არ გეწერება
მომავალი მკითხველისათვის შექმნილი
გრაფინია ზარნეკაუს ამბავი
მიეძღვნა სერგი მაკალათიას
ჯარჯი ფხოველის ლექსები

შინაარსი

თარსები მოხავდებათვის	2	როინ ჭიკაძე აგერიკული სასცაულის მონატრება (რონალდ რეიგანის ავტობიოგრაფიული რომანი „ამერიკული ცხოვრება“)
ესარეს-ინცერვის	3	კახა მიქაშვილი „როდესაც ვხედავ სინაზღაულს“ (მოამზადა ნატა ვარადამ)
დიალოგი	4	თავგანიცილები სიყვარული ავაგენტი ცაგარებისა (ნანა გოგიას ესაუბრება როსტომ ჩხეიძე)
ფიქრი და გაცემა	5	ნოშრევან არაბული ევროპური სახანი აუ ჩაშლილი სამიმარი
წინასიმყვარების გამირ	8	თამაზ გოდერძიშვილი ორიოდე სიტყვა ჩემს შესახებ
დრამატურგია	9	თამაზ გოდერძიშვილი გამხედარებავილების ავტორობრეტრეტი (ფიქრი და ამაოება დილიდან შუალამემდე)
არაზია	16	ჯარვი ფხოველი მთავრინება და სხვა ლექსები
	19	ლალი გულისაშვილი ***შე ცაგილებები ზეცის პილიკით
შორეული ახლოგალი	21	შოთა ნოზაძე როგორ დაინახეს ჩვენი მთელობის საუკათხო ძიგლები ევროპულ არეაზე (ლუკი მაგაროტო საქართველოში)
უსორეთის სხერვაზებან	22	ოლეგ გოლიაძე ფიქრები ლიტერატურაზე
ესისტემა	24	როსტომ ჩხეიძე ლექსის იქით და ურცლისაც იქით (შემინარება ბესიკ ხარანაულის მეტაპოეტურ ძიებებთან)
როგორ ვითხულობოთ ქლასიკას	26	ნანა ადამია-ხურცილავა სიტყვა, გონება, სული ტრაგედიაზი „ევაედოკლეს სიკვდილი“ (ფრიდრიხ ჰილდერლინი)
უსორების თვალით	28	მურმან ჯგუბურია სოლოლაკის მიმზიდველი კიბე-აივნები
მოგზაურის დღიური	30	(ვლადიმირ გოლოვინი)
მოგზაურის სიმინდა	33	მაკა კვერენჩილაძე-კარტაიზერი ბელარული საქართველოს შვილები
წეთვები და წლები	34	ჯუანშერ ტიკარაძე შაშინაც უდია წერო, როცა არ განერება (ოთარ ჩხეიძის გახსენება)
სად წაიყვან სადაურსა	40	თემურ ამყოლაძე გრაფინია ზარნევაზ ამგავი (ცოტა რამ „ჩვენი მწერლობის“ ორი პუბლიკაციის თაობაზე)
ფაუვიზარი სახელები	42	თეონა კაპანაძე ელიზარ გიჩინაშვილი — უცნობი სახელი
რეალობა	45	გამოირინების ისტორიაში
გამოხატვება	48	ნათელა არველაძე ამაგდარი ეალპატონი (ნანა დემეტრაშვილი) ეკა ბუჯიაშვილი მისიონერები (ანსამბლი „სწონ“)
ლიტერატურული სხერვება	49	ელგუჯა თავპერიძე გულის ლია ჭრილობა (ვარლამ შალამოვის ესეი პროზაზე)
ჩაში აათარა ქალაქი	50	შოთა ნოზაძე თქმით ქოუცა გაიცე შემცირდებისა (მამუკა წიკლაურის „ჩანაწერების“ წარდგინება)
კრიტიკა	58	მანანა გაბაშვილი საქართველოს მხარეები, როგორც ქვეყნის ძლიერების საქირკველი (მიეღვნა სერგი მაკალათის 120 წლისთავს)
ახალი წიგნები	62	ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი „დღეს იყო გუშინ!“ (ირაკლი ქარაშვილის პიესა „დილემა“)
ახალი თარგმანები	63	ნინო ვახანია მომავალი მითოსებისათვის შეკვეთი (ნონა კუპრევშვილის ესეების კრებული „სიტყვის დეგუსტაცია“)
ახ მოსა და იმ გარისა	71	ფელისიან მარსო რინ ნოველა ბიზანტიური კვალი

ჩვენი მწერა

ორვილეული ქურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქტორი: (995 32) 296 20 62

რედაქტორი: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge

 www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი
გამოვა 25 ივლისს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
თავისი თავისი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი

პროზის რედაქტორი

პოზიტივის რედაქტორი

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი

მხატვრული რედაქტორი

დიზაინი

სტილისტი-კორექტორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ოპერატორი

სარველამო მენეჯერი

გავრცელების სამსახური

როსტომ ჩხეიძე

ივანე ამირხანაშვილი

მაკა ჯობაძე

თამაზ ნატროშვილი

კარლო ფაჩულია

მალხაზ იაშვილი

ნინო დეკანოვა

თენგიზ რობიტაშვილი

თამარ ჩიხლაძე

ეკა ბუჯაშვილი

ლევან კიკნაძე

გარეკანზე: მაკა კვერენჩილაძე-კარტაიზერი

სარასოტა (ფლორიდის შტატი)

ტომ კარტაიზერის ფოტოეტიუდი

ბატონოვ სოსი, როსტომ ჩხეიძის რეცენზია-ესეი — „როლანდ რეიგანის საუკეთესო როლი“ („ჩვენი მნერლობა“, №3, 7 თებერვალი, 2014) — სავსებით სამართლიანად მოქეცა ჯანსალი საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

მიმდინარე წლის 20 თებერვალს „ჩვენი მცერლობის“ ფოსტით ბატონ როსტომს გავუგზავნე ჩემი შთაბეჭდილება — „ამერიკული სასანაულის მონატრება“.

ახლაკან კი „ახალ თაობაში“ (№70, 25 მარტი, 2014) წავიკითხე თქვენებული მახვილგონივრული გამოხმაურება — „როსტომ ჩხეიძის სევდა“. ამიტომაც აღმერა სურვილი, გაცნოთ ჩემებულ შთაპეჭდილებასაც და გამიზიაროთ თქვენთვის ჩემებული პირუთვენლი აზრი.

გულნრფელი პატივისცემით
რობინ ჭიქაძე

როინ ჭიკვაძე

ମୁଖ୍ୟ ପରିକାଳିକା

„ესეც ამერიკული სასწაული!

რა უბრალო და ბუნებრივია ყველაფერი, როდესაც ადამიანი საკუთარი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის იღვწის და არა პირადი კეთილდღეობისათვის” — მონატრებით აღმოჩადა **როსტომ ჩხეიძეს**, ამერიკული სასწაულით შეძოგნინებულს. ეს სიტყვა ოთარ ჩხეიძის სიტყვებიერების საგანგურიდან მოვინატრე, ბატრინი როსტომის სტატიის სიღმისეული შეგონებებით შთავონებულმა.

მაინც რა იყო ეს სასწაული?

ამ კითხვაზე სრულყოფილ პასუხს იპოვით როსტომ ჩხეიძის **რეცენზია-ესეიში**, სადაც განხილულია ავტობიოგრაფიული რომანი — „ამერიკული ცხოვრება“. მასში ნაჩვენებია როლანდ რეიგანის გზა მაღალი საზოგადოებისაკენ, უკიდურესი სიღა-ტაკიდან საზოგადოებრივი ყოფის მწვერვალამდე, მსახიობო-ბიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობამდე. როსტომ ჩხეიძის აზრით, ამ გზის წარმატებული აღმასვლის სა-იდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ „როლანდ რეიგანი გახლ-დათ ქვეყნისათვის თავდადებული პიროვნება, ადამიანის მოყ-ვარული, გულმართალი, წრფელი... და, ყოველივე ამასთან ერ-თად, მისი წინამორბედი პრეზიდენტების თაყვანის მცირელელი“.

„რატომ ნერს როსტომი ასე ჩაღრმავებით?“ — კითხულობს იოსებ ჭუმბურიძე და იქვე უპასუხებს: „იმიტომ, რომ საქართველო სტკავა და მოჯადობული წრიდან სამშობლოს გამოყანის გზებს ეძიებს“.

როსტომ ჩხეიძე ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რეიგანს რომ ეამაყება, თუ როგორ მიეღწია ამერიკას იმ დიდებული ყოფისათვის — უძრტებინგველად რომ შეუძლიათ, პრეზიდენტის ძალაუფლება სხვას გადაულოცონ ყოველგვარი დაპირისპირებისა ან სამოქალაქო ომის გარეშე. საამისოდ გვთავაზობს პარალელებს ჩვენი ქვეყნის შორეული, ახლო თუ უახლოესი წარსულიდან. უპირველესად შეგვახსენებს დავით ალმაშენებლის ღვეწლა და მის პოეტურ გვირგვინს — „გალობანი სინანულისანი“, საიდანაც დავიმოწმებთ მეფე დავითის ბრძნულ შეგონებას ძალაუფლების მომბოჭველთა საყურადღებოდ: რაუამს „ზარი მეფობისა წარწევს და დიდება დაშრტეს... სხუამან მიიღოს სკაპტრაა, სხუასა შეუდგენ სპანი...,“ მაშინ „მსაჯულ მართლ სჯიდვე..., მართალნ ნეტარებდინ, კოდვილთა ჰეგუმდეს ჟირხლო...“

ଅମ ଲୋକରେବା ଏହା ଫଳଗ୍ରାନ୍ଥଦ୍ୱାରା ଗାଢାଶାଖେଣ୍ଟିଲାନ୍ ତାପ ଗୁଣିଷ୍ଠରଙ୍ଜୀ-
ଗନ୍ଧେତ, ଏତିକେଣ୍ଟ କିମ୍ବା ଵିକିରଣମୁଣ୍ଡବେତ, ରନ୍ଧା ଅମ ସଂତୋଷଲ୍ପି ନ୍ତାରମାଙ୍ଗ-
ଲୀର ପ୍ରକାଶିଲା ଓ ଆ „ସାମ୍ରାଜ୍ୟାମର ରା ପ୍ରତିକାଳ, ଅର୍ଜ୍ୟଥିନ୍ଦ୍ରିନ୍ଦ୍ରିଯାମରା
ପ୍ରଯତ୍ନି..“ ଏବଂ ନ୍ତାକୁ ରନ୍ଧାତ୍ମି ଥିଲ୍ଲିବେ, ରନ୍ଧା „ରାଜ୍ୟ ନ୍ତାମନ୍ଦିରପଦିଲ୍ଲିବିର କ୍ଷେ-
ଣ୍ଟ ଧରିବିଲାବିତାବିଶ, ଫଳେକିଲ୍ଲାବିନ୍ଦି ପ୍ରେଲାର ଅନ୍ତିମଦ୍ୱାରା ମି ସିମାଲ୍ଲେ-
ନ୍ଦ୍ରି; ଏବଂ ଏକ ପରିବିହାରିକିମାତ୍ରା ମେମ୍ବାରେବି ଗାଢାପାଇପା ତ୍ରୁଟିନ୍ଦ୍ରିନ୍ଦ୍ରିଯି-
ନ୍ଦ୍ରିଯିବିଲା, ଗ୍ରାମପଦିଲ୍ଲିବିର କିମ୍ବା ପ୍ରକାଶିଲାବିନ୍ଦି...“

ბატონიშვილი, როსტომ, გულას ნუ გაიტეხთ, „მუხა კვლავაც შეი-
მოსება“. მაგრამ, რომ „შეიმოსოს“, რა არის ამისათვის საჭირო?

...და როსტომ ჩეხეიძე დაგვიბეჭითებს როლანდ რეიგანის საპრეზიდენტო მმართველობის დემოკრატიულ პრინციპებსა და ამერიკული სასწაულის მაგალითებს იმათ გასაგონად, „ვი-საც ყურნი ასხედან სმენად“:

ქვეყნის სამხარეო მოწყობა: რეიგანი „მკვეთრად დაუბირისპირდებოდა სახელმწიფო ორგანიზაციის პრინციპების — მისი მტკიცე რჩმენით, არ შეიძლებოდა ვაშინგტონს ულმობლად ჰქონოდა მითვისებული ყველა შტატის ძალაუფლება.“

ხელისუფლების დეცენტრალიზაცია: „ძალაუფლების სიმტკიცისათვის, ცხადია, ცენტრალიზაცია ერჩივნა, მაგრამ ქვეყნისათვის, მისი ძლიერებისა და ცხოვრების ბუნებრივი მდინარებისათვის სადაცების მიშვება ანუ მამათა ოცნების ახდენა სჯობდა და რეიგანი მხოლოდ სახელმწიფობრივი გა- დასახედიდან წარმართავდა ამერიკულ ყოფას.“

ერთმართველობის დაგმობა: „ადმინისტრაციას საკუთარ ხელში კი არ მობოჭავდა, რამდენადაც კი შესაძლებელია, თავისუფლებას მიანიჭობდა.“

ხელმძღვანელობის ქვაკუთხედი: „ნათლად გააცანი შენი მიზნები და შეარჩიე შესაბამისი ხალხი, ვინც ამ მიზნებს განა- ხორციაობდეს!“

ორიენტირობა :

ორიენტირო — ხალხი: „არ მაინტერესებს, ჩემი გადაწყვეტილება წააღვება თუ ავნებს პოლიტიკას, მხოლოდ ის უნდა ვიცოდო, ის არანაირად ითვლის, არა იმისა, ხოთხისათვის თუ უადა.“

დე, უგრიდავეც ულილება კონფიდენციალურობის თუ ცუდი. თვითრწმენის დაპრუნება: „მთავარი და უმთავრესი სწორედ ეს გახლდათ — ამერიკელთავის თვითრწმენის დაპრუნება... რამეთუ ამაყ და თავისუფალ ხალხს უსაზღვრო შესაძლებლობანი აქვს... ესეც კიდევ ერთი ბიოგრაფიული ქარგა, ერესტომათიულ ნიმუშად რომ ნარმოგვიდგება, თუ რაოდნენ აუცილებელია შენს ერს გაუდვივო და განუმტკიცო თვითრწმენა, რათა ამაღლებული მიზნებისაკენ ნარმართო და ის შეუძლებელი შეაძლებინო, მართლაც სასწაულს რომ გაუთანაბრდება.“

ხალხის არჩევანი: „-კანდიდატი არ იღებს გადაწყვეტილებას, იყაროს თუ არა კენჭი პრეზიდენტად, მის ნაცვლად ამას ხაოზი აკოტიბს.“

ეკონომიკური აღმავლობა: „როლანდ რეიგანი, ქვეყნის სათავეში რომ მოქმედობდა, მყაფიოდ ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ პროგრამას იმთავოთვე გააცხადებდა და ყველაზე საამაყო მიღწევად ამას მიზნევდა — ამ უდიდესი პრობლემის წარმატებით გადაჭრას.“

სულიერების გამოცოცხლება: „ეკონომიკური აღმავლობა ეკონომიკურ აღმავლობად, მაგრამ მთავარი მონაპოვარი 80-იანი წლებისა ამერიკული სულის გამოცოცხლება შეიწინებოდა.“

ბატონიშვილის მიერ დაუკავშირდენია, ილია მართალივით, ჩვენც შევლალადოთ: „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გა- მაგრონე ჩემს მაშლში.“

რეიგანი კი თავისს მატულ-ქვეყანას სიამაყით რომ გადაპყურებს, ამ ეპიზოდს კანთილად გვიხატავს როსტომ ჩხეიძე, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ამგვარ წარმატებულ ცხოვრებას მონატრებულა: „რეიგანი თვითმფრინავიდან გადმოჰყურებს სამხრეთ კალიფორნიის თვალზარმტაც პანორამას, დასცეკრის სახლებს და ფიქრობს: ნეტა ახლა უკეთ თუ ცხოვრობენ, ვიდრე რვა წლის წინათო?!” და გულში სიამედ ეღვრება ის

განცდა, რომ ნამდვილად დატყობოდა სასიკეთო ხელი ამერიკულ ცხოვრებას.“

ამ პასაჟმა უნდა გამახსენა „ამერიკული ცხოვრების“ საპირისპირო „საბჭოური ცხოვრების“ ანეკდოტური ამბავი:

ნადიკვირიდან თელავ-ქალაქს გადაჰყურებენ რაიკომის მდივანი და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე და ერთმანეთს „გულამოსკვნით“ შესჩივიან: როგორ დამშვენდებოდა ეს ჩვენი თელავი, პატრონი რომ ჰყავდესო.

ამჯერად კი ბირველსავე სიტყვას მოვიდეთ და პასუხი ვეძიოთ კითხვაზე: მანიც რამ შეაძლებინა როლანდ რეიგანს ამერიკული სასწაულის მოხდენა?

ამ კითხვაზე პასუხს აქვე ვიპოვთ: — „როლანდ რეიგანს თავისი საუკეთესო როლის შესრულების უამი დასდგომოდა... და კაცობრიობის სასიხარულოდ, სწორედ ის უამი ედგა შეერთებული შტატების პრეზიდენტს, თავისი ხელოვნება სრულყოფილად გაემსახულებინა.“

...და კვლავ რიტორიკული კითხვა: — ისეთი რა ნიჭი მიემადლებინა ბუნებას რეიგანისათვის, ტრიუმფულ ნარჩატებას რომ მიაღწია პოლიტიკური იერარქიის უმაღლეს მწვერვალზე?! ამ კითხვას თუთოთ რეიგანი უპასუხებს: — როგორ შეიძლება პრეზიდენტი მსახიობი არ იყოს?“ რასაც ახლავს ბატონო როსტომის კომენტარი: „აფორიზმივით ფრაზაა, ან რა-



ლა აფორიზმივით — მართლაც ანდაზაა, სენტენციაა, მახვილი გონებითაც მიგნებული და პირადი გამოცდილებითაც დადასტურებული.“ თანაც, როლანდ რეიგანი პრეზიდენტობის 8 წლის მანძილზე „რეჟისორიც თვითონ იქნებოდა და მთავარი როლის შემსრულებელიც.“

მართლაც-და:

ბედნიერა ამერიკელი ხალხი, ასეთი პრეზიდენტი რომ ჰყავდა — რეჟისორიცა და მთავარი როლის შემსრულებელიც!

საბრალო ქართველი ხალხი, ასეთი პრეზიდენტი რომ ჰყავდა — „დამდგმელი რეჟისორი და მთავარი პოლიცმენტერი!“ (გივი ალხაზიშვილი).

აი, ასეთი ფიქრები აღმიძრა როსტომ ჩხეიძის რეცენზია-ესეიმ — „რონალდ რეიგანის საუკეთესო როლი“, სადაც ერთმნიშვნელოვნადაა ნიჩევენბი, რომ რონალდ რეიგანის საუკეთესო როლი გახლდათ ამერიკული სასწაულის მოხდენა. სტატიაში მოხმობილი სენტენციები კი გამიზნულია იმათვების, „ვისაც ყურნა ასსედან სმენად.“

ყურში ჩამესმის ამერიკელი ხალხის აღტკინებული სამადლობელი: **ბატონი პრეზიდენტო**,

მისია შესრულებულია! და მეც, როსტომ ჩხეიძის შეგონებებით შეძოძგინებული, პერიფრაზულად შევძახებ: **ბატონი როსტომ**, მისია შესრულებულია!

კახა მიქიაშვილი

„როდესაც ვხედავ სინაზულს“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— გაუნათლებლობა, არასულიერება.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— მოვივლიდი მსოფლიოს და ვიცხოვრებდი საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

მშვიდობა, ჯანმრთელობა, სიყვარული, სტაბილურობა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— კვაზიმოდო, მეფე ლიო.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავთ აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი, ალექსანდრე მაკედონელი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— სალვადორ დალი, მიქელანჯელო.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მოცარტი, შუბერტი, ყანჩელი, კახიძე.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ლირსებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— თავშეკავებულობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— თავმდაბლობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ჩემი პროფესია — მსახიობობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?



— არ მახსენდება.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ლიოალობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას, ნდობას, გვერდში დგომას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიფიცე, სიზარმაცე.

— თქვენი ნარმოდეგენა ბედნიერებაზე?

— როდესაც არ გშურს და კმაყოფილი ხარიმით, რაც გაეცეს.

- რა იქნებოდა ოქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
 - ღმერთთან დაშორება.
 - როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
 - მოსიყვარულე, მშვიდი, თავმდაბალი, მიმტევებელი.
 - თქვენი საყვარელი ფერი?
 - მწვანე, წითელი, სტაფილოსფერი.
 - ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
 - იასამანი.
 - თქვენი საყვარელი ფრინველი?
 - მერცხალი.
 - თქვენი საყვარელი მნერალი?
 - დოსტოევსკი, გურამ დოჩანაშვილი.
 - თქვენი საყვარელი პოეტები?
 - გალაკტიონი, ვაჟა.
 - საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
 - მედეა, ანა კარენინა.
 - საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
 - უიული შარტავა.
 - საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
 - თამარი, ქეთევან დედოფალი.
 - საყვარელი სახელები?
 - დემეტრე, ლუკა, მარიამი.
 - რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
 - ტყუილს, უპასუხისმგებლობას.
 - ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?
 - ჯალალედინი.
 - საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ლირისი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?
 - დიდგორი.
 - რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
 - რუს-ურბნისისა საყელესიო კრება.
 - ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობეთ?
 - სიყვარულის ნიჭი.
 - როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
 - თუ იქნება საჭიროება, დავილდებო ქვეყნისათვის ან სარწმუნოებისათვის.
 - თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
 - გაცილებით ცუდი, ვიდრე მინდა მქონდეს.
 - ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
 - როდესაც ვხედავ სინანულს.
 - თქვენი დევიზი?
 - მოიქეცი ისე, როგორც შენ გინდა, რომ მოგექცენ.
 - თუკი ოდესებე შეხვდებოდით დმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
 - მოგეტევოს ცოდვანი შენი და ცხონდე.

თავგანცილული სიყვარული ავანსენტი ცაგარელისა

(ნაცა გოგიას ესაუგრება როსტომ ჩევიძე)

— ბატონო როსტომ, თუ ვინმეს არ აკლია რეცენზიები და გამოხმაურებანი, მათ შორის თქვენც, მაგრამ გული მწყდება, რომ როგორლაც უყურადღებოდ დარჩა თქვენი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „და სიყვარულის ასე მოთმენა“, ავქსენტი ცაგარელის ბიოგრაფიულ ნატეხებად ნაცულისხმევი. მართალია, ის ჯერჯერობათ მხოლოდ უურნალ „რეცენტის“ ფურცლებზე (2013, №17-19) გამოქვეყნებული და ცალკე წიგნად არ დასტამულა, მაგრამ წესით მაშინვეც უნდა გამოეწვია კრიტიკულ-ესთეტიკური შეფასება ანუ პრესაშიც არეკლილიყო ის ცხოველი მსჯელობა, ლიტერატურულ კულუარებში რაც მოჰყვა.

— საყვედური არავისზე მეთქმის. თქვენი თქმისა არ იყოს, ჩემს თხზულებებს, დიდტანინი იქნება თუ მომცრო, რეცენტია-გამოხმაურებანი არ აკლია და უხერხული იქნება, გუნდებაშიც კი უფრო მტკი მოვითხოვო.

— მოთხოვნა არც მიიქირია, მაგრამ მცე ხომ მაქვს უფლება გულს დამაკლდეს, რადგანაც არამარტი ჩინებული კომედიოგრაფის ლიტერატურული და ფსიქოლოგიური პორტრეტია გამოკვეთილი თქვენებური პირუთვნელობითა და შთამცეჭდალით, არამედ გახსნილია მისი სიკვდილის მთავარი მიზეზიც. ამ ჯერადაც გამომძიებლის როლში გვევლინებით და ის, რაც არასოდეს არავის განუცხადებია, თქვენ ძიების საგნად აქციეთ და კიდეც გამოარკვიეთ, რაოდნე სამძიმეც უნდა იყოს ჩვენი თეატრალური ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის ამ იღებმლებითმოცული ამბის გამოტანა სამზეოზე.

— ლიტერატურთა საქმე სხვა რა არის: მიუნებელი და გამოურკვეველი არა-ფერი დარჩეს, სადამდეც კი მზერა მიგვიწვდება. არასოდეს არავის განუცხადებიაო, რომ ბრძანეთ, აშკარად მართლაც არავის გამოუტონია სამზეოზე, მაგრამ ისესებ გრიბაშვილის ბიოგრაფიული ნარკვევის ერთ პასაუში საგრძნობის ფარული ეჭვი თუ მინიშნება, ყოველ შემთხვევაში საცნაურია, რომ მაინცდამაინც არ უნდა დავივერიოთ ის ვერსია, თითქოს ავქსენტი ცაგარელი მისთვის შეუფერებელმა სამსახურმა — სადგურის უფროსობამ — იმსხვერპლა. შეუფერებელ სამსახურში ვინ აღარა მდგარა ლუკრისი მოსაპოვებლად, ყოველად შეუფერებელმიც, მაგრამ არ გადაპყოლია სულიერ ტკივილებს: მეტი მეტუთვნოდაო. და ცხადია, არც ავქსენტი ცაგარელია სადგურის უფროსობით გამოწვეული განცდების მსხვერპლი.

— სინამდვილეში სიყვარულის მსხვერპლია.

— სიყვარულის, დაიხ... უფრო სწორად, გაუზიარებელი სიყვარულის, თავდავინებით რომ ეტრიფოდა ნატო გაბუნიას, და არამარტო ცოლად შერთვამდე, არამედ დაოვახების შემდგომაც.

— სიმონ ჩიქოვანის სიყვარულისა არ იყოს მარიკა ელიავასადმი.

— ამ მხრივ, დაოვახებამ ღონავადაც რომ ვერ გაანელა სიყვარულის სიმძაფრე, ის კი არა, გააღრმავა კიდეც, ეს ორი წევილი უდავოდ ჰგავს ერთიმეორეს, თუმც სხვა მხრივ საპირისპირო პოლუსებზე დგანან. აბა, რა იქნებოდა!.. რამდენადაც ამაღლებული და რომანტიკულია სიმონ ჩიქოვანისა და მარიკა ელიავას სიყვარული, საბოლოოდ მომზიდლაც პორმასაც რომ დაემგვანა — ყოფით რეალობაში ხორციელდეს: პოეტის საფლავს მეუღლის ფერფლი რომ გადაეყარა... დიახ, რამდენადაც ეს ამაღლებული და რომანტიკულია, იმდენად დამდაბლებული აღმოჩნდა ავქსენტი ცაგარელისა და ნატო გაბუნიას ტრიფიალება. ავქსენტი კი შეუნარჩუნა ამაღლებულობაც და რომანტიკული სულიც თავის სიყვარულს, მაგრამ ნატო გაბუნიამ ვერ გამომინა ეს ერთოველება, რასაც მეუღლეობა ავალდებულებდა და ფეხით გათელა ქმრის წმინდა და გრძნობა. დიდგარებული მსახიობი ვერ აღმოჩნდა ზნეობრივი პიროვნებაც.

— ავქსენტიმ იცოდა ცოლის არაერთი ღალატის შესახებ?

— უფროვად და... სწორედ ამას გადატყვევა. სიყვარულით ძველებული გზნებით უყვარდა და ვერ დათმობდა, არადა, თავმოყვარებობაც უკიდურესად შეელახებოდა და ამ წინააღმდეგობაში მოქცეული სხვა გზას ვეღარ იპოვიდა გარდა იმისა, რომ ცოცხლად დაგრეულიყო.

— მის აღსასრულს ალბათ ყველაზე უკეთ მიესადაგება ცნობილი პიესის სახელნოდება: ხევში ზეზეურად კვდებიან.

— გეთანხმებით, და დასანანიც კია, რომ ამდენი წლით დამასწრეს, თორემ უკეთეს სათაურს ვერც ვინატრებდი ავქსენტი ცაგარელის ტრაგიკული ბედასნერის ნარმოსახვისას.

— ისე არც ეს არის ურიგო: „და სიყვარულის ასე მოთმენა“.

— გალაკტიონი ყოველთვის გალაკტიონია, რაც გინდა ამოარჩიე მისი ლირიკული საგანძურიდან.

— და მაინც ნატო გაბუნიას სახელი ეკერა პირზე ავქ-
სენტი ცაგარელს სულის ამოხდომის წინ, ეს იყო მისი უკა-
ნასკნელი ფრაზა: ხანუმა, სადა ხარ?! — სოფრომ მგალობ-
ლიშვილმა რომ შემოგვინახა თავის მოგონებებში მეგობ-
რის სიკვდილისწინა აგონია.

— მისი პირადი ტრაგედია ესაა — ეს გადაულაბავი ჩიხი, და, რა გასაკვირა, მეუღლის მონატრებაში რომ დალია სული, უზო-მო ტკიფილებით შეჭრივებული და... იუმორად დალვრილი სული.

— სხვებისთვის შვებისა და სიხარულის მეტი არაფერი მოუტანია.

— და არამარტო თანამედროვეთათვის. დღესაც ცოცხალია და ყოველთვისაც ცოცხალი იქნება მისი რამდენიმე კომედია, თუნდ „ხანუმასი“ რამდენი ჩინებული დადგმა განხორციელებულა და კიდევ არაერთს უნდა ველოდეთ კარგი რეჟისორისა და მსახიობების ხელში.

— ოჯახური დრამა მის ცხოვრებაშიც რაოდენ საპე-
ლისწეროდ იჩენს თავს.

— „მის ცხოვრებაშიც“ რომ ამბობთ, ალბათ ივანე მაჩაბლის ტრაგიულ აღსასრულსაც გულისხმობთ, მისი საიდუმლოებითმოცული გაუჩინარების მიზეზი საბოლოოდ ოჯახური დრამა რომ ალმოჩნდა.

— რაც ჯერ კიდევ როდის განაცხადა ილია ჭავჭავაძემ, ქარაგმულად, მოიარებით, მაგრამ მასნც მიუთითა ის სწორი გზა, სად უნდა ეძებნა გამოძიებას ივანე მაჩაბლის ტრაგიკული აღსასრულის დაფარული მიზეზი. ეგაა, ყური არავინ დაუგდო, ვისაც უნდა მოესმინა და გაეთვალისწინებინა.

— ამიტომაც გადახასნევინე ილია ჭავჭავაძეს ჩემს პიგაში „26 ივნისის საიდუმლო“ ივანე მაჩაბლის მეცვლელბის ნამდვილი გარემონტაზი, ცრუვერსიებს მიღმა შემალული.

— თქვენს პერსონაჟი ილიას, დეტექტივად რომ წარმოსახეთ, თუმც გჯერათ, რომ რეალურ ყოფაშიც ამცნობდა და გახსნიდა.

— ეჭვიც არ მეპარება, რადგანაც ილიას თვალს არაფერი დაემალებოდა, მიწის ქვეშ რა იყო, იმას ხედავდა, კლდის გულში რა იფარებოდა, იმის ამოცნობა შეეძლო და ივანე მაჩაბლის გაუჩინარების სათავეს ვერ გამოაპკარავებდა?!.

— მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ თავისთვის ამოიცნო და სოციალ-დემოკრატებს არ მიახალა პირში სიმართლე, იმათ, ვინც დემაგოგით ცდილობდნენ საზოგადოებრივი აზრის დაბნევას.

- რაღაც ავცდით აექსენტი ცაგარელის ბედზე საუბარს.
- რა ვქნა, ძალიან შემძრა „26 ივნისის საიდუმლომაც“ და თავი ვეღარ შევიკავე.

— ივანე მაჩაბლის ტრაგიკულ აღსასრულზე ფიქრი ყოველთვისაც გამოჰყება ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას და ისე აგვაფორიაქებს, თოთქოს ამ მღლვარე ეპიზოდის შემსრუენი კვლავაც ვართ და... ილიას მივჩერებივართ იმედის თვალით: ისევ შენ თუ აგვისხნი, თორემ ძალზე ძნელია გაურკვევლობაში ბორიალიო.

— და უკვე ავქსტნი ცაგარელის ტრაგიკულ ალსასრულ-ზე ფიქრიც ალარ მოგვეშვება და ყოველთვისაც აგვაფორია-ქებს: კომედიოგრაფის ტრაგეთია... არ უნდა მიჩქმალულიყო, არა, თქვენს მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში ასე კან-თიელად ნარმოსასახული მთავარი მიზეზი თუ მოტივი, იოსებ გრიშაშვილის ყრუდ გამოთქმულ ეჭვზე აღმშენებული.

— აკი არც დაანგებეთ მიჩქმალება, თოროებ მე სულ სხვა თემებზე ვარ გადართული და ავტენტი ცაგარელის სიცოცხლის მიმწერი შესაძლოა აღარც გამეტესნებინა. არადა, დასანანი იქნებოდა.

— აი, ხედავთ? თქვენ კი უარობდით ამ სახელდახელო დიალეგსაც.

ნოშრევან არაბული

ეშვაკური სასანი ანუ ჩამლილი საგაიგარი

პირველი ის იყო — ბერძენი ფილოსოფიულებასა და ხევსურ დევებს ქირზილებში რომ შეემთხვათ, ანუ შესახებ იმისა, თუ რა უგემურობა შეიძლება მოჰყვეს ზღვარგადასულ სტომაქთ- მოყვარეობას, რომელსაც სტუმართმოყვარეობასთან უკვე არაფერი აკავშირებს (ალარ ემახსოვრება მყითხველს და... ეს იყო „ჩვენი მწერლობის“ 2009 წლის 18-ში).

— ის მაშინ იყო, ფილოსოფია რომ ძეველ ბერძნებს ეპყრათ, რომელთაც იცოდნენ ის, რომ არაფერი არ იცოდნენ, ხოლო სევსურეთი — ანდრეზიდან გადმოსულ დევებს, რომელთაც ეგონათ, რომ ყველაფერი იცოდნენ...

იმდენი ალბათ არა, მაგრამ ესეც საკმაოდ ძველი ამბავია, თითქმის, თითქმის ზუსტადაც კი შეიძლება დავთაროლოთ: „სისხლის წვიმინდელია”, კონკრეტულად — ბესარიონ გაბურამდე „ცამეტი მამის” წინანდელი (იხ. აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზია”, გვ.710, ზურაბ კივნაძის „ანდრეზები”, გვ.153). ეს კი იმას ნიშნავს, რომ სადღაც XVIII ს. ბოლოს მომხდარა. მართალია, აქ ცდომილება სულ რაღაც 80-ოდე წელშია, მაგრამ საქმის ვითარებას ეგ ოდნავადაც არ ცვლის...

ბესარიონ (აბაისძე) გაბურს მკითხველისათვის წარდგენა არ სჭირდება, ოლონდ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ საქმე ეხება არა მის

მიერ „ნატევაშ“ ან ჩანსროლ პოეტურ ნიმუშებს, არამედ — პროზაულს, სადაც, უნდა ითქვას, ისეთივე ბრწყნოვალეა, როგორც პოეზიაში. მეტიცა: მშენებირ ნოველისტადაც კი გაიღვლინება.

არა, პატივცემულო მკითხველო, არავითარი სიურპრიზი, აბაისძეს ამ ჟანრში არავითარი პრეტენზია არ გააჩნდა და ვერც მე დავაძრალებ, უბრალოდ მოყოლა სცოდნია რაღაცნა-ირი: დღნები, მძიმე, გულიანი და თანაც „ტკეპნით“, როგორც თანამედროვენი იხსენებენ.

აი, მისი მოყოლეობი ამბეჭი თუ უნებურად ნოველის ტა-
ლავრით შეიმოსებოდნენ, ეს „შეღმათ აბაისძის“ კი არა, ღმერ-
თის „პრალი“ იყო, შემოქმედი ლმერთის.

გაგიმხელთ: გაბურთ ეშმაზეა ამჯერად ლაპარაკი.

ამთავიოთვე უნდა ითქვას, რომ ეს ეშმა საკმაოდ დაუდეგა-
რი ვინმე ყოფილის: ხან ფშავში დაეხეტება, ხან მოიულეთში,
იქვე ბარებამ გუდამაყარშიც შეივლის, ხევსაც სტუმრობს და
არც თუშეთი გამორჩება, სადაც უკვე თიკუნად თეჭყორიკად
მოიხსენიებენ, მაგრამ თავს კველაზე კომფორტულად ხევსუ-
რეთში, არხოტის თემის სოფელ ჭიმლაში, გაბურთა საგვარე-
ულოს წინაპართან გრძნობს, რომლის „სახელ არავინ არ
იცის, არ ას ანდრეზად“.

ეშმას ამბავს ყველა კუთხეში თითქმის ერთნაირად გვიყვებიან, მისი „საქმენი საგმირონიც“ ზედმინევნით წააგავს ერთმანეთს, მაგრამ ჟესარიონის მონათხრობი არამარტო კველაზე ვრცელია, არამედ ყველაზე მარილიანიც და, რაც მთავარია, მხატვრული თხზულების ჩარჩოში ჩასმულია.

თუ ამ „აბგაბას“ ცოტა სხვანაირი თვალით შეეხედავთ, აღ-
მოვაჩენთ, რომ თავისი აგებულებით ნოველაა და რა ც უნდა
უცნაურობად მოგეჩენოთ, შიგნით კიდევ ორი ნოველაა
„გატურენილი“, ის ერთი მაინც...

პოეტურია თუ პროზაული, არა აქვს მნიშვნელობა, ამოუნიურავია მადლი ხალხური სიტყვიერებისა, ოღონდ ზერელედ ნუ მოეკიდები, შუშის თვალით კი არა, გონების თვალით წაიკითხე...

* ნერილი მეორე

* * *

ჰოდა, წავიდა ეს ძელი გაბური თავის მამაპაპურ სათიბში შუამთას.

დილაა. მშვენიერი ამინდი, სათიბიც ფრიად არს და ისიც მუყაითად მუშაობს, მაგრამ რად გინდა რა... გაიხედავს და ვიღაც მანდილოსანი აეტორლიალება (ვრცლად სქესისა და მის-თანათა შესახებ — ქვემოთ). აეტორლიალება და აცდენს, აღარ აძლევს იმის საშუალებას, რომ საქმეს გული დაუდოს.

იმას ხელში ხის ცელი უჭირავს, ტარი ხომ ხისა და ხისა, თვით ცელიც ხისაა. მოუქნევს გაბური ცელს და შრიალი მო-აქეს მოცელილ ბალახს, ისიც მოუქნევს, მაგრამ ბალახი კი არ იჭრება — ითელება.

მიხვდა გაბური — ეშმაა, ეშმასთან აქვს საქმე და იცის, რომ მთელი დღე არ მოასვენებს, უნდა მოუშალოს ნერგები და საქმესაც გააცდინოს.

ხელ-მუხლსა და მარიფათს გაბური არ უჩირის, დააგდო უცხებ ცელი, გაიჭრა ეშმასკენ, ის-ის არის უნდა შეიძყროს, მაგრამ არა, ხელში ვერაფრით ვერ მოიგდებს, იცინის, ხახა-ნებს ეშმა ეშმაცურად.

დაჯდება ნამხრულში დალლილი გაბური და ეშმაც დაჯდება. წამოდგება გაბური — ეშმაც წამოდგება.

თიბას დაინტერეს ეს — ისიც თიბას დაინტერეს.

დაახველებს გაბური — ეშმაც დაახველებს.

გაჩერდება ეს — ისიც გაჩერდება.

მოსხლტება ადგილიდან გაბური — კაცი არ ვარ? როგორ ვერ დავიჭრო, გაუდგება, გაეკავება უკვე ადგილიდან აგრეთვე მოსხლტილ ეშმას, მაგრამ ვერა, აშკარაა, არაფერი გამოსდის.

დაჯდა დალლილი გაბური — ეშმაც დაჯდა.

დაფიქრდა კაცი: ძალით არაფერი გამოსდის, ნებითაც — ცხადია, არაფერი გამოუვა. სხვაგვარად უნდა მოიქცეს, რამე მოუხერხოს, თორემ სულერთია, გააცდენს მთელი დღე და საქმეს არ გააკეთებინებს.

ახლა უკვე გონებას დაატანა ძალა და ამგვარად მოიქცა: აიღო ბალახი, გაკეკა, გაგრისა და ალერდი — ბალახის თოვე გააკეთა.

ეშმამაც აიღო ბალახი, გაკეკა და ალერდი იმანაც გაგრისა.

დაჯდა გაბური და ამ ალერდით ფეხები მაგრად და მტკი-ცედ შეიკრის.

დაჯდა ეშმაა და ფეხები იმანაც გულიანად შეიკრია.

გამოჰკრა გაბურმა ალერდს ცელი, გაჭრა და გათავისუფლდა.

გამოჰკრა ეშმამაც ცელით თავის ფეხებზე დახვეულ ალერდს, მაგრამ ხის ცელი რას გასჭრიდა, ფეხების განვითარებით დარჩა. გაბური მაშინ კი „გაიქცა, ალა გაუშევა, ეშმა მასაჯდა ეშმასა“. პირდაპირ ასე წერია იმ ლექსში, აკავი შანინებს რომ, წარმოიდგინეთ და, რიცხვით 666 დაუნორვება. საყვარე დამთხვევა — ლექსი გა-ბური ეშმაზე ეშმაცული საკრალური (ციფრითა ნიშანდასმული).

ასე დაიჭირა გაბურმა ეშმაა, წამოიყვანა სახლში, დააჭრა ფრჩხილები, ჩაყარა ხმლის ქარქაშში, რომელსაც ეშმა ვერ ეკარება, და ოჯახის წევრად დაისვა შინ.

ძალადობა, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება, ყო-ველთვის ეფექტური ვერ იქნება, გონებისმიერი მეთოდით კი თვით ეშმაკის დამარცხებაც შეძლება. ჩემი განმარტების გა-რეშეც ნათელია ხომ ამ უჩიქერებობის დედაზრი?! კეთილი, კეთილი, სხვა დროს თავს აღარ შეგანვენო და მექნე-ბა თქვენი კეთილგონიერების იმედით...

* * *

ოღონდ აქ ერთი ინტიმური გადახვევა, გნებავთ — „ინ-ტერეცო“ უნდა გავაკეთოთ.

ერთობ საჭოჭმანო ხმები დარხეულა არხოტში გაბურისა და იმ ლაბაზი ეშმას იდუმალებით მოცული ურთიერთობის შესახებ.

დრო კი საკმაო გასულა, ცამეტი თაობა ხუმრობა არ გახ-ლავთ, მაგრამ ქალ-ვაჟური ურთიერთობაც (მით უფრო ნაპა-რავი) ისეთი ყოვლისნამლევავია, ათასწლეულთა წნებიდანაც კი გამოუღწევია. ეს ამბავი, ეტყობა, გაბურთა მცირერიცხ-ვანი გვარის ფაქტურ წრეში ტრიალებდა და „პეტროსთვის“

(პოეტური ფსევდონიმი — პეტრო ჩამდელი), იგივე შუდლიათ უშიშასთვისი, ანუ უშიშა წიკლაურისათვისაც იქიდან გამხდა-რა ცნობილი. საქმე კი ის გახლავთ, რომ ეს უშიშა იყო ბესარი-ონის სიძე, დის ქმარი და, მაშასადამე, გაბურთა ფჯახში მიღე-ბული პიროვნება, მითუფრო, რომ იყო პოეზიით ცხებულიც.

ისე, კაცმა რომ თქვას, მოდი და ნუ დაეჭვდები: სადღაც მთაში, უკაცრიელ ადგილას რო „მააჯდა“, რა — აღარ უშლი-ან, მამაძალი?!?

თანაც ქალბატონი ეშმა სავარაუდოდ საკმაოდ მომხიბლავი მანდილოსანი ყოფილა, რაკიდა გაბური ვეღარა და ვეღარ ეხს-ნებოდა, რისთვისაც, დაზღვეული რომ ყოფილიყო, საგანგებო ზომების მიღებაც კი დასჭირდა — ფრჩხილებს მოკვეცა...

გულგრილი რომ არც ეშმა ყოფილა გაბურის მიმართ, ეს იქი-დანაც ჩანს, რომ მათ ოჯახში ამ ქალბატონმა თავი გამოიჩინა, რო-გორც ხელმადლიანმა დიასახლისმა (ყანის მომკა, კარაქის ამოვე-ნა და ა.მ.). მართალია, ფაფა კი ჰყავარებია, მაგრამ ეს რაა იმ ბარა-ქიან საქმეებთან მედარებით, რასაც ეშმა გაბურების იჯახისთვის აკეთებდა. და რა, დიასახლისობაში ასეთი გულმბურგალება შემ-თხევებითი იყო, თუ ეშმათა საერთო ნიშანთვისება? ვეჭვიობ...

და თუ ასე იყო, რაღაც ნავიდა მაშინ გაბურებიდან, ვინ აგ-დებდაო? მკითხა ერთხელ ვილაცამ, და — სინდისმა შეანუხა-მეთქი, სინდისმა, უშპასუხე; იმ კაცს ხომ ჰყავდა მანამდე ცოლ-შეილი და მისი ცოლის საცოდაობას ვეღარ გაუძლო, ვინ იცის, როგორ უყვარდა ქმარი გაბურის ცოლს.

ან კიდევ, ბესარიონთან სტუმრობისას ჟიბიტაურით გაპი-პინებული ყანით რატომ დალია მაინცდამანც იმ ეშმას შე-სანდობარი შეუდლათ უშიშამ თუ, ღმერთო მომკალი და, მართ-ლა რაღაცაში არ იყო ოდესლაც საქმე? რა, შენდობის სათქმე-ლი მიცვალებულები შემორებიათ ამღინებსა და ჭიმღივნებს?

დალა-დალა და ახლა ზედ ლექსიც რომ დააყოლა! — გე-გონება კა ყის შესანდობარი დაელიოს...

არა, არა, როდის იყო კორ კამალი მდინარეს ასდიოდა!

ყველა-ყველა და ეს უშიშა საკმაოდ მრავალფეროვანი ინ-ფორმაციას ფლობს ეშმას შესახებ, რომელსაც თურმე შეე-დლო, ზაფხულად ექცია გაბურებისთვის ზამთარი. გარდა ამი-სა, „ეგ უხმობს ნახევართხანა, ბეთან რო სფენენ საფეავთა“ და, რაც მთავარია, „ქმრეულთ საფარველს გადაზდებს, ქის-ტებ ვერ ღანახვენ ჭაჭანსა“, ხოლო თუ საჭიროებამ მოითხოვა, ლაშქრობაშიც კი გაუძლვება წინ.

ყველაფერ ამას შეუდლიათ უშიშა ხომ არ მოიგონებდა? ერ-თი კია, რომ თავის „ცოლოურს“ ამ ლექსში (ჟაკი შანიძე, „ხევსურული პოეზია“, 666) ის პირდაპირ, გაჭრით, მეტად უხერხული სიტყვით მოიხსენიებს ეშმას მიმართ:

ცოლს ტყვედ არ წავაყვანიებ (ქისტებსო, ნ.ა.)

ქალს მა ეშმას მტ...ავთასაო.

ასეთი ეპითეტით „ამკობს“ უშიშა წიკლაური თავის ცოლე-ურებს, რომელიც, ვერ დავინადათ გაბურებს. მაგრამ ევ-მით უფრო კორექტულია და გაბურებს, როგორც ვნახეთ, ეშ-მას „ქმრეულებად“ მოიხსენიებს, არც მეტი და არც ნაკლები...

შესვამდა უშიშა ეშმას შესანდობარს, აბა, რას იზამდა!

და შელმა აბაისძესაც ღიმილი შეეპარებოდა გაგრებილ ულვაზში...

* * *

გაბურთ ეშმა ყველა სხვა ბედნიერებასა და უბედურებას-თან ერთად გულთამხილაც ყოფილა...

მოხდა ტრაგედია — არხოტის თემის სოფელ კვირინმინ-დაში ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა და ცალად დარჩა კი-დევ უფრო ახალგაზრდა ქალი.

არხოტისგან სატირალში დაინტერეს დენა. ცხადია, გაბუ-რებიც უნდა მისულიყვნენ, „ჭირის საწყენად“.

და რომ დაემზადნენ წასასვლელად, ეშმასაც შესთავაზეს — შენც უნდა წამოხვიდეთ. რიგია ხევსურული ასეთი: ჭირია თუ ლხინი, სადაც მასპინძელს მიესვლება, სტუმარიც უნდა იახლოს თან.

მაგრამ სტუმარიც არის და სტუმარიც. გაბურების სტუმარმა, რომ აუხსნეს რა უბედურებაც მოხდა, უარი განაცხადა სატირალში წასვლაზე.

რატომ? ჩაეკითხნენ ცოლ-ქმარი გაბურები.

გამეცინებაო! — უპასუხა ეშმამ.

ვაჟ! „გამეცინიდეთ თუ გაგეცინებისავ”, — არხეინად მიუგო ცოლ-ქმარმა გაბურმა — წამოსვლა არ გინდა და რალაცას ეშმაკობო, სატირალში სიცილი ვის გაუგონიაო.

მე მითქვამს — ეშმამ და წასასვლელად მზადებას შეუდგა.

* * *

ჭირისუფლებს კრიჭა შეპკვრიათ, დანა პირს არ უხსნით — დაიქცა ოჯახი.

ქაზდრის შეუგულში მიცვალებული ასვენია, გარშემო შაოსან დაცთა ჯარი შემოხვევია და დგას ერთი ტირილი და ალიაქოთ, რომ ყურთასმენა არ ჩამოვარდება.

მწუხარებისგან გონგამოცლილი ქვრივიც თავს იკლავს, არას დაგიდევს წესასა და რჯულს, რომ ქმრის ტირილს უსაქცივლობაში მიუთვლიან.

გაბურთ ეშმაც იქვე ზის და ისიც იხოკავს ლოყებს...

ოთახის კარი უყრთამდეა მოლიავებული და კარგად ჩანს, გარეთ რა ხდება, ვინ — მიდის, ვინ — მოდის...

და აგერ — მგზავრად მიმავალი (ნეტავ სად მიდიოდნენ?) პირიქითელი ხევსურებიც ჩამოხდნენ — შეეტყოთ უბედურების ამბავი და სამძიმირის უთქმელად ხომ არ გაივლიოდნენ!

ზის მოტირალთა შორის ეშმა და ეშმაურად წეურავს თვალებს, თან იქით იყურება, კარსმილმა, გარეთ რა ხდება. დაქვეითებულმა სტუმრებმა ხელში ნაჭერი ცხენებითურთ მნერივად გაიარეს და ოჯახის უფროსს „ჭირის საწყენად” მიეახლნენ.

ამ გაგანია ტირილსა და მოთქმა-გოდებაში თვალი შეასწრო ეშმამ, მიცვალებულის ქვრივმა კარსმილმა ჩავლილ სტუმართა მნერივს წამიერად გააყოლო მზერა.

და აი, ამ დროს, როცა გოდების წეირტნიალს ცისკენ მიპქონდა ჭერი, ვიღაცის როყით ხახანმა გაპკვეთა მწუხარების ალიაქოთი.

შეცბნენ მოტირალი, ყველამ ხმა გაკმინდა, შეხედს და... ეშმაა რო ხარხარებს, არა, არც ხარხარებს, არც იცინის, არც კისკისებს, არამედ ხახანებს, ხახანებს, ვერ მიმხვდარა, რომ ყველა გაჩუმებულია და მას შეპყურებს, ან იქნებ მიხვდა კიდეც, მაგრამ ხახანი ველარ დაიოკა, უფრო ასე უნდა ყოფილიყო, თორემ ეშმა და რამეს ვერ მიხვდეს?!

ჰოდა, რო ჩაათავა ეშმამ ხახან და როგორც იქნა ფრუტუნ-ფრუტუნით ჩაწყნარდა, იქით-აქეთ მოავლო თვალი და რას ხედავს: ტირილით დაოსებულ დიაცებს მანდილ-სათაურაში ჩაურგავთ თავები და ფხუტუნებენ, ითმენენ გადამდებ სიცილს და ვეღლარ იოკებენ, ვისაც თავის იმედი არ ჰქონდა, გარეთ გავარდა, ზოგმაც დროზე უშველა თავს და მეზობელ ოთახში გაასწრო...



დამალული ეშმაკისააო.

დამალული სიცილიც ალბათ ეშმაკისაა და იმიტომაა გადამდები და ხახანი რალა იქნებოდა, ეშმაკის ხახანი!

მოკლედ, დაიცალა იქაურობა, მიცვალებულის ერთ მხარეს მისი ქვრივი დარჩენილიყო და მზერა შუბივით მიებჯინა ეშმაკისთვის; მეორე მხარეს — სირცევილისაგან ფერდაკარგული ცოლი გაბურისა, რომელსაც გვერდზე ახლა უკვე დამშვიდებული ეშმა ამოპკვროდა და თავის უფრჩისილო თითებს სევდიანად დაპურებდა.

კარებში თავად გაბური შემოქრია, იმას ბრაზისაგან შეკვროდა კრიჭა, თვალებიდან ცეცხლს შლიდა და ნიკაპი უკანკალებდა, ცოლს თავის გადაკვრით ანიშნა და კვლავ კარში გაუჩინარდა.

მდუმარედ გაიარეს კვირინმინდის დახავსებული ირლებები და ჭიმლის ხეობას რომ შეუყვნენ, მაშინ მოუბრუნდა გაბური თავის ეშმას:

— რა გაციონებდ?

დაოკებული ბრაზით იკითხა მან.

— რო გეუბენით, რო ნუ წამიყვანთავ, თორე გამეცინებისავ”.

დახვენილი ხევსურულით მიუგო ეშმამ.

— რა გაციონებდ?

კანკალს აუტანია ეშმაკისაგან თემში თავმოქრილი გაბური.

თუ რა და: კარნინ რომ იმ პირიქითელმა ხევსურებმა გაიარეს, მათ შორის ერთი კოჭლიც ყოფილა, მიცვალებულის ქვრივს კი სწორედ მასზე გაუფიქრებია — აბა, რა მატირებს, სხვა თუ არავინ, აეგ კოჭლი ხო მაინც წამიყვანს.

ეს რომ უთქვამს, კვლავ ხახანი მოსწოლია ყულში ეშმას, მაგრამ გაბურისთვის რომ შეუხედავს, ის ხახანი მის ბაგეზე მხოლოდ ლიმილად გადმილოვრილა.

ჭიმლის ჭაუხის თავზე საავდრო ღრუბლები გნიასობდნენ...

* * *

სინდისის ქენჯა! აი, ერთ-ერთი მახასიათებელი ამაღლებული ბუნების კაცთა.

ეს გრძნობა, ეტყობა, არც ამაღლებული ბუნების ეშმათათვისაა უცხო.

ზემოთ გამოთქმულ ეჭვს კვირინმინდაში მომხდარი ინციდენტიც დაერთო და წავიდა გაბურის ეშმა იქ, საიდანაც მოვიდა, შეაცდინა გულუბრყვილო ყმაწვილი, წამოაყრევინა ხმლის ქარქაშიდან ფრჩისილები, დასტაცა ამან მაშინვე ხელი და წავიდა.

ძალა არც ეშმაკს უხმარია, ხერხი იხმარა, ხერხი იხმარო, რომელიც ღონეს გაცილებით სჯობდა.

არადა, კარგად ცხოვრობდნენ ერთად კაცი და ეშმა, როგორ გასძლებდნენ ნეტავ უერთმანეთოდ...



მხატვარი
ვაჟა მრგელაძე

ორიოდე სიტყვა ჩემს შესახებ

დავბადებულვარ 1934 წლის 10 ივნის ს თბილისში.

დედა - ევა ბროლიძე (დაბ. 1897 წ.). დაამთავრა მეფე განმათავისუფლებლის სახელობის ქალთა პროფესიული სასწავლებელი და მიენიჭა ჭრა-კერვის ოსტატის წოდება, რასაც 1916 წლის 10 ივნისს ტფილისის ქალაქის თავის ხელმოწერილი ატესტატი ადასტურებს. ეტყობა, იმ დროს დიდი ყურადღება ექცევდა პროფესიულ განათლებას, თორებ ქალაქის თავს ყველა ატესტატზე ხელს რა მოაწერინებდა. დედაჩემის ნემსმა გვიხსნა გაჭირვებისა და შიმშილისაგან 30-იანი წლების დასაწყისისა და მეორე მსოფლიო ომის დროს.

მამა - გრიგოლ (გიგო) გოდერძიშვილი (დაბ. 1889 წ.). გაიარა მოსამზადებელი და შემდეგ ოთხი კლასი სათავადაზნაურო გიმნაზიისა (დედა დევდარიანის ქალი ჰყავდა). იოსებ გრიშაშვილის კლაში იყო. მშობლები ადრე გარდაეცვალა და რადგანაც შეილები ყველაზე უფრო-სი იყო, იძულებული გახდა სწავლისათვის თავი მიენებებინა და ოჯახი ერჩინა. მიუხედავად არასრული განათლებისა, საკმაოდ კარგად იცოდა რუსული, ფრანგული და ქართული (ამ საგნეზში მეზობლის ბავშვებს ეხმარებოდა) და უპანში ათვისებული სომხური და თათრული. გიმნაზიაში განვრთინილი კალიგრაფია სიბერემდე ულამაზესი შერჩა - ნაბეჭდი გეგონებიდათ.

უფროსი და **ქეთევნი** (დაბ. 1919 წ.) დაამთავრა უნივერსიტეტის ფილოლოგიური და კონსერვატორიის საგუნდო-სადირიუმორო ფაკულტეტები. სპეციალობით არასოდეს უმუშავია. საკუთარ ოჯახს შესწირა ცოდნაცა და თავიც.

მეორე და - **მერი** (დაბ. 1922 წ.) სტომატოლოგი გახლდათ. ოთხმოცი წლისა რომ შესრულდა, მხოლოდ მაშინ შეელია პოლიკლინიკის დირექტორი და დაუინებული თხოვნისა და ბუტიანიბის შემდეგ პენისაში გაუშვეს. „გაჭირვებული და ღატაკი მსახიობებისა და ხელოვნების მუშაკთა უფასო მკურნალი“ შეარქვა ეროსი მანჯგალაძემ.

ძმა - რევაზი (დაბ. 1924 წ.) ინჟინერ-გეოლოგი. ინერტული მასალების ძებნა-ძიების ოსტატი. სამშენებლო მასალის რამდენიმე საბადო აღმოაჩინა და დაიძია; მათ შორის, რიკო-თის მარმარილოსი და სურამის კვარციანი ქვიშებისა.

არცერთი ცოცხალი არ არის. ამათ და ქართულის მასნავლებელმა ვარო ვარდიაშვილმა და მწერალმა გიორგი შატერაშვილმა გამზადდეს. ბარემ აქვე დავიტრაბახებ: მწერალთა კავშირში შესასვლელად რეკომენდაციები რევაზინანიშვილმა და ოთარ ჭილაძემ მომცეს 1971 წელს.

1952 წელს წარჩინებით დავამთავრე ვაჟთა მე-7 სკოლა; 1957 წელს — სპი-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი. 1957-68 წლებში ვმუშაობდი საქართველოს გეოლოგიური სამართველოსა და კავკასიის მინერალურ ნედლეულთა ინსტიტუტში გეოლოგად და მეცნიერ-მუშაკად, რამაც რადიკალურად იმოქმედა ჩემს შემდგომ მწერლურ კარიერაზე, თუკი მწერალი მეტქმის.

1968-2004 წლებში ვმუშაობდი ჯერ ნახევარშტატიან რედაქტორად, მერე რედაქტორად, უფროს რედაქტორად, მთავარი რედაქტორის მოადგილედ, მთავარ რედაქტორად საქართველოს ტელევიზიის სატელევიზიო თეატრში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიცა ვარ.



ჩემი პირველი მოთხოვები დაიბეჭდა და 1962 წელს „ცისკარში“. აქვე გაახლებთ ჩამონათვალს ჩემი ნაჯახირევისა. შესაძლოა, რაიმე გამომრჩა — ზედმეტი არაფერი ჩამინერია.

გამოცემული მაქვს პროზაული კრებულები: „ხუთი ნითელი მიხაკი“ (1966), „გიგას თავგადასავალი“ (1970), „თეორი კუნძული“ (1971), „ხელში გამომწყველულ ბელურასავით“ (1973). აქედან თითო-ოროლა მოთხოვება თარგმნილია: აზერბაიჯანულ, ბელორუსულ, ბულგარულ, ინგლისურ, ესპანურ, ლიტვურ, რუსულ და სლოვაკურ ენებზე.

დღემდე დაიდგა ჩემი 64 დღამატული ნანარმოები. აქედან 12 დაღგა თემურ ჩეხეიძემ, ორ-ორი რობერტ სტურუამ და თენგიზ ჩანტლაძემ, თითო-თითო მიხეილ თუმანიშვილმა და შალვა განერელიამ...

თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების სცენებზე დადგმულია ჩემი ორიგინალური („ილია ვარ“, „მინისქეშა სასახლები“, „არ შეგირიგდები“, „დავა, გაყრა, ძუნი ანუ როგორც გენებოთ“, „რკინის კარს უკან“, „ვირის ჩრდილი“, „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა“, „გადმოქართულებული („თეორი კატა“, „დველი სახლი“, „მამა არსენი“, „უკანასკნელი ცდა ანუ მომყიდე ქმარი“, „არტი ანუ ხელოვნება“, „გილოცავთ მასნ!“, „კვარტეტი ანუ მოხუცი ჯამბაზები“), თარგმნილი (ჯ.პ. პრისტლი, უ. ანუი, პ. ხოტეანოვსკი და ი. გარუჩავა, ე. პრაგინსკი და ე. რიაზანოვი, პ. შეფერი, ე. რაზუმოვსკაია, ბ. სლეიდი, მ. სანტანელი, ა. გარნე, ბ. გრილი, ი. მარცინკიავიჩსი, ჯ. გარსელანი) პიესები თუ ინსცენირებანი (ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, ნიკო ლორთქიფანიძის „სოფლის აშიკი“, მიხეილ კვესელავას „ას ერგასის დღე“, ფიოდორ დოსტოევსკის „მარადი ქმარი“, პერ ლაგერკვისტის „ბარაბა...“) აგრეთვე ტელევიზიასა და რადიოში ტელესპექტაკლები („მეგობრები“, „ლედი უინდერმირის მარაო“, „ჩემი საყვარელი მზრუნველი დედა“, „ეს არ უნდა მომხდარიყო“, „მოცეკვავე კაცუნები“, „ალსარება“, „ნოველა სიყვარულზე...“) და რადიოპიესები („გიგას თავგადასავალი“, „მინისქეშა სასახლები“, „ზამთრის ზღაპარი“, „ხელში გამომწყვდეულ ბელურასავით“).

1999 წელს რატომლაც დამაჯილდოვეს „ლირსების ორდენით“. გასაგები მიზეზების გამო ორდენის აღება არ მინდოდა (უკვე გვქონდა ჩემი საყვარელი მსახიობის ნოდარ მგალობლიშვილის მაგალითი). მაგრამ ახლობლების „ზენოლით“ და.... ერთი სიტყვით, ძალიან გვიჭირდა და ვერ ვივარგე!... ავიღე — ექვსასი ლარი ახლდა იმ ორდენს!!

2004 წელს, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გამიშვეს პენსიაზე. ჯერჯერობით ცოცხალი ვარ. ამას იმიტომ გახსენებთ, რომ მწერალთა კავშირის ბოლო ცნობარში აღარ მომისხენიეს, თუმცა კავშირიდან გასვლის განცხადება არ დამინერია და არც დავწერ.

ეს არის და ეს.

თამაზ გოდერპივილი

თამაზ გოდერძიშვილი

გამხარევავილებიანი ავტოპორტრეტი

(ფიქრი და ამაოება დილიზან შუალამაძე)

მოქმედი პირი:

გიორგი – 40 წლისა
გიორგის დედა
გიორგის მამა
გიორგის ფიქრი
გიორგის ძმისწული
გიორგის საყვარელი ქალი – გოგონა იაშვილი
გიორგის უფროსი
გიორგის მდივანი ქალი
გიორგის ერთნინადადებიანი თანამშრომელი კაცი
გიორგის მეგობრის სანდროს მეუღლე
გიორგის მეგობრის გაიოზის მეუღლე
ორსიტყვიანი ტელედიქტორი ქალი
ხმა რადიოდან

გიორგის მუზები – გამხმარი ყვავილები:

მყრალბალახა	/კაცის ხმა/
მიხაი	/კაცის ხმა/
ჩაის ვარდი	/კაცის ხმა/
ნითელი ვარდი	/ქალის ხმა/
კესანე	/ქალის ხმა/
ეკალი	/კაცის ხმა/

ალიონა	
ნინა	
თამაზი	ეკლის პერსონაჟები
თენგიზი	

პირიმზე	/ქალის ხმა/
---------	-------------

დედა: გაილვიძე?

გიორგი: არა, მძინავს.

დედა: ადექი, სამასახურში დაგაგვიანდება. (პაუზა) ადექი, შვილო.

გიორგი: ნაცრისფერი დილაა, მზე არა ჩანს. როცა მზე ღრუბლებს ეფარება, ვერ ვხვდები, რომელი საათი იქნება. თუმცა, რაც ახალგაზრდულ ასაკს გადავაბიჯე, ყოველდღე ერთი და იმავე დროს მელვიძება – ზუსტად რვის ნახევარზე.

დედა: ადექი, შვილო!

გიორგი: ჩემი საძილე ოთახი პატარაა და ავეჯიც ერთა-დერთი ვარიანტით არის განანილებული. სხვანაირად რომ დაიდგას, არ დაეტევა. ამ ორმოცი წლის მანძილზე იშვიათი გარემონტების შემდეგ, ჭრასაც და კედლებსაც ზუსტად იმავე ადგილს უჩნდება ბზარები. ასე რომ, ჩრდილის მდებარეობა ამ ბზარებთან შეფარდებით ზუსტ დროს აღნისავს. საათი არც არის საჭირო. დღეს ოთხმაბათია. ცამეტი აგვისტო. ეხლა შვილი საათი და ორმოცდასუთი წუთი იქნება.

დედა: აი, ამ ბეჭდით საწყალმა მამაშენმა ხუთი ქალი დანიშნა. მეუღლე მე ვიყავი. ამასწინათ წავილე და ოქრომჭედელს გავანევნე. ბაჯაღლოა, თორმეტი გრამი. ეგებ, შენც გადმოგეხსას იმისი წყალი. დაჩაჩანაკდი და შემომაპერდი ხელში უცოლოდ. მე რა... ზეცას ხომ არ გამოვეკერები? რას მიყურებ? გამომართვი. მოგწონს?

გიორგი: ძალიან. გმადლობ.

დედა: რამე ხომ უნდა დაგრჩეს საწყალი მამაშენისაგან.

გიორგი: გმადლობ, დედიკო.

დედა: აღუ, წევზე არ მიებინო!

ფიქრი: საპირფარეშოში ხელი უხერხულად დავიქნიე. ბეჭედი მომძვრა, კაფეზე დაეცა. საამო წეარუნი გაიღო და კანალიზაციის ხერელის ირგვლივ რამდენიმე წრე შემოხაზა. წრე წელ-წელა პატარავდებოდა და ვიდრე რაიმეს მოვიფიქრებდი, ნიშნობის ბეჭედი ხერელში გაუჩინარდა.

გიორგი: კალენდარს გუშინდელი ფურცელი ავახიე, კედლის, ჯიბისა და მაჯის საათები დავეოქე და რადიო ჩავრთე.

რადიო: თბილისში უნალექო ამინდი იქნება. ტემპერატურა ლამით – ოცდაერთი-ოცდასამი, დღისით – ოცდაცამეტი-ოცდათოთხმეტი. დღეს დილის შვიდ საათზე თბილისში იყო ცხრამეტი გრადუსი. ეხლა თბილისის დროით რვა საათი და ორმოცდათი წუთია.

გიორგი: გაზტურა ავანთე და ჩაიდანი დავდგი. ჩაიდანს გვერდით უჯრედზე ტაფა მივუდგი და ორი კვერცხი ჩავახალე მოთუხთუხე ერბოში. ვიდრე ერბოკვერცხი შევჭამე, ჩაიდანში წყალი ადულდა. მიყვარს ქაფქაფა ჩაი თბილისურ სიცხეში; წყურვილსაც ჰკლავს და ოცდათხუთმეტი გრადუსიც ადვილი ასატანა. წუხელ არ უწვიმა და გაქათქათებული მანქანა თეთრად პრალებს ეზოში. ამ ფერს კონსტრუქტორებმა „თეთრი ლამე“ შეარქეს. ჩემმა ძმისწულებმა კი ჩემი „უიგული“ რატომძაც „თეთრ მარგალიტად“ მონათლეს. „მარგალიტას“ მტერი გადავწმინდე და დავქოქე.

— ნავედი, დედი!

დედა: ჭავიანად იარე!

გიორგი: თუ მოვიცალე, სადილად ამოვალ.

ქალაქში იმდენი მანქანა, ფეხით უფრო სწრაფად მივა კაცი სამასახურში. ჩემი დანესებულების სამიათასკაციანი კოლექტივი გონიერი მანქანის პროგრამას ადგენს. პროგრამა რორათას ოცდასუთ წელს უნდა იყოს მზად. ჩემი განყოფილება ორიგინალური დრამატურგის პროგრამას ამზადებს. განყოფილება სამ ნაწილად იყოფა: თეატრის, რადიოსა და ტელედრამატურგის. რადგან ჩვენს მრავალმილონიან ქალაქში ყოველი მეორე თუ არა (ყოველი მეორე ლექსებს წერს) მესამე კაცი მაინც წერს პიესას, ადვილი ნარმოსაცენია, რა დღეშიც ვიქნებით მე, ჩემი სამი მოადგილე და რედაქტორ-ინჟინერები. აქვე გატყვით: ჩვენს ენაზე თითქმის არ არსებობს ასე თუ ისე კარგი ორგანიზაციური პიესა თეატრისათვისაც კი: რადიოპიესაზე და ტელეპიესაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მიუხედავად ამისა, მაინც ვაზილავთ პროექტს, მანქანას რომ ვთავაზობთ. ამ საჯარო განხილვას ესწრება ყველა, ვისაც არ ეზარება და ისინც, ვინც მანქანის დაპროგრამებას ხელმძღვანელობს. დღეს სწრაფად ასეთი დღეა. განხილვას დაწესებულების ხელმძღვანელი თავმჯდომარეობს. დაწესებულების ხელმძღვანელის წინ ყველა თვალთმაცცობას: ყველა ცდილობს თავი შეასხნოს ან დაამასხოვრებინოს. თითქმის ყოველი მათგანი, ვინც არ დაიზარებს და სიტყვას ამბობს, მიზანს აღწევს: მათ სახეზე იმასხოვრებას ხელმძღვანელი ან გვარს იკითხავს და წითელი ფანჯრით უბის წიგნაკში ჩაინერს. წებისმიერ შემთხვევაში, ორატორი “ქულას იძენს” – როგორც ჩვენ დაწესებულებაში ამბობენ. ბევრქულიანი მლიქვნებულები დაწესებულების ხელმძღვანელს გარს ჰყავს შემოკრებილი. ისინი ქმნიან საბჭოს, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ისინი დაწესებულების მანქანებით სარგებლობენ, დიდი ხელფასი აქვთ და პრემიებითაც უფრო ხშირად ჯილდოვდებან. ცოტა, მაგრამ კარგი სპეციალისტებიც გვყავს. ისინი ბევრ რამეს ამ-

ბოძერ ჭკვიანურს, ბევრ ხეირიან რჩევას აძლევენ მთავარ ინუი-ნერ-რედაქტორებს, განყოფილების გამგებელსა და ხელმძღვა-ნელსაც. მაგრამ გადის დრო, ყურად არავინ იღებს ამ საუკეთესო რაციონალური წარმატება-მოსაზრებებს. ერთი სიტყ-ვით, ჩვენც ვმუშაობთ! დაახლოებით სამი სასათის შემდეგ გან-ხილვა დასასრულს უახლოვდება. დაწესებულების ხელმძღვანე-ლი ყველას აზრს მოისმენს და ბოლოს ამბობს სიტყვას, რომე-ლიც გადაუბრუნებლად უნდა შესრულდეს. ის ყოველთვის მარ-თალია, რომელი განყოფილების პროგრამასაც უნდა ვიხილავ-დეთ: ფინანსებისა თუ მუსიკის, დრამატურგიისა თუ მრეწველო-ბის, სოფლის მეურნეობისა თუ სპორტის, სამთამაზონ მრეწვე-ლობისა თუ არქიტექტურის, სააკუმობილო გზათა შესწებლო-ბისა თუ კომიუტერიზაციის. ის მართლაც სჯვობნის ჭკუთაც და გამოცდილებითაც ბევრჯულინანებს. წლების მანძილზე ბევრჯუ-ლიანები მიშითა თუ პირვერობით თავს უქნევდნენ და აქებდნენ დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გამითიქმულ მოსაზრე-ბებს, თუ, საერთოდ, ასეთი გამარწდათ. ამიტომ თვითონ ინიცია-ტივა და ადამიუკიდებლობა დაკარგეს და ეხლა, გულითაც რომ მოინდიმოს, ხელმძღვანელზე კარგი აზრი არც მოუვათ თავში. ამ კაცს რომ ვუყურებ, ასე მგონა, გარეთ წისძის, ქარია, ქარიშხა-ლი, ჭალიკონა, ღრუბელი, სიბრძელე, წყვდიდო და არ ვიკი, კიდევ რა! არა მგონა, თუ გამოიდარებს, ამოვა მზე და ჩვეულებრივი ამინდი დადგება, ჯანსაღი, უღრუბლო... ერთხელ, ვერსად ვაპოვ-ეთ; არც კაბინეტში იყო, არც – მინისტრთან, არც – შინ. წვიმდა. ის კი დაწესებულების ეზოში გასულიყო და მავთულის ბადით შე-მოლობილ სპორტულ მოედანზე იდგა, კალათბურთის ფარს უც-ქერდა. რას ფიქრობდა, ვინ იცის?!

უფროსი: დრამატურგის განყოფილება რატომ არაფერს გეგმავს?

გიორგი: ახალი არაფერი დაბერილა.

გიორგი: (ლიმილითვე) ჯერ არ დახერილა.

ସ୍ଵପ୍ନକାଳୀନ ଜୀବନରେ ମହିମାମନ୍ଦିର (ପ୍ରତିକାଳିକା ଏବଂ ପ୍ରକାଶକାରୀଙ୍କ ମଧ୍ୟ ଉପରେ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରିଚାରକ)

გიორგი: (ლიძილითვე) გაგვათავისუფლეთ.

უფოროსი: ამ განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოს კი გამოყოფილი არ არის. საბჭოს მდივანს ვთხოვ, გააფორმოს ბრძანებით. არც ტელეპირესაა?

გიორგი: არ გახლავთ.

უფროსი: არც რადიოპიესა?

გიორგი: არა.

უფროსი: იცით კი, რა განსხვევებაა ამ უახლებს ძორის?

გიორგი: საძი ძოადგილე იმიტომა ძყავა

ବୁଲ୍ ସାର୍କ୍‌ଯିନ୍ ମନେ ହେଲା ଏହା ପାଇଁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ଶ୍ରୀକୃତ୍ତବ୍ୟାକୁମାରସିଂହ

ବୋର୍ଡର୍ ଟୁ ଏ ଡ୍ୱାଙ୍ଗେରିରେ, ରା ଗାନ୍ଧିକେବେଳାକା?
ପାର୍ଲିଯମ୍ ଅତ୍ୟନ୍ତ ଚିନ୍ତିତ ହେଲାଏବେଳେ ଶିଖିଲା ଏକଥିବା

ଶୁଭରାତ୍ରି: କୁନ୍ଦାଳ ପରିମାଣରେ କାହାରେ କାହାରେ? ଏହାରେ କାହାରେ?

გორგა: სპეციფიკური მოთხოვნით, ჩვენი და სესტლება
ძალაშია არ ის აშენის, ძალაში მოძრავ მოწინასორტი მარცა.

ეს ზუსტ დაპიროვნებას ხელს უშლო. აზანზარებს შენობას. ეს ზუსტ დაპიროვნებას ხელს უშლო. სპეციფიკის მოთხოვნითვე, დაწესებულების კორიდორებსა და კაბინეტებშიც რბილი იატაკია დაგებული. ასე რომ, დარბაზი ისე ჩუმად დაშალა, ბჟუზის გაფრენას გაიგონებდით. მეთვრამეტე სართულის ათას რვაას ორმოცდამეორე ოთახში ჩემი სამუშაო მაგიდა და ბულტი დგას. აქედან მთელი ქალაქი მოჩანს. სამსახათიანი „ცხარე“ კაბითით დალლილს ძალიან მესამოვნა სიჩრუმე და სიმყუდროვე. ყრუ ზულილი გაისმა. ეს ჩვენთან შესვენების დაწყებას ნიშანავ. ეს იგი, თბილისის დროით ცამეტი საათია. ოთახის კარი ჩავკეტე, ღრმა სავარეკლში ჩავჯექი და დიდი ფანჯრის კენ შევპრუნდი; მერე სავარეკლი იღნავ გადავაწვენ და თვალები დავხუჭე...

მყრალბალახა: ქარი ქრის... ქარი ქრის... შემოდგომის სუსხიანი საღამოა. მოსკოვის გარეუბნის სადგური ხალხთ გაჭედილია. მოზღვაცბის წუთებია. დალლალი და მშიერა მოსახლეობა სამსახურიდან შინისაკენ მიისწავლის ერთადერთი სურვილით — გათბენები. სადგურში ყოველ წუთს კივილით შემორბოდა ელექტრომატარებელი, თვალის დასახმამგებაზე უსწრაფესად ისრობა მოქალაქე-მგზავრებს ვაგონებიდან, ახალი ხალხით ივსებოდა და კივილითვე გარბოდა. საიცარის!! მხოლოდ ბორბლების რახრახი, მატარებლის კივილი და ფეხის ხმა ისმოდა. ხალხი ჩუმად იყო. ლაპარაკის თავიც კი არავის ჰქონდა. სადგურზე გადაკიდული ხიდის კიბეზე ფეხის ხმა ძლიერდებოდა: კიბე ხისა იყო და უფრო მეტად ხმაურობდა, ვიდრე შემოდგომის ციფი წერილი წეიმით გამრიალუბული ატალახებული ასფალტი. ხიდზე ხალხი ირეოდა, ერთმანეთს ეჯახებოდა, განსაკუთრებით ისინი — ვინც კიბეზე ადი-ჩამოდიოდა. მაგრამ მაშინაც კი, როცა უხებად შეასედებოდნენ, გამვლელნი ბოდიშის მოსახლეობად დროს არა ჰკერავადნენ. უკრად ხიდზე ერთი წამით შეჩერდა მოძრაობა. ხალხი ორად გაიყო. მერე საკმაოდ გრძელ კიბეზეც ინება ხალხმა შემტკიდროება. ხალხიცა და მისავალი კიბეც ალესილპირიან დანასავით გაჭრა ხეიბარმა. ხეიბარს ფეხები არ ჰქონდა და საჯალმქევეშ მიმღრებული სქელი რეზინით მიცურავდა. კი არ მიცურავდა, მიხტოდა, ორ ლონიერ მკლავზე არევენით. მოქალაქები, რადგან უფეხო ხეიბარი ძალზე დაბალი იყო, ძირს არ იხდებოდნენ; ხეიბარი შეურდულივით რიც ჩაიკროლებდა, მერე თავს ხახვერდა შებარუნებდნენ, თვალს მოპკრავდნენ და ისევ გზას განაგრძობდნენ. ხეიბარს კი მიზნი ჰქონდა! წამდაუწეულ ერთი და იმავე ადგილისკენ იხდებოდა, ხიდზე იყო თუ კიბეზე. ქორივით ისწრაფოდა იმ მიზნისაკენ. გრძელი კიბე სამი ხახტომით ჩაათავა. ვაგზლის კედელთან მერხის უკან გადავარდნილ, თავისასვე შარდში ამოთხერილ, სიმთვრალისაგან ღონებართმეულ და გაოგნებულ ქალს ეცა. ქალს, წარმოიდგინეთ, გაედიმა. ხეიბარმა ვაგზლის საპატიო დაფის უკან შეათრია ქალი და კაბა თავზე გადააფარა. ქალი უნიფერსული კიბე სამი ხახტომით ჩაათავა. ვაგზლის კედელთან მერხის უკან გადავარდნილ, თავისასვე შარდში ამოთხერილ, სიმთვრალისაგან ღონებართმეულ და გაოგნებულ ქალს ეცა. ქალს, წარმოიდგინეთ, გაედიმა. ხეიბარმა ვაგზლის საპატიო დაფის უკან შეათრია ქალი და კაბა თავზე გადააფარა. ქალი უნიფერსული კიბე სამი ხახტომით ჩაათავა. ვაგზლის კედელთან მერხის უკან გადავარდნილ, თავისასვე შარდში ამოთხერილ, სიმთვრალისაგან ღონებართმეულ მკლავები ათი კაცის ძალა ჰქონდა და როცა ისევ ქალისაკენ გაინია, რაზმელებსა და ქალის ლირსების ზოგიერთ ქომაგასაც ძალიან გაუჭირდათ მისი დაოვება. ხეიბარი სიძრაზისგან აკანეალდა. გლუკოზადა, გაცოფდა. ის ყვირიდა, ალბათ, რაღაცას ამბობდა, მაგრამ განწირულს მხოლოდ გაბმული ღმული ამოსდიოდა პარიდან. მალე მილიციის მანქანა მოვიდა. ქალი საკუეზე დადეს და მანქანისაკენ წაიღეს. ხეიბარი მანქანას მივარდა და ცემა დაუწყო. მერე დანა ამოილო. ალბათ, საბურავები უნდოდა და უჭრა, მაგრამ მანქანა ადგილიდან სწრაფად დაიძრა და ხეიბარი, ვიდრე დანას გახსნიდა, უკან დატოვა. აი, მაშინ კი ალრიალდა ხეიბარი, თითის სისხლი ცრემლებით ატირდა. „ქალი ჩემიაო, ყვირიდა, - მე ვიპოვეო. იციო, საიდან დავინახე? აგრე, იქიდანო. - ხელს შეა ხადისაკენ იშვერდა. ხიდზე მოსიარულენი წევისხელა ჩანდნენ ამ სიძროიდან. - თქევენ ხალხი კი არა, ფაშისტები ხართო. მე კი თქევენი გულისოთვის გროზნოში ირივე ფეხი დავკარგეო. - დაბამბული ქულაჯა გადაიგლივა. მერედი იორდნებითა და მედლებით ჰქონდა საცავე, - დამიტრუნებოთ, დამიტრუნები ჩაიმა ქალი! სადღა ვიპოვო ამისთანა ქალს ან ასეთი შემთხვევა როდისლა მომეცემაო”. - აი, ასე ტიროდა ხეიბარი, მერე დანა ვიბებში ჩაიდო და დაწყარდა. ორმა მილიციელმა აქეთ-იქიდან ილლიებში თითო ხელი ამოსდეს და მოტოციკლის ეტლში ბოსტნეულით საცავე ტომარასავით ჩახეთქეს. ახლა უხმოდ ტიროდა ხეიბარი, ალბარავის უძალიანდებოდა. ხიდი კი ისევ სავსე იყო გამვლელებით. სადგურშიც ყოველ წუთს რიგრიგობით ხან ერთო, ხან - მეორე მხრიდან კივილით შემორბოდა ელექტრომატარებული, უსწრაფესად ისრობა მოქალაქე-მგზავრებს ვაგონებიდან, ახალი ხალხით ივ-

სებოდა და კიცილითვე გარბოდა. შემოდგომის სუსხიანი, მოლუქული სალამი იდგა. უნიფრლავდა. ქუჩის განათება ჩართებს. ელექტრონის შუქზე მშვიდად, ნარნარად მოფრინავდნენ ატალახებული ასფალტისკენ წვიმის უნვრილესი წვეთები... (ტელეფონის ზარი)

გიორგი: გისმენთ.

მდივანი: ბატონონ გიორგი, თქვენთან საუბარი სურს ათას ორმოცდაორს.

გიორგი: შემაერთე. (პაუზა) გისმენთ.

თანამშრომელი: კუს ტბის რესტორანში ცივი ლუდი და ცხელი ხინკალია, ამბობენ.

გიორგი: არ მშია. ხომ იცი, მანქანით რომ ვარ, წვეთს არა ვსვამ.

გოგონა: შენ, ეი, ათას რვაას ორმოცდამეორე, არც ჩემთან ყოფნა გინდა?

ფიქრი: ოთახში მზეზე ახლადმოთიბული ბალახივით ტკბილი, მაძლარი და თბილი ხმა შემოიღვარა.

გიორგი: გოგონა! როდის მოხვედი? მანდ რას აკეთებ?

გოგონა: გელოდები. შესვენების დამთავრებამდე კიდევ ორმოცი წუთია.

გიორგი: სად ჩამოვიდე?

გოგონა: ჩემს მანქანსთან. ჩრდილოეთის სადგომის მესუთე რიგში ვდევავარ. შენი მანქანის გვერდით.

გიორგი: მოძრავმა კორიდორმა, შემდევ ჩეაროსნულმა ლიფტმა ორ წუთში ჩამიყვანა ჩრდილოეთის გასასვლელთან. მოედანზე უამრავი ნარჯერი მანქანა იდგა. ზანტად გადავჭრი მოედანი. გოგონა „მუძიმურას“ ახალთახალი მარკის მანქანაში იჯდა. (ძრავს წყნარი ბუბუნი)

გოგონა: გამარჯობა.

გიორგი: გაგიმარჯოს.

გოგონა: დაბრძანდით. (მანქანის კარის ჭახუნი)

ფიქრი: მანქანშიც გოგონას სუნი იდგა: მაძლარი, ტკბილი, თბილი.

გოგონა: დაღლილი ხარ?

გიორგი: ამას არა აქვს მინიშვნელობა, თუ შენთანა ვარ.

ფიქრი: ჩემი პასუხი გულწრფელი იყო, რადგან გოგონასთან პირისპირ რომ ვრჩები, სადღაც ქრება ჩემი წლოვანება, დაღლა, სიდინვები. მეც მასავით იცი წლისა ვხდები და ნამდვილად ისევ ათასგვარ სისულელეს ჩავიდენ.

გიორგი: დანარჩენები სად არიან?

გოგონა: ჩვენთან უნდოდათ წამოსვლა, მაგრამ ვუთხარი, ჩემს ერთოთახიან ბინაში მხოლოდ ბატონი გიორგი ეტევა-მეთქი.

ფიქრი: იხუმრა ჩვენს ქალაქში ყველაზე ლამაზი სახლის პატრონმა.

გოგონა: გშია?

მიხაკი: გაზაფხულის მოახლოებას პირველად მე ვერძნობ... არა, ვცრუობ! ჩემს ქუჩაზე, ზუსტად ჩემი სახლის პირდაპირ, ერთი ხე დგას. ის ხე მჯობნის! მოემატება თუ არა მზეს სითბო, კვირტებით იხუნძლება. ერთი-ორი დღეც და იმ კვირტებს საოცრად დასაუთ, ნაზ და რბილ მწვანეზრად გამლის. თუ გაზაფხული არ გაჭირვეულდა და კვლავ დარია, სულ მალე ის პანაზინა კვირტები პატარა ლამაზ ფოთლებად იქცევა. ცოტა დროც გავა და ხასხასა ფოთლებს უკვე ჩრდილიცა აქვთ და სუნიც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან, ქალაქში, გაზაფხულის სუნი უპირველესად აფეთქებულ კვირტებსა და ახლადგაშლილ ფოთლებს შემოაქვთ. როცა მერცხლები მოფრინდებან, ჩემი ხე უკვე საკმაოდ შეფოთლილია და ამაყად შესცეკრის ახლადგაღიძებულ ბუნებას. გაზაფხულია! ვერ შევეჩივი გაზაფხულის დადგომას. საოცარი სურვილები მიჩნდება, ათას-



მხატვარი აივენგო ჭელიძე

გვარი მიზნები ამოტივტივდება, მიფორიაქდება ზამთრის დაუსრულებელ ღამეებსა და ყინვამი მიძინებული სული, გაზაფხულია! ათასჯერ უფრო მეტად მიყვარხარ, ათასჯერ უფრო მეტად გიფორთხილდები, ათასჯერ უფრო მეტად მედარდები, მაგრამ... სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?..

გოგონა: გძინავს?

გიორგი: ჯერ არა.

გოგონა: ცხელა.

გიორგი: გოგონამ მანქანა საკუთარი ორსართულიანი სახლის გაგონი შეიყვანა. გარაუდან ლიფტმა მეორე სართულზე აგვიზიდა. გოგონამ დიდი მისალები ოთახის კარი შეაღო და პირდაპირ აბაზანისაკენ გაიქცა. მე სამზარეულოში გაზქურაზე ჩაიდანი დავდგი. აბაზანიდან გამოსულ გოგონას უფრო მძაფრად ასდის მზეზე ახალმოთიბული ბალახის ტკბილი, თბილი და მაძლარი სუნი.

გოგონა: ჩაი მინდა, ჩაი მინდა, ჩაი მინდა!

გიორგი: გრძელ ლამაზთითებიან ხელს ჩემკენ იშვერს გოგონა და სანოლი ოთახისაკენ მიმათრევს. (ნელი, დაძაბული მუსიკა. გოგონას გახშირებული სუნთქვა და ვნების ტკბილი შეკივლებანი. პაუზა).

გიორგი: სანოლ ოთახში.

გოგონა: ცოტა ხანს კიდევ დარჩი რა...

გიორგი: კი, ბატონონ.

გოგონა: არა, წადი, ისედაც დაგაგვიანდა.

გიორგი: მკერდით სახეზე მანვება, მხუთავს; არის ასეთი შემბოჭველი ილეთი ძიუ-დოში თუ სამბოში, არ მახსოვს. (ძლივს იხმის) რომელი საათია?

გოგონა: სამის ნახევარი. დარჩი რა... დარჩი რა... გთხოვ... გემუდარები... (პაუზა)

გიორგი: სასტუმრო ოთახში.

გოგონა: ჩაი კიდევ გინდა?

გიორგი: არა.

გოგონა: არც ხილი?

გიორგი: არა.

გოგონა: წასვლა?

გიორგი: არც წასვლა.

გოგონა: ხომ არ დაგლალე?

გიორგი: არა.

გოგონა: მიდიხარ?

გიორგი: რამდენჯერ უნდა გითხრა, ხელზე ნუ მკოცნი!

გოგონა: გმადლობ. შენ კარგი კაცი ხარ. გმადლობ. გამომართვი მანქანის გასაღები, ჩემი მანქანით წადი. მეც მალე მოვალ. მანქანა ისევ იქ დააყენე.

გიორგი: რა გინდა ამ ჩვენს სამსახურში? რა დაგკარგვია? არ მინდა შენი მანქანა. ტაქსით წავალ.

გოგონა: მიხარია, როცა შენ მართავ ჩემს მანქანას. ასე მგონია, ჩემი თმები გიჭირავს ხელში... ან ჩემი...

გიორგი: წავედი!

გოგონა: ან ჩემი მკერდი...
გიორგი: კარგი, ჰო, წავედი!
გოგონა: გმადლობ.
გიორგი: ჰო, კარგი, რა მოგივიდა?!
გიორგი: გოგონა კარს ჰყოცნის იმ ადგილას, სადაც ხელი
მიღდო.

ჭიქრი: ოპ, შენი აფერისტი დედა ვატირე! (მანქანის კარის ჯახუნი. ძრავა ამუშავდა).

გიორგი: ქალაქი საცხესა მანქანებითა და მზით. მანქანას ისევ ჩრდილოეთის სადგომზე ვაყენებ, ისევ ავდივარ ჩემს ოთახში. სამარისებური, უსიამოვნო სიჩრუმე. აბა, ავტომობილურებ, მითხარი, ჩემს არყოფნაში რა მოხდა? (ავტომობილურებ ჩაირთო).

მდივანი: ოთოხმეტ საათსა და ნოლ ხუთ წუთზე იყო დრამა-ტურგი დუგლაძე. პიესა მაგიდაზე. (**პაუზა**) ოთოხმეტ საათსა და ორმოც წუთზე იყო გრინბერგი, ქართული რადიოპიესის თაობაზე. გადავეცი თქვენი რეკომენდაციები. წერილი მაგიდაზეა. (**პაუზა**). ოთოხმეტ საათსა და ორმოცდათორმეტ წუთზე მოვიდა ტელექსი: გილოცავთ, თქვენს პიესას მეორე პრემია მიაკუთვნეს ვილნიუსის საერთაშორისო კონკურსში. (მუსიკალური თანხლება, საზეიმო, ამაღლებული. **პაუზა**) თხუთმეტ საათსა და ოცდაორ წუთზე დაგირეაპთ ქალმა. ვინაობა არ დაუსახელებია. (**გერთოვენის მექუთე სიმღვრინის შესავალი აკორდები. პაუზა**)

გიორგი: რა იშვიათი დღეა! ორი პიესის მეტი არ შემოსულა!

რადიო: თბილისის დროით თექვსმეტი საათი და ნოლ ორი ნუთია. (**რადიოს გამორთვა**)

ფიქრი: სარკმელი გამოვალე. შორს, დაბლა, ქალაქში მო-
უსფუსასე გამრჯვე ჭანაწეველებივთ ირევა ტრანსპორტი, ადამი-
ანები, ყველაფერი. სუფთა ჰაერის ნაცვლად ცხელი ბუღლი შემო-
იჭრა ოთახში. ხელი სარკმელის მოსახურად გადავყავი... ნიშნო-
ბის ბეჭედი მომძრა, მინაზე საამო ხმაურით დაეცა და თვრამე-
ტივე სართულის ფანჯრები ეკლესის უმცირესი ზინზილაკივით
ჩაირანება. ცხადად გავიგონე, ასფალტზე რომ დაეცა.

გიორგი: ნეტა, რა დაგვიწერა დრამატურგმა დევდარიანმა? სათაურის შემდეგ წაკითხვა აღარ მინდობა, მაგრამ აუცილებლად უნდა გახვიდე ბოლოში! არ მახსოვს, რამდენხანს ვიტანჯე ამ პიესის კითხვაში. ცოტა უნდა დავისცვნო. **(მუსიკალური პაუზა)** ეხლა უკვე შეიძლება დუგლაძის ტელე-პიესას ჩაუკავშიროთ...

მამა: ალო! მანდა ხარ?

გიორგი: გისმენ, მამა!

ლესპერტაკლი გადმოსცეს მოსკოვიდან?
გიორგი: არა, არ მინახავს, საქმე მქონდა.

მამა: საქმეს შენ რა გამოგილევს?

ზეც უნდა გამიბრაზდე?
მამა: ასეთი სპექტაკლები აუცილებლად უნდა ნახო, ესეც შენი საქმეა და, შესაძლო, უპირველესი საქმე. მაგრამ ნახვაც რას გიშველით? ნორმალური ტელეპიგენია რომ დაინეროს, დი- დი ნიჭია საჭირო.

გიორგი: მამა, ეხლა შენთვის... მამა, პიესას ვკითხულობ. (პაუზა) განტყონა?

მამა: ბრიყვი ხარ შენ, შეიღლო. მაპატიე, ასე რომ მოგმართავ, მაგრამ ჩევნი საუკუნის ძირითადი პრობლემა კომუნიკაციის პრობლემაა. ჩემი და შენი მაგალითი არ მაქს მხედველობაში. ოცდამეტეთე საუკუნის გადასაწყვეტი პრობლემა სწორედ ეს არის; რადგან ადამიანებს აღარა აქვთ ურთიერთობის ნიჭი... აღარა აქვთ, გაუთავდათ, მოჩჩა...

გიორგი: მამა, ერთი ტელეპინესა მაქვს სასწრაფოდ წასაკითხი...

მამა: მერე დაახერქ, როგორც აწერ ხოლმე ვირულად, - „არ ვარგა!“ ასე კი იმიტომ აწერ, რომ არ იცი, რა ურჩიო ტელედრამატურგს, რადგან ტელეხელოგნებაშიც ვერ ერკვევი. შეილო, შენც ხომ უყურებ ამ დანჯდრეულ ყუთს და ხომ ხე-

დავ, რომ ტელევიზია ყოველდღიურ კონკურენციაშია ახალ ამბებთან. ახალ ამბებს ახალი ამბები იმიტომა ჰქვია, რომ ყოველდღე გადმოსცენ და ფაქტურუად მომხდარი გვიჩვენონ. როგორ გინდა აალელუო ადამიანი, რომელმაც სულ ახლახან ნახა ვიდეოზე ჩანერილი ან ფირზე დამიტყუებული კი არა, არამედ, რეპორტაჟი, გესმის, ცირდაპირი რეპორტაჟი ისრაელიდან, პალესტინიდან ან სირიიდან, სადაც ომია და სისხლის-ლერა. თვალცრუელიანი, უძედური ქალი გვიყვება, **(თან გვიჩვენებენ!)** ნახეთ როგორ მოყვა ჩემი შვილი, ან ქმარი, ან ძმა, ან და, დედა, მამა აფეთქებული სახლის ნანგრევებშით. **(მსხვერპლი ნანგრევებიდან გამოაქვთ!)** როგორ უნდა აალელუო ამის შემდეგ მაყურებელი, თქვენი ტელევიზია რატომღაც მეგობრებს ან ძვირფას მაყურებელს რომ ეძახის? მწერალს უხდება კონკურენცია სხვადასხვა სახის, ნაირნაირ სინამდვილესთან და ამიტომ ყველაზე ღრმად უნდა გაერკვეს ყოველ მოვლენაში. ადვილი არ გეგონოს, ეს ურთულესი საქმეა. თუ გაერკვევა და გულთან მიიტანს, კველაფერს შესძლებს. მაგრამ ვინ გეგულება ახლა ასეთი ნიჭიერი, რომ...

გიორგი: კარგი, რა, მამა! (ყურმილის დაკიდების ხმა, ზუმერი)

დუგლაძის ტელეპირესა ძალიან ცუდი გამოდგა. ყველაზე ძალიან ასეთი პიესები მაღიზიანებს: არც თავი, არც – ბოლო. ასე ვერავის მოატყუებ! დევდარიანის პიესა თეატრის რედაქტორს დავანერე, დუგლაძისა კი – ტელედრამატურგის. ასე მოითხოვს საქმეთა მსვლელობა. რეცენზიები სუბორდინაციის გათვალისწინებით უნდა დაიწეროს. პულტზე მდივნის გამოსაძახებელ ღილაკს დავაჭირე თითო. სიჩრუმე. საათს დაგხედე: თვრამეტი საათი და ორმოცი ნუთია. ნასულან. ჩრდილოეთის სადგომშე მხოლოდ ორი მანქანა იდგა: ჩემი და გოგონასი. დამინახა თუ არა, გოგონამ სიჩქარე ჩართო და მანქანა ადგილიდან ჭრიალ-ჭრიალით, დიდი სიჩქარით დასძრა. გვერდით ვიღლაც ყმანვილი ევადა: ვერ გეტყვით, რამდენი ნლისა იქნებოდა. თმები კულულებად ეყარა განიერ მხარძეჭრე... ცხელა, საშინელი ბული დგას, ჰაერი არ ინძრევა. მანქანაში ჩავჯექი, სარკმელი გავალე და სრბოლით გამოწვეულ ნიაგს შუბლი შევუშვირე...

კუსანე: სულ პატარა, უმცირესი, უნაზესი ზარის ხმა გაისმა. ნეტა ვის უნდა ჰქონდეს ასე პანია თითები, ამ ცეროლდენა ზარის ენაზე გამობმული ლევდ რომ მოსწიოს? თანაც ისე ნაზად, ისე-თი მოკრძალებით, რომ დაბადებული ბერა სულში შეგიფრინდეს, აგაფორიაქოს, აგიშალოს ყასიდად ფერფლმიყრილი მოგონებები. მეტი რაღა უნდა დაგემართოს, თუ ამითმა ცხოვრობ?! უარესი — აღარაფერი! ვრცელ ოქროსქვაშიან უდაბნოში თითქმის დანგრეული სამრეკლო ისე მყუდროდ ჩამჯდარიყო, როგორც გაშლილ ვეება ხელისგულზე — ცისფერბუჟუსიანი სამი — ოთხი დღის წინილა. ნანგრევები ცისფერი იყო, ცისფერი ქართული აგურით ნაშენი, დროის მიერ ნახევრადშექმულ ცისფერ ლერძზე პანაწინა ოქროსფერი ზარი ეკიდა და ძლივისშესამწევად თრთოდა, თუმცა ქარი არ იყო. სამრეკლოს გაცვეთილ კიბეზე ერთი მელოტი კაცი უძრავად იკვდა...

გიორგი: ვერ შევეტვივი, შინ რომ არავინ მხვდება. გასალე-
ბის ჭრილში ტრიალი ხომ სულ მაგიურებს. მაგრამ ნასადილევ-
ზე არც ისე იოლია წონასწორობის დაკარგვა. რა ცოტა ჰყოფ-
ნის, ხანდახან, კაცს?! რა უმნისშეტელო რამ ახარებს ზოგ-
ჯერ?! რატომ ხდება ასე? ნეტავ, ამაზე მეტად თუ შეიცნობს
ადამიანი ოდესმე საკუთარ თავს? ხომ არ დადგა დრო ყველას
დაევალოს, დანვრილებით შეისწავლოს საკუთარი თავი. **(არა-
ვითარი - გულის კუნძულში საიდუმლოდ შეინახათ!)** და გულახ-
დილად ხმამალლა გამოაცხადოს - ასეთი და ასეთი ვარო. არ
უნდა შეგრცხვეს! ეგებ მოსარიდებელი არაფრია?! ყოველ
შემთხვევაში, უკანდასახევი გზა არის: გენერი!! **(რაც გენებში
დამპროგრამებს, ის გამოვედი, ბატონი!)** მაგრამ რა არის ჩა-
ნაღმული გენებში? როგორია ინტელექტისა და ფიზიკური ძა-
ლის შესაძლებლობები? აქვს თუ არა ადამიანის ფანტაზიას
საზღვარი? ჭახტზე წამოვწერი. რა სიჩურეა! ო, რა არასასია-

მოვნო სიჩუმე დგას ამ სახლში!

ჩაის ვარდი: მაპატიე, გთხოვ, მაპატიე. დაწყნარდი. მშვიდად მომისმინე და, თუ არ დამთანხმდები, მერე იტირე. აღარ შეიძლია მეტის მოთმენა, აღარ შეიძლია ეს ბარათი გულით ჩუმად ვატარო. გემუდარები, მომიტევე, სხვებსაც რომ ვახედებ შენს სულში, მაგრამ იმდენი რამ გადამხდა, ისე დავიღალე ამ სიმარტოვეში, ამ სიტყვის მომგონს... მაპატიე, მუხლმოდრეკილი გევედრები. მნდა ყველამ იცოდეს, რომ მეც ვიყავი სიხარულით სავსე, ალტაცუბული, გადარეული. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ეს სიხარული შენ მომანიჭა, შენდაუზებურად, ჩემო სულელო ქალო, შენდაუნებურად! (ნუ გეშინია, სულელო რომ ხარ, ამას არავის ვეტყვი. გეხუმრები.) შენ თავად არ გესმოდა, რას წერდი. არც ეხლა გესმის, რა მომწერე. რატომდაც ყველას ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ვეონივარ. შენ მინც დამიჯერე, გულახდილად გეუბნები: მთელ სიცოცხლეში ეს ნახევარი წუთი მქონდა ნათელი... ბედნიერი-მეთქი – მეშინია, ვთქვა, მეშინია, არ გავთვალო, მეშინია, ტყუილი არ აღმოჩნდეს, რასაც მწერდი:

ნითელი ვარდი: სათევზაოდ თუ ყოფილხარ მთელი დღით? თევზი თუ დაგიჭერია, ღორჯო ან ნაფოტა? მერე კაუჭიანი წენელი თუ გაგიყრია ლაყუჩებში და მდინარეში ან ლელეში თუ ჩაგიშვია ნაპირზე? ქვით თუ დაგიმაგრებია, წყალს რომ არ წაელო? სუნთქვის საშუალება თუ მიგიცია ცოტა ხნით, შინ დაბრუნებამდე? დაკვირვებისარ? წყალი ხან წვდება, ხან – არა. აი, ასე ვარ ახლა! საშინლად მაწუხებს ხახაში გაყრილი წენელი, მიჭირს სუნთქვა. მიჭირს და მანც ვსუნთქვა, როცა წყალი მევდება. საითაც გავიხედავ, სულ ის თევზები მელაზდება. წუ მტყყვი, რომ რაიმე განსხვავებაა ჩვენ შორის... ისე მიყვარხარ... ისე მიყვარხარ... ასე მიყვარხარ...

გიორგი: რა სიჩუმეა... ნამოწოლილს დამინახავს თუ არა, დედა ფეხთით დამიჯდება. საოცარი მეხსიერება აქვს დედა-ჩემს! რაც გიმნაზიაში პირველ წლებში უსწავლია, ყველაფერი ზეპირად ახსოვს. (რომ თუ სამი წელი ისნევალა: ადრე დაობლდა და და-ძაში ყველაზე უფროსს ოჯახის ჩენენა დაკისრა. სწავლის ეს წლები სკამარისი აღმოჩნდა, რომ ახლაც უშეცდომოდ წეროს რუსულად, ფრანგულად და ქართულადც). ოთახში სინათლე არ ანთა. თითქმის ბელა. რაღაცნაირი განწყობილებაა. დედა-ჩემსაც ადგილი ვერ უჰილა. ვიცი, ახლა რომელ ლექსსაც წაიმ-დერებს; ამ ლექსს, რატომდაც, ყოველთვის მძერის. ეს პირველი ლექსია, რომელიც დედა-ჩემისგან გავიგონე. მაშინ პირველადვე დავუნახე დედას (ცრემლი თვალებზე). პატარა ვიყავი და დედას (ცრემლი გულს არ გაეკარა. ახლა დედა-ჩემის (ცრემლიან თვალებს რომ უუყურებ, ლამის თავის ქალა ამეხადოს, სული დამეხუთოს, გული ამომიბრუნდეს. დედას ძალიან ლამაზი თვალები აქვს. ცრემლებით რომ აევსება და აუკიაფდება, მაშინ ხომ... დედას ნიკაპი ძლიერშესამწევად უთროთის...

დედა: (წამლერებით) „მარტოდ-მარტო ობოლი, ზის და ქვითინებს მწარედა, დედა არა ჰყავს საბრალოს...“

გიორგი: კარგი, რა მოგივიდა?! ხომ იცი, მეჯავრება, ამ ღექსს რომ მიმღერი!

დედა: რატომ გეჯავრება, შვილო?

გიორგი: წუ სტირი.

დედა: წუ მატირებ...

გიორგი: არადა ვიღაც ოხერს შემოვუშვებ, ეს სიმყუდროვე რომ დაგვირღვიოს.

დედა: მე რომ მოვავდები, რა გეშველება? ვინ მოგივლის? ვისი მიედი გაქვს?

გიორგი: არავისი.

დედა: პო და, შეირთე ქალი. ვიდრე გვიან არ არის!

გიორგი: ერთი ისეთი უნდა შემოვიყვანო, თმებით გითრიოთ ყველანი!

დედა: შენ იცი, შვილო.

გიორგი: დამაძინე რა, ხომ ხედავ დალლილი ვარ!

დედა: დაიძინე, შვილო, დაიძინე...

გიორგი: მოდი, გაკოცო. ყველაფერი წუ გწყინს. მართლა

დალლილი ვარ და მართლა მეტინება.

ფიქრი: დედა-ჩემისთანა ტკბილი კოცნა და მოფერება ქვეყანაზე არავინ იცის. როგორ ურბილდება გამხმარი, ყოველ-დღიური ფუსფუსით გაუხეშებული თითები! მთლად გაყინული რომ იყოს, ჩემს მოსაფერებლად გამოწვდილი ხელი თბილი აქვს. მარტოდმარტო ობოლი...

გიორგი: რა სიჩუმეა. ცხელა. შინ გაძლება აღარ შეიძლება. წავალ, გავისეირნებ!

დედა: არ დააგვანონ.

გიორგი: არა, დედი. თუ მაინც დავაგვიანე, დაწექი, დაიძინე, წუ დაბიცდი.

დედა: ხომ იცი, ვიდრე არ მოხვალ, არ დამეტინება.

გიორგი: არ დავიგვიანებ, პო!

დედა: ფრთხილად იარე! (პაუზა. კარის მიხურვის ხმა)

ფიქრი: ნიშნობის ბეჭდის წკარუნმა გამომაფხიზდა: თითიდან წამძრომია და კაბეზე მიხტუნვდა. მერე კიბესაც აცდა და სადარბაზოში ჩავარდა. ვიდრე სართულებს ჩავათავებდი, დავინახე, როგორ ეცა ვებრერთელა ვირთხა მოძრავ პრჭყვიალა საგანს, პირი დასტაცა და ხერელისაკენ გააქცუნა. იქ შეჩერდა და მიცდიდა, სანამ ჩავირბენდი. მერე თითქოს ნიშნის მოგებით შემომხედა და ხერელში გაუჩინარდა.

გიორგი: „თეთრი მარგალიტი“ სადარბაზოსთან მიცდიდა, ბზინვდა, კაშკაშებდა. აბა, წავედით! ავგორდით მე და „მარგალიტა“. სად წავიდე? არ ვიცი. მცხუნვარე მზის ჩასვლის შემდეგ, გაბედეს და გამოვიდნენ ქალაქელები ქუჩებში. ხალხით საგესა ყოველი სკერი, ბალ, გადასასვლელი. ფრთხილად, ჩემო მარგალიტა, ფრთხილად! ყველას თავისი დარდი აქვს, ყველა თავისი ფიქრით არის გართული. (ზანქანის სრბოლის ხმა. მუხრუჭი).

გიორგი: (ყვირილით) სანდრო!

სანდროს მეულე: გიორგი ხარ? გახმოვანება აქვს ტელევიზაში. ისე გაციებულია, ხმა სულ დაკარგა და არ ვიცი, როგორ ჩაწერს.

გიორგი: რას ახმოვანებს?

მეულე: ამოდი, მანდედან რას მელაპარაკები.

გიორგი: მეჩქარება.

მეულე: არ ვიცი... მგონი, დოკუმენტური ფილმი უნდა იყოს...

გიორგი: მალე მოვალო?

მეულე: ახლახანს წავიდა.

გიორგი: კარგი.

მეულე: ამოსულიყავი, რა!

გიორგი: ნახვამდის... (ზანქანის სრბოლა) ასეა, ჩემო თეთრო მარგალიტა, გაიოზიც თუ არ დაგხვდა, აღარ ვიცი, რა შემოგთავაზო. მეტი მეგობარი აღარა მყავს.

(მუხრუჭი. ყვირილით) გაიოზ!

გაიოზის მეულე: რომელი ხარ?

გიორგი: რომელი ვიქები...

მეულე: უი, გიორგი, ნეტა მოგესწრო, ნახევარი საათი მაინც გაუცდა მანქანის ძიებაში. ტაქსი ძლიერს დაიჭირო.

გიორგი: სად ეჩქარებოდა?

მეულე: ავადმყოფთან გამოიძახეს, სასწრაფოდ.

გიორგი: კარგი აბა.

მეულე: არ ამოხვალ?

გიორგი: არა.

მეულე: რას დამიბარებ?

გიორგი: არაფერს. დავრეკავ.

მეულე: ხომ არაფერი გჭირდება?

გიორგი: არა, წავედი...

ფიქრი: ესეც ასე. ყველა საქმიანობს, ჩემო მარგალიტა, მხოლოდ მე და შენ ვართ უსაქმურები... (პაუზა)

ეკალი: ზღვაა... ზღვაა... ზღვაა... (ზღვის ხმაური)

თამაზი: უკან არ გაცუროთ? ძალიან დააჭირო.

თენგიზი: მოიცა, ის გოგოები წავიდნენ და მერე.

თამაზი: ეგენი არ წავლენ.

თენგიზი: რა იცი?

თამაზი: ჩვენ გვიცდიან.
თენგიზი: რა იცი?
თამაზი: სამი დღეა, რაც ამ პლიაჟზე გამოჩენდნენ. არცერ-
 თ ბიჭი არ გაიკარეს. თვალი სულ ჩვენზე უჭირავთ.
თენგიზი: რას არ მოიგონებ ხოლმე...
თამაზი: მართლა, მართლა. მაგრამ რომ მოდიან, სულ
 წყალში ვართ. არაფერს გეუბნებოდი. ცდით რომ დაიღლე-
 ბოდნენ და წავიდოდნენ, მაშინ გამყავდი წყლიდან.
თენგიზი: მართლში რას გაძლევ, ამდენი ტყუილი ერთად
 რომ დამაყარე? დამცხა... გავიდეთ!
თამაზი: ზურგზე დაწექი და დაისვენე. საცაა წავლენ. ამ
 დროს მიდიან.
თენგიზი: საიდან იცი?
თამაზი: ვიცი. დღის ოთხ საათზე ჩვენნაირი გიუების მეტი
 ვინ გაჩერდება ამ გახელებული მზის ქვეშ?
თენგიზი: რო არ წავიდნენ?
თამაზი: წავლენ. ამ დროს სადილი აქვთ.
თენგიზი: რა იცი?
თამაზი: ხომ გითხარი, თვალყურს ვადევნებ-მეთქი. კარგი
 გოგოები არიან. ერთს ალიონა ჰქვია, მეორეს – ნინა.
თენგიზი: სად გაიცან?
თამაზი: ჩვენი ბიჭები აქებდნენ.
თენგიზი: ერთი მაგათი... ჩვენი ბიჭები! ნახე რაღა ავტო-
 როტეტები!
ეკალი: ასეთი მშვიდი, ცხელი დღე იშვიათად დგას ხოლმე
 ზღვაზე. ნიავი რა არის, სიოც არ იძვრის. ვეებერთელა მზე
 ლამის ჩამოვარდეს, იმხელაა და იმსიმძიმე. სუნთქვა ჭირს.
თენგიზი: აკა წავლენ! თამაზ, ხედავ?
თამაზი: ჩვენენ მოცურავენ.
ეკალი: ბიჭები დელფინებივთ ამოიზიდნენ მუქი ლურჯი
 ტალღებიდან და ლონიერი, ლამაზად დაკუნთული უზარმაზა-
 რი მხარ-მკლავები გაშალეს. ისნი ლალად მიცურავდნენ ჰო-
 რიზონტისაკენ, მართლაც დელფინებივთ ნებივრობდნენ.
 შორს თეთრი გემი იდგა რეიდზე და თვალისმომქრელად ანა-
 თებდა. რიცა დაიღლენენ, ბიჭები გულალმა ამობრუნდნენ და
 მსუბუქად ატივტივდნენ. (მოცურავე გოგოების დაღლილი სუნ-
 თქვა და წყლის შეფეხბის ხმაური)
თენგიზი: მოცურდნენ!
თამაზი: ჩუმად. ვთომ ვერ ვამჩნევთ!
გოგოები: (ერთად) გამარჯობათ, ბიჭებო!
თამაზი: ოჳ, როგორ შეგვაშინეთ! ხედავთ, გული როგორ
 მიცემს?
ალიონა: ამხელა ვაჟაცი ჩემმა ერთმა სიტყვამ შეგაკრ-
 თოთ? გამარჯობათ, მე ალიონა ვარ.
თამაზი: თამაზი.
ნინა: მე კი ნინა ვარ.
თამაზი: თამაზი.
ნინა: თქვენი მეგობარი მუნჯია?
თამაზი: არა, თენგიზია.
ნინა: ვიცოდი, რომ თქვენ ტამაზი გერქვათ თქვენს მეგო-
 ბარს კი ტენგიზი.
თამაზი: ამ შუა ზღვაში ფანტასტიკური სიცრუეც სასია-
 მოვნოა. ჩვენი სახელები აქ არავინ იცის. აი, მე კი ნამდვილად
 ვიცი თქვენი სახელები.
ნინა: საიდან?
თენგიზი: ჩემს მეგობარს დიდი ხანია უყვარხართ.
ეკალი: არჩევანი დაასწრო თენგიზმა თამაზს, რადგან
 ალიონა ძალიან მოეწონა. (გოგოების სიცოლი)
თენგიზი: ასე რომ, ალიონას ჩემს იქით გზა არა აქეს! (გო-
 გოები ჩაბჟირდნენ)
თამაზი: რა ლამაზები არიან ეს ოხრები!
გოგოები: (ერთად) რა პრძანეთ?
თამაზი: ერთი-ორი სიტყვა ვუთხარი ჩემს მეგობარს
 მშობლიურ ენაზე. არ შეიძლება?
ნინა: შეიძლება, მაგრამ ჯენტლმენურ საქციელად არ ჩა-

გეთვლებათ.

თამაზი: გნებავთ გითარგმნოთ, რაც ვუთხარი?
ნინა: გვენებავს.
თამაზი: ძალიან ლამაზები არიან-მეთქი.
ნინა: ამ შუა ზღვში ქათინაურიც საამო მოსასმენი ყოფილა.
ალიონა: თქვენი მეგობარი მართლა მუნჯია?
თამაზი: რატომ? ერთი და ფრიად მნიშვნელოვანი ფრაზა
 ხომ თქვა!
ალიონა: მეტი რუსული არ იცის?
თამაზი: იცის, მაგრამ ცუდ ვუწებაზეა.
ალიონა: თენგიზი, გინდათ, გასწავლოთ რუსული? ოი, რო-
 გორ დავიღალე... თუ შეიძლება, მხარზე ხელს დაგადებთ, ჩა-
 მოგევიდებით და ცოტას დავისვენებ.
თენგიზი: (დრენით) ამ სიმორეს რამ გამოვიყვანათ ქალაქი-
 დან? რამდენადაც ვიცი, ახლომახლო ერთი ქოხიც კი არა დგას.
ალიონა: არა დგას, მართალია, დამშვიდდით. კურორტი-
 დან თქვენს მოძალადე თანამემამულეებს გამოვექცით, თუ
 არ გეწყინებათ. და თანაც აქ ისეთი სიწყნარეა და ისეთი...
ეკალი: თენგიზმა ორივე ხელი ნაზად და ფრთხილად მოხ-
 ვია ალიონას წელზე და “დაიხხრჩო”. ალიონამ თმაში სტაცა ხე-
 ლი, ჯერ ხელის ფათურისათვის მოქაჩა, ესეც შენ, ესეც შენ,
 მერე კი ამიათორია.
თამაზი: მეგობარი მეხრჩიბა?
ნინა: არა, საიმედო ხელშია. ალიონა ოსტატობის კანდიდატია.
თამაზი: ცურვაში?
ნინა: მხატვრულ ტანვარჯიშში.
ალიონა: მაქებს, მეც ვალში რომ არ დავრჩე. თვითონ უკ-
 ვე ოსტატია.
თამაზი: მხატვრულ ტანვარჯიშში?
ალიონა: არა, ცურვაში. არ ეტყობა? ხედავთ რა ლამაზია?
თამაზი: (ოხერთ) ჴო, ძალიან.
ნინა: რას ოხრავთ?
თამაზი: დავიღალე.
ალიონა: მეც დავიღალე. გავიდეთ ნაპირზე, თუ შეიძლება.
თამაზი: გავიდეთ.
ეკალი: ოთხივემ ნაპირისაკენ მოუსვა. გზადაგზა ისვენებ-
 დნენ, მხარულ ამბებს ჰყვებოდნენ, იციოდნენ, ზღვის ბინად-
 რებივთ ცელქობდნენ წყალში. თენგიზმა დაინახა, რა თვალით
 უცერდა ნინა თამაზს, მერე შემობრუნდა, ალიონამ დაუძახა,
 “მშველე, ვიხრჩიობიო”, და იმის გადასარჩენად გაეშურა.
თამაზი: როგორ უნდა მოვიშოროთ ესენი თავიდან?
ნინა: აბა, აბა, საიდუმლო არ იყოს!
ალიონა: თუ მართლა გაინტერესებთ, გულახდილად
 გეტყვით, ასე პირდაპირ რატომაც მოგადექით, რახან ასეთი
 კარგი ბიჭები ხართ. სამ დღე თვალ-ყურს გადევნებთ და არ
 დაგვინახავს, ვინმეს აეკიდოთ ან თავი მოაბეზროთ!
ნინა: შენ ისა თქვა, სამი დღეა წყლიდან ამოსული რომ არ
 გვინახავს არცერთ! მოვალთ, წყალში ხართ. მივდივართ,
 წყალში გტოვებთ! აქ ხომ არ გძინავთ, დელფინებთან?
თამაზი: აბა, თქვენსავით ხომ არ ვიზარმაცებთ?! ძალზე
 გვიან იღვიძებთ და შუადღისას უკვე სასადილოდ გარბიხართ.
ეკალი: თამაზმა თენგიზს შეხედა. თენგიზი უკვე ლურჯი
 იყო. ვერც ერთმა ვერ შეამჩნია, რომ მზე დიდი ხანი ჩავიდა,
 აგრილდა და სიოც გაჩნდა, ბინდთან ერთად. გოგოები დაცა-
 რიელებულ სანაპიროზე ავიდნენ, ტანი შეიმშრალეს. ბიჭები
 თვალს ვერ აცილებდნენ ორ უნაკლო, ნავარჯიშევ, ჯანმრ-
 თელ სხეულს. გოგოები უკვე ნაპირიან ისხდნენ; ტანსაცმელი
 გამოეცვალათ და ბიჭებს ელოდნენ.
თამაზი: თენგიზ, ხედავ რა გოგოები არიან?
ნინა: გამოდით, უკანასკნელი დღე ხომ არ არის, ზღვას
 რომ ვერ ეღევით?
ეკალი: ნინას საცურაო სპორტული ქუდი მოეხადა და ქე-
 რა თმები აპრეშუმის სხივებივთ ეყარა გავამდე.
ალიონა: (აკრუსუნდა) გამოდით, რა. ხვალის გეგმები და-

ვაწყოთ. გვეჩერება, გვშია და გვცივა!

თამაზი: გავალ, მეტის მოთმენა ალარ შემიძლია, ძალიან დავიღალე...

თენგიზი: (კანკალებს, კბილს კბილზე აცემინებს) ცოტაც მოითმინდ და წავლენ... ერთად გავიდეთ...

თამაზი: რა შეიცვლება ეხლა გავალთ თუ მერე?

თენგიზი: ერთად გავიდეთ...

თამაზი: რა მნიშვნელობა აქვს!

ეკალი: ბიჭები წყლიდან ამოვიდნენ. კი არ ამოვიდნენ – ამობობლიდნენ! უზარმაზარ ლონიერ მკლავებს მსუბუქად მოჰქონდათ ტანის გალეული ნახევარი. ამაზე ისინი არ ლაპარაკობდნენ: არ უნდოდათ, ვინმეს სამშობლოს სიყვარულით კოპწიაობენ, ეფიქრა. ეს გულს მოუკლავდათ. იმ უბედურ შემთხვევას თუ მისაგან გამოიხეულ ავადმყოფობას ბიჭებისათვის წელსქევმოთ სხეული დაელია და ნაერთვა! გოგოებმა იკვლეს და გაიქცნენ. თავზარდაცემული გოგოები გარბოდნენ, არც კი იცოდნენ, საბათ! მათ არც შემოსვლისას და მითუმეტეს, ახლაც არ შეუმწინევიათ წერილი მაგოლის ფართიულერედებინან ბადე, რომლითაც შემოფარგლული იყო სამცურნალო ჰოსპიტლის ტერიტორია. გოგოები ბადეს დაეჯვანენ, გადაანგრიეს, მაგრამ დაეცნენ, გაიხლართნენ და ასევე დარჩნენ ბადეზე ოქროს თევზებივით...

გიორგი: მხოლიდ ახლა შევნიშნე, უკან გოგონა მომდევდა და მანქანის თვალს „მიკრავდა“. (ჯერ ერთი, მერე მეორე მანქანის დამუხრუჭების ხმა. კარის ჯახუნი ძრავების ბუბუნის ფონზე)

გოგონა: ვითომ ვერ შემამჩნიერ, არა? სად მიბრძანდებით?

გიორგი: საქმეზ.

გოგონა: ვიცით ჩვენ თქვენი საქმეები! მაშინ... თუ მართლა საქმეზე მიდიხარ, მეც წამიყვანე.

გიორგი: შენთვის არ იქნება საინტერესო.

გოგონა: ჩემთვის დიდი ხანია აღარაფერია საინტერესო.

გიორგი: მას აქვთ, რაც თვრამეტ წელს გადააბიჯე, არა?

გოგონა: დიახ. წამიყვან?

გიორგი: წამოდი.

ფიქრი: გზა განვაგრძეთ. გოგონა მორჩილად მომყვებოდა. რამდენჯერმე ვცადე, ჩამომეტოვებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. როდის და სად ისნავლა მანქანის ასე მარჯვედ მართვა, არ ვიცი. სასაფლაოზე რომ შევედით, პოლიციელსა და დარაჯს ისე გაეცინათ, არ გაგიძნელდებოდათ, გამოგეცნოთ, რაც გაიფიქრეს.

გოგონა: მოდი და ამათ ნუ გაუმართლებ!

ფიქრი: ასე მგონია, გოგონა სულ ერთსა და იმავეზე ფიქრობს მანქანაშიც, სანოლშიც, სასაფლაოზეც, ინსტიტუტის მერჩხეც და, საერთოდ, ყველგან.

გიორგი: არ ვიცი, ამას შენ რატომ გეუბნები... ვისთანაც ვყოფილვარ, ყველას იმედი მქონია, შენს გარდა. შენ ლანირაკი ხარ, გოგონა; ლანირაკი სულითაც და წლოვანებითაც. ვიცი, სულ მალე მე კი არა, ჩემი სახელი და გვარიც აღარ გემახსოვრება, მაგრამ მაინც გეტყვი. გიმეორებ, არავისოვის მითქამს, არც ვაპირებ, არც ვეტყვი. რატომძაც მინდა შენ იცოდე. ალბათ, მითომ, რომ ნამდვილად შენზე ადრე მოვკვდები, თუ მოვკვდი ოდესმე!! აი, აქ დამასაფლავეთ. ამ ქალის გვერდით ქარი უნევს, მარცხნივ კი ადგილია დარჩენილი. აი, აქ, ამ ადგილას! არა თქვათ მერე, ანდერძი არ დაუტოვებია და, გინდა თუ არა, მთანმინდაზე, პანთეონში დავასაფლავოთო. გესმის?

გოგონა: მესმის. ვისი საფლავია? ისე ბნელა, რომ წარწერას ვერ ვხედავ, გიორგი. მოდი, რა, ჩემთან. მეშინია. მოდი, რა... აი, ხომ ხედავ...

ფიქრი: გოგონა წაბორძიკდა. ხელი მოვკიდე თუ არა, გოგონა გულზე ამაცოცდა. ტყუილად კი არ გავიფიქრე, რაც გავიფიქრე აქ შემოსვლისას. გოგონამ პერანგი გამიხსნა და ძუძუს ქვემოთ მიერთნა ფრთხილად, სასამორნოდ და კიდევ რაღაცნირად, ვერ ვამბობ, როგორ. მერე ჩაიჩიქა და მუხლებზე შემომეხვია...

გიორგი: ამალად ჩემთან დარჩები?

გოგონა: არა! ჩვენები აგარაკზე წასულან და ერთს... გო-

გოს ვთხოვე, ჩემთან გაათიოს. გიორგი, რა ეჭვიანი ხარ...

გიორგი: გოგონა სწრაფად ჩაჯდა მანქანაში და გააქროლა, მეტი რომ არაფერი მეტითხა. ერთი კი გავიფიქრე, და ენევი და... ალელვებამ მყისვე გადამიარა. რას ერჩი გოგონას?

ფიქრი: ნიშნობის ბეჭედი მომძვრა და სასაფლაოს ჭაშვილებინარდა დაგორდა, ვიდრე მიყუსწარი, შავი ალაყაფის კარქვეშ გაუჩინარდა. ვინ იცის, რომელ საფლავში გდა!

გიორგი: შინ დავპირუნდი. ფანჯრები ლია დავტოვე, მაგრამ ოთახში მაინც ჭირდა სუნთქვა. ლოგინი გადატმალე. ბალიშზე ბზის პანია ფოთოლი ეგდო. სანოლის თავზე დედაჩემისა და მამაჩემის სურათები მიყიდია. სურათებს შორის ნაკურთხი ბზის ტოტია გადებული. როცა არ უნდა გადავწინ საბანი ფოთოლი ყოველთვის დევს ბალიშზე. ძალაუნებურად ტოტს აცხედავ. ძალაუნებურად სურათებსაც დავინახავ!

ფიქრი: ნუ მიკეთებ ამას, დედა და მამა! წამი არ არის, არ მახსოვდეთ. სულ ასე მგონია, კარი გაიღება და შემოხვალთ... ჩუმად, დინჯად, წყნარად, ტყბილად... ისე, როგორებიც იყავით...

რადიო: თბილისის დროით ოცდაოთხი საათია.

გიორგი: ტასაცმელი გავიხიადე, დავწექი, თხელი ზენარი გადავითარე, სინათლის ჩაქრობა დამვიწყება!

პირობზე: მინდორი წითელია, წითელი ბალახით მოფენილი. მინც წითელია, ბუჩქებიც, ხეებიც, ყველებიციც. წითელი სიო მოქრის მთებიდან და პანინა ბალახსა და ყვავილებს არხევს; ბუჩქებსა და ხეებს ვერ ერევა, ისე ნაზია. წითელ მინდორზე სმშვიდეა. მინდვრის შუაში პატარა ტბა. ასე გეგონებათ, ვიღაცას პეშვში დაუგროვებიო ცის გამჭვირვალე ნამი. მინდორზე ქალი წევს და ნებივრობს. შემოუსვია ტიტველი შვილები, ტყუპი ბიჭები, ლომის ბოკვერებივით მსხვილმაჯადა და გატიგნილა და ნებივრობს. ბიჭები ისე მკვრივები არიან, ტკუნებზე ხორცი ეჩხვლიტებათ. ტყუპები დედას ეღლაბუცებან, ძუძუბზე ჰებუნენ, ხელებს უთათუნებენ, ზედ ახტებიან. ქალი ტბის პარას წევს და ანკარა, ცივი წყლით იგერიებს საყარელ ლევებებს. არიან ერთი კივილი, სიცილ-კისკის. მერე ქალი დგება, ბიჭებს ხელში აიყვანს, მერდზე მიკრავს და ძლიერ აყვავს გორაკზე: დამძმდნენ და რა ქნას! ტყუპები არ ისვენებენ, დედის თმებს ეალერსებიან, კოცნანა. ქალი გორაკს თავზე მოექცევა, შეჩერდება და გასცეკრის. მერე ტბასთან ბრუნდება და თავიდან იწყება ყველაფერი... იქვე თეთრი მტრედი ლულუნებს... (ტკუნების ზარი)

გიორგი: ბატონი!

ძმისნული: მე ვარ, ძია გიორგი.

გიორგი: რახან ძია დამიძახე, რაღაც გენდომება. რამდენი გინდა?

ძმისნული: რვაასი.

გიორგი: არც მეტი, არც ნაკლები?

ძმისნული: მე...

გიორგი: ვინ გითხრათ, ვილნიუსიდან პრემია რომ მივიღე?

ძმისნული: დედას დაურევა ვიღაცამ.

გიორგი: მერე, მამაშენმა, რაო?

ძმისნული: ნუ სთხოვ, მაინც არ მოგცემსო.

გიორგი: დედაშენმა?

ძმისნული: დედამ იცის, რომ მაძლევ ხოლმე, მაგრამ მამას არ ეუბნება... ეშინია, არ გაბრაზდე და...

გიორგი: კარგი, მოდი.

ძმისნული: სად მოვიდე?

გიორგი: ვითომ არ იცი! ბანკთან მოდი. სხვაგან სად გნახავ, აქ არ მოდიხარ და...

ძმისნული: რომელ საათზე?


გიორგი: სამზე. (კურმილის დაკიდების ხმა. წყვეტილი ზუმერი)

ფიქრი: მადლობა, შე მამაძალლო? ერთი შარვალი ან კოსტუმი რომ მეყიდა, არც მე მანქენდა. დაძველდა ეს ოხერი...

დიქტორი: (რუსულად) მე მეუბნებით?

გიორგი: მივიხედ-მოვიხედე: ტელევიზორიდან ულამაზესი დიქტორი მიღიმოდა. ვიდრე ჩარჩინს გადმოაბიჯებდა და ლოგინში შემომიწვებოდა, ტელევიზორიც გამოვრთება და სინათლეც.

დედა: დმერთო, მშვიდობის დილა გაუთენებს!



კარვი ფხოველი

ლალი იახსრის მთვარე

დღეს: სადიდებლის სანთელ-სიტყვები
ავის გორს მწუხრში დანთებულები!..

ჩემი სიტყვა შენ გეკუთვნის,
ჩემი დარღიც შენია და...
მზეც შენია, მთვარეც შენია!

ეს სტრიქონები, როგორც სანთლები,
ეს იმედები, ეს ყვავილები:
ყველა შენთვის შემინირია!

ქართულ სიტყვაში ხშირად მივრძნია
შენი მოწყალე თვალების სითბო...
ესეც შენი წყალობა არის:
ქართული ენა
ჩემთვის სიტყვებს რომ არ იშურებს!

კურთხეულო, პატიება მეკუთვნის, ალბათ,
აქამდე რომ ვერ ამოვთქვი
შენი ქება
ისე, როგორც შენ გეკუთვნოდა...
ვერ გითხარ, რადგან ხორციელი ვარ,
ისე ვერა ვთქვი ჩემი სიმღერა,
მაღალ ღმერთებს რომ გავაგონო!..

გევედრები დაცემული, მუხლებმოყრილი:
ჩემს გულში ისევ დააბრუნე
ლალი ცეცხლი:
პოეზიის დიდი სიმწვანე!..
კვლავ მომმადლე სიყვარულის წმინდა ცეცხლი:
დამიბრუნე დიდი სიმწვანე!
დიდი სიმწვანე მაღალბორბალოსი,
დიდი სიმწვანე უბისთავის ღრმა ხევებისა...

ლალო იახსარო, დევების მძლეველო,
ომში პირეველჩამსვლელო...
საქართველოს მთების გუშაგო,
მე დავეძებნე ქართულ ენაში,
შენ რომ გეკუთვნის სანთელ-სიტყვები...

დიდო ნათელო,
და გულების გამნედლებელო,
გევედრები მუხლებმოყრილი,
კვლავ დაანთე ჩემს ბებერ გულში

სიყვარულის წმინდა ცეცხლი:
დამიბრუნე დიდი სიმწვანე!

დამიბრუნე პოეზიის წმინდა ცეცხლი:
დამიბრუნე დიდი სიმწვანე!

მთანმიმდევრული მოვალეობები

სიტყვა: ნასეტყვი და სიტყვა: ხვადი
მოგაქვთ, მთანმინდის ლურჯო ქარებო;
ვაჟა-ფშაველას სამარის ქვადიდს
ეს ლოცვა უთხარ, საალსარებო!

ეს მწარე სიტყვა, გულში რომ ჩაგდის,
იტყვი: სხვას ალარ გავიკარებო...
სიტყვა: ნარჩევი და სიტყვა: ხვადი,
მთანმინდის ლოცვა საალსარებო!..

გულის უდაბნო

აბა, როგორ დაგივიწყო!..

გაცვდა ჩემი ხელისგულები:
იქ ბევრი რამ წაიშალა,
იქ ბევრი რამ გაფერმერთალდა,
იქ ბევრი რამ დაიფარა
ნანგრევების ქვიშა-მიწითა:
უდაბნოს ზურგს დაემსგავსა
უამთან ბრძოლით
დახეთქილი ხელისგულები...

აბა, როგორ დაგივიწყო...
ჩემს მოლალულ ხელისგულებზე
შენი ტანის კვალოხერი
ისე მაჩნია,
თითქოს ბასრი ხანჯრისწვერით ამომიკანრეს;
თითქოს ნაკვერჩლით ამომწვეს და...
თითქოს ფუტკრის მოტანილი
ყვავილების მტრერით დაგხატეს
უხსოვრობის შავმა დღეებმა...

აბა, როგორ დაგივიწყო, ერთი მითხარი,
შენ ჩემს გულში ხარ:
ფესვიც აქა გაქვს და ტან-ფეხიც აქ გილაგია!..
გულის უდაბნოს დაგარქმევ და:
დაგივიწყებ სამარადისოდ!..

ხეალი

ნოდარ ქართლელიშვილის,
თენგიზ ხრუსტალის

ხელებს გაუწვდი მიწას: ხეიბარს:
გული და დარდი გქონდათ საერთო...
და მტრის სუნს იგრძნობ და ხმალს შეიბამ:
მშვიდობით, ჩემო სავარსკვლავეთო!

ხმალი ვერ გუობს დედალს და მოშიშს,
ხმალსაც თავისი ავი ზნე უვლის!..
ხმალი კი არა, გული სჭრის ომში,
მიწის დარდი სჭრის, გულს დახეული!

გულს

დათვალებს: ჩემს ბოლო წიგნში
გული ნახენებია ორას ათჯერ... (210)

გულო, ავგულო, ხომ ბევრი მდევნე,
რაც მომახვიდე, ისევ ამავე
შავდარდით დავკრეფ მნითობთა მტევნებს:
და შენ მოგიტან ვარსკვლავ-ნამრავლებს!

დიდო დარაჯო, დარდებს იცავდი,
შენი წამება დიდი ხნის არი...
გიპოვე, გიგრძენ, ამოგიცანი:
შენ ხარ გულმამა და გულთმისანი!

* * *

ცის და ხმელეთის ხარ სამანი და...
მინა: მიმნდობი და გულგოროზი...
ავეტოტები მზეს სამარიდან:
მზეს შევაჩერებ შენს გურ-გორებზე...

დღეს შენ გევუთვნის დარდი, წყეული:
ფიქრმა ამ წრეში უნდა იბრუნოს,
მინაო: მნარევ, შხამდალეულო,
პოეტის გულზე ამოტვიფრულო!

* * *

აღარ მინდა იმ საათის გახსენება,
იმ დღის, იმ წლის და იმ ათასწლეულის,
როცა სულში ჩამწიდა წყეული!..

აღარ მინდა იმ საათის გახსენება...
ცეცხლს მივეცი ძეველისძველი რვეული,
მივალ ლანდი: ნაბიჯებარეული...

აღარ მინდა იმ საათის გახსენება,
იმ დღის, იმ წლის და იმ ათასწლეულის!

დღეს

პატარა უფლისწულ გიორგის

დღეს: როცა გულში ახალი მზის შუქი ტრიალებს,
როცა ვერ ითვლის მინა იარებს,
მინა, ღვთიური სიყვარულით დასატბორავი...
მოდი, დღეს ამ მზით გადახატე მხარე: მტრიანი,
გადაგორე შავნაღველის შავი მორევი...

დღეს ჭრილობები სიხარულის სხივებით ვკემსოთ,
შენ უკვე აქ ხარ, სამშობლოს მწყემსო!..
ერთიც ჩაგდახოთ წარსულს, წყლულიანს:
დღეს საქართველო მაცხოვარის ნათელში წევსო,
დღეს საქართველო სულ პატარა უფლისწულია!

* * *

ეხლა რაც უნდა დარდი აღელვო,
ავგულო: კენესავ დედაკაცურო,
შავშუალამევ და შავნაღველო,
პოეტის ჯავრო, სისხლში ნაცურო,

მაინც უდაბნო გელის სალახი...
მშვიდობით, წლებო გამოვლილებო!

ქალაქის კართან, ვით სალახანა,
დგახარ: იქ შესვლა აღარ ინებო!

არ დაგიჯერებს გული არაფრით:
რა გინდა, შავი ჯავრის აკვანო!..
ფოთოლს გახედავ, ცაში ანაფრენს,
და გრძნობ: შენი გზა უნდა გაკვალოს!..

* * *

ჩქარა მთავრდება ეს აღმართები,
წარსულის ცრემლი თითქოს უპეზეა...
დღეს პოეზიას აღარ აღმერთებენ:
იგრძენ გულები უპოეზიო...

და შავ ღამეში ვიღაც აღმუვლებს
სიტყვას და... გლოვის ზარები გუგუნებენ!
სტრიქონს დაასახლებ, თან ლოცვას აღუვლენ:
ჭრილობებს მოურჩენ უკურნებელს!..

მუსის ვესვეპი

შიხეილ ჯავახიშვილის მოსაგონარი

შენ მოიყვანე, დემონის აზრო,
წამი სატანის: შავი ნირვანის...
ჩრდილოს ყინვა, გულებს რომ აზრობს
და სისხლიანი ჟამისირვანი...

გიცანი მტერო; ვიცი, ვინცა ხარ!
დღეს მწარე იღბალს დავემწყემსები!
მუხას ჭრით, მაგრამ მინა ინახავს:
ყინვებს უძლებენ მისი ფესვები!

დიღა

აპა: შენი ღამები, გატებილები...
ღამეში ლექსი: მოულოდნელ ქარტეხილივით!

აპა: გათენდა და შეერთდნენ შენი დიღები
და ჩაბიჭუტდნენ ვარსკვლავები შანდლებივით...

და ღამეს გაჰყვა ცხოვრება, გადავლილი...
და მზე აღმოხდა ვარსკვლავების ნამრავლივით!

სიტყვა ეული

სიტყვამ იგრძნო
სიყვარული არაქაური:
დათვალა უცხო გულისცემა
და გადაზომა
ღვთიური დარდი, ცისგადაღმური...

და ვნებული
და შეძრული
და სიყვარულმისჯილი ვინმე
ეხლა ლექსის
დაკეტილ კარს ეჯაჯგურება...

მოდი, გახსენი
შენი ლექსის გულისკარები:
შემოუშვი სიტყვა ეული...
ცისქითურ საიდუმლოს
გამხელა რომ უნდა ტიალსა:

სხვა სიტყვებთან დამეზობლება...
 კიდევ სწყურია კალმის შეხება,
 კიდევ სწყურია ლექსის ჰაერი...
 და კიდევ რაღაც: კიდევ და კიდევ...

გეუბნები: შემოუშვი სიტყვა ეული:
 სიტყვა,
 ლექსი გულისცემის მოყურიადე!

გზადაგზა

შენ დაგავიწყდა ლეთეს ხიდები.
 ებრძვი ტკივილებს, მოუშებელას...
 და თანდათან,
 და გზადაგზა უფრო მძიმდება
 სული,
 რომელსაც სამოთხეში არ შეუშებენ!

და ვეღარ ზიდავ: სული მძიმეა;
 ცით მოგაჩვენებს ღრუბლებს ხიდებად
 ის,
 ვინც ისროლა შუალამის ცაში მძიმები,
 ვინც აღარაფერს არა გპირდება!..

აუგს ნუ იტყვი,
 თუნდაც ავმა ყოფამ დაგხანჯროს
 და თუნდაც ცრემლის ტბებში ცურავდე,
 დანერე ენის ამონურვამდე!
 იტანჯე დარდის ამონურვამდე!

ეს მინა

ეს ის მინაა,
 მაშინ მე რომ გულით ავწონე:
 დედამიწის ბავშვობაში და გადავმტკავლე,
 გადავხატუ უბისთავის კამკამა ცაზე...
 გადავწერე, როგორც პოემა...

მაგრამ ზოგი სტრიქონები
 დავიწყების ლიბრმა დაფარა...

მაგრამ ზოგი სტრიქონები
 ქარმა წაილო...

მაგრამ ზოგი სტრიქონები
 ჩემი სოფლის ყვავილებში აირია და,
 ვეღარ ვიპოვე,
 ვერ მოგართვი მოკანკალე ხელისგულებით...

ეს ის მინაა,
 ზოგჯერ მნარედ რომ აკვნესდება...
 და შეველას რომ მთხოვს
 და შელოცვებს რომ მთხოვს, ტიალი,
 პირშავ დამეში გველნაკბენივით...

მოსეს

ჩემი დარდი: ცრემლში მოსახარში.
 მზე დავკარგე: უკვე აღარ ველი...
 სხვა იყავო: ეხლა მოსე ხარ შენ.
 მოგდევს ჯავრი: გულის დამღარველი!

ცას მისწვდება ის, ვინც მოსე არი:
 ვნებაა და ნება უხლოავის...
 დადგა წამი: უფლის მოზიარე.
 დრო გაისმის თითქოს ქუხილივით!..

დამიამე დარდი, მოსეული,
 უკარები, სისხლით დანაცვარი...
 ერთიც მითხარ სიტყვა, მოსეური:
 ჩემი გული მზეზე გადაცვალე!

სიტყვები

გოგი დოლიძეს, ჩოხოსანს

ეს შავი სიტყვა წარსულის ძეგლი არი,
 ეს კიდევ: ნახმლევზე დაყრილი მარილი...
 მოდი, გაიხადე სტრიქონი, ეკლიანი,
 გულზე დახვეული ვეშაპის ჭარივით.

ეს სიტყვა: მამათა დარდში გამოვლილი,
 ეს კიდევ: ცრემლებად ნაკვნესარი...
 ამოთქი სტრიქონი, ცაში მოლივლივე,
 სადაც ვარსკვლავთა თვალები აკვესებენ...

ეს საღვთო სიტყვა: სამშობლოს ძეგლი არი:
 მიჟყენსარ, გაშინებს საღვთო დაშინებით...
 თამადავ, ამოთქი სტრიქონი ეკლიანი:
 ქართული სიტყვა: ლეთისმშობლის ნაშვილები!

გველის სიკვდილი

დათვალე გველის ნაკბენები
 ჩემს დაკეჭნილ თავისებალაზე!
 ჯარჯი ფხოველი

ბევრი ეხვეწე, მაგრამ გზიდან ვერ მოიცილე!
 მოძალადე გველმეკაცური
 წინ გადავიდგა ოქროს ურდოს შუბოსანივით!

გაიხსნე: მაშინაც ხომ ასე მოხდა:
 გზაც წაგართვა და პურლვინოც ხელს გააყოლა,
 მინაც ფეხსვეშ გმოგაცალა...
 და, სულბოლოს, ცოლი გთხოვა
 და... არ მიეცი!..
 და, სულბოლოს, სული გთხოვა
 და... არ მიეცი!

ეხვეწებოდი, გამიშვიო, და ის წინ გედგა:
 ხელთ ეკავა ეს გზა შენი პაპისპაპების...
 ბოლოს მნარედ მოგიქნია იატაგანი!
 მაგრამ თავს გედგა უკვდავი მთა: ლაშარისჯვარი...
 ხმლის ელვა მოგცა და შენც მარჯვედ გადაუქნიე!
 იკლაკნებოდა ის შენს გზაზე
 და შხამს ანთხევდა!
 ბოლოს უდაბნოს ცხელ ქვიშაში გაუჩინარდა...

„ვაჲ, ცოლსა ცუდის ყმისასაო!“ —
 მუხრანის ბოლოს დაღვრილ სისხლით დაწერილი
 ეს სტრიქონი შემეფეთება!..

რა მნარედ ისმის ცოლის კვნესა,
 მნარედ ისმის და უსამართლოდ
 ეს ქვითანი:
 ნამოსული ისტორიის უღრანებიდან!..



ლალი გულისაშვილი

ჩემთან ერთად გაიღვიძე,
მიყვარხარ და დაიჯერე,
სასწაულის დაიჯერე,
გთხოვ...

* * *

გულზე ისეთი ნალველი მაქვს,
რამე მიშველე, ჩემო ბები...
... შენ კი კედლიდან ილიმები
და მამჩემზე ფეხმიმედ ხარ,
ლურჯი ქიშმირის კაბა გშვენის,
ოცი წლის ხარ და გიხარია...

გულში ისეთი ნათელი მაქვს,
როგორ მიშველე, ღვთისმშობელო,
თეთრი კედლიდან იმზირები
და სულწმიდით ალვსილი ხარ,
დელობა ისე ძლიერ გშვენის,
ოცი წლის ვარ და შემოგნატრი...

* * *

შენ წაგიდებენ ზეცის ბილიკით,
გეცმევა მხოლოდ თეთრი პერანგი,
მე არაფერი არ მრჩება ქვეყნად,
გარდა ახალი სამარის ბორცვის
და უშენობით სავსე ოთახის...

შენ წაგიდებენ ზეცის ბილიკით,
გაყიდება მხოლოდ ჩემზე წუხილი,
მე აღარავინ არ მრჩება ქვეყნად,
გარდა ირიბად გაღიმებული —
გადიდებული შენი სურათი...

ჩემს დაპატიჟილ ლექსებს

ომში წავიდნენ თითქოს ბიჭები,
ძალიან მალე გარდაიცვალნენ,
ერთი მათგანიც კი ვერ გადარჩა,
სულყველას საძმო საფლავი ერგო...

მე კი ხანდახან ისევ ვაგზავნი
გამოუცდელ და პატარა ბიჭებს
დასაღუპავად...

* * *

ჩემი დაცემა არ შეიძლება,
არ შეიძლება ჩემი სიკვდილი,
რადგან ჩემს ვარდნას აკავებს შენი
მახვილით, მტრობით და უარყოფით?...

მოხუცდნენ დები... რა რჩება ბოლოს,
როცა იღლები ქარის გაყოფით? —
შეუძლებელი ჩემი სამყარო,
დასახლებული შენი არყოფნით...

* * *

ავტობუსიდან მომეჩვენა:
თითქოს ქუჩა გადაჭრა მამამ...
პირველად ვნახე ამდენ ხალხში,

* * *

თათუნას

მეტყვი: ცხოვრება იმსოფლად
გადასარბენი ხიდია,
ყველას ერგება თავისი,
ნუ შიშობ, ღმერთი დიდია...

ვიცი და ზოგჯერ სულმოკლეს
მაინც ხომ დამიკვნესია,
დიდება მომსურვებია,
როგორც მოკვდავთა წესია...

და სწორედ მაშინ, მაღალო,
როცა საცდური დიდია,
მეტყვი: ცხოვრება იმსოფლად
გადასარბენი ხიდია...

* * *

გაუთიბავი დაგვხვდა ბალახი
და დაკეტილი ყველა კარები,
ხეები ისე მოწყენილები,
ახლოს რომ ვერც კი გაეკარები...

სულ ცოტა ხანში ინთება შუქი,
გამოცოცხლდება მიდამო უხმო
და ბიძაჩემი ჩონგურით ხელში,
თავის ბავშვობის ფრიველებს უხმობს...

* * *

რატომ არასდროს არ შემაჩერე,
რატომ დამღალე ამაო ყოფით...
რა არის ქვეყნად მოსახვეჭელი
მახვილით, მტრობით და უარყოფით?...

მოხუცდნენ დები... რა რჩება ბოლოს,
როცა იღლები ქარის გაყოფით? —
შეუძლებელი ჩემი სამყარო,
დასახლებული შენი არყოფნით...

* * *

შემოდგომა გასულია,
გარეთ უკვე ზამთარია
და საოცრად თოვს...

ასე შორიდან:
რაღაცნაირად მოდიოდა —
ძალიან მარტო,
გამორჩეულად.
(ალბათ იმიტომ,
მხოლოდ ჩემთვის რომ მოდიოდა...)

საყვარელ პოეტს — ტიციან ტაბიქას

მოდის არაგვი — თეთრი და შავი,
მიდის დღეები — შავი და თეთრი,
მეგობრობაში ხარ ავთანდილი,
პოეზიაში — ჯვარცმული ღმერთი!...

გფარავდეს ღმერთი!... ასე რომ არ და
ისე რომ მოხდა, ვის გააკვირვებ?!
ან სადმე ვეფხვი შეგეყრებოდა,
ან წინამურთან მოგკლავდა ვინმე...

ვეღრება ზამთარს

კუძლვნი აფხაზეთიდან დევნილებს

ზამთარო, ცოტაც მოიცადე,
უღელტეხილზე ქარავანი გაჭიმულია,
ხამლად ჩემი გული
მათ შიშველ ფეხებს და
საბად ჩემი თმა,
სიმწრით დაგლეჯილი...
ზამთარო, ცოტაც მოიცადე,
ჯერ სვანეთამდე ძალზე შორია,
მზეო, ამოდი და ამოანათე,
ყინულის მთებს ცრემლი დაადინე...
ზღვაში წვეთია ჩემი გლოვა,
ნამცეცი პური — ოქროს ფასი,
უღელტეხილზე ქარავანი გაჭიმულია,
შიშველი ფეხებით ჩემს გულზე დადიან...
ზამთარო, ცოტაც მოიცადე,
სუსხი და ყინვა ბარში გამოგზავნე,
ყველას წილი მზე იქით მასშუქე —
უღელტეხილზე ქარავანი გაჭიმულა...
...
უღელტეხილზე ქარავანი გაჭიმულა,
სამშობლოდან სამშობლოში დევნილების,
სამშობლოში სამშობლოს მძებნელების...

* * *

გუშინ საღამოს გარდაიცვალა
და მეორე დღეს პანაშვიდი გადავუხადე.
არავისთვის გამიმხელია...
მარტომ გადავაფარე ცისფერი სუდარა,
მეზობლისგან ვინათხოვრე მწვანე ბეგონია
და ყველა ფანჯარა გამოვალე...
მესამე დღეს დავასაფლავე ისეთ ადგილას,
რომ შთამომავლობამ ვერ შეძლოს
მისი სამარის მიგნება...
შეიძლება სავალდებულო სამგლოვიარო
დროის გასვლის შემდეგ
მეც ვერ ვიპოვნო...
(საფლავის ქვას დაეწერება ნომერი რიგზე,
დაბადების და გარდაცვალების მიზეზები).

გუშინ საღამოს გარდაიცვალა
ჩემი სიყვარული,
რომელიც რატომდაც
ადრინდელ მიცვალებულებთან შედარებით
ყველაზე მეტად დამენანა...

გათხოვარი

(ძალიან ძველი ლექსი)

კუძლვნი ლალი ხითარიშვილს

ქუჩებს დავდევ მწუხარების ანაბარი,
მათხოვარი... ჩემი ბედი სხვა არ არი...
მე საჭმლისათვის, ფულისათვის ხელს არ ვიშვერ,
მე დავეძებ შენს ნაკვალევს, წამნას გიშერს...
აღარ მაქვს არც მიზანი, არც სურვილი,
აღარ მახსოვს არც შემშილა, არც წყურვილი...
შენ დამიხშე სიყვარულის ფართო კარი
და გამხადე უბედური მათხოვარი...
შენ ხელი მკარ, არ მიმიშვი შენთან ახლოს,
შენ ეს იქნებ დაგაიწყდა, აღარ გახსოვს...
გამილიმე ერთხელ მაინც ჩემი ხათრით,
ცრემლებს მოგზენდ დაძონძილი კაბის კალთით...
არ ისმინ ჩემი თხოვნა, ხელი მკარი,
არ შემინდე უბედური მათხოვარი...
დავალ ისევ დღე მზის შუქზე, ლამე — მთვარის,
ქვეყნად ჩემთვის აღარავინ აღარ არის...
შენ გეკუთვნის ამა ლექსის ყველა პწკარი,
შემიწყალე სიყვარულის მათხოვარი...

ესაუგრება ზამთარს პატო დეიდა

— საით მიდიხარ, ჩემო ზამთარო,
სად მიგაქს თეთრი, თბილი ქათიბი?
— იცი, რომ შარშან ვერ მოვასწარი
და გასათიბი დამრჩა სათიბი...

— საით მიდიხარ, ჩემო ზამთარო,
ფიქრებმა საით წაგიყოლია?
— იცი, რომ შარშან ვერ მოვიცალე
და დღემდე მტანჯაცს მელანქოლია...

— საით მიდიხარ, ჩემო ზამთარო,
საით მიდიხარ, ვეღარ გეწევი...
— იცი, რომ შარშან ვერ მოვუარე
და მოკვდა ჩვენი ძროხა მეწველი...

— საით მიდიხარ, ჩემო ზამთარო,
საით მიგარწევს თეთრი ფიქრები?
— იცი, შარშან რომ შემომესია,
დღემდე გულს მიჭამს ავი ფიქრები...

* * *

როგორ გაბედე... ჩემს მარტოობას
როგორ შეხსენი რკინის ჭიშკარი...
როგორ გაიგე ჩემი ძახილი
და როგორ მიხვდი, როცა სახეზე
მხიარულების ნიღაბს ვიფარებ,
სულში სევდისფრად წვიმს შემოდგომა...
მე სულ გელოდი და მეშინოდა,

რომ არასოდეს გათენდებოდა,
რომ ვერასოდეს ვერ გიპოვნიდი
დიდი ქალაქის ქუჩებით დალლილს...
მოგბეზრდებოდა ჩემი სიჩქმე,
ჩემი უაზრო აღსარებები,
ასე მეგონა და მეშინოდა...
შენ კი მოხვედი... და სულში უცებ
თეთრი მტრედების გუნდი აფრინდა...
თითქოს შეშლილი და ბედნიერი
ვიდექი შენ წინ და მისაროდა:
როგორ გაბედე: ჩემს მარტობას
როგორ შეხსენი რკინის ჭიშკარი...

* * *

ვზივარ ცეცხლთან,

არაფერი მინდა,

წვიმს ისევე,

როგორც გუშინ წვიმდა.

ცოტას ვსვამ და

სულ ცოტათი ვთვრები,

არც რას ვფიქრობ,

ზამთარია. ვთბები.

თუ ჩამოხვალ —

გაზაფხულიც მოვა,

თუ არადა —

მოუმატებს თოვა...

შეერთა გული —

გაჭრიალდა კარი,

არაფერი —

შემოვიდა ქარი...

ვზივარ ცეცხლთან,

აღარავის ველი,

შუბლზე მადევს

ზამთრის ცივი ხელი...

* * *

უფლის სახლთან კუნელი და

ბარდები და ეკლებია,

შორიახლო მოწყენილი

მტრედისფერი ეკვდერია...

ისე გალობს შავი შაშვი,

თითქოს ყველა ლოცვა იცის,

ზეცით მიხმობს უფალი და

შენთან მტოვებს მადლი მინის...

* * *

ჩემი ფიქტის სიზმარი ხარ,

მარტოდმარტო დგახარ ბაღში,

რა საოცრად მელოდები!

სევდა შემპარვია ხმაში...

მოვდივარ და ისევ აქ ხარ,

ჩამოლვენთილ თითებს ვკოცნი,

თურმე როგორ შეგძლებია,

აცხადება ყველა ლოცვის...

რა საოცრად მელოდები!

სევდაც შეგპარვია ხმაში,

ნათელი და მარტოსული,

მაინც იყურები ცაში...

როგორ დაინახეს ჩვენი მცირეობის საუკათესო ძეგლები ევროპულ არენაზე

საქართველოში თურმე სიმბოლიზიც ყოფილა და რომანტიკოსების ათწლეულების დარდიც, მგოსნები ჰყოლია საქართველოს და მართალი ხალხის კალმებიც ემსახურებოდა. არც მემანვნის ვალი ჰქონიათ და არც ქარის მოტანილი — ქარისთვის რომ გაეტნიათ. ძლიერი სიამაყისა და მადლიერების გრძნობა ჩნდება ამ ხალხის გახსენებისას, მითუფრო მაშინ, როცა ქვეყნის შესახებ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, ანა კალანდაძის ნამოლვანარით საუბრობენ, ქვეყანაზე, სადაც გველს ლოცვას ასრავლან და სწორედ ეს მიიქცევს არცოთ ისე ცოტა ადამიანის ყურადღებას.

თანამედროვე საზღვარგარეთული ქართველოლოგიური ცენტრებიდან ყველაზე ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს იტალიას. ცნობილია, რომ ევროპელთაგან პირველად იტალიელები დაინტერესდნენ ქართული ენითა და დამწერლობით, ლიტერატურითა და კულტურით.

დღეს ქართველოლოგიის მძლავრი ცენტრები არსებობს ვენეციისა და მილანის უნივერსიტეტში. 1987 წელს ვენეციის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის კათედრა დაარსა ცნობილმა ქართველოლოგმა ლუიჯი მაგაროტომ. იგი ჩინებულად ფლობს ქართულ ენას, იკვლევს ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებს, ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას უცხოელ სტუდენტებს, თარგმნის ქართველი პოეტებსა და პროზაიკოსებს ნაწარმოებებს. სწორედ მთარგმნელობითს საქმიანობაში მიღწეული წარმატებისათვის 1999 წელს ლუიჯი მაგაროტოს მიანიჭეს ინგლისის ქართველოლოგიური ცენტრის მარჯვორი უორდროპის სახელობის პრემია. ღირსასაცნობია ისიც, რომ ვენეციის უნივერსიტეტში ქართული ენა ისწავლება დამოუკიდებელ საგანად.

არც ქართველებმა დატოვეს ლუიჯი უსახურებისთვის და ქართული ენის პოპულარიზაციისა და საქართველო-იტალიის კულტურულ დაახლოებაში შეტანილი წვლილისთვის ვენეციის ფოსკარის უნივერსიტეტის პროფესიონალის, ქართველოლოგ ლუიჯი მაგაროტოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. თითოეული უცხოელი, რომელიც ამ ცხოვრების სტილს მიხვდება და მიჰყება, შეცდომა ხომ არ იქნება კვლავაც უცხოელად მოვიხსენიოთ?

თსუ-ს რექტორი და აკადემიკოსი ლადო პაპავა, იტალიის ელჩი ფედერიკა ფაზი, პროფესიონალი: რისმაგ გორდეზიანი, ელგუჯა ხინთიბიძე, დარეჯან თვალთვაძე, — ეს ის სასატივცემულო ხალხის ჩამონათვალია ვინც თსუ-ს აუდიტორიაში შეკრებილ საზოგადოებას ლუიჯი კიდევ ერთხელ ნარუდგინა. ნარდგენა მზექალა შანიძის შესაშური მიმართვით დამთავრდა დაჯილდოებულის მიმართ: ესე მიკვირს, უცხოს უცხო, ასე როგორ შეგიცვარდი (შოთა რუსთაველი).

ბეჭინიერების რომელი ცა არის ასეთ ღრმა ასაკში მედლის მიღება...

შეისწავლა და პარალელი გაავლონი ნიკოლოზ ბარათშვილსა და ფილიპო ტომასი მარინეტის შორის. ბარათაშვილს არ დასჯერდა და ანა კალანდაძის იტალიურად ნათარგმნი ლუიჯის „ლოცულობს გველი“ თავისივე აუდიო ჩანაწერი მოგვასმენია... არ არსებობს ზუსტი თარგმანი მართალია, იტალიელ ქართველოლოგს თარგმანი არ დაეწუნებოდა, მაგრამ ნათარგმნი ლუიჯის იგრძნობოდა კავკასიური ბალადის ნაკლებობა, რასაც მხოლოდ ქართველი თუ მიხვდება გინდ ეკროპაში და გინდ აზიაში. სკობს წერტილი დავსვა, სანამ კითხვა გამიჩნდებოდეს: ვინ უფრო მეტი ქართველია? დიდი იმედი მაქვს, ამ კითხვას დალაქის მონაცოლი ამბავივით არ დაივინყებენ.



ლუიჯი მაგაროტო

ଓଡ଼ିଆରେ ଲୋକପାତ୍ରମହାନାଟୀ

არასაკუთარი ნებით ისრაელს რუსეთიდან ამოსული მწერალი იგორ გუბერნანი მისთვის ჩვეული, სარკაზმამდე მიწეული, იუმორით ასეთ სიზმარ-იგავს გვიყვება დანტე ალიგიერის სტილით: რეალური პიროვნება, დოკტორი ვლადიმირ ფაიბიშვესკი სულეთში აღმოჩნდება, თანაც სათანადოდ ვერ გარევეულა, სადაა, თუმცა ნათლად ახსოვს, რომ სამოთხეი გამწერსე.. დგას ფართო ქვალორიზმის გზაზე, გასრურივ კლდოვანი ნაპირია, ხოლო მარცხნი - თვალუხილავი ბურუსით აღვეხული უფსკრული. უცაბად მოსახვევიდან გამოჩნდება ჯავაფი ადამიანებისა, რომელიც სადღაც ფეხსორევით მიბოდიალებენ. ვითარცა ზნემაბალ ეტიკეტს უხმოდ მორჩილ იუდეველს მართებდა, ფაიბიშვესკი განზე გადგა, გზა დაუთმო და იმავდროულად მყისიერად შეიცნო მათში წიგნებიდან ნაცნობი სახები. სიხარულმა და მოკრძალებამ შეაცხუნა. იცნო მონტენი და სპინზა, იქვე იყვნენ პასკალი და დოსტოევსკი, ფრონ-იდის მარტინმარ მიმოწერიდა თავდებრილ გოლეთ. ერთნაირი რუხი ფერის კაცტლიუმებში იყვნენ გამოწყობილინი, როგორლაც დაბულინი, პირუცინარნი, მინისეკ მზირალინი, ზურგსუკან ხელიძე შემოწყობილინი. კიდევ ვიდაცები შეიცნო სულეთს ახალმოვლენილმა სტუმარმა, ეგაა, სახელები ვერდა გაიხსენა. მხარული და ხელებით რაღაც ჟასტიკულაციებს მანიშნებელი სოკრატე ოდნავ განცალკევებით მიმოღილდა, ხმადაბლა თავისთვის ხმიანობდა. ვოლდემარი, ფუ, ვალოდია ნამოენთო, მთელი ცხოვრება ამგვარ შეხვედრაზე ოცნებიდა, მიეჭრა მონტენს და ენაბორძიკით, აღტაცებით, მოკრძალებით გაეუბნა:

— მაპატიეთ, ბატონო მონტენე, თქვენ ჩემი საყვარელი მწერალი ბრძანდებით, საუკუნეა, მანვალებს ერთი შეკითხვა: თბზულებათა რუსული გამოცემის სამტომეულში თქვენი პორტრეტია, რომელიც ერთობ მსგავსია ჩემი იერისა, შემთხვევით ნათესავები ხომ არ ვართ?..

მონტენა რაღაც წაიბურტყუნა იმგვარი უკმაყოფილებით და უსიამოვნობდ, რომ ვალოდიას კონფუზი მოუვიდა, ჩამორჩა და განცალკევებით მოარულ, საკუთარ თავთან მოუბარ სოკრატეს გვერდით ალმოწნდა.

— მაპატიეთ, ბატონონ სოკვრატე, — მორიდებით შეეხმიანა, — რისი შემსწრე ვარ და საით გაქვთ გეზი აღებული თქვენს ჯგუფს?

— საგახმონდ მივდივართ, — გულთბილად აუქსნა სოკ-რატემ, — ხოლო ნავახმევს ადგილობრივ მუსიკას, არფათა და ზანზალაკათა თანხლებით, რაღაც გალობებს უნდა მოვუს-მინოთ. თქვენ ახალებედა ბრძანდებით?

— რატომ ხართ ყველა ასე მოლუშელი? თუ ყველა რაღაც ერთი რაიმის გამო ჩაიდიქრებულხართ?

— როგორ გითხრათ, ვის რა ანუსებს, — სოკრატე უკვე აღარ იღიმებოდა, — აქ, გეთაყვა, თავისებური წეს-კანონებია: ვინც ყველაფერ ამას არ ეთანხმება ან ეჭვები ლრღნის, რომ ეს სამოთხეა, იმას მოისვრიან უფსკრულში, განმეორებით საშინელ სამსჯავროზე, ხოლო იჭვის გაკროომაც კი, გონებაში თუნდაც, არ შეიძლება, ნებისმიერი ჩვენეული იჭვი და აზრი მფარველ ანგელოზისათვის გამჭვირვალეა და გასაგები. ასე რომ, მიხვდებით, სამხიარულო არაფერი გვჭირს, ელიტური კომპანიაა და უკვე ყველამ მოასწრო ურთიერთნა-კამათება, ჩეუბი...

— თუ ასეა, რა მოსაზრებით და რომელი უფლებით საუბრობთ აგრე თავისუფლად, თანაც ხმამაღლა? — ვალინდია ვერ მალვადა საკუთარ აღტაცებასა და ლირსების გამოხატვას სოკრატეს მიმართ.

— აქ თითოეულ, ნებისმიერ კომპანიას, წეს-განრიგის კვალობაზე, მიჩენილი ჰყავს ერთი სუმარა თუ სალოსი, — უშუალოდ, კეთილგანწყობით აუხსნა სოკრატემ, — იგი, სა-

ლოსი თუ ტაკიმასსარა, როგორდაც თითქსდა ნებადართუ-
ლი დისიდენტია. განსაკუთრებული მიყურადებისა და დაკ-
ვირვების არეალის, ლიტერატორთა ჯგუფისა, და ასეთად აქ
მე ვიხილები...

ამის შემდგომ რა მოხდა სულეთში, მნერალი არაფერს ამ-ბობს, მაგრამ ერთობ საცულისხმო და ყურადსალებია ოვით სულეთშიც კი ლიტერატურობა ამგვარი წარმოჩენა... რაა სხვებისაგან მათი გამორჩეულობის საფუძველი, ვინ არიან ისინი და, საერთოდ, რა ფენომენია ლიტერატურა?!..

საზოგადოდ მიიჩნევა, რომ ლიტერატურული ენა და მასში გამჟღავნებული ლიტერატურული პრინციპები ისტორიული კატეგორიებია. მათი საფუძვლით დატვირთვა არაერთგვაროვნია. სხვადასხვა ისტორიულ პირობებში აქ განმსაზღვრელ როლს ასრულებს ხალხთა საზოგადოებრივი განვითარებისა და, საერთოდ, კულტურის დონე, აგრეთვე, ლიტერატურული ენისა და პრინციპთა ფორმირების პირობები. ქვეყნებისა და ხალხთა განვითარების განსხვავებული ისტორიული გზები ქმნიან მხატვრულ პრინციპთა სპეციფიკას საკუთრივ ამა თა იმ ლიტერატურულ ქმნილებაში, რომელშიც „უნდა გამოცალევდეს სამი ელემენტი. ყველაზე უმთავრესი არის შინაარსი, შემდგომ ავტოროს სეული პოზიცია ამსახველი საგან-ობიექტის მიმართ. დაბოლოს — ტექნიკა. მხოლოდ შინაარსისა და ალსანერი საგან-მოვლენის სიყვარულის ჰარმონია აქცევს სრულქმნილად ნანარმოებს და მაშინ, ჩვეულებრივ, მესამე ელემენტი — ტექნიკა — თავისთავად ასე-თად გარდაიქმნება“ (ლევ ტოლსტოი).

ეს ლაკონიური, ოლონდ ერთობ საგულისხმო გამონათქვა-
მი, „ფორმულა“, ვფიქრობთ, სრულად ესადაგება მხატვრული
მწერლობის პრინციპების ძირითად არსს, რაც უმთავრესად ნი-
ადაგ გამოიხატება ავტორთა თავისებურ, სპეციფიურ მიღეო-
მაში. ასასახი ობიექტის მიმართ ესევითარი მიღეომა კი, ცხა-
დია, შენაგანი იმპულსია საზოგადოდ ლიტერატურისათვის,
რომელშიც ნამდვილი მოჩვენებითისაგან განირჩევა იმთვევე,
რითაც ბუნებრივი ყავაილები იკეთანასაგან: განსაკუთრებული,
თვითმყოფადი, განუშეორებელი სუნთ იმავდროულად, გათა-
ვისებულ უნდა იქნეს ერთი მომენტიც: არ შეიძლება განკერძო-
ებით არსებობდეს ფორმა და, მეორე მხრივ, ცალკე — შენარ-
სი. შრული სტილი — ესაა აზრების არასარულყოფილება.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშ მრავალფეროვანი დარგები, მიმდინარეობანი, კანონზომიერებანი წარმიშვა განვითარების მანძილზე. ხალხთა კულტურის ისტორიაში ცნობილია, რომ განსაზღვრული, რომელიმე კონკრეტული ეპოქა თავის მოთხოვნილებისამებრ წარმართავდა საზოგადოდ მთელ კულტურულ საქმიანობას და, კერძოდ, ლიტერატურას.

მცირეოდენ წიაღსვლა ახლო წარსულისაკენ.
ვითარცა ლიტერატურული მიმართულება, კლასიციზმი
აღმოცენდა და დასრულებული, გამოკვეთილი სახე მიიღო
საფრანგეთში. XVI საუკუნის რელიგიურ ქარტებითა შემდ-
გომ, ლაროშელისა და ფრონდის მომდევნო წლების საფრან-
გეთში პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება მკაფრ სა-
ხელმწიფოებრივ მარნუხებში მოექცა. ლუ XIV ხანგრძლივმა
ზეობამ ფრანგი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება თავი-
სებურ იერარქიულ კიბედ აქცია. ყოველსა და ყველაფერს
თავისი როლი და ადგილი მიეკუთვნა, მაღალნოდებრივ სა-
ფეხურზე მდგომი გლეხობასა და ხელოსნებს თითქმის არა-
ფრად აგდებდნენ. სამა წოდება — ბურჟუა, სამღვდელო პი-
რი და რაინდის მემკვიდრე „შევალიი“ — განაგებდა ქვეყნის
ძედ-ილბალა. ცხოვრების წესად ნათლად გამოხატული მერ-
კანტილიზმი იქცა. უნინდელი მჩქეფარება ცხოვრებასა და
ლიტერატურაში უღირს ტონად მიიჩნეოდა — სახელმწიფოს
აბსოლუტიზმი იწვევდა ზნეობრივ, ესთეტიკურ აბსოლუტის,
რაც თავისი ხასიათით კონფორმისტულიც კი არა, უწყინარი
თავისიშვებულობის არსისა იყო.

ხელოვნება სამანებს ითხოვდა, საზღვრებს, ჩარჩოებს, ლიტერატურა — მკაცრ, შემოფარგლულ კანონებს, რაც ან-ტიკური ნიმუშებისაკენ სწრაფვაში გამოიხატება, ასე ვთქვათ, ძიებაში მკეთრი კონტურებისა, აღნაგობისა, ფორ-მისა. მზერა ანტიკურისაკენ იმ მიზნით იყო მიძყორბილი, რა-თა დამკვიდრებულიყო ერთიანი გაგება სილამაზისა, ერთია-ნი გემოვნება, ერთიანი ნიმუშები არქიტექტურისა, ფერწე-რისა, ლიტერატურისა...

კლასიციზმის დედაარსი ისაა, რომ ყველაფერში დომინანტურია ადამიანური გონება, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ყველაფერი — ადამიანთა ზრახვები, ვნებები, საქმენი... ყველაფერი „გონიერად“ იყოს განლაგებული — ესთეტიკური თუ ეთიკური კატეგორიები... ერთი სიტყვით, ზუსტი რეგლამენტაცია, რაც, როგორც მიჩნეულია, აუცილებელი იყო საზოგადოებრივი შეგნების ევროლუციის ად პროცესში.

საპეტონიროდ, კლასიციზმის მეკანიკურობში მრავალმხრივ გამოპარნყოფნა კორნელის, რასინის, მოლიერის დღესაც აღმტაცი ნიჭიერება.

შეუა საუკუნეთა რიტუალები, სხვადასხვაგარი პროცედუ-
რა, ცერემონიული წესები, რა თქმა უნდა, გარკვეულად ზემოქ-
მედებდა იმდროინდელი ინდივიდის სოციალური თუ კულტუ-
რული ცხოვრების მრავალ სფეროზე. ამ მხრივ ზემოქსენებუ-
ლი ეპოქის მხატვრული „მოდელის“ შეცნობის თვალსაზრისით
ძევრის მოცემა შეუძლია ენის, ტერმინოლოგიის, მხატვრული
„ფორმულებისა“ და მყარი, ჩამოყალბებული მეტყველებითი
გამოთქმების, სიტყვათაშეთანხმებების შესხავლას.

ჭეშმარიტი, მაღალფასეული ლიტერატურა სათანადო განათლებას, გაცნობიერებას ითხოვს მკითხველისაგან, ისე-ვე, როგორც ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები, თუმცა ამ ორი ფენომენის სრულფასოვნად შემცირებისას რაღაც გამო-უთქმელი, ქვეცნობიერიც იჩენს თავს. მაგალითად, განუს-ნავლელი, უბირი ადამიანიც კი უზრუნველით შეჩერდება როდე-ნისა თუ მიქელანჯელოს ქანდაკებებთან...

მნერალს, მოქანდაკისაგან განსხვავებით, წერის პროცესში სათანადო „დიფერენციაცია“ სჭირდება. ვთქვათ, ასეთი: თუკიღა იგი (სიტყვის ოსტატი) გლეხის ცხოვრებას აღწერს, მან არ უნდა მოიშველოს ისეთი სიტყვები, რომელიც გლეხს არც სმენია და არც არაფერი გაეგება მათი მინშველობისა, ოლონდ მას (მნერალს) ფრიად შვენის ფსევდოარისტორატული წრის, „დახვეწილი“ აზროვნებისა და მაღალ-ფარდოვანი შეტყველების მქონე პირთა სათანადოდ „შეფარული“ გაკენწვლა. კლასიკური ნიმუში: ერთ თხზულებაში ფრანგი არისტორატი ქალი უყვება თავის მეგობარს — „...ჩვენ ახალი უფროსი გვყავს, ერთობ ჭკვიანი კაცი. მან გვითხრა, რომ ადამიანები დარვინისაგან წარმოიშვნენ“.

„უფალმა თუ განგრებამ ასერიგად ინება, რომ მავანი ადამი-ანი მეორისა მიმართ თანასწორუფლებიანი, მსგავსი არაა და აյ ვერაფერს შეცვლი. დემოკრატიული პრინციპი როგორ-დაც აზიანებს იმათ უფლებებს, რომელიც გონიერნი, ნიჭი-ერნი, შრომაში გარჯილნი არიან, დაქვემდებარებულნი არი-ან გონებასუსტთა, უნიჭოთა და ზარმაცთა დაჩრუნებულ ნებას, რამეთუ ამგვარნი საზოგადოებაში ნიადაგ უმრავლე-სობას წარმოადგენერ. ალპათ, დროა, გადავეჩვითოთ ამგვარ, უკაცრავად ნათქვაშია, არაადამიანურ ყოფას და გავხდეთ ლირსი წოდების — „ადამიანი“ — ტარებისა...

ასეთ საზოგადოებაში, ყოფაში რეალურად ნარმოუდგენელია ჭეშმარიტი შემოქმედის, მზერლის განხე განდგომით, „მიუკერძოებულად“ ცხოვრება-საქმანობა. შესაძლებელია, ნარმოვისახოთ მეტ-ნაკლებად გონიერი ადამიანი, რომელიც გულგროლი იქნება საყოველთაო მოუწესრიგებლიკასთან მიმართებისას?! გორდისაული ნების მეხოტეების იარლიყს ნურავინ მოგვანებებს, მაგრამ ეგებ ღირდეს კეთილშობილური (ვთქვათ, შვეიცარიის ტიპისა) სოციალისტური (არა კომუნისტური!) ქლე-

მეონტების და მკვიდრება-გახსნება?.. აბა, მოუჯამინოთ გონება-მახვილი, უაღრესად დაკვირვებული, საღი განსჯის „უნარის ძქონე შიულ რენარს: „სოციალისტი იყო მონტენი, სოციალისტები იყვნენ ალფონტენი, ლაბროუერი, მოლიერი, ბიუფონი... სოციალისტად აღსრულა ვიქტორ ჰიუგო“ და კიდევ არაფრით არ ეგბის წამდაუწუმ სკაბრეზული სიტყვების, ფრაზების, ბილნისიტყვების გაფეტიშება, რამეთუ „თუკილა ფრაზაში იხილვება სიტყვა „ტრაკი“, პუბლიკა, რაოდნენ დახვერილიც უნდა იყოს, მცირებული ამ სიტყვებს აღიქვამს“ (შიულ რენარი).

ზემოთ ე.წ. „სოციალისტი“ მნერლები ვახსენეთ... დრო-
ჟამი რომ შეიცვალა, კაპიტალისტური წყობის, ფორმაციის
მნერლები მომრავლდნენ. როგორც იტყვიან, „მათი სახელი
ლეგიონია“... ცხადია, ნებისმიერი შემოქმედი თავისუფალია
რჩმენის, იდეოლოგიის, თემატიკის არჩევა-ტენდენციის
თვალთახდევით, მაგრამ იგივე დრო-ჟამი კვლავდეკვლავ,
ცხოვრებისეული დაუწერელი კანონებისა თუ სამართლია-
ნობის დადგენის კვალობაზე ყველაფერს თავის ადგილს მი-
უჩენს (ვანიშნებთ ფრედერიკ ბეგბედერის წიგნზე, — „99
ფრანგი“ — რამაც მნარე ალიუზური გააწნა, ღირსებისამებრ,
იმ ფორმაციას, „კაპიტალიზმად“ რომ იწოდება...).

მნერალი დორ-უამის, ეპოქის კვალობაზე კი უნდა ირჯებოდეს, მაგრამ თავდაჯერებული, უტყვია ფლიუგერივით არ უნდა იქცეოდეს და აზროვნებდეს, რომელსაც ცუდუბრალოდ ჰგონია, ქარის მიმართულებას მე ნარვმართავო...

ასევე, ვფექტობთ, ჭეშმარიტი მწერალი ყოველგვარი „ფობიის“ მიღმა უნდა იდგეს, არ ეგბის არც „რუსოფობია“, არც „არმენოფობია“, არც „გრუზნოფობია“... ამ უკანასკენელი სენით არცთუ მცირედ იყო შეპყრობილი ნობელის პრემიის ლაურეატი, რუსი მწერალი ალექსანდრ ისაევიჩ სოლუგუნიცინი (უფალს შენდობას შევთხოვთ, ცოდვად, მითუფრი დანაშაულად ნუ ჩაგვითვლის...). კი, ბატონო, ვინამრო: სტალინი დიქტატორი იყო, ბერია-აღმასრულებელი იარაღი კომუნისტური ხელისუფლებისა, მაგრამ ეს როდი იძლევა იმის საფუძველს, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა (უკეთილშობილესი ადამიანი, ფრიად ამაგდარი პედაგოგი, მსოფლიო დონის მეცნიერი) გავაქილიყოთ და, ღმერთო გვაპატიე, თითქმის გამასხარავების იპიქტად ვაქციოთ!.. უფალი ალექსანდრ ისაევიჩი უფრო შორსაც მიდის! ქართველია?! მაშასა-დამე, უსაფუძვლოდაა ვინმესგან შექებული თუ დადებით კონტექსტში ხსენებული! იგი (მწერალი) რეალურ პიროვნებათა განკიქება-ლანძღვას არ დასჯერდა-სტალინური პრემიის ლაურეატის, მწერალ ვასილ აუავის რომანის — „მოსკოვიდან დაშორებით“ — ქართველ პერსონაჟსაც (რეალური პიროვნება, პროტოტიპი) მისწვდა, ბოლმა ვერ დამალა და ბელადის საამებლად გამოგონილ „გმირად“ გამოაცხადა...

და კიდევ — ჭეშმარიტ მნერალს არაფრით ჰმართებს უმაღლერობა: დავიჯეროთ, რომ უფალ ალექსანდრ ისაევიჩს ერთხელ მაინც არ გაასხენდა ის ქართველი, რომელმაც „ცივ ადგილებში“ გასახლებისას თიაქარის ოპერაცია „კუსტა-რულ“ ვითარებაში გაუკეთა და, სულ მცირე, შევა მოუტანა?.. (იმ ქართველის პიროვნებას შეგნებულად არ ვასახელებთ, თვით მასვე უაღრესი თავმდბლობისა გამო ამის შესახებ არაფრით დაუწერია, ხელონიფილოდა კი!..).

სიტუაციისამებრ, გვახსენდება ერთი ფრთიანი, ბრძნული გამონათქვამი: „ლმერთს არცთუ ცუდად გამოუვიდა სამყაროს შექმნა, მაგრამ ადამიანის შემთხვევაში ხელი მოიკარა...“

შეხსენება ზედმეტია, მაგრამ მაინც, მწერალიც ადამიანია, ოღონდ ჩვეულებრივ მოკვდავზე ზეაღმატებული...

ეს ისტორიაც ლიტერატურის კუთვნილებაა..

მასალები შეკრიბა, თარგმნა და
საკუთარი მოსაზრებანი დაურთო
ოლებ გოლიაძე

როსტომ ჩხეიძე

ლექსის იპით და ფურცლისაც იპით

(შეხვეძე გასიკ ხარავაშლის მატარებულ ძირისთან)

მეტაპოეზიაზე გადაერთობოდა ბესიკ ხარავაული.
ჯერ — „მთავარი გამთამაშებელი“: მეტაპოეტური წიგნი-
კონცერტი.

მერე — „თარგმანი ამერიკულიდან“: მეტაპოეტური ტექსტი.
უანრობრივ დაზუსტებას უტრიალებს?
რაღაც ამგვარია, თუმც ალბათ ყველაზე ზუსტი განსაზღ-
ვრება მაინც ეს აღმოჩნდება: სამედაშენო.

რა უცანური ნეოლიგიზმია? და... საქმაოდ ბუნდოვანიც?
თუმც ბუნდოვანება წამისუმალ გაიფანტება, მთელ ფრა-
ზას მოვისმენთ თუ არა:

— სამედაშენოა ეს წიგნი, მკითხველო!

წიგნი — „მთავარი გამთამაშებელი“, რომელიც განზრა-
სულიყო სულ საკითხავად და საკითხავად, არც დასაწყისი
რომ არ ჰქონდა და არც დასასრული, არცერთ უანრს არ მი-
კუთვნებოდა და არცერთ ლიტერატურულ გემოვნებას, წიგ-
ნი, რომლის დანერასაც უამრავი საუკუნეა ცდილობენ, მაგ-
რა... მხოლოდ დიდი წიგნები გამოსდით...

როგორ შეიძლება გადაგელახა ეს მოჯადოებული მიჯნა?

ალბათ... ალბათ სწორედაც იმ გზის არჩევით, რომ წიგნს
ჰყოლოდა ერთი დამწერი და... არცერთი წამკითხველი, იმ ეთ-
ნოფილიური რომანისა არ იყოს: „სამოცი ჯორზე ამხედრებუ-
ლი რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“.

ეს... რანაირად?

რანაირად და... თვითონ რომ ირწმუნებ, იმ „არარსებული“
მეითხველისთვისაც საზიაროს გახდი ამ მოულოდნელ იდეას.

თვითონ კი მაშინ ირწმუნებ, როდესაც „გადამზრუნ მწე-
რალთა“ რიგსა და ჯარს შეუერთდები, უფრო სწორად... გაე-
მიჯნები, რაკილა მათ მიმართ ირონია და სარკაზმი უფრო გე-
მეტება, მათი, რომელთაც:

— ევინროვებათ აქ და კალამ-ფურცლიანად მიფრინავენ
სხვაგან, მშობლიური სივრცის მიღმა. ჩვენ მათ სახელებსაც
მხოლოდ ნატერით ვახსენებთ. ამბობენ, სადაც დაფრინდები-
ან, იქაურ ენაზეც წერენო, რისი მეაფიო მაგალითიც ქვემორე
წიგნია, რომელიც ამერიკულზე ყოფილა დანერილი — კერის
ენაშერეულად, და მე გადმომეცა ვაშინგტონის „ფორდის“ გა-
ყიდვების მერეჯერისგან, რომელიც აქაურია, ჩვენი სისხლის
და ხორცის და უყვარს თავისა ჰირველადი მიწა.

ეს უკვე მეორე წიგნიდანაა — „თარგმანი ამერიკულიდან“,
კიდევ უცრო ახალგაზრდა არსება რომ გახლავთ პოეტისათ-
ვის, ვიდრე „მთავარი გამთამაშებელი“, რომლის სახელწოდე-
ბათა არჩევისა სან აქეთ მიაწყდებოდა:

— ნათქვამი ბესარიონისა. ნათქვამი ყურით შემეცნე კა-
ცისა. ცას და მინას შორის მანაწნალასი.

ხანაც იქით:

— ნათქვამი თვალით შემკრები კაცისა. დაჭყლეტილისა
ცის და მინს ფურცლებისაგან. კვლავ მანაწნალასი...

ვიდრე არ იფიქრებდა: ეს ხომ სწრაფვაა ჩემი და არა ნამდ-
ვილიო.

და ახლა ამის რკვევას დაინტებდა: საინტერესოა, რას მიი-
ღებდა კაცი სრულყოფილებით.

და დაბეჯითებდა:

— სინაურეს, თამაშის დრო რომ გამოტოვა.

ეს უბიძებდა და... გარეთ გამოვაგდებდა.

ასე გადაწყვეტდა, გამომძვრალიყო ლიტერატურის ტყა-
ვიდან, აენია, აენია და მიეღწია იმ ზღვრისათვის, მეტაპოეზია
სადაც სუფევს.

ესეც ის „გარეთ“:

— ლექსის იქით, ფურცლის იქით, აზროვნების იქით, სა-
ხელშერქმეული გრძნობების და საგნების იქით...

და... ადამიანიც რომ მისახედი რჩებოდა?

ისიც რა, კარგა ნალეჭი არ გახლდათ მწერლობისაგან?

მაგრამ მაინც ხომ შენარჩუნებულიყო მეტადამიანი:

— თავის წარღვნამდელი ხსოვნით... თავისუფლების იქით,
კანონებს იქით, წესრიგს იქით, სოციალურობას იქით — ტექ-
ნოლოგიური ცოდნით აღჭურვილი პირველყოფილი ველური,
რომენის უსაზღვრო გზაზე დამდგარი, რომლისთვისაც ყველა
აზრი დრომოქმულია...

და სწორედ ამ მეტადამიანის ამპავი, მეტაპოეზის სა-
მოსში გამოხვეული, შეგეძლო გეკითხა და გეკითხა დაუსარუ-
ლებლივ, და უკვე რაღა მნიშვნელობა ექნებოდა ან უარსა და
ან ლიტერატურულ გემოვნებას.

და მარტოდენ სამედაშენობა განსაზღვრავდა მის არს-
საც, სულსაც, მის კომპოზიციურ ალანგობსაც, რათა ავტო-
რიც და მკითხველიც ერთად ჩაძირულიყვნენ მის ზვირთთა
ქვეშე წარღვნამდელი მახსოვრობით გულანთებული.

არც დასაწყისი და არც დასასრულიო...

მეტაპოეზის შესაქმნელად რომ შეიმართებოდა ტომას
სატერზბ ელიოტი, ლექსის მიღმა გასაღწევად და იმ მოჯადო-
ებული წრის გადასალახად, იმ გზას იპოვნიდა ფეხის შესადგ-
მელად, ეს აპრა რომ გამოკიდულიყო: შენ დასაწყისშია შენივ
დასასრულიო.

ფრიდრიხის ნიცხეს მიეგნო ამ აპრისათვის, მინაწაყრილი-
სათვის, გაესუფადთავებინა, წარწერაც მკაფიოდ გამოეკაშე-
ბინა და აღმართებითაც აღმართა, რათა ვისაც თვალი ასხდა
ხედვად, ეხილა და განეცადა, განცცადა და... თუნდ მხატვ-
რულ უართა მიღმა გაბრევაც ეცადა რაღაც ახალი, სიმბიო-
ზური ფანრის აღმოსაჩენად, კომპოზიციური ქარგა კი მზამ-
ზარეული ებოძებოდათ — დასასწისში დასასრული და დასას-
რულში დასაწყისი. და მერე უკვე საიდანაც გენება, იქიდან
დაგევლო დარღვეული სიუჟეტისა თუ ცნობიერების ნაკადის
სტრუქტურის ასაგებად.

ამის იქითაც შეიძლება ვითომ გადაბიჯება?

მეტაპოეზისაც თავისი შრეები მოეპოვება?

რატომაც არა ვითომ:

ფინერლოგები ქვეცნობიერს რომ მიაკვლევდნენ და შვე-
ბით ამოისუნთქებდნენ, ადამიანის ხასიათის განუყოფელ
ბირთვს ჩაგვებითო, უეცრად გამოირკვეოდა, რომ ეს ბირთ-
ვიც შეიძლება დაშლილიყო და ქვეცნობიერის ქვეცნობიერ-
საც ამოეყო თავი... და უკვე აღარც ის უნდა გაგვირვებოდა,
რომ ქვეცნობიერის ქვეცნობიერის ქვეცნობიერიც ყოფილი-
ყო შეუჟული და გატრუნული მისი უამის დადგომამდე, და
ამასობაში ქვეცნობიერის ქვეცნობიერის ქვეცნობიერის
დროც მოახლოებულიყო.

სამედაშენოა ეს წიგნი, მკითხველი!

და „თარგმანი ამერიკულიდანაც“ არანაკლებ სამედაშენო,
ვიდრე „მთავარი გამთამაშებელი“.

ეგაა, აქ ისე ველარ გაჲყვებოდა ასოციაციათა ნაკადს, უფრო
მალე გაბეზრდებოდა და იჩქარებდა წერტილის დასმას, თუმც
ეს გაბეზრება რომ არ შეგვემზნია, ფინანსურ აკორდად ამიტო-
მაც ამჯობინებდა სამწერტილს — კომპოზიციური ქარგის ლა-
ობას გარეგნულადადც, გრაფიკულადაც დაადასტურებდა.

ფინალში კი ეს სახეები შემოცურდებოდა ხალხური პოეტური საუნჯიდან:

მორიალე მგელი.

მგორიალე ქაბა.

ესენი ერთსა და იმავეს გულისხმობს — ურთიერთშემსჭვალული საერთოდაც და ამჯერად კი ამ მეტაპოეტური ნაწერის სიღრმეში თავისებური ბილიკის გამკვალავნი....

ფეხისმოსავიდებელი ამ მეტაპოეტურ გააზრებში კიდევ არაერთი მხატვრული სახე თუ მეტაფორაა, ზოგი რეალური და ზოგიც... მოჩვენებითი, და მასაც თავისი დანიშნულება ენიჭება, რათა ილუზიის გაფანტვამ შემოგაბრუნოს უფრო მყარი გზასავალისაკენ... მაგრამ ამ წუთას არ დაგიდევთ არც ამ მხატვრულ სახეებს და არც ამ მეტაფორებს, ფეხისმოვიდებას სულაც არ ვაპირებ და მარტოდენ ერთი პასაჟი მიზიდაგს თავისკენ — თავისთავად თითქოს ბევრი არაფრით გამორჩეული და — მერთალსიუჟეტური თვალსაზრისით — ჩაერთვოდა თუ არ ჩაერთვოდა თხრობაში, დიდი რამ მნიშვნელობა არც ექნებოდა, მაგრამ ავტორისათვის რაღაცით მანაც ძვირფასი... და ჩემთვისაც — ამალელვებელი, რამდენჯერმე რომ მივუბრუნდი კითხვისას; და ამ მეტაპოეტურ ნაწერს ავიდებ თუ არა ხელში, პირველად ამ გვერდებს ჩავტედავ ხოლმე: 107-8.

აქ არის ნახსენები სახელმოვნო კაფე „ამო რამე“.

და მისი მისამართი: ინგოროვას 4.

ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ პავლე ინგოროვას ლანდი ბესიკ ხარანაულის წიგნშიც გაიღვებდა.

მართალია აქ თვითონ ეს დიდებული პიროვნება კი არ იგულისხმება, არამედ მხოლოდ მისი ქუჩა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ქუჩის სახელმოდება ყოფითი რეალობიდან პირდაპირ კი არ გადასულიყო მეტაპოეტურ ქარგაში, არამედ ავტორს თვითონ გამოეგონა?

ინგოროვას ქუჩაზე რომ არ ამოზრდილიყო „ამო რამე“, ნუთუ პოეტი მაშინაც საგანგბოდ აღნიშნავდა მის მისამართს? ბოლოსდაბოლოს, „თარგმანი ამერიკულიდან“ მხატვრული ქმნილებაა და არა სარეკლამო რგოლი, მხიარულ თავყრილობათა მოყვარულნი რომ დააფაცურო და გააჩქარო, არიქა, რაღაც უზევულოს შემსწრენი გავხდებითო.

მაგრამ პავლე ინგოროვას ხსენება სწორედ რომ შვენის სახელმოვნო კაფეს და მიგანიშნებს, რომ ცნობიერი ნარმართავდა ამ კაფის დაარსებას მაინცდამაინც ინგოროვას ქუჩაზე თუ ქვეცნობიერი, რაღაც შემთხვევითობა თუ შინაგანი კანონზომიერება, იდუმალი აუცილებლობით კი გახლავთ ნაკარანახევი.

ამ კაფის შექმნის მიზნად რა ჩათქმულა?

— ვცდილობთ ხალხს ყნოსვა განვუითაროთ, რომ ფერწერაში და ნაწერში უკეთ გაერკვან. ამიტომაა, მენიუ რომ ჰაერში დავიდეთ.

ამასთან, ცდილობენ მოულოდნელი ფრაზებით შეიქციონ მავანი, რათა საერთო ფერხული იყოს.

ვთქვათ და:

— როცა პატრონი სხვაგანაა, შინ არაფერი უკეთდება.

და პოეტს ეჭვიც არ ეპარება, რომ ვინც ამას მოისმენს, მისთვის ეს და ამგვარი ფრაზები ახალი დროის დასაწყისად აღიქმება. — ხომ კარგია?

ასე რატომ ეიმედება და:

— ყნოსვა და სიტყვა და, ორივე გულს ეფინება. მოხვედი სხვა და მიდიხარ სხვა.

და სახელმოვნო კაფის სახელნოდების განმეორებასა და მისამართის მითითებას ზედვე უნდა წაეპას, რომ:

— თუ ადმინისტრაცია თავში შეაღწია, აღმოჩნდება, რომ აქამდის ნახევარი ძალია უვლია. თუ ადამიანი გამოტლანდა, სამყარო დროს განაახლებს და მინიერი კალენდარი სრულიად შეიცვლება. — სად ვყოფილვართ, ვიტყვით ჟველაფერზე, — მინაზე, რწმენაზე, აზროვნებაზე... ვიტყვით — სად ვყოფილვართ? რაც მოხდება მომავალში, ის რომ დღეს მოხდეს, ავფეთქდებით.

ბესიკურ სტრიქონთა მთელი კასკადია.

და კიდევ გვამცნობენ, რომ:

დრო ყოველთვის მიღწევებს მიჰყვება და მხოლოდ ყოყმანი უბორკაგს ნაბიჯს.

და რომ:

აბიტომაც გაქრება ქვეწყობილი წინადადებები და გაჩნდება ახალი სიმბოლოების ენა, რომელიც ერთმნიშვნელოვანი და ზუსტი იქნება.

თავისთავად თითქოს ბეკრი არაფრით გამორჩეულიოთ...

ჩაერთვოდა თუ არ ჩაერთვოდა თხრობაში, დიდი რამ მნიშვნელობა არც ექნებოდაო...

არად, ერთ-ერთი საკვანძო მონაცემთიც კი შეგვრჩა ხელთ მეტაპოეტური ფიქრებისა.

მაგრამ არ ვენა, არ დაგიდევთ ამას ამჯერად.

და თქვენ გაჰყევით ამ გზა-ბილიკს, ფეხის მოსაკიდებელი ხომ მიგანიშნეთ, ჩემი მხრივ კი გაფიხსენებდი ბესიკ ხარანაულს ლია წერილს ზაზა იქუაშვილისადმი, სახალნლოდ შეთავაზებულ იდეას, სახელწოდებით: „კაფე „ეზრა პაუნდი“, გაზე „ჩვენი მნერლობის“ 2003 წლის 10 იანვრის ნომერში გამოვეყუბულს, თავისთავადაც საგულისხმო სტატიას, ღრმასა და ექსპრესიულს, მითუმეტეს, რომ მის ავტორს ორიოდე წერილი თუ დაუბეჭდავს — მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევისას.

რაკიდა:

— ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, კულტურის ღიანა გამოცურებლებისთანავე, ფილოსოფისებსა და პოეტებს, მწერლებსა და მხატვრებს, საერთოდ, არტისტული წარმომავლობის ადამიანებს, თავშეკრისა და ურთიერთდაცხლობის, წარმომოქმედებისა და საკუთარი პერსონის დემონსტრირების საერთო, ურთიერთგადამკვეთი ადგილები ჰქონდათ შერჩეული... აქ მოიწყობდნენ ხოლმე ისინი ბუდეებს, აქ დამკვიდრდებოდნენ, აქ ეძებდნენ და პოულობდნენ ერთურთს.


გამ ჩვენშიც შექმნილიყო ღიატერაცურული და არტისტული საზოგადოების კლუბი, რომლის ბინაც და თავშესაყარიც იქნებოდა კაფე „ეზრა პაუნდი“.

არსებობდა აზრი, იდეა და ფანტაზია, და აბლა შესაფერის პიროვნებების უნდა ედო თავს ამ აბსტრაქტული სამეულის ხორცებსამა.

მაინცდამაინც ზაზა იქუაშვილს რატომ სთავაზობდა ამ იდეას?

უკეთესი აღმსრულებელი არ ეგულებოდა, რადგანაც:

— მეპატრონები ხართ ისეთი გამოცურებისა, როგორიცაა — „ჩვენი მწერლობა“ და „ომეგა“, გაქვთ უმაღლეს დონეზე აღჭურვილი უნიკალური სტამბა „ომეგა თეგი“ და საგამოფენო



ბესიკ ხარანაული

თარგმანი ამერიკულიდან

ვაჟა-პეტრე
ნახიშვანი

ინგოროვა

დარბაზი, ხართ არტისტული სამყაროს დამფუძნებელი და მე-
გობარი...

მართლაც ამგვარ კაცს თუ შეექლონ ისეთი არტიტატული გარემოს შეემნაც, რომელიც ბესიკ ხარანაულის წარმოსახვას წინასწარვე ასეთ ფერებში დაეხატებოდა: თავისუფლებისა და სილალის სუნი უმაღლ შემოგეგებებათ და წაგიძლვებათ მყუდროდ მოწყობილ სავანეში, სადაც მაგიდებს თავთავის გემოზე უსხედან მნერლები, მუსიკოსები, მხატვრები, მსახიობებიო.

დანარჩენი კი... დანარჩენი ლექსისა და მოთხოვბის, მოგონებისა და მომავლის საქმე გახლდათ.

მართლაც ამგვარ კაცს თუ შეეძლო და, კიდევ მალევე შეეძლო და ქართული კულტურული ცხოვრების მდინარებას სახელმოწმო კლუბი „ომეგა“ — თავისი განშტოებებითაც, კიდევ რომ უნდა მომდლავრებულიყო და გამრავალფეროვნებულიყო, თუკი ცველაფერი ბუნებრივად წარიმართებოდა.

მაგრამ სამთავრობო გადატრიალება (ვარდების რევოლუციად მონათლული) და ქვეყნის სათავეში ანგლიეროვნული და ან-ტიპუმანური გუნდის მოსვლა მძიმედ დააჩნდებოდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო რეალობას, ახალმოწევთა ანგარებიანი, წართმევა-მისაკუთრების უინით ანთებული და ლიბერალური გლობალიზ-მით შთაგონებული პოლიტიკა კი ყველაზე უზინარეს „ომეგა ჯგუფსა“ და მის სანარმოებსა და წამოწებებს დაატყდებოდა თავს, მათ შორის კი — გაზეთებსაც („ახალი ეპოქა“, „ჩვენი მწერლობა“), უურნალსაც („ომეგა“), ტელეკომპანიასაც („იბერია“)... და სახელმოვნო კლუბსაც თავისი განმტკიცებიანად.

დაზარალებით ძალიან დააზარალებდნენ, თუმც მის მისაკუთრებას კი ვერ შეძლებდნენ... მერე კი თანდათანობით კიდეც აღდგებოდა „ომეგა ჯგუფი“ ფენიქსისებრ...

ბესიკ ხარანულს რომ დასჭირდეს ამ დრამატული მოვალენის პოეტური განსაზღვრება, სწორედ ამ ხატოვან გამოთქმას მოიძველიებს: ფენიქსისებრ აღდგაო... და მე მხოლოდ ნინასწარ ვახმოვანიბ.

ამასობში ამ იდეასა და წამონებებას სხვანი გადაიღებდნენ
და არაერთი ლიტერატურული კაფე გაჩნდებოდა თბილისში,
ეგაა, მის მეპატრონებს არაფრისიდიდებით არა სურდათ პირ-
ველამომზების ვინაობის გამჭღავნება და იდეასაც და მის
ხორციშეს ხმასაც თავთავისთვის მითვისებდნენ.

და აი „ამო რამეც“ უნდა შემატებოდა სახელოვნო კაფეთა
ამ მწერივს, იდეას ახლა ამ გზით ეპოვნა გზასავალი, და ახლა
აქაც უნდა გეგრძნო ყნოსვა და სიტყვა — გულმორსაფერნად, და
ის მოულოდნელი ფრაზებიც მოგესმინა, ახალი დროის და-
საწყისათა რომ შეიძლება მოგაწვენოს.

三三三

მეტაპოზის იქითავს შეიძლება ვითომ გადაბიჯება?

რაღაც ამგვარს რომ უტრიალებს ბესიკ ხარანაული, ამი ტომაც მოწყურებულა ისტი წიგნის შექმნას, ერთი დამწერი რომ ეყოლებოდა... არ/კრთი წამკითხვილი.

მაგრამ ის „რაოდაკ“ რომ მაინც აკლია თვით ამ განზრახვასაკ?

କିମ୍ବା କିମ୍ବା

ტრიადა ცეკვისა და ქულონისა მათგან ასე ისინ უცალდებით ინა-
გის გამოხატულება-დადასტურება გახლდათ პოეტურ წარ-
მოსახვათა დღომა... თავის შიშველ ძლევბზე.

უფრო ძირევლ იცლებზე დგომა კი რაღა უხდა იყოს, თუ არა სწორედ აძგარი წიგნის გადაელვება — უავტოროსი და ერთადერთი წამკითხველის ანაბარა!..

ის ერთადერთი მკითხველი საქებნელი ნამდვილად არავის ეყოლება — არც ბესიკ ხარანულს და არც სხვა შემოქმედს, მეტა-პოლიტიკის კიდევ უფრო მეტაპოლიტურ სილრმეში ვინც ჩაყვინთავს.

ისედაც რაღაც ამგვარის გაცნობას ვნატრობ რამდენი ხანია...

ნანა ადამია-ხურცილავა სიტყვა, გონიერა, სული ტრაგედიაში „ემპედოკლეს სიკვდილი“

მარტო ყოფნა ღმერთების გარეშე სიკვდილია.
ჰოლდერლინი

პოლდერლინმა „ემპედოკლეს სიკვდილის“ პროექტი დაიწყო იდეალისტური პერსპექტივიდან გამომდინარე. ეს იყო ისტორიულ-ფილოსოფიური მოდელი. პეტრი ასახავს ისტორიული განვითარების პროცესს. ტრაგედიაში გაუცხოება და დაშორება უერთდება მაღალ ერთიანობას, რომელიც ერთ მთლიან კოსმიურ მოდელს ჰქმნის.

„ემპედოკლეს სიკვდილის“ პირველი ორი ვარიანტი თითქ-
მის იდენტურია. ემპედოკლე მიჰყვება თავის შექმნის ინს-
ტინჯტის. მან ბუნებასთან ერთად დატოვა პირველებმნილი ჰარ-
მონია და გაუცხოვდა. კრანცის აზრით, ემპედოკლეს სახის
კონცეფცია იდეალურია. ის ემპედოკლეს განსაკუთრებულო-
ბას „უსასრულო ბუნების“ ერთოანობით სხსნის. ტრაგედიაში
საზღასმულია პარტნიორთა სახე — გარკვეული აუქტებითა
და მოვლენებით, რითაც ისტორიულობასა და კონკრეტულო-
ბას მისტიკურ გააზრებაში ფიდი უბირატისობა ენიჭიბა.

ფილოსოფოსმა ფიკონ ენა განმარტუა ამგვარად – „ენა ერთ-დროულად დგას სულსა და სხეულს შორის“. ადამიანი სხვა არა იყო რა, გარდა „სულის, სხეულისა და ენისა“. ენა და სული ჰოლდერლინისათვის არის ქვეშარიტება, რომელიც დგას (ღია აობაში) ადამიანსა და ბუნებას შორის. ჩვენ აქ ვეხებით ენობრივი გაგების ცენტრალურ ადგილს, როგორიცაა ენის მოძრაობა სულსა და სხეულს შორის. ჰოლდერლინი, როგორც პოეტი და ფილოსოფოსი, ენას ალიექსამს ბუნების ნატეხად, აქედან გამომდინარე, კვლავ უბრუნდება თავის შემოქმედებაში ტექსტის პირველსაზრისას. ტრაგედიაში ხაზს უსვამს თანამედროვეების პოზიციას. „ემპედოკლეს სიკვდილში“ მიღებულია აზრი „ნებაყოფლობითა სიკვდილის“ შესახებ, რომელიც უერთდება

„In heilige Flammen“ — „დვთიურ ცეცხლს“. მისი სიკვდილი საჭირო გზაა, ეს განსაკუთრებული პიროვნება „Allnatur“ — „დიადყოვლადობა“—ს უერთდება.

ჰოლდერლინი თავისი პოეტური მეტყველების სფეროში ქმნის საკუთარ მსოფლებელას. ტექსტში ლადადა წარმოჩენილი ავტორისა და დრამის გმირის ინდივიდუალურობა. პოეტი აცალებს ისტორიულ და გონიეროვი სისტემას და კონკრეტულ-რელიგიური ისტორიული მოცემულობისაგან განსაკუთრებული ლირებულების ტექსტს ქმნის, რომელიც ამ დრამაში ახალ რეალობად განიხილება.

ჰოლდერლინმა ტრაგედია „ემპედოკლეს სიკვდილი“ საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა, ანუ თვით გმირმა, „მზგაობრიბის“ ადამიანნს ემპედოკლემ თავისი თავი მეაცრად გააკრიტიკა „დვთაებისადმი ინტელექტუალურ სიყვარულში“, რომელიც ბარუხ სპინोზას ეთიკის თეზისია. პოეტი „ემპედოკლეს“ სიუჟეტურ ხაზში ასახავს გმირი პროტაგონისტის ცოტომილების გზით სავალ ბილიკს. შენაიდერის აზრით, „ადამიანმა უნდა დაძლიოს მისი განსაკუთრებულობა“, — რომელიც დიდი დოზითაა მოცემული ემპედოკლეს ტრანსცენდენტურ სუბიექტში. ემპედოკლეში თრი სფერო იკვეთება — გონი და განსჯა. ყოველ ადამიანში არსებობს შეგრძებისა და გაგების უნარი. ემპედოკლე დრამის დასაწყისში უფრო ადამიანურ საწყისებზე დგას. იგი თავისი იდეებით (შემდეგ პიროვნული თვისებებით) აღზევებულ იქნა და გახსა ძლევამოსილი ადამიანი. პირდაპირ რომ ვთქვათ, გაკადინერდა. ემპედოკლეში იმდენადა ჩადებული „მზგაობრიბა“, შეუძლებელია მას ჰერნდეს ჯანსაღი სამშვინველი. მართალია, თავდაპირველად ვერაფერს ხედავს, მაგრამ შემდეგ იღვიძებს გონი, რომელსაც ძალუს განჭვრიტოს ემპედოკლეს სულში განვიხილი დავითაული აზრის გაცხადება.

ემპედოკლეს ბუნებიდან გამომდინარე, ისეთი აზრი გვრჩება, რომ ამ ცდომილების მიღმა, ემპედოკლეს სამშვინველსა და სულში მოქცეულია მისი კეთილი საქმის ქვესაზრისები, ემპედოკლეს კეთილი საქმე მიმართული იყო „მეს“ და სამყაროს შერიგებისაკენ, თუმცა ვერ შეძლო ამ საქმის განვრცობა. იგი განსახიერებაა ახალი ადამიანისა, მისი სული უკვე რეალობისაკენ ილტვის, მთლიანად გარე-მატერიალური სამყაროს შემეცნებისაკენ არის მიმართული. მისთვის ფასეულია მხოლოდ რეალობისაკენ სწრაფვა. ჰოლდერლინი სწორედ ამგვარად აფასებდა ემპედოკლეს პერსონაჟს.

ნაწარმოების განხილვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ჰოლდერლინისათვის დამახასიათებელ კომპოზიციურ სტრუქტურას. საინტერესოა, თუ როდის და როგორ ვითარებაში დაინერა ეს სულიერ-ინტელექტუალური და მეტად ემოციური ტრაგედია, რომელშიც ასახულია თანამედროვე ტრაგედიის ემოციური და სულიერ-გონიეროვი ტენდენციებიც, ნარმოდებნილია მკაცრი რეალექსები, რომლებიც საზრდოობს ბერძნული სულიდან, როგორც „ნამდვილი თანამედროვე ტრაგედია“.

ჰოლდერლინი ბიოლენდორფისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს: „შენმა კეთილმა გენანამ შემაძლებინა, რომ დრამა უფრო ეპიკურად გადმომეცა“. აქედან იწყება ჰოლდერლინისათვის „ნამდვილი თანამედროვე ტრაგედიის“ სივრცის შექმნა. ხოლო „ჩვენთან“, ჰოლდერლინის აზრით: „უბრალოდ ტრაგიული არის ის, რომ ჩვენ რაღაცნაირ ყუთებში ვართ გახვეულნი, გამოცლილი ცოცხალთა საუფლოს“. ეს წერილი თითქმის მთლიანად ეხება ტრაგედიას, ბედისნერულ სიკვდილს. იგი თავისი გმირთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ღმერთს. პოეტს სურს ტრაგედია სრულად

წარმოაჩინოს. მასში ღმერთი და ადამიანი ერთმანეთს უახლოვდებიან. ქრისტიან გოტფრიდ შეუტკისადმი მიწერილ ბარათით ვეცნობით პოეტის ნააზრევს „პერძენთა ხელოვნებაზე“. სიმარტოვში ყოფნა მას გადაატანინა ბერძნების დიდმა სიყვარულმა, რომელიც მხსნელად და „მეგობრად“ ექცა.

ჰოლდერლინი „თავისი არსითა და ენთუზიაზმით“, „პოეტური ხელოვნებით“ უახლოვდება ღმერთს. „პოეტური ხელოვნება“ არის „მხიარული ღვთისმასახურება“, „ღმერთების ადამიანებად“ და „ადამიანების ღმერთებად“ ეცევა. ჰოლდერლინისათვის ესაა „unlautere Idolatrie“ — არანშინდა იღლოლატრია (ბერძნული სიტყვაა და ნიმუშავს კერპთაყვანისმცემლობას), მას მხოლოდ ღმერთებისა და ადამიანთა ურთიერთდახსლება შეეძლო, ბერძნული ტრაგედია აჩვენებს ამ „უკიდურეს დაპირისპირებულობას“. საყურადღებოა ამ წერილის კიდევ ერთი ადგილი, რომელიც მეტნაკლებად ეხმაურება ემპედოკლეს სულს, სადაც ღმერთისა და ადამიანის ერთყოფა იწვევს რაღაც გამოიუთქმელს.

აზრის გასავრცობად მოვიყენოთ განსაკუთრებული ერთ პასაუს. „ღმერთი და ადამიანი ერთი ჩანს, ამიტომ ბედისნერაც ერთია. ეს ადამიანის თვინიერებასა და სიამაყეს იწვევს, საბოლოოდ ერთმხრივ ჩნდება ზეციერთა თაყვანის-ცემა, მეორე მხრივ კი განმნენდილი ზნე, როგორც ადამიანის საკუთრება“. ეს ნააზრევი აღბათ მაშინ ჩაისახა პოეტის გონებასა და სულში, როცა მისთვის ტრაგედია „ემპედოკლეს სიკვდილი“ ფაქტობრივად „სიტყვებად“ იქცა და პოეტმაც ეს შესაძლებლობანი ზუსტად გამოიყენა.

ეს წერილი, რომელიც შიუცისადმია მიწერილი, ძალიან გვეხმარება, რათა უფრო ღრმად გავიაზროთ ემპედოკლეს სულის გამოძახილი და განვისაზოთ იგი მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ქრისტიანული თვალთახედვიდან გამომდინარე, განკითხვა უდიდესი ცოდვაა. განსჯა კი დაგვეხმარება ემპედოკლეს პიროვნების წვდომაში. ნოიფერისადმი მიწერილ ბარათში ვკითხულობთ, „რაღაც ერთი თვეა, რაც აქ ვარ. მშვიდად, ჩემი ტრაგედიის წერით ვარ დაკავებული. სინკლერის გარემოცვასა და შემოდგომის მშვიდიერი დღეების ტკბობაში ვცხოვრობ“.

რაც უფრო ვუღრმავდებით პოეტის სულს, მით უფრო ვხვდებით, რომ ყოველი ნაწერი, იქნება ეს წერილი თუ ლექსი, ჰიმნი თუ ოდა, პროზა თუ თარგმანები, წლების მიხედვით უკავშირდება მის ტანჯულ სიცოცხლესა და ცხოვრებას. „ემპედოკლეს სიკვდილის“ წერის მისტიკური ისტორია ქრონოლოგიურად უკავშირდება მეგობრებისადმი მნერილ წერილებს. ჰოლდერლინმა სეტემბრის ბოლოს, 1798 წელს დატოვა გონითარების სასახლე და გაჟყვა თავისი მეგობარს — სინკლერს — ჰომბურგში, რადგან აუტანელ ტკივილს გრძნობდა. სიცოცხლეში პირველად მხოლოდ თავისი საქმით იყო დაკავებული. მთელი ხანგრძლივი დრო შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვნა. ამ ნახევარ წელინაში აღმოცნდა ტრაგედია „ემპედოკლეს სიკვდილის“ სამი ვარიანტი.

ჰოლდერლინი დიდი ისტატობით ხატავს ემპედოკლეს ცხოვრებასა და მიღვანებობას, მის პიროვნებას, უკვირდება მის აზრებსა და შეხედულებებს, უახლოვდება მის ფსიქოლოგიას, ინტელექტუალურ და შინაგან ემოციურ სამართლის. პოეტმა ემპედოკლე თავისი გულთან ახლოს მიიყვანა. და მაინც, ვინ იყო ემპედოკლე? ემპირიული რეალობისაგან დახულების სივრცეში ჩაეტილი პიროვნება! ემპედოკლეს ცხოვრება, ერთი შესედვით, გაჩერდა. იგი ხალხითაა გარშემორტყმული, მას უყვარს ხალხი. ემპედოკლეს სულიერ ცხოვრებაში გამოკვეთილია მისი დამოკიდებულება პოლიტიკურ შეხედულებათა მიმართ. ტრაგედიაში ინტუიციით ვწვდებით ემპედოკლეს ფიქრთა დინებას, სილრმისეულ ფაქტებს. ტექსტი მისი თავმოყრილია ხალხური აზრები, რომელიც მოდის ცხოვრებიდან.



ფრიდრიხ ჰოლდერლინი

მურმან ჯგუბურია

სოლოლაკის მიმზიდველი კიბე-აივები

სოლოლაკი, სოლოლაკი, გაცვეთილი კიბე,
მასპინძელი ფიქრიანი, ცარიელი ჯიბე...

აქ მსგავსია უფლისწულის და მემანვინის წილი,
ვით მსგავსი ვართ დიდ-ჰატარა, როცა გვაწევს ძილი.

აქ პუშკინის ლანდს დაპყვება ლერმონტოვის ლანდი,
ლანდი ნიკო ნიკოლაძის და ილიას ლანდი.

ლანდი შალვა დადიანის, ესენინის ლანდი,
გოგლას ლანდი, ტიციანის, მანდელშტამის ლანდი.
აქ თამადობს ლანდთა წყებას იაშვილის ლანდი.

აქ გერონტის მისდევს გვერდით ინგოროვა ჩანთით,
მხოლოდ გალას ახლავს მარტო საკუთარი ლანდი.

აქ წრიალებს ციბულევსკის, ოკუჯავას ლანდი,
ბელა ახმადულინას და მეჟიროვის ლანდი.

ზოგიერთ ლანდს ვერც შეამჩნევ, ხოლმე ისე ბნელა,
დრო-ჟამია იმდაგვარი, ვით ჰქუებს, ისე ელავს.

შევუბეროთ სანთელს სული და მივეცეთ ფიქრებს,
დაძრნის ლამე, ვით ჯაშუში, და გზას ბნელშიც იგნებს,
ზოგს დახოცავს კიდეც, მაგრამ, ვერ დახოცავს წიგნებს...

ეს პრიმიტიული ლექსი, ძვირფასო მკითხველო, რუსი კოლეგა-პოეტის ვლადიმერ გოლოვინის ახალო-ახალმა წიგნმა მიკარნახა. მისი გავლენით შეიქმნა. თუმცა, რა დასა-მალია და, ამ წერილის ავტორი სხეათა გავლენა-მიბაძვას არაა ჩვეული („მე ისევ ახალ უბის წიგნაკას ვავსებ ლექსებით, თვით გალაკტიონს ლერ სიტყვასაც არ ვესესხები“).

აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ ამ ჩემი წერილის სათაურთან შედარებით, ვლადიმირ გოლოვინის წიგნის სახელწოდება მეტი რეალობისა და სიზუსტის მომცველია:

„Завлекают в Сололаки Стёртые пороги...“

Стёртые გამომრჩა, როგორც ხედავთ, ამ წერილის სა-თაურში ვერ ჩამეტია. „გაცვეთილი“ რომ ჩამენერა, „მიმ-ზიდველი“ ამოვარდებოდა, „მიმზიდველი“ რომ დავტოვე, „გაცვეთილი“ ამოვარდა. და მაინც, ნეტავი მე ვიყო მართა-ლი და არა ვლ. გოლოვინი. ნეტავი მართლა მიმზიდველი იყ-ვნენ-მეთქი ანინდელი სოლოლაკის კიბე-აივნები. მაგრამ, ვაი რომ ასე არ არის, რასაც გვიდასტურებს ამ წიგნის რე-დაგეტორის ალექსანდრე სვატიკოვის მიერ გარეკანზე გამო-ტანილი სოლოლაკის ერთ-ერთი სახლის კიბე-აივანი.

„Стёртые пороги“...

ვლ. გოლოვინმა შექმნა არაჩვეულებრივი წიგნი, რასაც ქვესათაურად მიუსადაგა „სოლოლაკის ლიტერატურული ყოფიერების“ ფურცლები. ავტორი ზედმინევნით იცნობს სოლოლაკს, სოლოლაკის მკვიდრ მნერლებს (ქართველებს, რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს), იმ მნერლებს, რო-მელთა სახელობის ქუჩებითაა დასერილი ეს ძეველი უბანი.



ვლადიმირ გოლოვინი

აი, მათი სახელები: პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ლადო ასათიანი, ლევან გოთუა, გერონტი ქიქმეძე, პავლე ინ-გოროვა, შალვა დადიანი, შიო ჩიტაძე, მიხეილ ლერმონტო-ვი, გალაკტიონი, ივანე ბაბაძელი, დანიელ ჭონქაძე...

სოლოლაკის სტუმრები იყვნენ სხვადასხვა დროს: ალექ-სანდრე ჭავჭავაძე, მიხეილ ლერმონტოვი, ალექსანდრე გრი-ბოედოვი, ალექსანდრე პუშკინი, ოსიპ მანდელშტამი, რიუ-რიკ ივწევი, სერგი ესენინი, ვლადიმირ მაიაკოვსკი, ოვანეს თუმანიანი, იური ტინიანოვი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ირაკ-ლი ანდრონიკაშვილი, ვალერი ბრიუსოვი, ბულატ ოკუჯავა, ბელა ახმადულინა... აქვე უცხოვრიათ მცირე ხნით ნიკო ნი-კოლაძეს, ლესია უკრაინკას, ჩვენს თანამედროვე პოეტს — ალექსანდრე ციბულევსკის, ნიკოლოზ შენგელაიას, ნატა ვაჩინაძეს, ვლადიმირ სოლოგუბას...

რამდენი ვინმე კიდევაც გამომრჩა ალბათ, როგორც გა-მორჩა თვით ამ წიგნის ავტორს, სოლოლაკში, ლადო ასათი-ანის სახელობის ქუჩაზე ცხოვრობს სახელოვანი ენათმეც-ნიერი, ჩვენი უფროსი მეგობარი ბატონი რამაზ პატარიძე. სოლოლაკელი იყო აგრეთვე პოეტი და მეცნიერი მიხეილ ქურდიანი. სოლოლაკელები იყვნენ ჩვენი წასული მეგობრები: ვლადიმერ სიხარულიძე და გურამ სხირტლაძე. ვოვას „მეათე მონმემ“ და გურამის „ბებერმა ცაცხება“ თავის დროზე ქართული პროზის მოყვარულნი კარგა ხანი აალა-პარაკეს.

ახლა კი, აი, რა მინდა ვთქვა:

როგორც ერთ-ერთ რიგით მნერალს, ზემორე ჩამოთვ-ლილ შემოქმედებან, შეიძლება ითქვას, პატარა ძაფი მც მაკავშირებს.

„ყველა თავის ხავს ეჭიდება“ (აკაკი განერელია).

თარგმნილი მაქს პუშკინის რამდენიმე ლექსი და ორი პოემა: „გრაფი ნულინი“, — დაიბეჭდა უზრნალ „საუნჯეში“, „ევგენი ონეგინი“, რაც ალბათ ოდესმე დაიბეჭდდება.

თარგმნილი მაქს ლერმონტოვის ლექსი-შედევრი „ვა-ლერიკი“, „კაზაკური იავნანა“ („ლიტ. საქართველო“). ლესია უკრაინკას ერთი ლექსი და ალექსანდრე ციბულევსკის რამ-დენიმე ლექსი.

მიძღვნილი მაქს ზემორე მოხმობილი შემოქმედები-სადმი სხვადასხვა დროს საკუთარი ლექსები და წერილე-ბი, ესეები, რომელთა ადრესატები არიან: ალ. გრიბოედო-ვი, გალაკტიონი, ოკუჯავა, ციბულევსკი, ესენინი, ნატა ვაჩინაძე.

ნატა ვაჩენაძეს

სანთელო, ხატის წინ და
ელვავ, დამწვარო გზაში,
მოპრძანებულო ციდან,
ნაპრძანებულო ცაში.

მაგრამ მივუბრუნდეთ ამ წიგნის ავტორს, ვლ. გოლოვინს, რომელმაც დიდი ენერგია შეალია ამ კრებულის შექმნას, იმის მოძიება-მოხელთება-გამოჩენას, რაც გაქრობის პირზეა მიმდგარი, რასაც მაღლე ვერც მოვიძიებდით, ამიტომაც იყო საშური მსგავსი ყაიდის წიგნის შექმნა. ანუ, პოეტმა შექმნა წიგნი პოეტებზე, ლიტერატურასა და ლიტერატორებზე.

**Свидетельствует вещий знак,
Поэт поэту есть кунах.**

ზუსტი გამონათქვამია, ერთად-ერთი სიტყვა რომ არა — „кунах“, — რაც ქართულს არ ენათესავება, ესენინის ლექსის სათაური გახდავთ „საქართველოს პოეტებს“, მაგრამ უცთომელი ვინაა ამ დედამინის ზურგზე და წავინიოთ წინ.

ვლ. გოლოვინმა, შეიძლება ითქვას, თითქმის ერთ დონეზე იცის ქართული და რუსული პოეზია, მისი ასაგის-გასაგისი. მისაბრუნ-მოსაბრუნი.


**ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს.**

დავწერე ეს და გავიფიქრე, ალბათ აჯობებდა ამ წერილის სათაურად გალაკტიონის ეს გამონათქვამი გამეტანა.

ვლადიმირ გოლოვინს უყვარს ძველი სოლოლაკი, მისი გაცვეთილი კიბე-აივნები, რიკული და მანდალიონი, მაგრამ უფრო მეტად უყვარს იმ კიბე-აივნის მიღმა მობინადრენი, სადაც ერთმანეთს უსაუბრების ქართველი და რუსი პოეტები, ერთმანეთს უკითხავენ თავიანთ ნახელავებს. „სამოვარის“ გარშემო, როგორც ინატრა ფიროსმანმა და ისმის ლამეში მათი მუსაიფი. გარეთ სხვა დროა, კაგებეს მახვილი თვალი აქვს მიბჯენილი აივნიანი სახლისათვის. სხვადასხვა სახლისათვის. სხვათაშორის, ბერიას ბუნაგი და მწერალთა სასახლე გვერდიგვერდ მდებარეობენ. საუბარი კი არ წყდება, რა სითამამემაც კიდევაც შეინირა ზოგიერთი მათგანი — პაოლო იაშვილი, ესენინი, მაიაკოვსკი, მანდელშტამი, ალექსანდრე ციბულევსკიმ 8 წელინადი მოიხადა, ტიციან ტაბიძე — გაქრა. ციბულევსკი ციხიდან გამოვიდა და შეუყვა საყვარელ ქუჩებს. „საკვირველი სახელებია, არა?“ — მეკითხება საშა ციბულევსკი — „კარუსელის სისტემა“ „ვინწყი პიდემ“, — ამ „დვინის აღმართზე“ გიუდებოდა, სვამდა კიდეც. ციბულევსკის სტუმრობდნენ ა. მეუიროვი, ბელა ახმადულინა, იან გოლცმანი, მიხეილ სინელნიკოვი, ჩემი ლექსების კრებულის მთარგმნელი ლეონიდ ტიომინი, რომელმაც ანდერძად დაიბარა, საქართველოში დაემარხათ.

**Жил на свете лёнка Тёмин,
Не писал стихи про дёмен...**

ეს მგონი, ს. მარშაკის გამონათქვამია, ზუსტად არ ვიცი...
საშა ციბულევსკის ახლო მეგობარი იყო ბულატ ოკუჯავა.



ვლადიმირ გოლოვინს ამ წიგნში მოაქვს ბელა ახმადულინას ლექსი, რაც ეძღვნება შურა ციბულევსკის და გია მარგველაშვილს. ბევრი მეგობარი მიბოძაო ღმეროთმა, წერს ბელა, მაგრამ შურასა და გიას დონეზე არავინ არ შემიყვარებსო.

მე თითქმის მთელი 5 წელიწადი ვცხოვრობდი ბერედელკინოში, მნერალთა შემოქმედებით სახლში, რომლის წიაღშიც არის გაშენებული ბასტერნაკის, ჩუკოვსკის, ოკუჯავას, ევტუშენკოს მუზეუმები.

მოსკოვი წიგნის ქალაქია. მარტო ის რად ღირს, რომ მოსკოვში არსებობს სადლელამისო (24 საათიანი) წიგნის უზარმაზარი მაღაზია, რაც ჩვენთვის ფიქრიდანაც კი არის შორი. ჩვენ წიგნის მაღაზიებსა და ბიბლიოთეკებს ვაუქმებთ, წერს ვლ. გოლოვინი, სუპერმარკეტებს ვამჯობინებთ.

ერთხელაც, სადლელამისო წიგნის მაღაზიაში შევიძინე მარსელ პრუსტის არამარტო მარსელ პრუსტის, არამედ ათეულობით გენიალური წიგნის, მათ შორის „დონ კიხტოის“) მთარგმნელის ნიკოლოზ ლიუბიმოვის ტომეულები (მოგონებები, წერილები, ესეები, გამოკვლევები). ლიუბიმოვს მოაქვს ერთ-ერთ წერილში პალლიატვილის ცნობილი ლექსი „და მღერის, მღერის კალამის წვერი, კალამის წვერი, ბულბულის ნისკარტი“, — ამ ლექსის პასტერნაკისული თარგმანი, წარმოუდგენელი ხელოვანებით შესრულებული და იქვე დასძენს წერილის ავტორი, რომ პასტერნაკის პოეზია დიდად არის დავალებული ქართველი პოეტების შემოქმედებით. ლიუბიმოვის კვალიბაზე, ვლადიმირ გოლოვინი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ბალმონტის, მანდელშტამის, ზაბოლოცკის, ტარკოვსკის თარგმანებზე.

რამ დამავიწყა!

ვლადიმირ გოლოვინი დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებს ვახუშტი კოტეტიშვილსა და ლევან ჭელიძეს.

ორივე მათგანთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა. ვახუშტის „ჩემს თავგადასავალზე“ ესეი მაქვს მიძღვნილი, ცხონებულ ლევან ჭელიძესთან კი ნარდის მღერაში და პოერის თამაში ღმერები გვითენებია.

ვატყობ, ეს ჩემი წერილი წვეთია იმასთან შედარებით, რა მდინარესაც გაუქრა კალაპოტი ვლ. გოლოვინმა.

მაგრამ, რაც არის, არის. მე ჩემთვის მახლობელსა და ნაცნობ გარემო-ვითარებაზე გავამახვილე ყურადღება. სხვა კიდევ — თავისას გამოარჩევს. წიგნი ხომ ერთადერთი მკითხველისათვის არ იწერება.

სამაგალითო წიგნი შექმნა რუსმა პოეტმა, რომლის გამრავლება-გავრცელებაზეც თავადვე მიგვანიშნებს.

„მსგავსი წიგნები უნდა შეიქმნას დედაქალაქის სხვა უბნების შესახებაც“.

ვლადიმირ გოლოვინმა სოლოლაკის ისტორია იცის-მეტქი. არამარტო სოლოლაკის ისტორია იცის ჩემების რუსმა კოლეგამ, არამედ იცის მთელი ჩემი ისტორია (წვეთში ზღვა იგულისხმება), იცის ჩემებული ზნე-ხასიათი, იცის, რომ რუსთაველის საფლავი არ ვიცით, იცის, რომ ფიროსმანი დავეარგეთ დუქნის კარებთან, მაჩაბელი სახლის კარებთან. იცის კიდევ სხვა ბევრი რამ, რასაც ხაზგასმით არ გვეუბნება, მაგრამ იგრძნობა, რასაც გვიდასტურებს სწორების წიგნი, ანუ ანდერძად დაიბარა, საქართველოში დაემარხათ.

„Завлекают в Сополаки стертые пороги.“

და კიდევ:

„სასარგებლო საუბარი“ — რუსთაველის გამონათქვამია.

მაკა კვერენჩილაძე-კარტაიზერი

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣାମ୍ବଦୀ ସାହିତ୍ୟବିଜ୍ଞାନ ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତା

ჩიკაგო-სტამპოლი-თბილისი

ერთი რამ ვიცი დანამდგილებით: სახლი, ამერიკის კონტინენტზე, დავტოვე სამშაბათს, 11 თებერვალს, სალამოს 7 საათზე.

არავის ეცალა, ამიტომ აეროპორტში წასაყვანად მანქანა გამომიძახეს. მძღოლი ქალი აღმოჩნდა, რომელმაც ისე მსუბუქად დაავლო ხელი ჩემ დატენილ ჩემოდნებს, თავი უსუსური მეჩვენა.

სახლში მდევალივით შემორჩენილი სანდრო მეცნუტება, მეც ვეცნუტები, მისურვებს კეთილ მგზავრობას და....

გზა აეროპორტამდე ერთი საათია. მე და მძღოლი ვინწყებთ საუბარს. მთელი თავისი ცხოვრების დეტალები გამიზიარა, გული გადამიშალა. მე რა მადენიმე გასამსნევებელი სიტყვით შევაძე, მოვუნიონე ცხოვრებაში მიღებული გაბეჭული გადაწყვეტილებები. საუბარმა მოიტანა და ვუთხარი, იმაზე ფიქრმა თუ რომელ ქვეყანას ვეკუთვნოდი, წიგნი დამანერინა მეტე. ამან უცებ გამოახალისა ადმინისტრაციის მიერთო?

დამშვიდობებისას წიგნის დაწერა უსურვევ. აშკარად ეტყობოდა, მისი გული იმედის რაღაც ახალი ნაპერნკლით იყო ანთებული...

ბარგი ჩავაბარე და უსაფრთხოების კამერებისკენ წავე-
დი. ჯარისკაცული ტემპით ვმოქმედებ, თუმცა ბევრი მგზავ-
რი არაა ჩემ უკან და მიხარია: მოძრავ რეზინაზე დავდე ჩე-
მოდანი, ამოვილე ლეპტოპი, დავდე ცალკე პლასტმესის ჯამ-
ში. გავიხადე პალტო. რეზინა ტრიალებს და მიაქვს ჩემი ნივ-
თები. ამერიკის უსაფრთხოების წესების მიხედვით, მგზავ-
რებმა ფეხსაცმელი უნდა გაატარონ კამერაში. ჰოდა, ახლა
ჩექმას ვიხდი. ერთი გავიხადე, დავდე, მეორეს ჯერია...

უპს! ვაიმე...ჩექმას ვერ ვიხდი. სილამაზე მსხვერპლს მოითხოვსო. აპა, ბატონი. ახალი ჩექმა მაცვია და ჯერ გამოც-დილება არ გამარინია. თურმე ვერ ვიხდი. აშკარად კაი პირი არ უჩანს. უაზროდ ვუცინი შავკანიან გოგოს, რომელიც ცი-ვი თვალებით უყურებს ჩემ ტანჯვას, თუ როგორ ვერ ვიღებ ჩექმიდან ფეხს. ცოტა არ იყოს გული მისკდება: „ვაიმე, რომ ვერ გაიგიათო, რა უნდა ვჭინა?“

ოფლო მასხამს და უკეთ აღარც მადარდებს, ვინმე თუ მიყურებს, მთავარია, გავიხადო. უჰ, როგორც იქნა!

მალე ჩიკაგო-სტამბოლის რეისზე დავვაკექი და 10 საათის ფრენის, ერთი ფილმის (ფილმი საუკუნეა არ მინახავს) და ძილის შემდგა სტამბოლის აეროპორტშიც დავვაჭვი.

მშობლიური კონტინენტია მაინც და მიხსრია. მართალია,
7 საათი აქ უნდა გავატარო, მაგრამ ვინ ჩივის?!? 7 საათი არა-
ფერია საქართველოში ჩასვლის მსურველთათვის. 11 საათი
ლოდნია საშინელება, თუა?!?

ეს დრო რომ მაქვს, კიდევაც კარგია, ვიცი, რაღაც უნდა დავწერო, ლეპტიპი, რასაკვირველია, თან მაქვს, წიგნიც — საკითხავი, ჰოდა, რა მიჭირს...

მივაგორებ ჩემოდანს და მივდივარ. ჯერ სიგრძე-სიგანეზე
დავიარე აეროპორტი, განათებული **Duty Free** მაღაზიები ჩემ-
თვის მარტო გაბრჭყვიალებული ვიტრინებია, ვუყურებ ამ
ბრჭყვიალს და ვტკბები. ყველაფერი ბრჭყვიალებს მაინც...

მერე მოვკალათდი ერთ ადგილას, პირველი, რის გარკვევასაც ვცდილობ, ესაა, ვამყარებ თუ არა კავშირებს სამყაროსთან. ისე, მოგზაურობებისას ერთი რამ შევნიშნე, სულ რომ მეორდება — ტექნოლოგიური კრიზისი მეტაება ხოლმე, და ახლაც, ცოტა არ იყოს, წინასწარ მეშინა. იმედია, არ ამერევა ყველაფერი და კავშირებს დავამყარებ, თორმე ჩემი გადარევა მერე ვნახო! წესით, ტელეკონსაც უნდა ემუშავა ევროპაში, მაგრამ ვერაფერი მოვუხერებ და დუშა. ვერავის დავეკონტაქტე ვერცერთ კონტინენტზე, რომ მეთქვა, დე-დამინაზე რომ ვარ დაშვაბული...

ინტერნეტს ვეჩალიჩ! მთელ აეროპორტში ვერ აღმოვაჩინე **Free Wi-Fi**. ეს, ცხადია, არ ჯდება ჩემ სურვილებში, მაგრამ რა ვწნა, ვემორჩილები ბედს და ვაწყებ კითხვას... მერე წერას...

მალე ელემენტი მოკვდა. მივიხედ-მოვიხედე. შეც არ მომიკვდა, „შტეფსელი“ არსად ჩანს. აპა ჰე, ვიწყებ ძებნას, უფრო სწორად ძიებას. ვპრაზობ: რაა ეს! რატომ არ აქვთ შტეფსელები სკამებთან? სადმე? საერთოდ? ახლა უკვე ში-ში მეპარება. ეს რომ ვერ ჩავრთო, რა გაუძლებს 7 საათს?!

ბოლოსდაბოლოს, დავინახე ბოძზე! მოსაცდელი დარბაზი სავსეა ხალხით, ჩემოდნებით, ჩინელებით, აზიელებით, თეთრებით, ჭრელებით, ყველანაირებით. 4 შესარტობიანი „შტეფსელი“ უცნაურადაა მოთავსებული ბოძის შიდა მხარეს, რომლიდანაც 3 დაკავებილია ჩახლართული ჩარჯერებით. ვინ ჩივის! ჩანთებით დახუნდლულ ურიკას მიზნისკენ ვაგორებ.

მადლობა ღმერთს, ერთი ადგილი მაინცაა დენის წყაროს მოპირდაპირე სავარძლებზე. ამოვაძვრინებ ჩემი ლეპტოპი, ჩარჯერი, ევროპული გადამყვანიც გავუკეთე. ისე, ეს გადამყვანი ცოტა უცნაური ფორმისაა, ირიბად ერთდება ჩარჯერთან და თანაც მესამე კბილი ამერიკული შტეკერისა შუა თითივითაა გამოშვერილი... ვინ ჩივის. მთავარია დავტენო ლეპტოპი.

ჩინელი ბიჭები შეიმუშნენ, სანამ მე ჩემი დენის წყაროს შეერთებას ვცდილობდი და სადლაც სივიწროვეში ვძევრებოდი. დავასრულე მისია, დენის წყარო ნაპოვნია! და ვინყებ წერას!

უჰ, ეს რეები დამიწერია?!

ვგრძნობ, მალე კომპიუტერი გამივარდება ხელიდან. დავკეცე და ახლა ვცდილობ გამოვთაშო ჩარჯერი. ვდგები, საჭლაც სივიწროვეში ვიკვატები, ხელს ვიშვივივირ....

„დენმა დამარტყა!!!!“ ვიმართლებ თავს ამდენი მოშტერებული თვალის ფორმისა და ჭრილის ნაირსახეობათა წინაშე.

ბოლოს ვიდაც ლეთისნერი ბიჭი მეხმარება, ამასიკინებს ჩემ ჩარჯერებს და ყველაფერს და ვიძურნები იქაურობი-დან... ვილას ეძინება?!

ისე, როგორც მერე დავასკვენი, ის დენის დარტყმა ნიშანი ყოფილა სტამბოლის აეროპორტში თავგადასავლების დაწყებისა. თუ იქნებ ჩექმის ვერგახდა?

FREE BREAKFAST

დღო ისე ნელა გადის, თითქოს გაიყინაო. უკვე მოუთმენ-ლად ველი სტამბოლი-თბილისის რეისის გასასვლელის კა-რის, „Gate“-ის ნომერი დაინტერის ეკრანზე. მანამდე თითქოს უპატრონო ბავშვივით დავბოროიალობ. რაც უფრო ახლოვ-დება გაფრენის დრო, ადგილზე ვეღარ ვისვენებ. ბოლოს ეკ-რანის ნინ დავდექი ნომრის მოლოდინში. როგორც იქნა დაი-წერა „312“.

ნამიც არ დამიყოვნებია. 312-სკენ მივდივარ. იქ ისეთი სიცარიელე დამხვდა, გულმა რეჩხი მიყო, თუმცა მაინც სა-ფუძვლიანად მოვკალათდა რეინის სკამებზე. რამდენიმე წუთში ქალი და მამაკაცი შემოემატა ამ სიცარიელეს. „პმ, აშკარად რაღაც ხდება“ - უფრო მიღრმავდება ეჭვი.

მაიც ვაგრძელებ კითხვას. ესაა ჩემი ერთადერთი თავი-სუფალი დრო და მინდა წიგნი, რომელიც კაი ხანია დაწყებუ-ლი მაქვს, დასასრულს მიგაახლოვო. უცებ იგივე წყვილი ჩემკენ მოდის.

„კანცელარეა, კანცელარე“.

„კანცელარია? კანცელარია რა შუაშია? რეებს ამბობს ნეტა ეს კაცი?“ აზრზე ვერ მოვდივარ და დაღლას ვაბრალებ.

- ჩევენი რეისი გადაიდო, აქ ჯდომას აზრი არ აქვს. ჩევენ გასარკვევად მივდივართ.

სხვასხვა დეტალებს ერთმანეთთან ვაერთებ და ვხვდები, რომ მამაკაცმა ინგლისური „ქენსელ“, რაც გაუქმებას ნიშ-ნავს, რომელილაცა, ჩემთვის უცხო სტილით წარმოთქვა... .

გადაიდო? შედეგები რომ წარმოვიდგინე, სასტიკად არ მესიამოვნა. საინფორმაციო ჯიხურისაკენ დავიძარით.

ესენი თურმე ესპანეთიდან ბრუნდებიან სამშობლოში და ესპანურის, ქართულის და დავინუებული რუსულის გარდა არაფერი იციან. ლოგიკურ მიზეზთა გამო მე სამაციანი დე-ლეგაციის წარმომადგენელი ვხდები. მომსახურე ჰერსო-ნალს ვარდებ ბილეთებს და ვიღებთ არასასურველ ინფორ-მაციას:

„თქვენი რეისი უამინდობის გამო 7 საათით გადაიდო. გაფრინდებით 6:45 წუთზე“.

პროტესტს ვაცხადებ და ვითხოვ, ნახევარი საათით ადრე რომ რეისი გადის, იმაზე მოგვათავსონ. ქართული უნდობ-ლობაც იღვიძებს, არ ვიჯერებთ, რომ თბილისი ცუდი ამინ-დია: „არა, იგონებენ რაღაცა! ნამდვილად რეისები შეარ-თეს ფულის დაზოგვის მიზნით“...

ახლა სამივე მივდივართ ავიახაზების მთავარ აგენტებ-თან იმავე პრეტეზით. ისევ უარს ვლებულობთ, მაგრამ ერ-თი რამით გვაკამაყოფილები: „ხუთვარსკვლავიან სასტუმ-როში მოგათავსებთ, გაჭმევთ და მერე წამოგიყვანთ“.

რაცაა, ესაა. მივდივართ საპასპორტო გასასვლელისაკენ.

„დედა მომიკვდა და დღეს დასაფლავებაა, ეს რას გვიკე-თებენ?! დასაფლავებაზე მაგვიანდება“ — ბრაზობს მამაკა-ცი.

მივადექი საპასპორტოს, ვაწვდი ჩემ ამერიკულ პას-პორტს.

„სავიზო განყოფილება იქითაა, გთხოვთ ვიზა შეიძინეთ ქალაქში გასასვლელად“.

ქალი ესპანეთის მოქალაქე აღმოჩნდა და ისიც სავიზოში გაგზავნეს.

მამაკაცი საქართველოს მოქალაქეა:

„თქვენ გაბრძანდით“.

ვიწყებთ ბჭობას.

„თქვენ ერთად ხართ?“ — ვეკითხები მამაკაცს — „თქვენ კი შეგიძლიათ გახვიდეთ“

„რას ამბობ, კაცო, ერთად ვართ კი არა, ცოლია ეს ჩემი. მე მარტო არსადაც არ მივდივარ.“



მაკა კვერუნჩილაძე-კარტაიზერი

ყველას აგვიტყდა სიცილი და მივხვდით, რომ ერთმანე-თის სახელებიც არ ვიცით,

- მე დათო ვარ.
- ნინო...
- მე მაკა.

ახლა სამივე ერთ ბედქვეშა ვართ და ისევ კამერებისკენ ვპრუნდებით. ისევ ჩექმის გახდა მელის, მაგრამ ახლა უკვე სკამის იმედი მაქვს, თანაც ამდენ გახდაში ჩექმაც მოითელა.

თურქ ბიჭებს ვულიმი და ისე ვეჭიდავები ჩექმას, ყველა მხიარულდება.

„დათო და ნინო, ახლა ჩევენ დაგბრუნდეთ პირველ ჯი-ხურთან და მოვითხოვოთ ვაუჩერი საჭმლისთვის, ვინაიდან ვერ გავედით ქალაქში“

„რასაც გვეტყვი, იმას გავაკეთებთ, წამოგყვებით, სადაც გვეტყვი“ — უჲ, რატომლაც არ მეხამუშება ჩემი როლი და ახლა უკვე მხიარულად და მიზანდასახულად მივისწრავით.

ჯიხურთან რიგია, ქართველები ხმაურობენ, ღელავენ, ავიაკომპანიას ადანაშაულებენ, ბრაზობენ და ... იცინიან. ერთმა გოგომ ყური მოჰკრა, ვაუჩერს ვიღებდით,

„მე მოვითხოვე და უარი მითხოეს, ისე ვატყობ, შენ მოგ-ცემენ, იქნებ ჩევენი ბილეთებიც შენ მიაწოდო?“ — მთხოვს და მაჩერებს სამ ცალს. მართლაც, უკვე „ნაცნობი“ აგენტი უსიტყვოდ მართმევს 6 ბილეთს.

„გვერდზე გადექით და ახლავე მოგართმევთ“.

მხიარულება ისევე იზრდება, როგორც ჩემი ამალის რაო-დენობა.

„ნამდვილად არაა ამინდის ბრაზი“ — მესმის, ინგლისუ-რად მომმართავს ვიღაც. მეც თანაგურძნობ:

„თქვენც თბილისში მოდიხართ?“

„ეკი და ვაუჩერს ველოდები“ — მპასუხობს სანდო გარეგ-ნობის, სიმპათიურად ჩაცმული, ზურგჩანთამოკიდებული ახალგაზრდა კაცი. რამდენიმე კომენტარი მეც გავაკეთე ამინდისა თუ უამინდობის შესახებ, ამასობაში ვაუჩერებიც დაგვირიგეს და...

„შეიძლება მეც თქვენთან ერთად წამოვიდე?“ — მე-კითხება ახალგაზრდა. ზღაპარი მახსენდება თალგამზე...

მივდივართ. აშკარაა, ყველა მე მოყვება. მე და პატრიკი ვწინაურდებით და ვსაუბრობთ.

აღმოვაჩინე, პატრიკი 32 წლისაა, თავის შეყვარებულ სო-
მებს სონას, რომელიც მატარებლით ჩამოდის ერევნიდან,
ხვდება თბილისში. სონამ და პატრიკმა ერთმანეთი ინტერნე-
ტით გაიცნეს. თბილისში მხოლოდ ორი დღით იქნებიან და ახ-
ლა ბიჭი ლელავს, რომ სონა მასზე ადრე ჩავა და ლოდინი მო-
უწევს. ვამშვიდებ. ვეუზნები, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

„შენი ოჯახი სადაა?“ — მექითხება პატრიკი და თვალე-
ბით ეძებს უკან დარჩენილ ქართველებს.

„ისინი ჩემი ოჯახი არ არიან — მეცინება მე — ისინიც აქ
გავიცანი, შენსავით.“ როგორ გემრიელად გვეცინება.

რესტრონებში ჩვენი ვაუჩერები არ მიიღეს და ჩვენც მე-
ტირალდაგვრჩენიას სახით მივადექით სწრაფი კვების სივრ-
ცეს. ვირჩევთ რაღაცას და ვნაყრდებით.

ანკეტის მსგავსი კითხვარებით ვიწყებთ დანარჩენი
„ოჯახის“ წევრების გაცნობას.

„მე თბილისელი სომეხი ვარ, უანა, საპერძნეთიდან მოვ-
დივარ, იქ მეტავი ვარ და ისეთ საქორნონო კაბებს ვკერავ
რომოვ?“ ჩემი ქმარი საპოუნიკია, ისიც თბილისელი სომეხი.
ეს კი დედაჩემია, სვეტა. ბაგშვები მამას დავუტოვეთ, მიხე-
დოს ცოტა, არა უშავს“

„მე ნათელა ვარ, საპერძნეთიდან მოვდივარ“. მოგვიანე-
ბით ვგებულობთ, ნათელა ბუზუკების (ბერძნული მუსიკალუ-
რი ინსტრუმენტი, ჩინგურს ნააგავს) კლუბში ღამდამობით
მუშაობს და მთელი ღამე ბერძნების ცეკვა-გართობებს უყუ-
რებს, ამიტომ დაღლილ-დაქანცული და ფროზე უნდა თბი-
ლისში ჩასვლა. მზია 14 წლისა სკოლის ფორმით მოუტაცები-
ათ. ახლა ამაყად აცხადებს, რომ კი არ გათხოვილა, მოიტაცეს.

შესაბამისად პატრიკი და ჩვენც ვეცნობით „ოჯახს“, უანა
და ნათელა გაოცებული გვიყურებენ:

„ჩვენ გვეგონა, პატრიკი შენი ოჯახი იყო“. ყველას ერთხ-
მად აგვიტყდება სიცილი, როცა ვამბობ, რომ პატრიკსაც ჩე-
მი ოჯახის წევრები ეგონა ისინი.

მერე მე ინტერნეტის საძიებლად მივდივარ. პატრიკიც
მომყვება. „ოჯახი“ დასასვენებლად მიდის. გზად ტუალეტე-
ბის კრიზისია: ერთი დატბორილია; მეორეში რაღაც რელი-
გურ ფორმაში ჩაცმულ მოხუცი კოტიტა ქალი მთხოვს და-
ვეხმარ ფეხს დაბაბაში, მე თავს ვიშტერებ და გულგახეთ-
ქილი ვიძურნები; მესამეში: დასალაგებლად შემოსული
თურქი მამაკაცი ლამის თავზე დამადგა.

პატრიკი გაოგნებული ჩანს.

„წაიკითხე, რა ენერა საპირფარეშოში? „გთხოვთ, ფეხ-
შიშველა ნუ შემოხვალთ“. ჩვენი სინქრონული სიცილი იპყ-
რობს აეროპორტს.

გზად „ოჯახს“ ვხედავთ და მათ ვუერთდებით. უანას აინ-
ტერესებს პატრიკის სომეხი შეყვარებულის სურათი, მე კი
კიდევ ერთხელ ვცდილობ ინტერნეტთან დაკავშირებას. მო-
ულობრივ დასასვენებლად სასწაული ხდება, კავშირი მყარდება სამყა-
როსთან და მე ვიკარგები სტატუსებსა და წერილებში, ლექ-
სებსა და ფიქრებში...

„აჲ, ეს სულაც არაა ლამაზი სომეხი, შენ ჩემი გოგო უნდა
ნახო!“ — მესმის უანას უკავიყილო კომენტარი.

პატრიკი მთხოვს გადავუთარგმნო.

„ძალიან ლამაზიაო“ — ვუთარგმნი პატრიკს. ამ დროს
უანა მისი გოგოს სილამაზის დამტკიცებას გვიპირებს მე და
პატრიკს და I ped-ზე უსწრაფესად იცვლება მართლაც საკ-
მაოდ ლამაზი გოგონას სურათები სომეხი მენაღისა და უა-
ნას პრიალ-ბზრიალ სახლის ფონზე. მე თავის დახსნას
ვცდილობ, რომ მიწერ-მონერა გავაგრძელო და ახლობლებს
გავაგებინო, სად ვარ გაჭედილი.

„ფრენა ისევ გადაიდო ორი საათით“ — დათოს შეძრწუნე-
ბულმა ხმამ და სახემ გამომაფხიზლა ვირტუალური სამყარო-
დან. ყველანი წამოვცვიდით და ეკანისაკენ გავქანდით:

„ღმერთო ჩემო!..“

„მე ახლა მხოლოდ ფახლავა და ყავა თუ მიშველის!“ —
ვაცხადებ მოულოდნელად და ვიბარგები. პატრიკი პატარა
ბავშვივით მომყვება.

„ისე, ცოტა არ იყოს, დავიღალე ამ „ოჯახით“ — ვედარ
ვმალავ დაღლილობის მიზეზს. მაგრამ განათებული დარბა-
ზი 312-თან და უგემრიელესი ფახლავა და ყავა „ამერიკან“
უცბადვე მავიწყებს ყველაფერს. წითელი სკამებიც ცოტას
გვახალისებს. ჩვენი გაფრენის დროც ახლოვდება.

მალე დარბაზი ისევ იცის სხვადასხვა ჯურის, ფერის
ადამიანებით და, მათ შორის, ქართველებით. მე და პატრიკი
აშეარაა, ვაოცებთ ამ უგრძელესკაბიან და შავფერში გა-
დაწყვეტილ ქართველ ქალბატონებს ჩვენი მხიარული, სინქ-
რონულად შეწყობილი სიცილით, უშუალობით, და ალბათ,
უეჭველი, ამათაც „ოჯახი“ ვგონივართ მე და პატრიკი.

უცებ ჩაბუტკუნებული, ასე 60-65 წლის თურქი მამაკაცი,
მოაგრიშინებს სასმელებითა და საჭმელებით სავსე დახლს.
სწრაფად მოაწყობს კუთხეს სწროდ ჩვენი მაგიდის პირდა-
პირ და...

...აქ უკვე ჩვენ ყველანირ ფანტაზიას გადააჭარბა მომხ-
დარმა:

„თბილისიე, ჩვენებური!

თბილისიე, რეა რეაკუასტი!

ჩემი და პატრიკის თვალები ერთმანეთს ხვდება და ისევ,
შეთანხმებულებივით ორ ხმაში გვეცინება:

„უფასო სენდვიჩისით აპირებუნ ჩვენი გულის მოგებას?“
თან გვეცინება და თან ერთი რიგში ვდგებით. მერე ეს „ჩვე-
ნებური“ მაინტერესებს, რას ნიშანებს. ვარკვევ, ეს კაცი ლა-
ზია. ესეც ქართველია თურმე, ბედკრული საქართველოს ის-
ტორის ნანილი...

მალე „ოჯახი“ ისევ გვიერთდება, მაგრამ უკვე ჩასხდომა-
საც მალე დავინიშებთ და...

უანა ვერ ისვერებს და ახალგაზრდასთან პრეტენზიუ-
ლობს, წინა რეისზე რატომ არ გაგვიშვესო.

„არა, მართლა დიდი ნისლი ყოფილა თბილისში. ჩემ და ს
ველაპარაკე, საშინელი ნისლიაო“ — ბიჭი სარწმუნო ინფორ-
მაციას ავრცელებს, მაგრამ უანა მაინც ვერ ისვერებს:

„აბა ის თვითმფრინავი როგორ დაფრინდა?“

„ის თვითმფრინავი?..“ დაიბნა ბიჭი — „ის თვითმფრინა-
ვი ჩამოვარდა“ — დასკვნა გაკეთებულია და მე და პატრიკი
ისევ ცუდად ვართ სიცილისაგან.

* * *

თვითმფრინავში ქართველი სტუარდესას ეროტიკული
ხმა გვაფრთხილებს:

„იქონიეთ შეკრული ღვედები მანამ, სანამ ზიხართ“. აქ
უკვე სიცილის თავი აღარ მაქვს, ძილმა წამილო.

ვიდრე ისევ ეს ეროტიკული ხმა გამაღვიძებდეს მორიგი
გაფრთხილებით:

„აკეცეთ თქვენი ასაკეცი მაგიდები!“ (აბა, სხვისას ხომ
არ აკეცავ?)

„მინაზე დაშვებისას ღვედები შეიკარით!“ (დაშვება ცი-
დან მხოლოდ მინაზე ხდებოდა მეგონა!)

„ხომალდი ეგვება თბილისის აეროპორტში!“ (ვაიმე, ხო-
მალდში ვმჯდარვარ და ვერ გამიგია?)

P.S.

30 საათის თვითმფრინავებსა და აეროპორტებში გატა-
რების შემდეგ სანაპიროზე რეკლამა დავინახე ბიჭის გა-
ოთხებული სახეებით. არ ვიცი, რისი რეკლამა იყო, მაგრამ
აშკარად, ბედკრული საქართველოს შეილების ვიზუალური
გამოხატულება დავინახე...

ჯუანშერ ტიკარაძე

გაშინაც უდია ცერო, როცა არ გენერეპა

ჯერ ისევ პატარა ბიჭი ვიყავი და ოთარ ჩხეიძის წიგნების წაკითხვა (გაგებაზე რომ აღარაფერი ვთქვა), აბა, სად შემეძლო, მაგრამ ეს სახელი და გვარი უკვე გაგონილი მქონდა — მამაჩემი და მისი თაობის მწერლები, ჩვენ რომ გვესტუმრებოდნენ ხოლმე და სუფრაზე მეც გვერდით დიდი ამბით მომისავამდენ, განსაკუთრებული მონიშებითა და პატივისცემით ახსენებდნენ.

ახლა ზუსტად არ მახსოვს, ვისგან მოვისმინე ეს ფრაზა (შეიძლება, მამაჩემისგანაც): თარხანას „ბორიაყი“ მაინცდამანიც რუსულად უნდა ეთარგმნა, ქართველებს რომ გაგვეგო, რამხელა მწერალი გვყოლიაო.

მაშინ უკვე ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი, ბატონი ოთარის რამდენიმე რომანიც მქონდა წაკითხული (იმზად განსაკუთრებით „ბურუსი“ მიყვარდა) და ამ ხუმრობით წათქვამი ფრაზის მთელ პარადოქსულობასა და მასში გაჟღერებულ მწარე სიმართლესაც ვხვდებოდი. თან უკვე ბატონ ითარსაც პირადად ვიკონბდი: უნივერსიტეტში ჩემი ლექტორი გახლდათ.

გუშინდელ დღესავით მახსოვს: სულ პირველ ლექციაზე სიაში ჩემი სახელი და გვარი რომ ამოიკითხა, მყითხა, მწერალი ჯუმბერ ტიკარაძე შენი ვინმე ხომ არ არისო.

მამაჩემი არის-მეთქი, — ვუთხარი.

— ახლა კარგად ვერ ვისტენებ, მაგრამ ამ ათიოდე წლის წინათ, „ბერბიჭა“ რომ გამოაქვეყნა, მგონი, რაღაც უსიამოვნო ამბავი შეემთხვაო.

არადა, სულ რამდენიმე წამის შემდეგ დავრწმუნდი, მშვენიერად ახსოვდა ყველაფერი. უბრალოდ (ამას მერე და მერელა მივხვდი), მისთვის დამახასიათებელ საოცარ ტაქტის იჩენდა — ხომ შეიძლებოდა, მე არ მხსიმებოდა ან საერთოდაც არ მცოდნოდა ეს ამბავი.

მე კი ვიცოდი. მამაჩემის ამ მოთხოვნაში ერთი პერსონა-ჟია — ზინა, რუსი ქალი, რომელმაც ომში მშობლები დაკარგა და საქართველოში წამოიყვანეს, აქ გაიზარდა და რუსული სულ გადაავინწყდა. მის შესახებ მოთხოვნაში ასეთი რამაა წათქვამი: „თუმცა მშობლიურ ენას ვეღარ ფლობდა, მამაკაცებისადმი თამამი, თავისიუფალი ქცევა და დაურკებელი ვნება მაინც გამომჰყა.“ სწორედ ეს ფრაზა დაიხვია თითზე კრიტიკომა ბესარიონ უდენტმა და მთელი წერილი გამოაცხო — მამაჩემს, საზოგადოდ, რუსების სიძულვილი დასწამა და ანტისაბჭოთა ელემენტი უნდა. ამ ამბავს სხვა გაგრძელებაც მოჰყვა: მართალია, მამას სხვა მწერლები გვერდით დაუდგნენ და დაიცეს, მაგრამ მწერალთა კავშირის წევრობაზე უარი მაინც უთხრეს და ახალმიღებული ბინაც ჩამოართვეს, რომელშიც ჯერ შესახლებულები არ ვიყავით.

— დიახ, — ვუთხარი ბატონ ითარს, - ბესო ჟღენტმა ანტისაბჭოთა ელემენტი უწოდა, მაგრამ მწერლებმა დაიცვეს-მეთქი.

— ჰო, ეგ მაგისი განაჩენი იყო, — ულვაშებში მწარედ ჩაილიმა, — უფრო ადრეულ წლებში (მაშინვე ყველანი მივხვდით, რომელ წლებსაც გულისხმობდა) ვისაც მაგ განაჩენის გამოუტანდა, მორჩა, დამთავრებული იყო მისი ამბავი, მაგრამ მამაშენთან აღარ გაუვიდა, კბილები უკვე მორყეული ჰქონდათ.

დღემდე მახსოვს ბატონი ოთარის ეს სიტყვებიც და ის შეგრძნებაც, მაშინ რომ დამეუფლა — რაღაც მოუხელობელი განცდა იყო — მარადისობის სუნთქვა იგრძნობოდა და სიკეთის რწმენა: ბოროტება, როგორც უნდა ზეობდეს, მაინც მთავრდება ბოლოს, მაინც ბოლო ედება.

აი, ასე დაიწყო.

ბატონი ოთარი ერთადერთი გახლდათ იმ მწერლებსა თუ პოეტებს შორის, რომლებიც ჩვენ ლექციებს გვიკითხავდნენ, ვინც ზუსტად იმას აკეთებდა, რისთვისაც უნივერსიტეტში მოიწვიეს: ახალბედა, შემოქმედებითი უნარით დაჯილდობულ სტუდენტებს ასრულიდა, როგორ განევითარებინათ ნიჭი, როგორ გამხდარიყვნენ პროფესიონალები, თუ ამ გზას აირჩევდნენ და მზნადაც ამას დაისახავდნენ.

არა, არაფერს ვერჩი იმ დანარჩენებს. მშვენიერად ვერთობოდით მათ ლექციებზე; კარგი იყო მათი მოყოლილი სახალისო ამბები, ანეკლოტები; ძიგადაშიგ — მართლაც სასარგებლო რამეებიც. ოღონდ უსისტემო, გაფანტული.

სახალისო და მხიარული ამბები ბატონი ოთარისგანაც არ გვაკლდა. ზოგჯერ ანეკლოტიც მოუყოლია. მაგრამ მან ზუსტად იცოდა, რა უნდა ეთქვა დღეს, რა — ხვალ. გონებაში ჰქონდა გადახარ-


შელი და ჩამოყალიბებული მთელი კურსს მიზანი — თუ ამ გზას ავირჩევდით, ქართველი მწერლები გავმხდარიყვათ. თუ არა — ქართული მწერლობა გვვიკრებოდა. მის ლექციებზე ვსწავლობდით და ვშრომობდით. ოღონდ ამას აღბათ მაშინ ვერც გაცნობიერებდით, ეს ყველაფერი ჩემში ისე იღებებოდა.

მე ბატონი ოთარისგან ვისწავლე, როგორ უნდა დამეკეცა თაბახის ფურცელი, სად უნდა მიმერერა შენიშვნები, როგორ ჩამემატებინა ტექსტი, თუ სადმე რამე მექნებოდა ჩასამატებელი. დღემდე ასე ვწერ, სხვათა შორის. თაბახის ჩემის ისეულად გადაკეცილ ფურცელზე. და მხოლოდ შემდეგ შემაჯევს კომპიუტერში.

მე ბატონი ოთარისგან ვისწავლე, რომ არ უნდა ელოდო შთაგონებას (დროდადრო მავალებდა, ყოველდღე თითო ლექციი დამერერა და კვირის თავზე შვიდი ლექსი მიმეტანა); რომ მაშინაც უნდა წერო, როცა არ გენერება; რომ შეიძლება შთაგონება იმ დღეს არც ერთ გენერიოს. ან თუ გენერევა, ხომ კარგი: უბრალოდ, მზად დახვდები.

მე კიდევ ბევრი რამე ვისწავლე ბატონი ოთარისგან, მაგრამ არ მინდა, ეს ყველაფერი სადლეგრძელოს დაემსგაესოს. ბატონი ოთარი ჩემგან სხვანარ სტუდენტებს იმსახურებს — ისეთ სიტყვებს, სხვა რომ ვერც მიხვდება, მას თუ ვგულისხმობ, მხოლოდ მე რომ მეცოდინება. ეს ლექსი იქნება აღბათ. მე მარტო ლექციების წერა ვიცი. ესესისტი არასდროს ვყოფილვარ და ამ სიბერეშიც, გული მიგრძნობს, ველარ გავხდები.

ორი პატარა მოგონებაც და მოვრჩები:



ოთარ ჩხეიძე

რომელი წელი იყო, აღარ მასხვევს — 1984? 85? გურამ დოჩანაშვილის საღამო იმართებოდა უნივერსიტეტის სააქტონ დარბაზში. მაშინ მისი „გატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“ ახალი გამოქვეყნებული გახლდათ და გამომსვლელები — სტუდენტები ძირითადად — მის ამ ნაწარმოებზე საუბრობდნენ. საღამოს ბატონიოთარიც ესწრებოდა, მარტო იყო. მე მისგან ორი თუ სამი რიგით უკან ვიჯექი და კარგად ვხედავდი.

ერთ-ერთმა გამომსვლელმა, ახალგაზრდა გოგონამ, მოულოდნე-ლად ასეთი რამ განაცხადა: გურამ დოჩნდაშვილის პროზა თეორ-ლექსს უფრო მაგინებს, ნამდვილ მუსიკასავთი უდერს და ოთარ ჩხეიძის (რა შეუძი იყო?) ანტილიტერაციურისგან რადიკალურად განსხვავ-დებაო (ცხადია, სიტყვები ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ პათოსი კი ნაღდად ასეთი გახლდათ). მაშინვე ბატონ ოთარს გავხედე: არც შეტო-კებულა, უბრალოდ, თავისებურად ჩაილიმა ულვაშებში ან შეიძლება არც კი ჩაილიმა და მხოლოდ მე მომეჩვენა და ჩემს მექსიერებაშიც ასე-ვე აღიძეჭდა — მისკენ არავის გაუხედავს, ალბათ არც არავინ იცოდა, ბატონი ოთარი საერთოდ იქ რომ იყო და მისი ნაწარმოებებიც თითო-ოროლას თუ ექნებოდა წაკითხული. რასაკვირველია, ბატონმა გურამ-მა თავის გამოსვლაში იმ გოგონას ჰასცა, — ბატონი ოთარი ჩე-მი უფროსი კოლეგა და მასნავლებელია, უბრალოდ, თქვენ ჯერ პატა-რება ხართ და ვერ ხვდებით, ოთარ ჩხეიძე რამხელა მწერალია.

რატომ გავიხსენე ახლა ეს უმნიშვნელო ეპიზოდი? ბატონი ოთა-რისთვის ვიღლაც მატრაკვეცა გოგოს სულელური სიტყვები წკიდურ-ტიც კი ვერ გახდებოდა, ცხოვრებაში ისეთი დარტყმები ექნებოდა გადატანილი, უძრალოდ, მე, პატარა ბიჭმა, მიგანიჭე მაშინ ამ ყველაფერს სხვანაირი დატვირთვა: ბრძოში ჩაკარგული ბუმბერაზი ადამიანი; მისი მისია, ხვედრი, ეჭვები, ტკივილები და ბრძოლა, ბრძოლა დროსთან, წარმავლობასთან, საკუთარ თავთან... ახლაც, როცა რომელიმე წიგნსა თუ ფილში რაღაც ამდაგვარ სცენას გადავაწყდები, ყოველთვის ის საღამო გამიცოცხლდება ხოლმე და თვალნინ ბატონი ოთარის სახე დამიღვდება.

და მეორე მოგონებაც:
უკანასკნელად ბატონ ითარს ქუჩაში შეხვდი, ზამთრის საღამო იყო, ვაკე-საბურთალოს გადასახვევი, გაჩერებაზე იდგა და ავტო-ბუსს ელოდებოდა. მე მაშინ უკვე მთარგმნელობით კოლეგიაში ვმუშაობდი. ბატონმა ითარ ნოდიამ ჩინურის მასწავლებელი ჩამო-იყვანა და მირჩა, ეს ენა მეც მესწავლა. ჰოდა, მეც თავი სულ ჩინუ-რი იეროგლიფებით მქონდა გამოტენილი. ბატონ ითარ ჩხეიძეს ეს ყველაფერი მოგვიყვით, როგორ მკითხა, რას საჭმანობო.

— ჰო, ჩინური კარგია, — მითხვა, — კარგია ჩინური, სათარგმნი სიცოცხლის ბოლომდე არ შემოგელევა და ვერც მოერევი, ოლონდ შენი საქმე როგორლა იქნება?

მივხედი, ჩემი ლექსიგი იგულისხმა. წლების წინათ, ჩვენს ლექციებზეც ზუსტად ასე იცოდა ხოლმე, როცა ჩვენს მაშინდელ ნაცოდვილარს კითხულობდა: საოცარი უნარი გააჩნდა, ჯერ კარგი გამოერჩია, წინა პლაზმუნარი და მერე ძალან რბოლად, ტაქტილნად მიენიშნებინა, რა არ ვარგოდა, რა იყო გამოსასწორებელი თუ შესაცვლელი.

ზამთრის იმ საღამოს კი ვერაფრით წარმოვიდგენდი, ბატონ ითარს უკანას სკელად თუ ვესაუბრებოდი. მერე ცხოვრებაც აირია, ჯერ — გამასაურდია, მერე — ოსელიანი, შევარდნაძე, აგერ ახლა-ხან — სააკაშვილიც. იმ ნლების განმავლობაში ხშირად მიიქირია, მოდი, ბატონ ითარს მოვინახულებ-მეტეი (ეჭვიც არ მეპარება, ჩე-მი სტუმრობით გავახარებდი), მაგრამ ამ ჩემს ოხერ ბუტისურა ხა-სიათს ვერაფრით მოვერიე, რაღაცნაირად მერიდებოდა და სულ სა-მომავლოდ ვდებდი და ვდებდი, ვიდრე...

P.S. სტუდენტობისას ყოველთვის ვფიქრობი, ბატონ ოთარს გა-
მორჩიეულად, ცველაზე მეტად მე ვუყვარვარ-მეტქი (ცხადია, ჩემს
კურსზე, ან ეგბ — ახლა აღარ მახსოვე — ჩემი ამბიცია მთელ ფილო-
ლოგიურ ფაკულტეტსაც წვდებოდა). მხოლოდ წლების შემდეგ მიგვ-
დი: ბატონ ოთარს ჩვენ, ცველანი, გამორჩიეულად ვუყვარდით, იმი-
ტომ, რომ მართლაც ცველასგან გამორჩეული სიყვარული შეეძლო.

თემურ ამყოლაძე

გრაფიკის ზორნეპაუს ამბავი

ପ୍ରତିବନ୍ଦିତ କାମ „ହିତେବେଳ ମନୋରଙ୍ଗଠିତ“ ମନୀ ପୁଷ୍ଟିଲ୍ଲିଙ୍କାତ୍ମକିତ ତାତ୍ତ୍ଵବିଜ୍ଞାନ

რამდენჯერ დავწერე და დავპეტდე, — წმინდა
ახალმონამენი (მიტროპოლიტი ნაზარი, მღვდლები —
სამონ მჭედლიძე, გერმანე ჯაჯანიძე, იეროთეონ ნი-
კოლაძე, პროტოიაკონი ბერსარიონ კუხიანიძე) თოკე-
ბით ერთმანეთზე გადაბმულნი არ დაუხვრეტიათ-
მეთქ, და ავხსენი, საიდან გაჩნდა ეს მცდარი ვერ-
სა... რამდენჯერ ვთქვი, მაგრამ რად გინდა, ისევ იმას
გაიძახიან და წმინდა ახალმონამეთა პირველი ხატიც
ისე, იმ მცდარი ვერსიის საფუძველზე დაიწერა — წა-
მებულები თოკებით არიან გადაბმულნი ერთმანეთ-
თან. უამრავ ასეთ აბდაუბდასა და გაუგებრობას წა-
ვანყდი ახალ წიგნზე — „დადეშქელიანების ამპავი“ —
მუშაობისას.

ବାତୁଳିନ ର୍କେଫାଇଟ୍‌ପିରିର, ଡିଇଟ ବାନିଆ, ଟକ୍କେବନ୍ତବୀଲୋ ଏକା-
ଜ୍ୟେଠ ଗାମମହିଳାବନୀଙ୍କ, ମାଗରାମ ଅକ୍ଷଲା, ରାଜୀ ଲେ ଶାଖୀମ୍ଭ ଏବଂ
ବାସରୁଣ୍ଡା, ରାସାଚ ଏବଂ ଦୂରିଣ୍ଡା ଏବଂ ଆଶକ୍ତିରଦା, ମିଥ୍ରୀଏ
ୟନ୍ଦା ପାଇୟିରିର, ରାତ୍ରି, ମଧ୍ୟବନୀଙ୍କ, ବାଲାଦ ମାତ୍ରେବୁ. ଉପିନ୍ଦାର୍ଵେ
ଲେବେ, ଅଭିରାଦ, ତଜ୍ଵରେନ ଶୁରନବାଲିନ ନର ମନ୍ଦିରବେଳିନ୍ଦାବାନ
ଶୁଦ୍ଧିଲିପୁରାଚାରୀ ଗାବାକ୍ଷେତ୍ର ମେତ୍ରନାକଲେବାଦ ଏବଂ ଗବାନ୍ତବୁଲ
ତପାଳସାଥରିନିଲୁ, — ଏରତିବ ତ୍ରିରୁଫନ ଜ୍ଞାନପାରିନିଲୁ „ଏକାଜୀ
ନେରେତେଲୁ“ („ରିହେନ ମନ୍ଦିରଲୁବାଦ“, 4 ନେଟିମଦ୍ଦେରି, 2013,
ପିତ୍ତୁଳିନ ମୁଖଲାଦିନ ଶେଶବାଲୁ ନେରିଲାନି) ଏବଂ ମେନର୍ଜେ —
ଗର୍ଭା ଜ୍ଞାନପାରିନିଲୁ „ଆଗରାଫିନ କିମ୍ବିକିଲାବାମ“ („ରିହେନ ମନ୍ଦିର
ଲୁବାଦ“, 30 ସେକ୍ରେମଦ୍ଦେରି, 2011), ନରିଗ୍ରେ କୁ ଉରତି ନିଶ୍ଚିନ୍ତା,
ଆଗରାଫିନ ଜ୍ଞାନପାରିନିଲୁ ନରଗ୍ରାମିନ୍ଦ ବାପାରୁତିବାନ୍ତିକ.

* * *

ციცინო მუმლაძის პუბლიკაციით დავიწყებ:

ტრიფონ ჯაფარიძე ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა, სანდო ისტორიკოსი, სიცველეთა შემგროვებელი და შემნახავი, ქუთაისის მუზეუმის შემქმნელი (თანამოაზრებთან ერთად), იმ დიდი ტრადიციების საფუძველამყრელი, რასაც თაობები განაგრძობენ და იმათ შორის — თავად ქალბატონი ციცინო მუზლაძეც, ამ მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ხელმძღვანელი და მკვლევარი.

ტრიფონ ჯაფუარიძის თაობაზე ბევრს აღარ ვიტყვი, სიღება რომ არ გამექცეს, მითუმეტეს, საზოგადოება იცნობს ამ დიდი მამულიშვილის ლვანწლს, და იცნობს, სხვათა მორის, ქალბატონი ციცინოს მონოგრაფიის წყალბითაც, წლების წინათ რომ გამოსცა („ტრიფონ ჯაფუარიძე“, 1993) და პატივი დამდო, მე მერედაჭტორა იმ წიგნისთვის.

ტრიფონ ჯაფარაშვილის ეს მოგონებებიც მნიშვნელოვანია და მნიშვნელოვანია, უპირველეს, სანდოობის გამო, ისიც, რაც მანამდე დაიბეჭდა („მოგონებები იღია ჭავჭავაძეზე“, „მწვანეყუავილა“, 4, 2012, ისევ ციცინი მუმლა-დის პეტლიკაცია) და ესეც, „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული („აკაკი წერეთელი“). აქ ბევრი რამაა საყურადღებო, რაც კიდევ ერთხელ დააზუსტებს, შეავსებს წარმოდგენას აკაკის პიროვნებაზე, სათქმელს გაამდიდრებს, ოლონდამერად, უკვე გითხარით, მხოლოდ ერთ ფრაგმენტს გამოყოფა იმ მოგონებებიდან — გრაფინია ზარნეკაუს ქორწინების თაობაზე.

ტრიფონი წერს: „პრინცს ტარიელ დადიანის ცოლი მოე-
ნონა და ისე მოაწყო საქმე, რომ ის ცოლად შეირთო. ეს ძლიერ
ულამაზო საქმე იყო და იმ დროში თითქმის შეუძლებელი. ძა-
ლა აღმართს ხნავსო, ნათქვამია და პრინცმა კანონიც გადა-
ლახა, ეთიკაც გააქარწყლა და თავისი ჟინი გაიტანა. გაბრიელ
ეპისკოპოსმა არ მისცა ჯვარისწერის ნება, მაგრამ ნებაც სი-
ნოდიდან მიიღო და ქუთაისში გადმოსახლებული რუსის კერ-
ძო ეკლესიაში დაიწერა ჯვარი...“

ჯერ აქ შევჩერდები:

მინდა ამ ამბის დაზუსტება, განვრცობა ვცადო: ივანე პურადაშვილი გვიმბობს, რომ იმათ ჯვრისწერაში ერთმანეთს შეეჯიბრა ორი დეკანოზი: რაჟდენ გიგაური, მთავარანგელოზთა ეკლესიის ნინამძღვარი, და იოანე შავლაძე, კაზაკთა პოლკის ეკლესიის მღვდელი. პირველი ამბობდა, აგრაფინა ჩემი ეკლესიის შემავლია, შავლაძე პრინცს ასახელებდა თავისად. ...პრინცმა გადაჭრა საკითხი, ჯვრისწერაზე მიიწვია ერთის მაგიერ სამი მღვდელი: გიგაური, მისი თანაშემწევი გიორგაძე და შავლაძე, ჯვარი დანერა გიგაურმა, ის ორი „თანა-დამსწრე ასისტენტებად“ ჰყავდა.

ჯერ ისა ვოქტვათ, რომ რაჟდენ გიგაური 1877 წლამდე საკა-
თედრო ტაძრის მღვდელი იყო, 1877-დან 1904-მდე სწორედაც
მთავარანგელოზთა ეკლესიის დეკანოზი (მერაბ კეშევაძე) —
ივანე პურადშვილს ეს არ ეშლება, ოლონდ იოანე შავლაძე
1881 წელს საკათედრო ტაძრის დეკანოზია (ანუ ამათ ჯვრის-
ნერამდე) და მერე აღარ ჩანს აქ... უნდა ვიფიქროთ, რომ პოლ-
კის ეკლესიაში გადავიდა (ივანე პურადშვილს უნდა ვერწმუ-
ნოთ); გიორგაძის გვარით იმხანად რამდენიმე მღვდელი შეგხ-
ვდებათ, მაგრამ ეს უთუოდ ბესარიონ გიორგაძეა — 1856 -
1892 წლებში მთავარანგელოზთა ეკლესიის მღვდელი (მერაბ
კეშევაძე), აგრაფინას მოძღვარი (ივანე პურადაშვილი).



ამ სახლში გარდაიცვალა გრაფინია ზარნეკაუ (აგრაფინა ჯაფარიძე)

და... ჰოდა, ქუთაისის მთავარანგელოზების ეკლესიაში იყო ერთი მღვდელი, არმცოლენე რუსულისა — ბესარიონ გიორგაძე. ერთხელაც ამ გიორგაძეს შეხვდა ქუჩაში სტოიანოვი და, როგორც ჩვეოდა, გადააფურთხა. გაბრაზდა ბესარიონი, ეს რა მაკადრა ამ ურიაშო, და მიაყოლა და მიაყოლა თავისი დამტკრეული რუსულით: „ახ ტი ჟიდ ნებრეშჩინო...“ სტოიანოვმა მოუსვა, ბესარიონი მისძახოდა — ხომ არ გამატარა ქუჩაში ამ ურჯულომ, სადაც შემხვდება, უნდა შემაფურთხოს, ანი მა-ინც ამივლის გვერდსაო. მთელი ქუთაისი ალაპარაკდა ამ ამ-ბავზე. ბესარიონი მეორე დღესვე მივიდა ეპისკოპოს გაბრი-ელთან, სტოიანოვს დაასწრო, — მიხსენით ამ ურჯულოსგან, თორებ შემომელახება ხელშით. საქმეში პრინცი ლოდენბურ-გელი და გრაფინია ზარნეკაუ (აგრაფინა ჯაფარიძე) ჩაერივ-ნენ (აგრაფინას სულიერ მოძღვრად ითვლებოდა ბესარიონ გიორგაძე), ივანე პურადაშვილი შენიშვნას, დაპატიუეს სახ-ლში ორივე და შეარიგეს. სტოიანოვმა ბოლომი მოიხადა.

ისევ ჯვრისწერას მივუბრუნდები:

ტურქეთის მთავრობის მიერთითებს, რომ პრინცმა და აგრძაფინაში ქუთაისში გადმინისახლებული რუსის კერძმ ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი.

ეს, ცალდია, არც მთავარანგელოზთა ეკლესიაა, არც კაზაკთა პოლეისა და არც, მითუმეტეს, საკათედრო ტაძარი... რაკი „კერძოა“, საშტატოც არ იქნება და საკუთარო მღვდელიც არ ეყოლება. ეს უნდა იყოს ე. წ. სტრუსის ეკლესია და, ეტყობა, იქაც ნირავს იოანე შავლაძე... და ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასტურად „გვირგვილანების ოჯახს“ გავთხსენებ — ამ რომანში შალვა დადიანი, სულ სხვა ამბისა და სხვა ჯვრისსერის (ცხადია, არა აგრძაფინასა და პრინცის) თაობაზე ნერს, — მემაბულე სტრუსის ეკლესიაში, ბალახვანში, მღვდელ იოანე შავლაძესთან დასწერეს ჯვარიო. მწერლის ეს ფრაზა დოკუმენტის ფასს შეიძენს ტრიოფონ ჯაფარიძისა და ივანე პურადშვილის მითითებათა გათვალისწინებით...

ანუ შეგვიძლია თავი მოუყვაროთ, რაც ვთქვით: ცნობილია, რომ ეს ქუთასიში გადმოსახლებული რუსი, საკუთარი (კერძო) ეკლესია რომ აქვს (ტრიფონ ჯაფარიძე), მემამულე სჩრუჟის კიბ.

ეს ეკლესია ბალახვანში იდგა (შალვა დადიანი), დაახლოებით იქ, სადაც ახლა მე-12 საშუალო სკოლაა (მერაბ კეზევაძე) და იქაც იოანე შავლაძე წირავდა (შალვა დადიანი), აქ დასწერეს ჯგური პრინც ოლდენბურგელსა და აგრაფინა ჯაფარიძეს, ჯგურს სწერდა დეკანოზი რუსენ გიგაური, ეხმარებოდნენ — დეკანოზი იოანე შავლაძე და მღვდელი ბესარიონ გი-

ორგანები (ივანე პურადაშვილი). იქაურობა ერთხანს კი იყო კერძო, მერე სტრუქტურის გადარქისა და სამართლის (აჩუქა), როცა ამ ადგილის გაბრიელის სახელმისამართის სასახლეში გაიხსნა.

ტრიფონ ჯაფარიძის ჩანაწერს მივუბრუნდები:

„საზოგადოება სიხარულით შეცვდა ამ ფაქტს, მაგრამ აკა-
კიმ კი ასევე დაგმო პრინცის უმსგავსო მოქმედება და გა-
კიცხვის ლექსი გამოსთვავა:

აგრაფინა კვისკვისაო
დადიანმა პრინცეს მიგცაო...

ბოლო ლექსის ასეთი იყო:

ბერი დარჩა გაბუტული,
პრინცი გახარებულიო.

ეს პერი გაბრიელი იყო“.

ცხადია, უეჭველია, ეს ბერი გაბრიელია და ლექსის ხსნებული ბოლო ორი ტაეპიც აშკარად ჰგავს აკავისას, ოღონდ ამას ასეთივე დარწმუნებით ვერ ვიტყვი პირველორზე. ჯერ ერთი, ფორმა სიტყვისა — „აკისკვისა“ — ტრიფონ ჯაფარიძის ვარიანტი მგონია, ანუ ისე ჩანხერა წლების მერე, თვითონ როგორც ნარმოოქამდა, ხალხი ამბობდა და მღეროდა — „აგრაფინა კისკისა“, კისკისი და არა კვისკვისი (თუმცა ეს ფორმა(?) — კაისკვისი — შეგხვდებათ იმერეთში);

ମେହରୁଙ୍ଗୁ: ଅମ ନରୀ ଫୁରାଗମ୍ଭିନ୍ତିଲୁ ରିତମି (ତ୍ରୈରଙ୍ଗେବୀ) ଆଶ୍ଚାରାଦ
ସବ୍ରାଦାସବ୍ରାନାନିରାଦ ଲାଗଦେବା, ମିଦେନାଦ ସବ୍ରାଦାସବ୍ରାନାନିରାଦ,
ମିକ୍ଷିର୍ଲୁ, ଗୋପୀଜିର୍ର, ରନ୍ଧ ଗ୍ରଣ୍ଟୋ ଲ୍ଲେଜ୍‌ସିଲ୍ସ ନରୀ ନାନ୍ଦିଲ୍ଲା... କୌ, ଗ୍ରଣ୍ଟୋ
ଲ୍ଲେଜ୍‌ସିଲ୍ସ ଫ୍ରାର୍ଗଲ୍ଲେବ୍‌ଥିପ ଶେଇଲ୍ଲେବା ମହେଦ୍ୱେ ରିତମିଲୁ ଅମଗଵାରି
ଫ୍ରାର୍ଗଲ୍ଲେବ୍‌ଥିଲ୍ୱା, ମାଗରାମ ମାନିଙ୍କ ମଗନ୍ଦିଆ, ଆକାଶୀଳ ମେତ୍ରଲ୍ଲାଦ ମେହ-
ରୂପ, ତିରିବ୍‌ର୍ଲୋ — ମାନନ୍ତର୍କେସ. ଶେବାକ୍ସେନ୍ଦ୍ରବ୍ରାତ: ବ୍ରନ୍ଦବିଲ୍ଲୋ କ୍ଷେତ୍ରମ-
ତ୍ରି — „ଶେବ ରନ୍ଧ ଗ୍ରିନ୍ଡା, ମେଲିନା, ଇଗି ଶେମନ୍ଦେଲାଏ“ ଠିକ୍ଷେ ଆକାଶୀଳ
ମାନନ୍ତର୍କେସ ଏବଂ ଠିକ୍ଷେ — ମାମିଲା ଫୁରାଗମ୍ଭିନ୍ତିଲ୍ୟା (ନିର୍ବାକ ମେହବୁନାର୍ଗିଲା).

კიდევ ერთიც: მე ამ პირველი ფრაგმენტის სხვა, სამტავ-პიანი, განსხვავებული ვარიონტიც ვიცი, ანგარდაცვლილმა მწერალმა და მსახიობმა ნესტან კვეიძემ ჩამანერინა 1970-იანი წლების ბოლოს, იმას დედამისისგან უსწავლია ის სიტყვებიკა და აგრძაფინას ამბავიც:

აგრაფინა კისკისა,
დადიანმა ვის მისცა,
ვის მისჯა და პრინცს მისჯა...

ეს შეიდგმარცვლიანი ვარიანტია, ბოლოკიდური „ო“-ს გარეშე, სამზარეულოს განვითარების მიზანით.

მეჩვენება, რომ იგი ხალხურ სასიმღერო ნაკვესს, ე. წ. მო-
სათვალავს უფრო ჰეგას, სასიმღეროდ თვითმემარს, თუმცა,
ცხადია, ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ ხალხმა სასიმღეროდ,
თავშესაქცევად, სწორედ ის ნანილი „ისესხა“ აკაის ლექსისა
(თუ აკაისია), რაც სჭირდებოდა. თავის დროზე, 1980-იან
წლებში, ჩლახ მელექსეს დავაპრალე ის სტრიქონები (ასე
მჭირდებოდა), უფრო სწორად, მისი ჩემგანვე გადაკეთებული
ვარიანტი: იმხანდ მცირე რომინს თუ ვრცელ მოთხრობას
ვწერდი, „დავიწყებულ ამბავს“, და ეს შემთხვევაცა და სიმღე-
რაც გამოიყენე, რა თქმა უნდა, სახელებიც შევცვალე, სიტუ-
აციაც, გარემოებაც, პერსონაჟებიც, მესამე ცალი სარითმო
სიტყვაც გავაუქმე, დაკავიჭლე (ამიტომაც დავაპრალე ჩლახ
მელექსეს) და მხოლოდ ქარგა დავტოვე.

ერთიც უნდა შევნიშნო: როცა ამ ნაკვესზე ვფიქრობ, იმისი ერთი მთლად ალიკვალი არა, მაგრამ მსგავსი ხალხური ტექსტი მაგრონდება:

გოგონია კისკისა,
აქ ჩამოდი, წყლის პირსა.

ისიც ბოლოკიდური „ო“-ს გარეშე. ეს იმერული ვარიანტი, თავისი „გოგონიათ“ ჰეგავს რიტმით სწორედ „აგრძაფინა კის-კისას“ და არა სხვა, უფრო ფართოდ გავრცელებული „გოგოვ, გოგოვ“...

გარდა იმისა, ნესტუან კვეიძეებ რომ ჩამანერინა, არსებობს „აგრაფინა კისეისას“ კიდევ ერთი ხალცური ვერსიაც, ოღონდ იმას გორჩა ჯაფარიძის ნერილზე საუბრისას მივუძრუნდები.

ახლა იმ შეჯასების თაობაზეც ვთქვათ, — რომ აგრძელინასა და პრინცის ქორნინება „ძლიერ ულამაზო საქმე იყო“ და პრინ-ცმა „კანონიც გადალახა, ეთიკაც გააქარნება“... ცხადია, ტრი-ფონ ჯაფარიძის ზნეობის კაცი (თანაც ჯაფარიძე) ამ ამბავს ვერ მოიწონებდა, ვერც აკავი, ხოლო რაც შეეხება საზოგადოე-ბას: ზოგს არ მოსწონდა, ზოგს შურდა აგრძელინასი, ზოგსაც სუ-ლაც არ ანალებდა ეგ სკანდალი — პრინცმა კლუბის დარ-ბაზში გადაიხადა ქორნილი, მოიწვია თავადაზნაურობა, წარჩი-ნებულები, ჰოდა, იმათაც კარგა გვარიანად მოულენის, იმათ შორის — ჩვენმა გულდანცვეტილმა კნიაუნებმაც... ასე იყო, კი.

* * *

გოჩა ჯაფრარიძის წერილი ადრინდელია, მაშინ ვერ მოვა-
ხერხე გამოხმაურება და ახლადა მივუბრუნდი. უნდა გამოვხ-
მაურებოდი, რადგან შიგ იმდენი მნიშვნელოვანი ცნობაა, რაც
არ ვიცოდდ, რაც მანამდე არსად წამეკითხა და კარგი სიტყვაც
უნდა მეტქვა, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ზოგი რამ დასა-
ზუსტებელია და უნდა დაზუსტდეს, მითუმეტეს, როგორც ავ-
ტორი შენიშნავს, წიგნის დაწერას აპირებს აგრძაფინა ჯაფრა-
რიძეზე ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად, ამიტომ იმისი
გათვალისწინებაც აუცილებელი იქნება, რასაც ქვემოთ მო-
გახსენებთ, ზედმინევნით რომ დავიზღვიოთ თავი შეცდომე-
ბისაგან (ყველაფერს ვერც მივწვდებით, თეთრი ლაქები მა-
ინც დაგვრჩება).

გორჩა ჯაფარიძე აზუსტებს აგრძაფინას დაბადების თარიღს (1855 წლის 25 ოქტომბერი), მამამისის, კონსტანტინეს გარდაცვალების დროს (1860, 25 წლისა), დედის სახელ-გვარსაც — მელანია ჯაფარიძე (ისიკ ჯაფარიძე იყო), ნერს, რომ აგრძონას ჰყავდა დაც, ცხოვრიბდნენ რაჭაში, სოფელ ონჭევში. დაქვრივებული მელანია ქუთაისში გადმოსახლდა შვილებიანად და იქ მეორედ გათხოვდა (1864) აზნაურ ვიორგი იოსელიანზე (ისიკ ქვრივი იყო); აგრძაფინა წმინდა ნინოს სასწავლებელში მიატარეს.

შევნიშვნავ: აგრაფინას მამის სახელი კონსტანტინე აჭ. დუმინისა და იური ჩიქოვანის კვლევითაც, ოღონდ ივანე პუ-რადაშვილი წერს განსხვავებულად — „ივანე ჯაფარიძის ასუ-ლი... იგი, საერთოდ, ერთობ სანდო მეტერისტია, აქ კი, რო-გორც ეტყობა, ცდება, ან იქნებო იორივე სახელი ერქვა აგრაფი-ნას მიზას? ვარათარ იოტყვა.

ჩემთვის ს სიახლე აღმოჩნდა გოჩა ჯაფარიძის ის ცნობა, რომ აგრაფინას ტარიელ დადიანთანაც ჰყოლია ორი შეკილი. სტანისლავ დუმინი და იური ჩიქოვანი ამის თაობაზე არაფერს ამბობსენ, ტარიელ (ტაია) დადიანის მხოლოდ ოთხ შეკილს ასევენებენ: მიხეილი (1860 — ?), მარგარიტა, იგივე ციცინი (1860 — ?), ლევანი (1865 — ?), ნინა (1868 — ?). ესენი, ცხადია, ყველა სოფიო ლევანის ასულ შარვაშიძესთან ჰყავდა, ამიტომ მომავალ წიგნში აუცილებელი იქნება იმ წყაროს მითითებაც, რაც აგრაფინასა და ტარიელის ორ საერთო შვილს ასახელებს და შესაბამისად — სანდოობის შემოწმებაც. თუ მენიკი, ამათი ერთ-ერთი ქალიშვილი, მართლა 1882 წელსაა დაბადებული და აგრაფინა იმ წელს დაქორწინდა მეორედ, ჩანს, ფეხმმიმობისას გაუცვინა ცრინცი. გოჩა ჯაფარიძე ნერს, რომ მენიკი დადიანებმა ნაიყანეს და ისინი ზრდიდნენ, მაგრამ რატომ არ ჩანს ტარიელის ოჯახის ნუსხაში? ან სად ნავიდა? იქნება ადრე გარდაიცვალა? გარდა ამისა, თუ ტარიელ დადიანმა იდო თავს განქორწინების ბრალი (თუნდაც ფორმალურად), რატომძა მიიკუთვნა შვილები მხოლოდ იმას?

განქორნინების საზღაური ფულის თაობაზე (ვითომ პრინცმა მისცა და ტარიელ დადიანმა აიღო) ბევრს ლაპარაკობდნენ იმდროინდელ ქუთაისში, მაგრამ მართლა აიღო თუ არა ოქრო კოლეგიის რეგისტრატორმა თავადმა ტარიელ (ტაია) დადიანმა, ან რატომ დათმო ცოლი, რატომ იკისრა განქორნინების ბრალი (ივანე პურადაშვილიც მიუთითებს, განქორნინებისთვის საჭირო დანაშაული თავის თავზე მიიღო), არავინ იკის დანამდგილებით.

სხვათა შორის, სწორედ ფულად სასყიდელს ახსენებს „აგრაფინა კისკისას“ კიდევ ერთი ვარიანტი (მათიკო დათეშიძის მოგონებებიდან):

აგრაფინა კისკისაო,
დადიანმა ვის მიყიდა...

ეს აშენად დამახინჯებული ტექსტია (დამახინჯებული იმიტომ კი არა, „მიყიდა“ რომაა შეიგ, არამედ იმიტომ, რომ რითმა არა აქვს, არათუ რითმა, რითმაზე მინიშნებაც კი), მე სულ სხვაგვარად წარმოვიდგენი ამ ვარიანტს, თუ იმის რეკონსტრუქციას ვცდიდო; ეტყობა, მათივე დათეშიძე, რაკი 1990-იან წლებში იგონებს ყოველივეს, ხანდაზმულობისა გამო ზუსტად ვერ აღიდგნს სიმღრას, მეც რეკონსტრუქციის გარეშე გთავაზობთ, ისე, როგორც წერია და გთავაზობთ იმიტომ, რომ შეი ნახსენებია სიტყვა „მიყიდა“, ანუ ხაზგასმულია გარემოება, როგორც იმდროინდელმა ქუთაისმა თუ ქუთაისის დიდმა ნაწილმა შეაფასა ეს ამბავი.

გორჩა ჯაფარიძე შენიშვნავს, რომ ქუთაისელი კნიაუნები მზად იყვნენ, ერთ კოგზ წყალში ჩახერჩიოთ აგრაფინა, მათს იმედებს ცივი წყალი რომ გადაასხაო, და ამ სიტყვებს ელგუ-
ჯა თავდერიძეს მიანერს... ეს ასე არ არის და თვითონ ელგუ-
ჯასაც გარკვევით უნერია ამის თაობაზე — ეს ივანე პურა-
დაშვილის სიტყვებია, ხოლო „ერთ კოგზ წყალში ჩახერჩიობა“
შეიძლება ხატოვანი ხალხური გამოთქმაც იყოს და იქიდან
მოჰქონდეს პურადაშვილს.

პრინც ოლდენბურგელს, სიიოლისათვის, ხანდახან ოლდენბურგს ვეძახით — ასე მოვიხსენიებთ (ზოგჯერ მეც ასე ვიქტორი), მაგრამ ეს სწორი არ არის, — უნდა ვთქვათ და ვწეროთ „ოლდენბურგელი“ და არა „ოლდენბურგი“. ტრიფონ ჯაფარიძე არ თარგმნის და წერს — „პრინცი ოლდენბურგსკი“, ხოლო ივანე პურადაშვილს ქართულად გადმოაქს — „პრინცი ოლდენბურგელი“. მეცხრამეტე საუკუნიდან გადმოყოლილი სწორი ტრადიციაც ესაა.

დაზუსტება უნდა იმ პოლკის (უფრო — პოლკების) სახელ-
საც, პრინცი კონსტანტინე რომ მეთაურობს ქუთასში: გოჩა
ჯაფარიძე წერს, რომ ქუთასში დაბანვდა ყუბანის კაზაკ
ცხენოსანთა პოლკი ფლიგელ-ადიუტანტის პრინც კონსტან-
ტინე ოლდენბურგის მეთაურობით. ეს, არსებითად, სწორია,
მაგრამ რამდენიმე ნიუანსი მაინცაა გასათვალისწინებელი: ეს
პოლკი შედის კავკასიის მე-2 საარმოო კორპუსის კავკასიის
მე-2 საკავალერიო დივიზიაში. დივიზიის მეთაურია გენერალ-
მაიორი ივანე გივის ძე ამილახვარი. დივიზიაში ორი ბრიგადა
და ოთხი პოლკი: ტევრის დრაგუნთა მე-15, ხოპიორთა (ესე-
ნიც კაზაკები არიან), დონის შენაკადის — მდინარე ხოპიორის
მიდამოებიდან), ყუბანის ცხენოსანთა და ვოლგის (ცხენოსან-
თა. ტევრისას ნიკოლოზ ლიხტენშტეინი მეთაურობს, ვოლგი-
სას — ივანე მაკარის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი, ყუბანის კა-
ზაკებისას — სემიონ შუკოვი, ხოლო ხოპიორებისას (ზაპიორ-
ეებისას) — პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგელი. ეს პოლ-
კი სრულად იწოდება ასე: „მისი იმპერატორობითი უდიდებუ-
ლესობის ანასტატიანი მიხეილის ასულის ხოპიორთა ცხენოსანი
პოლკი“, მეთაურია ფლიგელ-ადიუტანტი, პოლკოვნიკი, მისი
უმაღლესობა პრინცი კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურ-
გელი (ოლდენბურგსკი). ანუ ამ დივიზიაში ყუბანის კაზაკთა
პოლკი ცალკეა და თავისი სხვა მეთაური ჰყავს. ასეა ეს 1883

ნოლის მეორე ნახევრამდე, ამ დროიდან კი, ეტყობა, როტაცია ან რეორგანიზაცია იწყება ამ სამხედრო ნანილებისა, შესაძლოა, ამ მე-2 დივიზიის ენაცვლებოდეს კავკასიის პირველი საკავალერიო დივიზია, აქ გადმოინაცვლებენ ივანე ამილახვარიც — პირველი დივიზიის მეთაურად კონსტანტინე ოლდენბურგელიც — პოლკის მეთაურადვე, ოლონდ ამჟერად მისი პოლკის სახელწოდებაში ჩიდება ყუბანიც, ანუ ეს პოლკი ისევ ხაბილორებისაა, მაგრამ ყუბანის კაზაკთა ჯარის (ვოისკა) შემადგენლობაში. შესაძლოა, ეს მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არც იყოს, მაგრამ მაინც...

სხვათა შორის, ივანე პურადაშვილი სწორედ ისე წერს სახელს იმ პოლკისას, როგორც სინამდგვილებშია — „ხაპიორის პოლკის პოლკოვნიკი პრინცი კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგელი“ (მისი მოგონებების წიგნში ამ ადგილზე კორექტურული შეცდომაა, წერია საპიორის (მესანგრეთა) და არა საპიორის, ეს კი სულ სხვა რამება).

საგულისხმოა გოჩა ჯაფარიძის ცნობები პრინცისა და აგ-
რაფინას ექვს შეილსა და იმათს ბედზე, სწორია, რომ პრინცმა
ბალახვანში იყიდა მიწა, ააგო კონიაკისა და ლვინის ქარხანა
და სხვანი.

სწორია, რომ აგრაფინა ქველმოქმედი ქალბატონი ბრძანდებოდა, ბევრს ეხმარებოდა. გოჩა ჯაფარიძის ზოგად ჩამონათვალს გრაფინიას გულმონცალების თაობაზე, რაც, ალბათ, სახელდობრ მიეთითება სამომავლოდ განზრაბულ მის წიგნში, დავუმატებ ერთს, კონკრეტულს, საზოგადოებისა და, კერძოდ, წევნი მკითხველისთვის საგულისხმოს:

მამია გურიელი რომ გარდაიცვალა, დღოებით დაიკრძალა იქ, სადაც დღესაც მარხია, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, იმ ვარაუდით, რომ მალე გადასავერებდებინ ამ ასალგაცებული ტაძრის მომავალი სამრეკლოს იატაკეჭვერი (ტაძარი რომ ეკურთხა, მერელა უნდა მიედგათ სამრეკლო, — რატომ და რისთვის, ამას აქ ალარ მოვყები), როცა იმის ბალაცერს ამოიყვანდნენ... მაგრამ ადამიანის ასე საპატიოდ, სამრეკლოს იატაკეჭვერ დამარტინებას ფული სჭირდებოდა, სავალდებულო შესანირავი ეკლესიის სასარგებლოდ (თუნდაც იმ ადგილზე დაკრძალვას, სადაც მამია დასაფლავებული, ასი-ასორმოცდათა მანეთ უნდოდა, სამრეკლოს იატაკეჭვერ — ბევრად მეტი, შიგ ტაძარში — კადევ უფრო ბევრი) და რაკი მამიას ჭირისუფალს ამისი სახსარი არ გააჩნდა, საზოგადოებამ აკრიბა ფული. ეს საქმეც, როგორც უამრავი სხვა, კირილე ლორთქიფანიძემ ითავა, სულ სამას მანეთამდე შეგროვდა, აქედან ნახევარი, 150 მანეთი, აგრაფინა ზარნეკაუმ დაღო, 50 მანეთი — გრიგოლ დადიანმა, სხვებმა — ათ-ათი, ზოგმაც — ხუთი, თხუთმეტი, ოცდახუთი, ოღონდ ეს ფული, ცხადია, მაინც არ ეყოთ და მამიას ნეტჭი დღესაც იქაა, ვითომდა დღოებით სამარეშიმეთქი, სადაც თავიდანვე დაიმარხა.

ერთგან გოჩა ჯაფარიძე წერს:

„ქუთაისში ცოლ-ქმარი 14 ნელინად ცხოვრობდა ოლ-დენბურგის მიერ აშენებულ ორსართულიან ეზოიან სახლში ანგლიისკაიას ქუჩაზე, რომელსაც, მის პატივსაცემად, ოლ-დენბურგის სახელი ეწოდა (ახლანდელი ტაბიძის ქუჩა, 20), ჩვენს დროში იქ ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა გან-თავსდა. იქვე ახლოს (27) მან ააგო ადმინისტრაციული შენო-ბაც, რომელშიც, ქუთაისის დატოვების შემდეგ, ჩერდებოდ-ნენ ქუთაისის გუბერნატორები. მოგვიანებით იქ სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა დაიდო ბინა“.

აქ ზოგი რამ მართალია, ზოგი რამ — არა.

ეს ორი სახლი არა მხოლოდ „აქვე ახლოს“, არამედ სწორე-
დაც ერთმანეთის პირისპირ, ქუჩის გადაღმა-გადმოღმა დგას,
ოღონდ იმათგან ერთში თოთხმეტ წელიწადს კი არა, სულაც არ
უცხოვრიათ ამთ (უნივერსტეტის ახლანდელ სამეცნიერო
ბიბლიოთეკას ვგულისხმობ), რადგანაც, რამდენადაც ვიცი,
ოღდებურგელ-ზარნეკაუებისა არასოდეს ყოფილა (ეს ბევრს
ექლება); აი, უმიშროების კომიტეტის მეზონინიანი შენობა კი

მართლაც პრინცისაა, იმისი აგებულია (თუ არ ვცდები, 1885 წლისთვის დასრულდა, ანუ ქორწინებიდან სამი წლის თავზე);

ახალდაქორნინებულები თავიდან, ვიდრე საკუთარში გადავიდოდნენ, ბესარიონ დათეშიძისგან ნაქირავებ ხის სახლში ცხოვრობდნენ (ექვთიმე თაყაიძევილი), აქვე ახლოს, თბილისის (დღევანდელ თამარ მეფის) ქუჩაზე; სხვა ცნობით (თამარ დათეშიძე, ბესარიონის შვილიშვილი), ბესარიონის ის სახლი ოლდებულგის (ოლდენბურგელის) ქუჩაზე იდგა (ანუ ყოფილი ინგლისისაზე, დღევანდელ ტიკიან ტაბიძის ქუჩაზე)... ეს ორი მითითება, ექვთიმე თაყაიძევილისა და თამარ დათეშიძისა, ერთმანეთს პრინციპულად არ ენინააღმდეგება, რადგან „ანგლიისკაა“ სწორედ თბილისის (დღევანდელი თამარ მეფის) ქუჩიდან იწყება და, ეტყობა, იმათა შესაყარი იგულისხმება, ამიტომ აკუთვნებდნენ ერთსაც და მეორესაც (ექვთიმე თაყაიძილს უჟველად უნდა ვერწმუნოთ, რადგანაც მაშინ, პრინცისა და აგრაფინას დაქორნინებისას, თვითონაც იქ ცხოვრობდა, ბესარიონ დათეშიძის ერთ-ერთ სახლში, ბესარიონის ქალიშვილის, ირინეს ოჯახში).

გარდა იმისა, „ანგლიისკააზზე“ რომ ააგებინა პრინცმა, ბა-ლახვანშიც, ღვინის ქარხანასთანაც აიშენა კიდევ ერთი დიდი სახლი (აგრძაფინა იქ გარდაიცვალა) — ერთსართულიანი, ბე-ლეტაჟზე, ოცდაოთობმეტასხევარი მეტრი სიგრძისა, ორი ცალკე შესასვლელით, ორი განცალკევებული ბინით, ოთხ და ექვსოთანიანებით... ეს სახლი და ღვინის ქარხანა, ოქტომბრის რევოლუციის მერე, ცხრასჩევდეტშივე თუ 1918 წლის და-საწყისისთვის მაინც, ცნობლმა მეწარმემ და ქველმოქმედმა კორნია დათეშიძემ (იმ ბესარიონის შვილიშვილმა) იყიდა.

აქ, ამ სახლში, კონიასთან სტუმრობდა 1919 წლის იანვარში საქართველოში გერმანული მისიის სარდალი, გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენტჭაინი.

ქარხნის შესასვლელი ამობურცული იყო გორაკივითო, — მათიკო იხსენებს, კონია დათეშიძის ქალიშვილი, — ზემოთ გავაკეტული, საციფურაოდ მოწყობილი, შენობაში — ლიანდა-გი და ვაგონეტი, ღვინისა და კონიაკის მუზეუმი (ის მუზეუმი, აქამდა, კაპიტალისტური გადმონაშთიაო, კომერციულება ააოხრეს), ეზოში — ორსართულიანი კოტეჯი სტუმრებისთვის, ღობე — პეტერბურგიდან ჩამოტანილი რკინის ჩუქურთმებით შემკული, სახლში — დიდი, ძვირფასა ავეჯი, სავარძლები, დიდი კარადები, ძვირფასი სურათები (ჩხრეკისას დანით დასერეს მჩხრეკელებმა), თეთრი დათვის დიდი ტყავი, დათვის თავი პუფივით, დასაჯდომად მოწყობილი; სახლიდან ბალში ვერანდით გადიოდი (ეს ვერანდა კონიამ გააკეთა); თავლა — ეტლებით, უნაგირებით, (ჰენენებით...

ცხრას ჩვიდმეტში თუ თვრამეტში, აქაურობა რომ გაიყიდა, აგრაფინა საქართველოში არ ყოფილა — იმისმა შვილებმა გაყიდეს — ზარნეკაუებმა; ისინი, მერე და მერე, საზღვარგარეთ დაიფანგნენ, მხოლოდ უმცროსი, სულით ავადმყოფი — ნინა დარჩა დედასთან, ან უფრო სწორი ის იქნებოდა, გვეთქვა — დედამ დაიტოვა სნეული, კავკასიაში ნამრიყვანა პეტერბურგიდან და, როგორც გოჩა ჯაფარიძე წერს, კისლოვიდესკიში მკურნალობდა. ნინა 1922 წელს გარდაიცვალა და აგრაფინა ქუთაისში დაპრუნდა...

კი დაბრუნდა, ოლონდ აქ აღარც სახლი გააჩნდა და აღარც ქონება, ქუჩაში დარჩა მოახლე ქალებიანადო, — მათიკო და-თეშიძე იტყვის მერე.

მათიკოს მოგონებანი, როგორც მამიდამისის — თამარისა, გამოუქვეყნებელია და ოჯახში ინახება, რაკი გამოსაქვეყნებლად არც დაწერილა, არამედ მხოლოდ საკუთარი შთამომავლობისთვის, რომ არ დავიწყოდათ, ვინ იყვნენ, საიდან მოდიობოდნენ.

ამ მოახლეობა ქალებს, ემმასა და ანას, დაბეჭდილ დოკუმენტში — სამართლისარო განცხადებაშივ — შევჩერდებით;

ასლა ისევ ერთ აპზაცს ამოვნერ გოჩა ჯაფარიძის წერი-ლიდან და ზოგიერთი დეტალის დაზუსტებას ვეცდები:

„აგრძინა ქუთაისში დაბრუნდა. ბოლშევიკებმა ჩამოართვეს მთელი ქონება და იძულებული გახდა, ძმსშვილთან, გიორგი იოსელიანთან ეცხოვრა. ... პეტიაჩემის გადმოცემით, სიცოცხლის ბოლო წლებში გაჭირვებში ჩავრდა. შეიღებასგან დახმარება არ ან ვერ მოდიოდა და თავი ახლო ნათესავების დახმარებით გაჰქონდა. ნინას სიკვდილის შემდევ კიდევ ოთხი წელი იცოცხლა და გარდაიცვალა 1926 წლის 18 ოქტომბერს, ქუთაისში, ფილტგვების შეზუტებით. განცხადება აგრძინას გარდაცვალებაზე გააკეთა მისმა ძმისშვილმა გიორგი იოსელიანმა... მისი საფლავი საძირბელია ქუთაისის ძველ, უკვე გაუქმდებულ რომელიმე სასაფლაოზე“.

აქ ზოგი რამ მართალია, ზოგი რამ — არა.

დაგინეროთ იმით, რომ გრაფინისა იოსელიანებთან, ძმასა და ძმისშვილთან არ უცხოვრია, არამედ ცხოვრობდა კონია დათეშიძესთან, თავის ყოფილ, ანუ პრინც ოლდენბურგელი-სეულ ერთ-ერთ სახლში:

აგრძაფინა ზარნეკაუმ მამაჩემს, კონია დათეშიძეს სთხოვა
თავშესაფარიო, — მათიკო გვიამბობს.

კონიაშ ოთხოთახიანი განაყოფი დაუტმო და საკვებსაც არ აკლებდა, მსახურებს შექვენდათ ყოველდღე, ხოლო უქ- მეებზე მოსაკითხს უგზავნიდა ბაგშების ხელით;

ରୂପ ଶ୍ଵେତପଦ୍ମନାଥ, ମୁଦାମ ମନ୍ଦିରାର୍ଜ ଯୁଗ, „ସାକ୍ଷାତକାଳ ମନ୍ତ୍ରୀ-
ବୋଲିମ“, — ମାତ୍ରିକ ଉତ୍ସବି, — ଶତିଲ୍ଲବନାଥ ଜ୍ୟୋତିଶ ଗୁହ୍ୟକଣିଧାର;

ცხადია, ბავშვებ, რვა-ათი წლისას, მოტებილად ერვენებოდა (და, აღბათ, ასეც იყო — მალევე მოკვდა) ახალგაზრდობისას თვალისმომჭრელი სილამაზის ეს ქალბატონი; აგრძაფინა იმ დროს სამოცდაათ ნელს იქნებოდა მიღწეული, რაკი 1855 წელსაა დაბადებული.

განცხადება ძმისშვილმა, გიორგი იოსელიანანმა გააკეთაო, — გოჩა ჯაფარიძე რომ წერს, გულისხმობს, აღბათ, ნათესავის განცხადებას, გარდაცვალების მონმობის ასაღებად შეტანილს... მსგავსი განცხადება აუცილებლად უნდა დაეწერა ვილაცას — ნათესავს, ახლობელს... გიორგი იოსელიანი შედარებით ახალგაზრდა კაცი იყო (მამასთან შედარებით), მისვლა-მოსვლა იმას უფრო ეკოლებოდა და ამიტომ დაეკისრა ეგსაჭმებ (განცხადების დაწერა), ოლონდ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აგრძაფინა იმასთან ცხოვრობდა, მითუმეტეს, იოსელიანების ოჯახის მეთაური იმხანად გიორგი კი არაა ჯერაც (სამგლოვიარო უწყებაში ვნახავთ), არამედ მამამისი, აგრძინას ნახევარძმა — კირილე იოსელიანი.

გარდაცვალების თაობაზე დანერილი ის განცხადება ხელთ არ მომეპოვება, მაგრამ მაქვს სულ სხვა, საზოგადოებისთვის შესატყობინებლად შედგანილია, მთლიანად ოჯახისა, ნათესავებისა, 1926 წლის 20 ოქტომბრის გაზეთ „კომუნისტში“ (როგორც უნდა გაგიკვირდეთ) დაბეჭდილია; ახლა სწორედ ის წავიკითხოთ და რამდენიმე დეტალი დავაზუსტოთ:

„ღრმად დამწუხებული შვილები: საშა, ნიკოლოზ, თინა და პეტრე; დები: ეკატერინე ნაკაშიძისა შვილებით, ნინო ჯაყელისა ქმარშვილით, კვესარია ტატიშვილისა შვილებით, ქმა კირილე იოსელიანი (ცოლშვილით და მისი მომვლელი ქალები ემმა და ანა აუნიკებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაკნობებს

აგრძელება ზორბეკაუს

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება საფინრჩის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან (აკაკი წერეთლის ქ. 92), ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, დღის 3 საათზე. პანშილიდ ყოველთვიუ, სალამოს 5 საათზე“.

۱۶۷

პირველი: აგრძაფინას საფლავი არა რომელიმე სხვა, არა-მედ სწორედ საჯიშჩიის სასაფლაოზეა;

მეორე: გავიმტეორებ, გიორგი იოსელიანმა რომ დაწერა გან-
ცხადება გარდაცვალების მოწმობის ასაღებად, ეს არ ნიშნავს,
თითქოს აგრძაფინა იმათსას ცხოვრობდა, ან იმათ გაასვენეს;

მესამე: ამ დროს სწორედ ოთხი შვილია ცოცხალი აგრაფი-ნა ზარნეკაუსი (დადიანთან თუ მართლა ჰყავდა შვილი, ან არ სცონბდა დედად, ან ცოცხალი აღარ იყო);

ამ ჩამოთვლილ შვილთაგან არც ერთი არ უნდა დასწრებოდა დედის დასაფლავებას: საშა (ეს იგივე ალექსანდრა იქ-ნება, ქალიშვილი) ემიგრაციაშია, ემიგრაციაში არიან ნიკოლოზი და პეტრეც, მხოლოდ თინა (ეს იგივე ეკატერინეა) ცხოვრობს საბჭოთაში, ოლონდ — რუსეთში;

მეოთხე: შვილები და და-ძმა აგრაფინასი ჩამოთვლილი უნდა იყვნენ ასაკის, უჯროს-უმცროსობის კვალობაზე; ეს შენიშვნა შეიძლება მნიშვნელოვანი გამოდგეს შემდგომი კვლევისას;

მესუთე: წერეთლის 92 იმ დროს სწორედ კონია დათეშიძის სახლია, პრინც კონსტანტინე ოლდენბურგელისეული და არა იმსელიანებისა;

მეექვესა და მეშვიდეს (დების ოჯახები და სხვანი) კვლევას აღარ განვაგრძობ;

წერეთლის ქუჩის იმუამინდელი 92 რომ კონია დათეშიძის სახლია ნამდვილად, ამას საარქივო დოკუმენტებიც ადასტურებს, კერძოდ: ერთია 1934 წლის 26 მარტს საბინაო კოოპერაციისაგან გაცემული მანქანაზე ნაბეჭდი ცნობა (ქცა, ფონ. 506, საქმე 9) იმის თაობაზე, რომ „წერეთლის ქუჩაზე მდებარე სახლი (ყოფილი კონია დათეშიძის), რომელშიც ამ უამად მოთავსებულია სამტრესტი, ეკუთვნის საბინაო კოოპერაციას“. მერე ხელითა მინერილი: „გასაბჭოებულია ცაკისა და სახკომ. დადგენილებით 1927 წლის 7 მარტის“.

ამ დოკუმენტში ჩნდს გასაბჭოების თარიღი — 1927 წლის მარტი და დაზუსტებულია, რომ ეს ის სახლია წერეთლის ქუჩაზე, სადაც საბჭოთა ხანაში „სამტრესტი“ იყო.

ნომერი ამა სახლისა მეორე საბუთში გამოჩნდება — ესაა დაზღვევის სტანდარტული ფურცელი („შენობებში“): აღწერილია ორი შენობა, ერთი — საცხოვრებელი, მეორე — „სარაია“: საცხოვრებელი ქვისაა, კრამიტით დახურული, მდგომარეობა „დამაკამყოფილებელი“, სიგრძე — 34,50 მეტრი, სიგანე — 10,50 მეტრი, სიმაღლე — 4,70; სარაია: შერეული, კრამიტით დახურული, მდგომარეობა — „არადამაკამყოფილებელი“, სიგრძით — 12,50 მეტრი, სიგანით — 3,40 მეტრი, სიმაღლით — 2,60. მისამართია წერეთლის ქუჩა 92. ყოფილი მფლობელია კონია ყარამანის ძე დათეშიძე...

აქაცაა მითითებული, რომ შენობა „ამორიცხულია სახლთ მფლობელთა სიიდან, როგორც გასაბჭოებული და ეკუთვნის საბინაო კოოპერაციას 1927 წლიდან“...

რაკი ოლდენბურგელისეული სახლი წერეთლის ქუჩაზე იმ-სანად 92 ნომერი იყო, უეჭველია, კონია დათეშიძესთან უცხოვრია ბოლომდე აგრაფინა ზარნეკაუს და აქ აღსრულებულა...

მაგრამ რატომ წერია სამგლოვიარო განცხადებში „საკუთარი ბინიდან“? ვითომ აგრაფინამ გაყიდულის ოთხოთახიანი ნაწილი დაიბრუნა, გამოისყიდა? (საეჭვოა, ამისი სახსარი აღარ შერჩა)... თუ იმიტომ, რომ აქაურია იმსანად, 1926 წლის ოქტომბერში, „საკუთარია“ ზოგადად და არა საზოგადო, ანუ „გასაბჭოებული“? ალბათ ასეა, რადგანაც 1927 წლის მარტში, აგრაფინას გარდაცვალებიდან სუთი თვის მერე, მთლიანად კონია დათეშიძისა იყო (მათიკოც ამას წერს) და იმას ჩამოართვეს — გაასაბჭოვს.

ის სახლი, პრინც კონსტანტინე ოლდენბურგელისეული, მათიკოც დათეშიძე რომ ასე დაწვრილებით აღწერს, უნდა მეპოვნა და მოძებნა უცადეს.

წერეთლის ქუჩის დღევანდელი 92-ე ნომერი, აშკარად ეტყობა, ეგ არ უნდა ყოფილიყო, იმ აღწერილობას, მათიკო-სას და საარქივო დოკუმენტის ანაზომისაც არ ედრება (სიგრძე 34,50 მეტრი), — ბევრად, ბევრად პატარაა...

კვალზე დამაყენა 1934 წლის 26 მარტის ხსენებულმა საარქი-ვო (ცონბაში: „წერეთლის ქუჩაზე მდებარე სახლი (ყოფილი კონია დათეშიძისა), რომელშიც ამ უამად მოთავსებულია სამტრესტი“...

სამტრესტი...

იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო — პრინცი დაინის ქარხანასთან, იმის ნაწილადვე ააშენებდა სახლსაც, ადმინისტრაციულსაც, საცხოვრებლად და სასტუმროდ საჭიროსაც.

ერთსართულიანი იყო, ბელეტაზზე.

კონია დათეშიძემაც გადააკეთა რაღაც-რაღაც, ოლონდ — ეზოს მხრიდან, უკან, ეგ ვთქვით.

ბევრ ჩვენგანს ახსოვს, სადაც იყო ღვინის ქარხანა ბალახვანში (აღარ არის, მონაცავებულია იქურობა), სადაც იდგა და დგას „სამტრესტის“ შენობა, ოლონდ ახლა „სამტრესტიც“ აღარ არის შიგ.

ეგ უკვე წერეთლის 96-ე ნომერია ახლა და არა 92-ე.

სახლიც აღარაა იმანირი — უკვე ორსართულიანა და არა ერთიანი, ამასთან, მხოლოდ სართული კი არ დაუშენებიათ, სიგრძეც მიუმატებიათ სამტრესტელებს — ექვსი თუ შვიდი მეტრით გაუზრდითა, მიშენების კვალი ნათლად ჩატანს.

ქუთაისში ჩამობრუნებული აგრაფინა ჯაფარიძე-დადიანი-ზარნეკაუ მხოლოდ იდგა ამ სახლში, მსახურებიანად... ქირით და მდგმურად-მეტქი, მაინც ვერ ვიტყვი, რადგან არა მგონია, კონიას ქირა გამოერთმია, — ამას არც იკადრებდა, არც ჰყადრებდნენ, პირიქით, იქით ეხმარებოდა სტუმარს, ყოფილ პატრიონს იმა სახლიასას, გრაფინიას, მთელს იმპერიაში ცნობილ ქალბატონს და მერე აქედანვე გაასვენა ცხრაასოცდაექვსის ოქტომბერში. არ იკადრებდა, არც ჰყადრებდნენ-მეტო, რადგან უამრავ ვინმეს უმართავდა ხელს ისიც და იმის იმის დიდი იჯახიც, ასე მოსდგამდათ. სხვათა შორის, დადეშექლიანები არიან ეს დათეშიძები წარმოშობით, თუმცა ეს ცალკეა სატემელი და გრაფინია ზარნეკაუს ამბავთან არა-ფერი აქვს საერთო.

შინავერი:

ამ ამბების დაზუსტებისას კიდევ ერთხელ, მერამდენედ დაგვაყენა სწორ კვალზე ივანე პურადაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ტრიფონ ჯაფარიძის, თამარ და მათიკო დათეშიძების მოგონებებმა. ამათგან პირველი სამი დაბეჭდილია, დათეშიძებისა — არა.

გვჭირდება და უნდა გამოიცეს ქართული ბიოგრაფიული ლიტერატურის მრავალტომიანი აკადემიური კორპუსი, უნდა გამოიცეს ყველაფერი, რასაც პირველწყაროს თუნდაც მცი-რეოდენი ლირსება მაინც ექნება... უნდა მოვითიქროთ, შევიტანოთ თუ არა შიგ უცხოელთა უცხოურად დანერილი მოგონები საქართველოზე, ქართულ საზოგადოებაზე (ფრიდრიხ ფონ კრესი, ბერტა ზუტნერი, სხვები)... მართალია, ბევრი რამ უკვე დაბეჭდილია და მკითხველისთვის ხელმისაწვდომი, მაგრამ ბევრი რამ ისევ მისაცვლელია — მუზეუმებისა და არქივების ფონდებში, ოჯახებში. ათონდე წლის წინათ აღმოჩენილი იყო, მითხვა არ სურსო, იმის მერე გამოიცა თუ არა, არ ვიცი, თუკი არ დაბეჭდილა, ამისი დროც მოვიდა ალბათ.

ამ კორპუსის შედეგნას ერთი და ორი ადამიანის ძალისხმევა არ ეყოფა და, ალბათ, ქართულ ლიტერატურის ინსტიტუტმა ანდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებაში უნდა ითავოს, პროექტი განსახილებულად გამოქვეწნდეს, ჩვენც, ყველამ, ლიტერატორობმაც, ისტორიკოსებმაც (ისტორიის ინსტიტუტმაც), ჩვენი წილი საქმე ვიკისროთ, ერთად დაგა-ზუსტოთ, შევთანხმდეთ, რა და როგორ აჯობებს.

ამ კორპუსის შედეგნას ერთი და ორი ადამიანის ძალისხმევა არ ეყოფა და, ალბათ, ქართულ ლიტერატურის ინსტი-

ტუტმა ანდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებაში უნდა ითავოს, პროექტი განსახილებულად გამოქვეწნდეს, ჩვენც, ყველამ, ლიტერატორობმაც, ისტორიკოსებმაც (ისტორიის ინსტიტუტმაც), ჩვენი წილი საქმე ვიკისროთ, ერთად დაგა-ზუსტოთ, შევთანხმდეთ, რა და როგორ აჯობებს.

მთავარია დაზუსტება, შედგენა, გამომცემელი გამორჩევა.

ეს უნდა იყოს, აუცილებლად, აკადემიური გამოცემა — საძიებელებით, შესაფერისი აპარატურით, სხვაგვარად სანა-

ხევრონდ გაკეთებული საქმე გამოვა, არ ივარგებს.

შეიძლებოდა ამგვარი ლიტერატურის ანალიტიკური ბიბ-

ლიტერატურის შედეგნაზეც გვეფერია...

ეს ფულუნება არაა, აუცილებელია, და თუ რატომ და რის-

თვის, განუმარტავადაც ცხადია.

თეონა კაპანაძე

ელიზბარ ბიჩინაშვილი — უცნობი სახელი ქართული ემიგრაციის ისტორიაში

ემიგრაციის თემას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ისტორიოგრაფიაში. როგორც რუსულად დაუშვილი აღნიშნავს: „ქართული კულტურა ნარმოუდგენელია ემიგრანტთა ლვანლის შესწავლის და ყველა იმ ლირებულების გათვალისწინების გარეშე, რომლებსაც ისინი სამშობლოში დაბრუნების იმედით ქმნიდნენ.“

შეუძლებელია ჩვენი ისტორიიდან ემიგრანტთა ლგანბლის ამოშლა.“

ქართველ ემიგრანტთა პირველმა ტალღამ სამშობლო 1921-39 წლებში დატოვა, მეორე ტალღა კი ემიგრაციაში 40-50 წლებში — მეორე მსოფლიო ომის დროს აღმოჩნდა.

ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ელიზბარ ბიჩინაშვილი, რომელიც უცხოეთში სწორედ მეორე მსოფლიო ომის დროს აღმოჩნდა.

ელიზბარ ბიჩინაშვილის ტრაგიკული ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლით, რის საშუალებასაც მისივე პირადი არქივი და დის — ციალა ბიჩინაშვილის მიერ ნაამბობი ზეპირი ისტორიები გვაძლევს, შეგვიძლია გავითვალისწინოთ ზოგადად იმ ხნის ქართველ ემიგრანტთა ცხოვრების პირობები უცხოობაში, ინტერესები, განცდები, დამოკიდებულება სამშობლოსადმი, როგორ აეწყო მათი ცხოვრება ომის შემდეგ, თუ როგორ უყურებენ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას. განსაკუთრებით გამოყოფ ერთმანეთისადმი დამოკიდებულებას, მიუხედავად იმისა, რომ სხვა-დასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ, ერთმანეთს შეძლებისდაგვარად მხარში უდგანან, სულიერად, მატერიალურად, ნერილების საშუალებით უზიარებენ საკუთარ ფიქრებსა და ოცნებებს, იგო-ნებენ სამშობლოში გატარებულ წლებს.

როგორც ელიზბარის, ისე მისი ქართველი ემიგრანტი მე-გობრების წერილებზე დაყრდნობით, ასევე შესაძლებელია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების, სადაც ისინი ცხოვრობენ: ბრაზილიის, ამერიკის, გერმანიის, ავსტრიის, იტალიის, საფრანგეთის, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე დაკვირვება.

გარდა ამისა, ელიზბარის ცხოვრების კვლევისას იკვეთება სხვა ქართველ ემიგრანტთა სახელებიც; მათი ნანილი მეტნაკლებად ცნობილია, ნანილი კი, ისევე როგორც ელიზბარი, დღემდე უცნობი.

ელიზბარ ბიჩინაშვილი დაიბადა 1920 წლის 26 თებერვალს, თბილისში, საქამაოდ რითული ბავშვობა ჰქონდა. 1930 წელს მამა განუკულაკეს, რაც ძალიან განიცადა. 1965 წლის 2 ნოემბრით დათარიღებულ წერილში, რომელსაც დას სწერს, უყვება თუ როგორ ცდილობდა მამის დახსნას:

„თქვენ ძალიან პატარები იყავით და ალბათ არ გეხსომებათ მამის დაუღალავი შრომა, რომელიც უნაზღაურდებოდა ტანჯვით. მე იმდენად მანუხებდა მამის ტანჯვა, რომ იძულებული ვი-

ყავი მომექრთამა თანეთის სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები, რათა ადრეულ ასაკში გავენერი წითელ არმიაში მოხალისებდ; მინდოდა ამთ შემეტმუშაბუებინა მამის მძიმე ცხოვრების პირობები. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ბევრი ვიმოქმედე და მამა დავიხსხნი; როგორც იცით ამას მოჟყვა მომ და

შევიტენი უდანაშაულო მსხვერპლი. ეს ამბავი დღემდე არავინ იციდა“ (ხეც, ელ. ბიჩინაშვილის არქივი, №5).

ელიზბარი 19 წლისა წავიდა ჯარში, მსახურობდა ბალტიისპირეთში. 1939 წელს საბჭოთა კავშირმა მოახდინა ბალტიისპირეთის ოკუპაცია, ასე აღმოჩნდა ომის მონაწილე. 1943 წელს დაიჭრა, მეგობრებისგან მიტოვებულმა გადაწყვიტა თავად მიეღნია რომელიმე ნანილამდე. მისოვლით მივიდა კიდეც, მაგრამ აღმოჩნდა გერმანელებისა. მათ რა თქმა უნდა ტყვედ აიყვანეს.

სავარაუდოდ, სწორედ ტყვეობის დროს ანარმოებდა დღიურს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წანილია მისია არქივის. მოიცავს პერიოდს 1944 წლის 9 იანვრიდან 11 იანვრის ჩათვლით; სულ სამი დღის ამბებია მოთხოვნილი, მაგრამ ძალზე საგულისხმო და მნიშვნელოვნი, რადგან დეტალურად არის აღნერილი ბატალიონების გადაადგილება, იმ სოფლის მცხოვრებთა მძიმე პირობები, სადაც მოსასვენებლად ჩერდებოდებენ, ის სირთულეები, რაც ჯარისკაცებს გზაში ხვდებოდათ. აღწერილი აქვს როგორც საკუთარი, ისე სხვა ჯარისკაცთა განცდები, მოგონებანი სამშობლოზე.

დასაფასებელია, რომ იმ გაუსაძლის ვითარებაში დღიურს ანარმოებდა.

ომის დამთავრების შემდეგ, როგორც დის, ციალა ბიჩინაშვილის ნაამბობით ვიცით, ელიზბარი ცხოვრობდა გერმანიაში, ზალცბურგში, სადაც მეგობართან, ვინმე ნიკალაევთან ერთად თავს ირჩენდა მანქანების შეკეთებითა და გაყიდვით. 1948 წელს დაქორწინდა ეროვნებით უკრაინელ ქალზე, შენია დემიდენკოზე, რომელიც ასევე ემიგრანტი იყო. გერმანიიდან ბრაზილიაში წასვლა მალევე გადაწყვიტა, საბოლოოდ სან-პაულუში დამკვიდრდა. ეყოლა თრი შვილი, შვილობილები და შვილობილები, მეუღლე ცოცხალია, დღემდე სან-პაულუში ცხოვრობენ. ელიზბარი გარდაიცვალა 2004 წლის 4 ნოემბერს. ფერფლი დაკრძალულია თბილისში.

მისი პირადი წერილები განმსჭვალულია პატრიოტიზმით; ძალიან განიცდიდ სამშობლოდან შორს ყოფნას. განსაკუთრებით იმ ფაქტს, რომ შვილებს არ ჰქონდა საქართველოს ხახვის საშუალება. 1971 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ წერილში, რომელსაც დას სწერს, აღნიშნავს:

„ჩემი შვილები იზრდებიან როგორც სიცოცხლემისჯილი ტყვეები; სად ნავლენ, ვისთან მივლენ, ვინ გააჩინათ? ჩემი გულისითვის იტანჯებიან, თუმცა არავითარი ბრალი მიუძღვით სამშობლოს წინაშე... მე არავის გავქცევივარ, ჩავვარდი



მეუღლესთან, უნია დემიდენკოსთან, ერთად

დაჭრილი ტყვედ; თუ დაისმის სკითხი რატომ ფიცი არ შევასრულებ და თავი არ მოვიკალი?! იმიტომ, რომ უგონიდ ვიყავი, როცა გონის მოვედი აღმოგჩნდი ტყვეთა ღაგირის ღაზარეთში; თუ კითხვა ჩნდება, ომის შემდეგ რატომ არ დაგძრუნდი სამშობლოში სინდისმა არ მომცა საშუალება, რადგან საბჭოთა მთავრობის წესით მე ვითვლებოდი მოღალატედ, ამიტომ საქართველოსკენ მომავალი გზები გადაღობილი იყო. თუ სამშობლოს ვძულებარ არაუშავს, მთავარია, რომ მე ვარ ქრისტიანი რისი საფუძველიც დგას სიყვარულზე და შეუძლებელია ჩემში ვინმებ ნამალოს სამშობლოს სიყვარული და სიდიადე „ხეც, ელ. ბიჩინაშვილის არქივი №12).

ელიზბარის პირადი არქივი შეიცავს უცნობი ქართველი ემიგრანტების, ბესარიონ რეზვანაშვილის პირად წერილებსაც. ბესარიონის შესახებ ჩვენთვის ამჟამად ცნობილია მხოლოდ ის, რომ მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა, ტყვევდ ჩაგარდა და ომის დამთავრების შემდეგ ემიგრაციაში გაატარა ცხოვრება. ჯერ გერმანიაში, შემდეგ ბრაზილიაში დამკვიდრდა. ახლო მეგობრობა და ნათესაობა აკავშირებდა ელიზბართან. გარდაიკვალა ბრაზილიაში.

გარკვეულ ხანს ბესარიონი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობს, აქვთ საკუთარი საყასბო ბრაზილიაში, არის ერთ-ერთი ქართული „კომიტეტის“ თავმჯდომარე და შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ემიგრანტ ქართველებს, ნაციონალურ უცნობს, სხვადასხვა საბუთებისა მოწმობების მიღებაში.

არქივის ამ ნაწილში იკვეთება მიხა-
კო წერეთლის სახელი, კერძოდ, 1946
წლის 30 ნოემბრით დათარიღებულ წე-
რილში გივი კობახიძე სწერს ბესარიონ
რეხვაშვილს:

„მე და მიხეილ წერეთელი მისი
რძლით და შვილიშვილით წელინადნახე-
ვარი ერთად ვიყავით, ამჟამად დავშორ-
დით. ისინი დარჩენებ სოფლად მე კი ცო-
ლით მიუწენდი გადმოვსახლდი, მალე
ალბათ ისინიც აქ გადმოვლენ საცხოვ-
რებლად. მისი ვაჟი, ოთარი, იყო გერმა-
ნულ ჯარში, 1945 წლის შემდეგ მისი აღ-
რაფერი ისმის დაიკარგა, დარჩა მოხუცი
წერეთელი მარტო რძლით და შვილიშვილით; საქმე ის არის, რომ
მისმა შვილმა დაქორწინება ვერ მოასწორ, გერმანული კანონის
მიხედვით, ცოლ-შვილი, წერეთლობას ვერ მიიღებს. მიხეილს
სურს, რომელიმე ქართული დაწესებულების საშუალებით, რაც
კი დღესდღეობით ჩვენ გაგვაჩნია, ე.წ „კომიტეტის“ გზით საბუ-
თის მიღება“ (**ხელ, ელ ძირინაშვილის არქივი №167**).

მოგვიანებით მისაკრ წერეთელი თავად სწრეს წერილს ბე-
სარიონს აღნიშნულთან დაკავშირებით. ზემოთ მოყვანილი წე-
რილი იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში მოიხსენიება
იქ არსებული ქართული დანერგულება „კომიტეტი“, ჩანს აღ-
ნიშნული დაწერებულების არსებობის როლი და მნიშვნელობა.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა კომიტეტები და ქართული პოლიტიკური გაერთიანებანი, ემიგრაციის პირველივე წლებში იქმნებოდა სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა მიერ, სადაც დროდადრო იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებზე, რომელიც ეხებოდა ემიგრაციას, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას. ცნობილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი“, „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და სხვა. თუმცა ამ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული, რომელ კომიტეტზეა საუბარი.

ამ მხრივ სინტერერესოა ამერიკაში მცხოვრები ლადო შა-
რაპიძის (1900-1975) წერილები ბერსარიონ რეცვაშვილისად-
მი. 1952 წლის 4 ივლისით დათარილებულ წერილში ლადო შა-
რაპიძე სწერს ბერსარიონს:

„...აქაური ქართველები კარგად არიან, თუმცა რაც პოლიტიკურად დაინტეს მუშაობა, აქაური ძველი ემიგრანტები კრებაზე აღარ მოდიან. პირველი იმიტომ, რომ მათ ჩვენი ქვეყნის ბედი არ აინტერესებთ, მეორე ის, რომ რუსულად ლაპარაკის უფლებას არ გაძლევთ, ქართული კი უკრძალებათ; ეს ხალხი ფიქრობს უმეტესად საკუთარ ინტერესებსა და დოლარებზე ვიდრე ქართულ საქმეზე“ (ხეც, ელ.პირინაშვილის არქივი №205).

საინტერესოა 1951 წლის 26 მარტით დათარიღებული ლადღ შარაბიძის წერილი ბესარიონისადმი, რომელშიც საუბარია ნიუ იორკში ქართულ-ამერიკული ლიგის არსებობისა და შექმნის მიზნების შესახებ, აქავ მოიხსენიებიან ძველი და ახალი ემიგრანტი ქართველები. ამონარიდი წერილიდან:

„...აქ უკვე ბლომად შევიყარეთ ახალი ქართველები. ძვე-



შვილთან, გომრგისთან, ერთად

რამ ამჟამად გაყინულია, რადგან ესენი გასაქანს არ აძლევენ. აյ არინ კარგი ქართველი ყმანვილები, რომლებიც გერმანელობის საბუთს ატარებენ. ეს გამოინვია იმან, რომ როდესაც ინგლისელებმა რუსებს გადასცეს, გამოიქცნენ და გერმანელებს შეაფარეს თავი, ახლა სურთ ისევ ქართველებად გადმო-ენერობ, გთხოვ, დაეხმარე.

თუ შესაძლებელია ჭანტურიას გამოუყ ზავნე ცნობა, თით-ქოს გამჭურვება, საჭიროა ტანსაცმლის მისაღებად “(ხეც, ელ-ბიჩინა შვილის არქივი №168).

P.S.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთი დასტურია, რომ ემიგრაციის თემა გარდა მისი დიდი მნიშვნელობისა, ამოუწურავია. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული ქართველი ემიგრანტის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევა, ანალიზი და ფართო საზოგადოებისთვის მიწოდება.

ამ სტატიაში ძალზე მოკლედ არის გადმოცემული, ელიზ-ბარ ბიჩინაშვილისა და რამდენიმე ქართველი ემიგრანტის ცხოვრება და მოლვანეობა ემიგრაციაში.

მისაპარი და დასაფასებელია მათი სწრაფვა ქართული ენის დაცვის, ეროვნულობისა და ტრადიციების შენარჩუნებისკენ.

ნათელა არველაძე

იქ, საიდანაც იცყვაპა საქართველო

2014 წლის 19 აპრილს ნანა დემეტრაშვილს 75 წელი შეუს-რულდებოდა. მისი დამსახურების მიზეზით ამ დღეს ნათესავ-მეგობრების მხოლოდ ვიწრო წრე ვერ აღვნიშნავდით. მისი ქა-ლიშვილის, ანა ნიკოლაშვილის, თაოსნობითა და ორგანიზა-ციით ამ თარიღს ფართოდ აღნიშნავს მესხეთის თეატრი — ამ მხარის ხელისუფალთა და შესაბამისი სამინისტროს ხელ-შეწყობით, ნინო ჩხეივიშვილმა ნიგნი მიუძღვნა ამ თარიღს — ასე დაიწყო სამზადისი. იმ დღეებში კი ნანას საიუბილეო თა-რიღისადმი მიძღვნილი ღონისძიების სტუმრებსა და მონაწი-ლეებს მასპინძლობას უპირველესად უწევდნენ ნანას შვილე-ბი — მამუკა და ანა...

26 აპრილს მესხეთს მივემდზარები. ნანასთან ნახევარ სა-უკუნეზე მეტი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. 17 საათზე საი-უბილეო საღამო დაიწყება. ვდელავ. ფიქრში ვიძიორები. ვიხსე-ნებ მასთან გატარებულ დღეებს. თვალინი ჩამიქროლა მთელ-მა ეპოქაში, პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, სოციოკულტუ-რულმა მოვლენებმა, სათეატრო დღესასწაულებმა, წუხილისა და ტკივილის სიმწვავემაც. არაერთმა ხიფათიანმა თუ კვიმა-ტიანმა შემთხვევამაც გაიღვა ჩემს გონებაში. მოსაგონარი საკმიანი მეტი მაქავა...

ბორჯომის ხეობა გაზაფხულის სიკეკლუცით გვეგებება. ბუნების ხელშეუხები სიდიადე თვალს მტაცებს. საინტერესო ფაქტებს ვიხსენებ, რომ საღამოს გავუმხილო დარბაზს — რო-გორ ეტრულდა ნანა მესხეთის მიწა-წყალს, ციხე-კამიშებსა თუ ქვაშ გარინდულ ნაქალაქარს; როგორი თავგანირული სიყ-ვარული დაჰქონდა ვაჟა-ცურ სულში თავისი მაყურებლისად-მი, უნებურად ზეცას აგხედე. ცას შავი ღრუბელი აკვროდა, აწყურთან მისულებს ავტედითად დაგვუურებდა და... ცა ჩამო-იქცა თითქოს, მუშტის სიმსხით სეტყვა ნობათივით ცვიოდა მაღლიდან. ბუნება იქანდებოდა, გვირისხდებოდა, რაღაცას გვემართლებოდა. უთუოდ ნაამაგარი ქალატონის ტკილ-მწარე ხევედრს იხსენებდა. ელვასავით გაკრთა გონებაში — ნუთუ ავდარი დააფრთხობს მაყურებელს?! საღამოს დაწყები-სათვის მზემ გამოანათა — ბუნებამ გამოიგლოვა და მიწყნა-და. უთუოდ ღრმად ჩახვეული სატკივარი ამოანთხია...

თეატრის შენობა უზევულოდ გარინდული, სიმყეუდროვეში ჩაძირული დაგვხვდა. ჭალის ნათურები გამორთეს და ბინდიან დარბაზში აღმოვჩნდი. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ახალციხელი დარბაზისელი მაყურებელი ცნობისნადილით შეცყარებდა სცე-ნას. დარბაზი გადაჭედილი იყო! ავდარსაც კი არ შეუშინდნენ ახალციხელები — მაყურებლის მადლიანი მეხსიერება უფა-სებდა ნაამაგდარ ქალაბატონს დამსახურებას, ღვანლს, გაღ-ბულ მაღლს. ნანა არამარტო ახსოვთ ახალციხეში, ნანა დემეტ-რაშვილი უყვართ, პატივს მიაგებენ მის სხვნას, სათანადო აფასებენ! უანგარო მაყურებლის სიყვარული! ამ გარეგნუ-ლად მშვიდი, მაგრამ შინაგანად დამუხტული დარბაზის შემყუ-რეს, მოგონებებით დახუნდლული, მომზადებული სიტყვით გა-მოსვლა შეუფერებლად მეჩვენა. მათ ვერ შევბედავდი რამდე-ნიმე ორლესული ეპიზოდის გამხელას. მოვლენა უნდა ამეხსნა. უეცრივ გამოიკვეთა ჩემს გონებაში მთავარი სათქმელი...

* *

ნანა დემეტრაშვილის სახელი და მესხეთის თეატრი განუ-ყოფელია. ახალციხეში პროფესიული თეატრის აღმორინება მის სახელთან მარადიულად არის დაკავშირებული. ეს მოხდა 1967 წლის დასაწყისში, როდესაც ვასილ კიკანაძის რეკომენ-დაციით ნანა დაინიშნა მესხეთის თეატრის სამსატრო ხელმ-დღვანელად. მაშინ ნანა 28 წლის ყმანვილი ქალი გახლდა,

ძველმოდური მუშტის სიმსხო ნანავითა და ახალგაზრდული შემართებით, ახალი სათეატრო იდეებითა და მოქმედების უი-ნით აღსავსე. ამავე წლის 23 სექტემბერს თეატრის ქველ შე-ნობაში ახალგაზრდულმა დასმა ნარმოადგინა ოთარ ჩეიგის თეატრო“.

ეს ის დროა, როდესაც სამოღვანეო ასპარეზზე არამარტო გამოვიდა რეჟისორთა ახალი თაობა, არამედ მათ უკვე დაიმ-კვიდრეს გამორჩეული ადგილი წინმავალთა მიერ გაკვალულ გზაზე და ამით, წინაპართა მსგავსად, ფართო ჰორიზონტი აღმოჩენის სასცენო ხელოვნებას იმ სათეატრო სივრცეში, რომლის ნანილადაც მოაზრებოდა ქართული სცენაც.

დიდი ძერებითა და სიახლეთა ძიებით აღინიშნა „ამ ახალ-თა“ მოღვანეობა. მათ გაიმეორეს ახალი ტიპის რეჟისორთა უპირველესი სვლა: XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სათეატრო სარბილზე ახალი თეატრების დაარსებით რომ აღინიშნა. გასული საუკუნის 50-იანი წლების პოლისა და 60-იანი წლებში ოლეგ ეფრემოვი და მისი ერთმორწმუნე არმია ქმნის თეატრ „სოვერემნიკს“, იური ლიუბიმოვი ჩაუდგა სათა-ვეში ტაგანცის თეატრს, ანატოლი ეფროსი ლენინური კომკავ-შირის თეატრში ამკვიდრებს განსხვავებული სათეატრო ეს-თეტიკით გამორჩეულ ხელოვნებას; რუსთაველის თეატრს კალაპოტს უცვლის მიხეილ თუმანიშვილი თავის „შეიდეაცა-თან“ ერთად, 1967 წელს რუსთავში გაისხნა თეატრი, გიგა ლორთქფინიძისა და თანამზრახველ მსახიობთა თაოსნო-ბით, თემურ ჩხეიძე ჩაუდგა სათავეში შალვა დადიანის სახე-ლობის ზუგდიდის თეატრს და სხვა... სტუდიურმა მოძრაობამ მოცვა იშვამინდელი საკავშირო სივრცე, ლიდერი და ერთ-მორწეულე დასი — ასე აღინიშნა კიდევ ერთი ეტაპი ჩვენში რეჟისორული თეატრის აღმორინებისა.

ნანა დემეტრაშვილი თავისი ახალგაზრდული დასით ამ მოძრაობის მონაბილე აღმოჩნდა და მესხეთის მიწაზე არამარ-ტო პროფესიული თეატრი აღმორინდა, არამედ შეიქმნა ეროვ-ნული რეჟისორული თეატრი — ყველა დამახასიათებელი ნიშ-ნით. რეჟისორული თეატრის რუკაზე გაჩნდა ახალი წერტილი — ახალციხეში არსებული მესხეთის თეატრი! ამ სიმაღლიდან უნდა შეფასდეს ნანა დემეტრაშვილის მოღვაწეობაც.

რეჟისორული თეატრის თვისებათა შორის მნიშვნელოვა-ნია თანამოაზრეთა ფართო სპექტრის მოზიდვა და მრავალ-ფუნქციური სასცენო ხელოვნების აღმოცენება. თანამოაზ-რების ცნება გაფართოებული რეჟისორული თეატრის შემწეო-ბით. აქ არამარტო თანამზრახველი დასი იგულისხმება, არა-მედ სხვადასხვა დარგის ხელოვანთა თანაშემოქმედებაც. ნა-ნამ შეძლო დასის, მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორთა, ქორეოგრაფთა, თეატრის სხვა კომპონენტთა შედება, ერთანი სათეატრო იდეით შეკავშირება და ერთანი მიზნი-საკენ ნარმართვა მათი შემოქმედებითი ძიებებისა.

ამ თეატრს რეჟისორ-ლიდერი ედგა სათავეში, რომელიც მხედართმთავრის დარად ბრძოლის გელზე (სცენაზე) ხელმ-დღვანელობდა ცოცხალი ძალისა და სასცენო ტექნიკის სიმ-წყობრეს, გადაადგილებასა და ახალ დაჯგუფებას, ტაქტიკა-სა და სტრატეგიას. მამაკაცურ პროფესიას დაჯერებით შეე-ჭიდა ნანა!

თანამოაზრება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ერთგვაროვან აზროვნებას. მთავარია ლიდერსა და დასს, ლიდერსა და სა-თეატრო კომპონენტებს გაჩნდათ საერთო მისწრაფება, ერ-თანი შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი კრედიტი. მათ პერიოდა მიზანი და ამ მიზნის სავალი გზა გამოკვეთა ლი-დერმა, შემოქმედებითი გუნდი კი ენდობოდა ლიდერს, სწავლა

მისი და ერთგულებდა მას. ასეთი იყო თეატრი თავისი ისტორიის პირველ ეტაპზე, მაშინ როდესაც მაშინდელი თეატრალური ინსტიტუტისა და ტექნიკუმის კურსდამთავრებული ყმაწვილი გოგო-ბიჭები თბილისიდან გაემგზავრნენ ახალცისისაკენ. ახალგაზრდული ენთუზიაზმით, დაუდგრომელი ენერგიითა და მოზღვავებული იმედიანობით დაიწყეს საქმიანობა იქ, სადაც დროისა თუ ადამიანთა გულგრილობის შედეგად მიმობნეულ ქვებსა თუ ლოდებზე საქართველოს უძველესი ისტორია ლალაფებდა.

მეორე ნიშანი, რაც საერთოდ დამახასიათებელი აღმოჩნდა იმ პერიოდის სასცენო შემოქმედებისათვის, იყო აქცენტის გამახვილება „ჩვეულებრივი მოკვდავის“ ე.წ. „პატარა ადამიანის“ გააქტიურებაზე, მისი თავგადასავლისა და სულიერი სამყაროს „თვალით უხილავ“ (გალერიან გუნია) მოძრაობათა აღმოჩნდაზე, ამ კვლევა-ძიებისათვის სახიერი გამოსახვის ფორმათა მიკვდევაზე. სასცენო ფიცარნაგზე ღმერთებს, გმირებს, იმპერატორებს, კეისრებსა თუ ფარაონებს ჩაენაცვლნენ ის ჩვეულებრივი პერსონაჟები, რომელთათვისაც აუცილებელი შეიქნა პასუხისმგებლობის გრძნობის აზვირთება საქვეყნო საქმეთა მიმართ. მეორე მსოფლიო ომმა სრულიად ნათლად დაანახა ინტელექტუალებს, რომ ჩვეულებრივ მოკვდავთა თავდადრეკილი თვინიერებისა და უმოქმედობის სანაცვლოდ ევროპამ მიიღო პიტლერის მოსვლა ხელისუფლებაში, ხოლო აღმოსავლეთ ევროპამ და მცირე აზიამ — სტალინის მმართველობა. გმირიცა და ჩვეულებრივი მოკვდავიც კაცობრიობის განვითარებისათვის ერთ უდელში იყვნენ შეძმულები. რა თქმა უნდა, სხვადასხვა რანგისა მათი მონაწილეობა სამოქალაქო ცხოვრებაში, მაგრამ „პატარა ადამიანისათვის“ აქტიური მოქმედების, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება ბევრნილად განაპირობებს განვითარებულ თანაცხოვრებას, მესხეთის თეატრის რეპერტუარიც ამ ვითარების გამომხატველი აღმოჩნდა.

ჩვეულებრივი ბერი თეატრე კრიტიკულ ვითარებაში შინაგანად მზად აღმოჩნდა გამხსდარიყო გმირი, ჩაედინა გმირობა — ესინა სამშობლო დუშმანისაგან. აქ არჩევანის შესაძლებლობამ გმირული სულისკვეთების ალზევება მოახდინა. ამ ნიშნითაც ღირებულია ტრაგედია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნანას სულიერ სამყაროში ღრმად გაედგა ფესვები ჩვეულებრივი არაჩვეულებრივის დანახვის აუცილებლობას. ამაღლებულისა და რეალურის დაახლოებას ცდილობდა იგი, რადგანაც მისი შინაგანი სამყარო, ადამიანური ბუნება და მისწრაფება ამ მასტებაური, ზედროული, გამორჩეული, ზნეობრივად აღმატებული გმირების თავგადასავლის ჩვენებას ელტვოდა. ეპოქის მოთხოვნა და მისი სულიერი სამყარო ადეკვატური არ აღმოჩნდა. ნანა, როგორც რეჟისორი, ცდილობდა ამ ორი საწყისის, ორი ადამიანური სამყაროს „დამოყვრებას“. დროება კი სამისოდ არ იყო მოწოდებული, მისი შემოქმედებითი კრედიტოვის ვერ „თავსდებოდა“ ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისობაში. მით უფრო, რომ ამ პერიოდისათვის დასავლეთის შემოქმედებითი ინტელექტუალები ემზადებოდნენ და შეძლეს კიდევ, ბუნების მშვენიერების კვარცხლბეკიდან ადამიანის ჩამოქვეითება „ბუნების კაპრიზის“ (ფოკემა) რანგში. ევროპის შუაგულიდან დაძრული ტალღა პოსტმოდერნიზმისა „ღირებულებებათა სისტემის“ რევიზით ცდილობდა კორექტივის შეტანას ხელოვანთა სააზროვნო სივრცეში, ეს ტალღა ჯერ კიდევ შორეულ ღელვად მოიაზრებოდა, მაგრამ მისი ექი მაინც აღწევდა ჩევნს „დაზურულ სივრცეშიც“. ნანა დემეტრაშვილი გამოუსწორებელი რომანტიკოსი გახლდათ და ძნელად ურიგდებოდა დროის იმ მოთხოვნას, რაც ადამიანის დაკინებული მდგომარეობის ასახვას გულისხმობდა.

და მაინც შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ნანა დემეტრაშვილის სარეპერტუარო პოლიტიკა გათვლილი აღმოჩნდა პატრიოტული სულისკვეთების აღზევებისათვის იქ, „საიდანაც



ნანა დემეტრაშვილი

ინყება საქართველო“. თვით მესხეთის ბუნება, ისტორიული ძეგლები, ქაში ნაძერწი ისტორია უბიძგებდა რეჟისორს ამაღლებულის გამოსახვისაკენ, მით უფრო, რომ ამგვარი სათეატრო ესთეტიკა მისი ადამიანური ბუნებისათვის ეგზომორგანული გახლდათ.

არის კიდევ ერთი „ლოკალური“ პრობლემა, რომელმაც უზომო პასუხისმგებლობა დაკისრა მესხეთის თეატრს: ეს მხარე, მით უფრო ახალციხე, ჭრელი მოსახლეობით გამოიჩეობოდა. იმ დროისათვის, როცა ეს თეატრი „ამოქმედდა“, საკომუნიკაციო ენა ბარბარიზმებით მეტისმეტად დაბინძურებული გახლდათ. მოსახლეობა მეტყველებდა ქართულ-სომხურ-რუსულ სიტყვათა სიმბიოზით. დააგვიანებულ ენას არამარტი კუთხური დიალექტი, არამედ საერთოდ ბუნებაში არარსებული სიტყვათა შეთავსებაც ახასიათებდა. გულსაკლავი იყო ახალგაზრდების შორის დამატებულებით გაჯერებული, ღარიბული ლექსიკა! „რა ენა წახდესო“ გვაფრთხილებდა პოეტი, მაგრამ ადგილობრივი პატრიული ელიტა დანიანურების მოლოდინით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე ეროვნული პრობლემების გადაწყვეტილი (იყვნენ გამონაკლისებიც, მათ მხარდაჭერას გრძნობდა თეატრიც). სცენიდან კი ისმოდა ძარღვანი, დარბაისლური, სალიტერატურო ქართული, რომლის სიბლას მაღლ დაეწაფა ყმანვილკაცობა.

თეატრის დამსახურებაცაა, ახლა ასე რომ მეტყველებენ ახალციხეში.

აღსანიშნავია ახალციხეში გახსნილი თბილისის უნივერსიტეტის ფილიალი. თეატრთან ერთად ამ უმაღლესმა სასწავლებულმაც უდიდესი როლი შეასრულა მესხეთში, ძირდებულ ქართულ მინაზე, სალიტერატურო ქართული ენისა და მეტყველების დამკიდრებისათვის. მართალია ამ მხარეს სალიტერატურო ქართულით მეტყველება ოდითგანვე მოსდგრძლა, მაგრამ მოსახლეობის სიჭრელის მიზეზით უწინარესად ენა შეირყვნა. ამიტომაც ფასტერი დარბაისლური, სალიტერატურო ქართული, რომლის სიბლას მაღლ დაეწაფა ყმანვილკაცობა.

კიდევ ერთი პრობლემაა, რომელიც მაგისტრალურ ხაზად გასდევს ნანა დემეტრაშვილის პიროვნებასა და მოღვაწეობას. ნანა ქეშმარიტი პატრიოტი გახლდათ თავისი მინა-წყლისა, თავისი ქვეენისა და ერისა, თავისი თეატრისა. მისი შემოქმედება ამ ნიადაგიდან სააზროვნო პოლიტიკურო ქართულით მეტყველება ოდითგანვე მოსდგრძლა, მაგრამ მოსახლეობის სიჭრელის მიზეზით უწინარესად ენა შეირყვნა. ამიტომაც ფასტერი დარბაისლური დაკინებული მდგომარეობის ასახვას გულისხმობდა.

— მწერლისა და რეჟისორის სულიერი თანახმიერების შედეგად აღმოცენებული სპექტაკლებია, სადაც სრული სახით წარმოჩნდა ახალგაზრდული დასის შემოქმედებითი პოტენციალიც.

ოთარ ჩხეიძის დრამებმა გაამდიდრეს თვით მსახიობთა მეტყველების კულტურა, სალიტერატურო ენის კულტით კი აამაღლეს მაყურებელთა მეტყველებაც. ნანა დემეტრაშვილის მემბოხე სასცენო შემოქმედებას ძალზე მოუზდა მწერლის ძარღვინი ქართული. სცენაზე ბობოქრობდა ახალგაზრდული შემართება, რომელიც დარბაზის განწყობას ეხმანებოდა და თავის სათქმელს აღმოსთქვამდა მწერლის გულწრფელი, მრავალფეროვანი, დინჯი ლექსიკოთ. ამავე პრობლემის გადაწყვეტას ეხმანებოდა შილერის „ყაჩაღების“ სასცენო ადაპტაციაც. ოთარ ჩხეიძის პატრიოტული დრამები და შილერის „დაშინისა და წამოსასხამის“ ეპოქის ტრაგედია ავსებდნენ ერთმანეთს — ერთი სამშობლოს ტრფიალს ქადაგებდა, მეორე — მეამბოხე სულისკვეთებით ახალგაზრდების მისწრავებას წარმოაჩენდა, რაც ცხოვრების შეცვლის აუცილებლობით იყო წაკარნახევი.

პატრიოტიზმი და მებრძოლი განწყობა მესხეთის თეატრის პირველი პერიოდის ნიშანდობლივი თვისებაა, რამაც ანდამატივით მოიზიდა წრფელ ვნებათალელვას დანატრებული მაყურებელი, უურნალისტები, სათეატრო კრიტიკა...

* * *

ნანა დემეტრაშვილი ამ დასის მარტო ხელმძღვანელი როდი იყო. ის გახლდათ მონოდებით მზრუნველი, მფარველი, მოჭირნახულე. დედობრივი პატრიონბა მის სასიათის ღერძად გამოივითა და დასის ქომაგად იქცა: ვის შვილი მოუნათლა, ვის შვილი მოანათვლინა, ვის ეკონომიურად დაქმარა, ვის წამალი უშოვა, ვის ავადმყოფი ოჯახის წევრის განკურნებისათვის გადაიკლა თავი. იგი კრუზივით დაფოფინებდა მთელს კოლექტივს და უშურველად გაღებული სიკეთით მხარში ედგა თითოეულს. თავდაუზოგავად იცოდა ლხინიც, გლოვაც, სხვათა ჭირის გაზიარებაც. კრუზის ფრთის ქვეშ გულდინჯად გრძნობდნენ თავს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის „განწირული“, ოჯახის მზრუნველობას მოკლებული და ადრიანად წამოქმინდებოდი გუშინდელი გოგო-ბიჭები. როცა „წინილები“ წამოიზარდნენ, კრუზობა თავად მოინადინეს. უმადურობამ გაიდგა ფესვი და მოხდა ის, რაც მოხდა... ორი ათეული წლის თავდადებული შემოქმედებით-ადმინისტრაციული მოღვაწეობის შემდეგ ნანამ თეატრი დატოვა...

* * *

ნანა დემეტრაშვილი აქტიური, მებრძოლა, შემართებით გამორჩეული მოღვაწე გახლდათ. მთელი ამ მხარის კულტურული ცხოვრების შუაგულში აღმოჩნდა მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ თეატრი ემსახურებოდა სრულიად მესხეთს — სპექტაკლებს თამაშობდნენ არამარტო რაიონულ ცენტრში, არამედ სოფლებსა თუ დაბებში, ყველგან, სადაც სამანქანო გზის შემზეობით შეიძლებოდა სანახაობის წარმოდგენა. ნანა მესხეთის მიწა-წყალზე გამართული ყოველი წამოწების მოთავე თუ არა, ხელშემწყობი და აქტიური მონაწილე ხდებოდა. ის ყველგან იყო — შოთაობაზე, საფარობაზე, ხერთვისობაზე, ვარძიასა თუ აბასთუმანს ჩასულ სტუმართა შეკრებებზე, სადღესასწაულო სა- დამოებზე, მესხეთში გამართულ სიმ-

პოზიუმებზე, მწერალთა თუ მეცნიერთა თავყრილობებზე, ახალციხეში გამართულ სამეცნიერო სესიებზე... იგი გახდა საყველთაოდ მიღებული მასპინძლელი ამ მხარის შიდა თუ მაშინდელი საკავშირო მასპტაბის ღონისძიებებისა. ნანა სისხლხორცული ნანილი გახლდათ მესხეთისა, მისი ერთგული, მისი პატრიოტი, მისი კულტურის პროპაგანდისტი, არაერთი საზეიმო საღმის დამდგმელი, თუ მრავალრიცხოვანი სტუმრების ხალისანი დამხვდრო. მესხეთს მისი სახით ჩინებული დესპანი ჰყავდა. იგი საქართველოს მოქალაქე-პატრიოტი იყო, ხშირად მიფერია, რომ იგი უწინარესად „მესხეთის მოქალაქე“ გახლდათ, მისი მოქირნახულე, მასზე მზრუნველი, მისი კულტურის ამაყი ამაგდარი.

* * *

27 აპრილს მესხეთის თეატრის ახალგაზრდებს შეხვდნენ როსტომ ჩხეიძე, თემურ ჩხეიძე, ნათელა არველაძე. მათ ისაუბრეს აწინდელი ქართული თეატრის საჭირბოროტო პრობლემებზე. საიუბილეო დღეები კი დასრულდა კოტე მარჯანიშვილის თეატრის ახალი სპექტაკლის ჩვენებით. ახალციონელმა მაყურებელმა გულთბილად და მხურვალე ივაციით მიიღო თემურ ჩხეიძის მიერ განხორციელებული უორდი გალსერინის ნანარმიების სასცენო ადაპტაცია — „გროპულმის მეთოდი“. სპექტაკლი გულისყურიან დამოკიდებულებას ითხოვს. ახალციხელი ჩინებული მაყურებელი ჩართული აღმოჩნდა ქმედების ურთულეს ხევულებში. ეს კი ცალკე მსჯელობის თემა. მესხეთის თეატრმაც აღზარდა თავისი მაყურებელი!!..

* * *

იმ დღეებში უთუოდ დარბაზში ისხდნენ ისინიც, ვინც 1967 წლის 23 სექტემბერს ტაშით შეეგება ფარდის შერხევას მესხეთის თეატრის ძველ შენობაში. ახლა უკვე თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, შევერცხლილი ქალბატონები და ჭარმაგი მამაკაცები — ფეხზე მდგომ დარბაზთან ერთად — მადლიერებას გამოხატავდნენ ნანა დემეტრაშვილის მიმართ, რომლის დადგმებმაც მათ სულიერ სამყაროს მხნებისა და იმედის სხივი შთაბერეს, მათ სულიერებით ცხოვრების დიდებულება შეახსენს. მაყურებელმა ალალი გრძნობით გამოხატა პატივისცემა და ხსოვნა ადამიანისა, რომელმაც სიყვარული და სითბო უხვად მიმოაბნია მესხეთის მიწაზე, პროფესიული თვითშეგნებისა და მამულიშვილობის ხნული გაავლო მესხეთის მიწაზე, უძველეს კულტურის ძეგლებს მხარში ამოუყენება სასცენო ხელოვნება იქ, „საიდანაც იწყება საქართველო“.



დასრულდა სპექტაკლი „თედორე“

ეკა ბუჭიაშვილი

მისიონერები

„ქურნალ „ჩევენი მწერლობის“ სალონურ შეცველრათა ციკ-ლში გამოკვეთილი ნაკადია მუსიკა, რომლის გარეშეც წარ-მოუდგენელია ჩევენი ყოფა. ამჯერად ალექსანდრე ორბელია-ნის საზოგადოებამ შეკრებილებს სოხუმის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის ფილიალი ანსამბლი „სნონ“ წარუდგინა.

— დიდი ხანი არ არის, რაც ეს ანსამბლი შექმნა, 2012 წელს, და უკვე გამოიკვეთა მისი ესთეტიკური მრნამსიცა და მოქალაქეობრივი პოზიციაც — ფოლკლორულ სიმღერებთან ერთად ისინი კლასიკურ ნაწარმოებებსაც ასრულებენ და მათი მრავალფეროვანი რეპერტუარიდან კარგად ჩანს ამ ადამიანთა ინტერესები. ანსამბლის რამდენიმე წევრი თვითონაც წერს მუსიკას, არანჟირებაში კი ხელმძღვანელი ქათვევან ნიკლაური ეხმარებათ.

ფართო აუდიტორიამ „სნო“ სტუდენტურ დღებზე, საქ-
ველმოქმედი ღონისძიებებზე, არტგენსა თუ სხვა ფესტივა-
ლებზე გაიცნო წარმატებული გამოსვლებით. ჩვენც გვინდო-
და ხელი შეგვეწყო მათთვის. ის ადამიანები, რომლებიც ქმნი-
ან ნამდვილ მუსიკას, ჩაკარგული არიან ხოლმე ჩვენს დღე-
ვანდელობაში, რადგან სხვა რიტმები და ინტერესები ტრია-
ლებს ირგვლივ, არ არსებობს გამოკვეთილი კულტურული და
სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ასეთ ადამიანთა დასახმარებ-
ლად, ქართული ფოლკლორისა თუ კლასიკური მელოდიების
გადასარჩენად და შესანარჩუნებლად, — ასე გახსნა როსტომ
ჩხეიძემ შეხვედრა, რომელიც „სნოს“ მიერ შესრულებული
სიმღერების ფონზე წარიმართა და რომელზეც არაერთი მინიშ-
ვნელოვანი საკითხიც მოექცა შეკრებილთა მსჯელიბაში.

ବ୍ୟାକୁଲମ୍ବନ ପାଇଁ ପାଇଁ

ანსამბლის შექმნის იდეა სოცეუმის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გაუყვანია ქალბატონი ქეთევანისათვის.

საპატრიარქოს დახმარებით სახსრებიც გამოინახა ინსტრუმენტების შესაძლებად და პირველი ბირთვიც შეიქმნა. ნელ-ნელა შემადგენლობა გაიზარდა და დღესდღეობით ანსამბლში იკვებები მეტი სტუდიონტი მღერის და უკრავს.

მოგვიანებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პი-არმენეჯერი ეკა სულხანიშვილი შეკრებილებს მათ სახელ-ლებსაც გააცნობს (ქეთი ბინაძე, ქეთი ბერიძე, სოფო ნამო-რაძე, თამთა აბულაძე, სოფიო ქენქაძე, მარიამ ხანიაშვი-ლი, საბა მურაჩაშვილი, მიშა ნათელაძე, ელენე კაციტაძე, ნინო ედიშერაშვილი, ვანო ბიჭაშვილი, ლევან გოლუბია-ნი, გიორგი დვალი, დავით ჩითინაშვილი, თამრი იდოიძე, შაკო შელეგია, დავით გერსამია, მიშა გოგიძე, მარიამ შარ-დანაშვილი, მარიამ დანელია, აკაკი გაბრიჭიძე) და იტყვის, რომ თამარობას, 14 მაისს, საიუბილეო თარიღი აღნიშნა უნი-ვერსიტეტმა — 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სოხუმის უნივერსიტეტის ქართული სეგტორი გამოეყო რუსულს, და ოცი წელი, რაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალად ჩამოყალიბდა.

— შემთხვევითი არ არის, რომ ანსამბლ „სინოს“ სწორედ დღეს, 20 მაისს უცვდებით. ის ადამიანები ხომ იმ სულისკვეთებას, იმ სახელმწიფოებრიობას შეენირონენ, რასაც ეს ახალგაზრდებიც ემსახურებან. ამიტომაც ეს დღე სიმბოლურად მათი გახსენებაც არისო, — იტყვის ბატონი როსტომი, ოლონდ მერე, ცოტა მოგვიანებით, ჯერ კა ქეთევან ნიკლაური ანსამბლისა და მისი წევრების შესახებ უამბობს შეკრებილებს.

ასე შეიქმნა „სნომ“, წარმატებულად რომ გაიცნო აუდიტორიაბ და შეიყვარა მისი რეპერტუარიც, რომელიც, ქალბატონი ქეთევანის თქმით, მოიცავს „საცეკვაოს“ ვიქტორ დოლიძის ობერიდან „ქეთო და კოტე“, რევაზ ლალიძის „ტიალო და-რიალაოს“ (დამუშავებული ვერსია), თუშურ მელოდიებს, მეგრულ სიმღერების პოპურსა და სხვა მრავალ საორკესტრო თუ ფოლკლორულ ნაწარმოებს, რომელთა შესრულების საშუალებასაც სწორედ ინსტრუმენტთა მრავალფეროვნება იძლევა. ეს შეხვედრა კი „სნომ“ გახსნა სიმღერით „ჩემო კარგო ქვეყანავ“, რომელიც კაპელასთვის დაინერა, ანსამბლმა კი შეკრებილებს მისი საორკესტრო ვერსია შესთავაზა.

ოქროს შუალები

ამჟამად ბიზეს „კარმენის“ ანტრაქტზე მუშაობენ.

ძალიან ლამაზად უღერს ქართულ საკრავებზეო, — ამბობენ.

ქალბატონა ქეთევანი კი იმასაც ალნიშნავს, რომ არ ეთან-
ხმება სკაფტიკოსებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს ნაწარ-
მოები ამ ინსტრუმენტებზე არ უნდა შესრულდეს.

— ვფიქრობ, ინსტრუმენტის შესაძლებლობაზე გველანაირად უნდა გამოიყენო. არც იმათ ვეთანხმები, ვინც ამბობს, რომ ეს ჩანგი ჩანგი ალარ არის და არც ეს ჭუნირი ჰგავს უძელეს ქართულ ხემიან საკარავს, მთის ფოლებლორმა რომ შემოგვინახა. ნებისმიერი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც კი არსებობს, ასეთი სახით არ შექმნილა. მათ განვითარების ეტაპები გაიარეს მანამდე, სანამ მსოფლიო აღიარებდა. შესაბამისად, ასეთივე გზა განვლეს ხალხურმა საკავებმაც: ბევრმა არც ის იცის, რომ ეს ინსტრუმენტები გააქრომა-ტულა და მათ ფართო შესაძლებლობაზე შესძინა კირილე ვა-შაკიძემ, ვანც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ამ თვალსაზრისით. ამიტომაც ვფიქრობ: ჰერნდეს, ვთქვათ, ჭუნირს ის მეოთხე სიმი, თუკი ვინმე კიდევ უფრო გააუმჯობესებს და გაზრდის მის შესაძლებლობებს, მით უკეთესი! ამ ინსტრუმენტებზე ხომ უამრავი კარგი მუსიკის შესრულება შეიძლება.

ცხადია, ეს ჩემი აზრია და თავს არავის ვახვევ

შეკრებაზე ამ საკითხს გამოიხმაურება ლიტერატორი და მელომანი ნიკოლოზ სანებლიძე, ვისი თემითაც, როცა ასეთ ანსამბლს უსმენ, ყოველთვის საინტერესოა ხოლმე მისი მუ-
სიკალური პოზიცია, ტემპერირებულია თუ არა ეს მუსიკა —
ანუ რამდენად გათანამედროვებულია — ემწენევა თუ არა ან-
სამბლის საშემსრულებლო ხელოვნებას კონსერვატორიის
გავლენა... და ასე შემდეგ.

— ამ თვალსაზრისით, „სნო“ სადღაც შუაშია — ძეველ ქართულ ხალხურ ჰანგბეჭა და კლასიკურ ჰარმონიას შორის. რო-

გორც ჩანს, ამ ყველაფერს მართლაც საკრავთა თავისებურება განსაზღვრავს. პრობლემა, რაზეც საუბრობდა ქალბატონი ქე- თვევანი, რახანია არსებობს — ბახის მუსიკა ბახისდროინდელი ინსტრუმენტზე უნდა შესრულდეს თუ თანამედროვეზე, ამის შესახებ ბევრს დავობენ. იმის თქმა მინდა, რომ ფოლკლორსა და პროფესიულ მუსიკას შორის დამოკიდებულება ურთიულესი საკითხია, რომელსაც „სინომ“ თავისებურად გაართვა თავი და, ვფიქრობ, ძალის სანთერერებოდაც, ამიტომ მათი რეპერტუა- რი ჩემთვის ამ თვალსაზრისითაც საჯულოსხმო ნიმუშია.

შეცნიერი და კრიტიკოსი **ნანა კუცა** ამ ყველაფერს სხვა რაკურსიდან შეაფასებს და იტყვის, რომ ქართული სიმღერის სწავლება ქართველი ახალგაზრდებისათვის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი საქმეა.

— სახელწოდებაც ისეთი საპასუხისმგებლო ერგუნათ —
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული ან-
სამბლი „სნო“ — გეოგრაფიულად ასე დაშორებული ორი
არეალი, ერთი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კარიბ-
ჭე, მეორე კი დასავლეთ კარიბჭე, ჩირნდა ჭირად და საუბე-
დუროდ, ჯერჯერობით, ისევ დახშული, მაგრამ ალბათ იმ
ადამიანის მადლით, რომლის კარიბჭეც, ღვთის წყალობით,
კვლავ ღიაა, ოდესმე დასავლეთის კარიბჭეც განიხვნება.

დღეს კი ორანები ზედაზნების სხვენების დღვევაა და მისი მადლიც შეენიოს ჩვენს ქვეყნას — პატარას, ჯერჯერობით ისევ გაუსარელსა და დაბეჭავებულს, მაგრამ... ვიდრე ქართველი ქართულად ასე იმღერებს, ამ ქვეყნას უფლო არ განირავს.

— მე ვი 20 მაისს ყოველთვის ვაკის პარტი აღდგნიშნავ ხოლ-
მე და კოტე აფხაზის სსოფნას მივაგებ პატივს. დღეს პირველად
დაგარღვივე ეს ტრადიცია, იმდენად დიდი იყო ინტერესი ამ ან-
სამბლისადმი და აქ წამოვედი თქვენს მოსამზნად, — იტყვის
ისტორიკოსი **მანანა გაბაშვილი**, ვინც ფსიქოლოგთა კვლევებს
მოიშველიებს იმის დასტურად, რომ განათლება და მუსიკა არა
მხოლოდ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანებს, არამედ სხვანაირ-
საც ხდის საზოგადოებას — გაცილებით მშვიდობას, ადამია-
ნურს... და თუ დაკავირდებით, ის ბავშვებიც განსხვავებული
არიან, ხალხურ სიმღერას რომ სწავლობენ და მღერიან.

— მათ ისეთი საჯუბაველი აქვთ... ისეთი მტკიცე გარანტია იმისა, რომ კარგი ქართველები გაიზრდებიან... ამიტომ ის, რასაც თქვენ აკეთებთ, ქალბატონო ქეთევან, ამ კუთხითაც დიდი საქმეა — ერთი მხრივ, ქართულ ფოლკლორს ემსახუ- რებით და, მეორე მხრივ, მომავალი თაობის ზენობრივ ორი- ენტირსაც უმაგრებთ საყრდენს, იმ ორიენტირს, რომლის მორღვევა და მოშლაც უნდაათ. ამიტომ არ ვნანობ, რომ დღეს ტრადიცია დავარღვივე და აქ წამოვედი.

თქვენ მართლაც იმ ხაზს აგრძელებთ, რომელსაც კოტე
აფხაზმა და მისმა თანამოაზრებმა შესწირეს თავი — ესეც
მსახურებაა საკუთარი ერის, ქვეყნის, მისი ტრადიციებისა
და სახელმწიფოებრიობისა.

და ამ ყველაფერში ის ოქროს შუალედიც ძალიან საგულისხმოა, რომელიც არჩეული აქვს ანსამბლს.

ერთხელ ეთიოპიაში და...
აი, ასეთი ქართული „ფარდაგი“

იკრიბებიან, როცა ამის საშუალება აქვთ, კვირაში რამდენიმე საათით თუ ახერხებენ მეცნადინეობას.

— ცხოვრების რიტმი თავისიას მოითხოვს, სტუდენტებს სწავლის გარდა სხვა საქმებიც აქვთ, ზოგი მუშაობს კიდევ, ოცზე მეტი კაცისთვის დროის შეთანხმება და ერთად თავ-მოყრაც არ არის იოლი, მაგრამ როცა გვიხერხდება, მაშინ ვიქციონებთო.

ეს რომ მათ საშემსრულებლო ხელოვნებას არ ეტყობა, ამ სალამინმაც დაადასტურა. სიტყვა „პროფესიონალიზმიაც“

არაერთხელ გაიუღერა შეკრებაზე და ამ თემას მეცნიერი და უკურნალისტი **იოსებ ჭავჭავარიძე** გამოიხმაურა და მკლევარი და ლიტერატურის სოფიკოვ ჯერვალიძეს, ვინც აღნიშნა, რომ მუსიკალური განათლება ჩაკრიულოს არცერთ შემსრულებელს არ ჰქონა, მაგრამ დღეს ეს მელოდია კოსმოსში ჟღერს.

— არც ანზორ კავსაძეს დაუმთავრებია კონსერვატორია, მაგრამ 80-100 კაცს სცენაზე რომ დააყენებდა ხოლმე... მარტო ხმებს მიყვემდი და კულისებში გამოვდიოდიო, — ამბობდა, — აქედან კარგა წონიანი მივდიოდი გასტროლებზე და იქიდან ჩხირივით ჩამოვდიოდი, ერთ სიცოცხლეს ვათავებდი, ვიდრე ისინი სცენაზე იდგნენ.

ნურც თქვენ შეგეშინდებათ, თუ შესაბამისი მუსიკალური განათლება არ გაქვთ, ქართულ სიმღერას, შესაძლოა, ეს არც სჭირდება, რადგან ქართველი კაცისთვის ის უკვე გენშია კო-დირექტორი.

ანზორ კავსაძეს კი ანსამბლის წევრი აკაკი გაბრიჭიძეც
გაიხსენებს, სამი წელი სიმღერასაც რომ ასწავლიდა და დღეს
ბევრ რამეს სწორედ მას უმადლის. ამასთანავე, გამორჩეუ-
ლად აღნიშნავს ქეთევან წიკლაურის ღვიწლსაც, ვისაც დიდი
წვლილი მიუძღვის ანსამბლის ასეთ წარმატებაში.

რაც შეეხება ქართული სიმღერის მადლს და, საერთოდ, ჩვენს ქვეყანას...

ამასთან დაკავშირებით იგი იმ ისტორიასაც გაიხსენებს, ეთიოპიაში სამოგზაუროდ წასულ ტურისტებს უკან დაბრუნებისას ფეხსაცმელი რომ დააფერთხინეს: ჩვენი ქვეყნის მიწას თან ვერ გაგატანთო...

— მითუმეტეს უნდა გავუფროთხილდეთ ქართულ მინას, რომლის ყოველი გოჯიც, კარგად ვიცით, როგორი სისხლის ფასად არის მოტანილი ჩვენამდე, და ქართული სიტყვაცა და მუსიკაც კიდევ უფრო ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთვის, — თქვა და საკუთარი ბიძის, მამა შიო გაბრიჭიძის ლექსიც წაუკითხა შეკრებილებს საქართველოზე.

მანამდე ექიმმა და ლიტერატორმა ლევან ქურციკაშვილმა ბავშვობისას მის ოჯახში სტუმრად მყოფი დედას ლევანაც გაისხენა, ლამის ჭერი რომ აუხდია თავისი ხმით და ამ ფონზე ანსამბლ „სნოს“ წევრის, დართლოელი გოგონას, თამრო იდონიძის ხმაც გამოარჩია, თავის ლექსზე დაწერილი სიმღერა რომ შეასრულა, მამისადმი მიღლვნილი, ზამთრობით მარტოდმარტო რომ რჩება ხოლმე სოფელში და ეს ერთი კაცი პატრონობს იქაურობას.

— სევდითა და ტკივილით იყო ეს სიმღერა სავსე, მაგრამ შენ ისეთი ხმა გაქვს, მთელ სოფელს რომ ეყოფა ასახმიანებლად და მარტო ამ სიმღერისთვისაც მინდა შეგაქომ.

მნერალმა და რეჟისორმა მიხეილ ანთაძემ კი ის გაიხსენა, ცნობილ მხატვარს დავით კაკაბაძეს ოციან წლებში ხევსურეთში რომ უმოგზაურია. ერთი გლეხის თჯახში, ვისთანაც ფიც-ვერცხლიც გაუზიარებია, ძალიან ძვირფასი ფარაგი უნახავს კედელზე ჩამოკიდებული.

— მაჩუქეო, — უთხოვია მასპინძლისათვის

— რასაც გინდა მოგცემ, ოღონდ ამ ფარდაგს კი ვერა! —
უპასუხია სეყსურს.

— მაშინ მომყიდე, კარგ ფასს გადაგიხდი, — შეუთავაზებია სტუმარს, რაკი მიუჩნევია, რომ ამ ფარდაგის ნამდვილი ღირებულება პატრონმა არ იცოდა და ასეთ განძს შესაბამისი ადგილის მიჩნა სჭირდებოდა. მაინც რომ უუარია მასპინძელს, — რელიკვიაო? — ჩასძიებია.

იმას კი:

— არა, მაგრამ... როცა მთელი დღის შრომით დაღლილ-დაქანცული შინ ვძრუნდები, აი, აქ ნამოვწვები ხოლმე, ვუყუ-რებ და ვისვენებო...

ასეთი ფარდაგია ქართველი კაცისთვის ქართული შემოქმედება, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება, — თქვა ბატონმა მიხეილმა, პირადად მე კი ის ამბავი გამახსენა, „ქარ-

თული ხმების“ ერთ-ერთ ახალგაზრდა წევრს ინტერვიუს დროს რომ ვკითხე, რას ნიშნავს ქართული სიმღერა თქვენთვის-მეთქი? ის კი მყისვე ფეხზე წამოიმართა და მითხრა:

— აი, ხომ ხედავთ, ისედაც რამხელა ვარ, მაგრამ... როცა „მრავალურამიერს“ ვასრულებ, ორი ამხელა ვხდები და, ასე მგონია, სულაც ცას შეგწვდები ხელით.

ოლონდ ესეც მანამდე იყო...

მანამდე, ვიდრე შეხვედრაზე ერთ მნიშვნელოვან თემას წამოწევდა ოსებ ჭუმბურიძე, მაკა ჯოხაძე ჩვეული სიღრმით განაზოგადებდა, მანანა გაბაშვილი კი სიტყვათა თამაშით ერთგვარ ფორმულაშიც მოაქცევდა.

ეს ყველაფერი კი ასე მოხდა:

ძალული გესიანიზმი და...

პროფესიონალიზმის თემას რომ გამოეხმაურა ოსებ ჭუმბურიძე, ისიც აღნიშნა:

— ეს პრობლემა აქ წამდვილად არ დგას, ქართული ფოლკლორის შემსრულებლებს, დღემდე რომ მოიტანეს ეს განძი, პროფესიული განათლება მართლაც არ ჰქონიათ, თუმცა ის კი ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენ ხართ პროფესიონალი, ქალბატონი ქეთევან. იმიტომ კი არა, რომ კონსერვატორიის დიპლომი გაქვთ, მთელი საღამოს განმავლობაში გაკვირდებით და თქვენი დამოკიდებულებით ხართ პროფესიონალი. ასეთი რამ მიხეილ თუმანიშვილისა და თემურ ჩხეიძის რეპეტიციებზე თუ მინახავს — განსაკუთრებული დამოიდებულება საკუთარი საქმის მიმართ.

ამ ანსამბლს აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა, მათ შორის სიხალისეც, სიხალასეც...

როცა თქვენ მდერით: „ჩემო კარგი ქეყენაავა... ცრემლი მადგება თვალზე, ოლონდ მინდა, ეს ყველაფერი იმედითაც მავსებდეს.“

ამ იმედისათვის კი მხარში ამოდგომაც გჭირდებათ.

სულ მესმის ტელეეკრანიდან: წყალი არის „სწონ“!

...და იცით, მე რომ ვყიდი სიბიზნეშინი, მე წყლის მწარმოებელი, აუცილებლად დაგიდგებოდით გვერდით და ვიქწებოდა თქვენი სპონსორი, რადგან ამაზე დიდი და მამულშვილური საქმე არ არსებობს. ბიზნესშენიც, თავისი ბიზნესით კი არა, სწორებ ასეთი საქმეებით შერჩება ისტორიასო.

აქ ანსამბლის ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ სცადეს კიდეც დაკავშირება ამ კომპანიასთან, თუმცა უშედეგოდ — გამოხმაურება არ მოჰყოლია.

ამის გამგონე პოეტმა სევარიონ ნადირაძემ რეპლიკით გამოხატა აღშფოთება:

— პირადად მე წყალ „სწონ“ აღარ დავლევო.

პროზაიკოსმა და ესეისტმა მაკა ჯოხაძე კი თავისი სათქმელი იმ სიზუსტით, სიღრმითა და ექსპრესით ამოახია, ქრუანტელს რომ მოგვრის ხოლმე შეკრებილებს და სხვაგვარ, გამორჩეულ მუხტისა და მნიშვნელობას სძენს „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურული სალონის შეხვედრებს.

— მართალია, ასეთ შეკრებებზე, სჯობს, იჯდე და უსმენდე, მაგრამ რაკი ისინი ახალგაზრდები არიან, ვფიქრობ, სათქმელსაც თავისი ფასი და მნიშვნელობა აქციო, — აღნიშნა მან და ამჯერადაც გამორჩეული სიტყვა თქვა თავისი ქვეყნის ერთი პატარა სამრეკლოდან, ქვეყნისა, სადაც დღესდღეობით მთავარი პური და სანახაობაა და რაც უფრო მატულობს ექსტრემი, რაც მეტად იძაბება ვითარება ქვეყნაში, მით უფრო იზრდება სანახაობათა რაოდენობა.

იმასაც ჩაულრმავდა, როგორი ნიჭიერია ქართველი ერი;

რომ ამის დასტურად დღესდღეობით მომრავლებული მუსიკალური პროექტებიც კმარა;



ანსამბლ „სწონ“ ხელმძღვანელი ქეთევან ნიკლაური

რომ არ არსებობს ჟარნი, რომელსაც ქართველი ვერ იმღერებს და ეს კიდევ უფრო განამტკიცებს აზრს, რომ ქართული სიმღერა ძალზე ძნელი შესასრულებელია და ერთგვარი ტესტიც კია — თუკი ამას შეძლებ, შეუძლებელი შენთვის აღარაფერია;

რომ შემთხვევით არ უთქამის იგორ სტრავინსკის გურული „კრიმანჭულის“ მოსმენის შემდეგ: ეს რომ ადრე მომესმინა, სრულიად სხვაგვარ მუსიკას დავწერდიო;

რომ დღეს, როცა მუსიკაც კი თითქოს „ქიმიური“ გახდა — თვითონ ტერმინოლოგიაც ისეთი დამკაიდრდა... მაგალითად, „ჩვენ ვაკეთებთ მუსიკას“ — როცა შემოქმედების სუბსტანცია, რაც არსია სამყაროსი, მთლიანად უარყოფილია, ჭეშმარიტსა და შემოქმედის მადლით ცხებულს კიდევ უფრო მეტად სჭირდება გაფრთხილება;

რომ ამის ფასი ძალიან კარგად იციან უცხოელებმა, იაპონელები კი ქართულ საგალობლებს კარგა ხანია ფსიქოთერაპიასა და ფსიქიატრიაშიც იყენებენ;

რომ რაც უნდა აღიზინებდეთ მავრნო ცნება „ქართული მესიანიზმი“, მანც უნდა ითქვას, რომ ყველა ერს აქვს თავისი მისია და ქართველების შემთხვევაში ეს ყველაფრიდან ჩანს;

...და რომ ვერც იმაში ხედავს რაიმე უცხაურს, „სწონ“ წევრებს შეკრებაც რომ უჭირთ, რეპეტიციის ჩატარებაცა და ფინანსურადაც არ ულინთ, რადგან დღეს უკვე ერთგვარ კანონზომიერებადაც იქცა, ყველაფერზე ლირებული, ერთგვარ სულიერ უპირატესობასაც რომ უნდა აგრძნობინებდეს ამ ახალგაზრდებს თავისი თაობის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით, დღევანდელ საღამოს წყალობით კი კიდევ ერთხელ უნდა მივაწვდინოთ ხმა მეცენატებსა და ბიზნესმენებს, რომ სწორედ ასეთ ლირებულებებს სჭირდება გაფრთხილება;

რომ ამ ახალგაზრდებს უნდა დაუუდგეთ გვერდით და რომ...

აი, სწორედ ამ დროს იყო მანანა გაბაშვილმა რომ ჩაილაპარაკა:

— ...და რომ „სწონ“ „სწონ“ სცნოსო.

და ამ რეპლიკაში მოაქცია კიდევ ერთი მნიშვნელობა ასეთი საღამო-შეხვედრებისა.

ელგუჯა თავპერიძე

გულის ღია ჭრილობა

ვარლამ შალამოვის პროზასა მორგებული მისი შეხედულებანი „პროზის შესახებ“ („ჩვენი მწერლობა“, 2014, №3), რომელთა ყველასაგან გაზიარება სულაც არაა აუცილებელი. ვერ დაეთანხმები, ვერ გაიზიარებ შალამოვისეულ ზოგიერთ აზრს პროზაზე, მაგრამ მისაღებიც და მიუღებელიც დიდ დახმარებას გაგინჯვას ავტორის შემოქმედების, მისი მხატვრული კონცეფციის გასაგებად.

რომანი მოკვდა, ასეთი ხმამაღლა განცხადებით იწყებს მსჯელობას ის მწერალი, კოლიმაზე 7 წელი რომ გაატარა, და რომანისთვის ნიშანდობლივ ელემენტებსაც გვერდზე მოისვრის, — დღეისათვის აღარც პორტრეტის და აღარც პეზარის აღსაქმელად სცალია მკითხველს...

რომანი უკუგდო, მემუარული ლიტერატურა გააფეტიშა. ის მოკვდა, ეს აღზევდათ, რამეთუ „დღევანდელი მკითხველი ეკამათება მხოლოდ დოკუმენტს და რწმუნდება მხოლოდ დოკუმენტით“ -ო.

„ექიმ უიგაგოზე“ საინტერესო მოსაზრებას გვეუბნება: მასში იმარჯვებს ტოლსტოის ფილოსოფია და მარცხდება ტოლსტოის მხატვრული მეთოდით.

შალამოვის აზრით, ახალი პროზა დოკუმენტიც, დოკუმენტზე მეტიც უნდა იყოს, მაგრამ იგი მანც ვერ იქცევა ნამდვილ პროზად (ცხოვრებისეული გამოცდილების გარეშე: „საკუთარი სისხლი, საკუთარი ბედი, — აი, მოთხოვნილება დღევანდელი ლიტერატურისა“).

ამიტომ დასაწერი თხზულებისათვის თემის შერჩევა, მერე მასალების მოძებნა, ლაგერზე თუ წერ, იქ ჩასვლა, დაკვირვება, თვითმხილველთა ნახვა, გამოკითხვა კი არა მთავარი, — საკუთარი თვალით მნახველი, გულით მგრძნობელი იქაურობისა, სხვანაირი ფსიქიკისაა „და ეს ცვლილებანი ფსიქიკისა შეუქცევადია, ისევე როგორც მოყინულობანი. მეხსიერება გნინინის მოყინული ხელივით, პირველივე ცივი ქარის ამოვარდნისას. პატიმრობიდან დაბრუნებულთა შორის ვერავის ნახავთ, ვისაც ერთი დღეც არ გაუტარებია ისე, რომ არ გაახსენდეს ლაგერი, იქაური დამამცირებელი და საშინელი მრომა“.

ასეთ ადამიანებში უპირველეს თავის თავს გულისხმობდა, მას ხომ საკუთარ ტყავზე, გონებით, გულით, ნერვითა და კანის ყოველი ნასვრეტით გამოეცადა კოლომერი საშინელებანი.

ვარლამ შალამოვი მიიჩნევდა, რომ თვითონაც დოკუმენტი გახსლათ კოლიმისა, თორემ ისეთი მოთხოვნა, რომელიც დოკუმენტისა და მემუარული ჩანაწერისაგან არ განიჩევა, ვერ იქნება სრულყოფილო.

მწერლამა სულაც არაა აუცილებელი ზედმინევნით იცოდეს ის მასალა, რომელზეც წერს. მთავარია, მკითხველის ზნეობრივ კოდექსს იყოს მისადაგებულით: „ორფეოსი, ჩასული ჯოჯოხეთში, და არა პლუტონი, ამოსული ჯოჯოხეთიდან“.

ვარლამ შალამოვის თითოეული მოსაზრება შეიძლება გავანალიზოთ. ზოგჯერ დავვთანხმოთ, ზოგჯერ არა მის დამწერსა და მთქმელს: მწერალი ცოტათი ტურისტია, ცოტათი უცხოელიო, და ასეთ მწერალ-ტურისტად ჰქმინგუების მიიჩნევდა. რაღაც სიმართლე ამ დაკვირვებაშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ, თუმცა იმ ტურისტობაში, უცხოელობაში გროვდებოდა ცხოვრებისეული სიბრძნე, ქაღალდზე გადატანილი ათასებს რომ აღაფრთოვანებდა.

„კოლიმური მოთხოვნების“ კომპოზიციურ მთლიანობას, არა გვგონია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, სად რომელი მოთხოვნა მოთავსდება დიდად არ შეცვლის იმ კოშმარის ნარმოსახვას, მკითხველს რომ რჩება მათი გაცნობის მერე.

ლაგერის თემა ისე დიდია, რომ ასი სოლუურიცინისნაირი და ხუთი ტოლსტოისოდენა მწერალი დაეტევა და ვიწროდ არავინ იგრძნობს თავს.

ასე, ალბათ, თვითონ ნარმოედგინა, თორემ ნებისმიერ თემაზე ნებისმიერმა მწერალმა შეიძლება დაწეროს, ზოგმა ცუდად, ზოგმა კარგად და ზოგმა კადეგ ძალიან კარგად. შალამოვი ამით იმას გვეუბნება, ლაგერის თემა ამოუწურავიაო.

„კოლიმური მოთხოვნების“ შალამოვისეული შეფასება ნაღდია და უალტერნატივი:

„კოლიმური მოთხოვნების“ ანალიზი თავად უალიზობაა. აქ გამოყვანილი არიან ადამიანები ბიოგრაფიის გარეშე, ნარსულის გარეშე, მომავლის გარეშე, გამოყვანილი არიან მათი ანმყოს მომენტში, — რომელი ანმყოსი, შეცურის თუ ადამიანურის? ვის უფრო მოერგება მასალა — მხეცებს, პირუტყვებს თუ ადამიანებს?

„კოლიმური მოთხოვნები“ ესაა ბედი ნამებულთა, რომლებიც არც ყოვილან და არც გამხდარან გმირები“. ტექსტის სწორება არ უყვარდა, დაწერილის პირველ ვარიანტს ამჯობინებდა. უტყუარობა ირლევა, როგორც კი ტექსტს შეასწორებო.

ლაგერის თემას ომის თემაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, რადგან ლაგერი ყველა იჯახის ფსქოლოგიაში შეიჭრა, ომაც ხომ ყველა ადამიანს — საერთო ჯამში კი იჯახებს — დაასვა დალი. ის აზრი, ომის დროს ტირანი და ხალხი ერთმანეთს უხსლოვდებიანო, ანგარიშგასანევია და დამაფიქრებელი.

ვარლამ შალამოვის ნაზრებში ხშირად უჩევეულო მოსაზრებას ნაანუდები, მაგრამ დაფიქრება იმაზეც ღირს, განსჯა შეიძლება.

„პროზის შესახებაც“ თამაზ ნატროშვილმა თარგმნა, თამაზ ნატროშვილმა, რომელმაც მწერნივრად გადმოიტანა შალამოვის მოთხოვნები და ნარკვევები ქართულად.

ერთი სიტყვის ქართული შესატყვისის შესახებ საგანგებოდ უნდა აღვინიშო: ესაა წიკიპიო, მრავლობითში წიკიპიკნი. ჯერ რუსული, მერე ქართული შევადაროთ:

„Проза должна быть простой и ясной. Огромная смысловая, а, главное, огромная нагрузка чувства не дает развиваться скороговорке, пустяку, погремушке. Важно воскресить чувство. Чувство должно вернуться, побеждая контроль времени, изменение оценок. Только при этом условии возможно воскресить жизнь.“

ახლა ქართულად:

„პროზა უნდა იყოს უბრალო და ნათელი. უზარმაზარი აზრობრივი და, რაც მთავარია, უზარმაზარი დატვირთვა გრძნობისა არ გააჭარბებს სხაპასხებს, წიკიპიკოს, ჩხარუნას. აუცილებელია, რომ აღდგეს გრძნობა. დიახ, გრძნობა უნდა დაბრუნდეს, დაამარცხოს დროის კონტროლი, შეფასებათა ცვალებადობა. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი აღდგომა სიცოცხლისა“.

წიკიპიო დაილექტია, მაგრამ იმდენად მრავლისმთქმელი სიტყვა და ისე მოხდენილად მისადაგებული სიტუაციას, თამაზ ნატროშვილის მეობებით, რომ სალიტერატურო ენაშიც აღბათ მაღები დამკვიდრდება (ქიზიყურ დიალექტშია, ქართლურში წიკიპიკოს, ეძახის იგივეს, ორივეში ნერილ-წერილ ნივთებს, წვრილმანსა და უმნიშვნელოს აღნიშნავს). წიკიპიკო, ჩემი ფიქრით რუსულ პუსტკ-ბევრად სველობს, უფრო მეტს გვეუბნება. აი, რას წინავს მაღალი დონის თარგმანი და მთარგმნელი — სხვათა წიკიპიკონი მასთან რა მოსატანია.

შოთა ნოზაძე

თქმით ჟღუნვა მარცე შეატირდაპისა

ნებისმიერი საგნის ფასეულობა, რაც უნდა იყოს იგი, დამკიდებულია გარემობასა და დროზე. შამის ტრაგიულობამ იმპულსი მისცა მწერლის კალამს, შემოენახს ჩანანერები, რომელიც შეეჭიდებოდა წარმავლობის ნისლს და უკვდავების წამს მარადისობას გამოსტაცებდა. გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე პოეტმა და პუბლიცისტმა **მამუკა ნიკლაურმა** მტვერი გადააცალა იმდროინდელ მატიანეგბს, თავისივე მეფური სიმართლით გაამეფა და ღრმა იდეოლოგიაში ფაქტებით და მოვლენებით წინ წამოსწინა ადამიანური საწყისა ჩანანერებში, რომლებიც მისმა მეულემ ნანა ფირცხალავამ შეაგროვა და სალამის მასპინძელ გამომცემლობა „ინტელექტის“ წარუდგინა: „ცამეტი სისხლიანი მთვარე“.


ისტორიის დაწერის მეთოდი ასეთ წიგნებზე აიგება, რადგან აქ შეიშვლადა სიმართლე, ეს არ არის კარის ისტორიკოსის დაწერილი, ჩარჩოებში რომ იყოს მოქცეული. ისტორიული თურქმენული მითით დაწყებული წიგნი მანქურთების შესახებ კი ავტორის იმ ცრემლიან თვალებს დაანახვებს მკითხველს, ნაშრომის დასრულებისას უთუოდ რომ ექნებოდა: „დღეს თბილისს, ჩვენს მრავალტანჯულ დედაქალაქს, „ალაზნის“ ტიპის სარაკეტო დანადგარება აზანზარებს — ეს ქართველი მანქურთები ესვრიან საკუთარ სახლს, თავის ფესვებს თხრიან, თავის სისხლს ლერიან“...

მანქურთი იდეალური მონაა, რომელსაც ყველაფერი და-
ვინტებული აქვს, საკუთარი წარსული, ენა, ისტორია, დედ-მა-
მის ვინაობაც კი, რათა პატრონის ნებისმიერი ბრძანება
უსიტყვოდ შეასრულოს. ეს რომ ქართულად ვთქვათ, ნიშნავს:
„ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ
ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველა-
ში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყვე-
ლასათვის არ ჰქიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა
„მე“ ხშირია, და „ჩვენ“ — იშვიათი! განვთვითეულდით, ცალ-
ცალკე დავიშალენით. ასო-ასოდ დავიჭრით, და მაგ განთვი-
თეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველის-ფერში
ის საქმე გვიყო, რაც უზოგეს ზღაპარში თვითეულს წევბლას
მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტკრეეს. ამის შემდეგ, რა-
საკირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი
აღარ შეგვრჩა“ (ილია ჭავჭავაძე).

ეს წიგნი გაჯერებული და ნასაზრდოებია იმ ტრაგიკული წლებით, როცა ქეყანაში ერთიმეორებულ უფრო სიმართლე-სავით სასტიკი დღეები იდგა, სიმართლე, რომელიც ხალხს იმ-დენად სჭირდებოდა, რამდენადც დანახვა არ უნდოდა, რად-გან ნამდვილა არაფერი იყო „ლურჯი ჯინსების“ გარდა.

არსებობს კი ამ სიტყვების ასევე ოსტატურად დანახული და შემდგა თქმული ანალოგი? ვაი საქართველოს და ვუი ქართველობას, რომ გონიერის თვალი ბევრს აღარ შერჩენია. არა-და მზე ისევ აღმოსავლეთიდან ამოღის...

„ამ წიგნის ანალოგი არ მომექინაბა ქართულ სინამდვილეში, ეს წიგნი ხელში რომ გიჭირავს გვორნა ნაკვერჩხალი გიჭირავს“ — სალამოზე გვიზარებს გია მურლულია.



გია მურლულიამ მარიამ წიკლაურის გა-
მოსვლის შემდეგ აღნიშნა, რომ დაგვანებუ-
ლი იყო უკვე მისი კომენტარი მარიამის სიტყ-
ვების შემდეგ, რადგან იმ სალამოს მათ ერთი
მზერა ჰქონდათ.

— მარიამ წიკლაური: „კონცენტრატს მაგონებს მამუკა წიკლაური: ძალიან მცირეში ჩატეული რაღაც ძალიან დიდი, რომელიც შეგიძლია, განაზავონ და უფრო მეტი მიიღო. მამუკას სიტყვებით მინდა ვთქვა მისი ცხოვრების შესახებ: „...სიზმარში მაინც ხომ ვიომე სილამაზისთვის — სიკვდილს ვეომე, იმის მახვილსა არ შევეცხუ!..“

საღამოს ესწრებოდა მამუკა ნიკლაურის შვილი ნუგზარ ნიკლაური. მისმა დაანახვამ, ნინათვრდნობამ, „ზვიადისტების“ საუბარმა თავისი ქნა და ვეძღვრების ტრინით იოსებ ჭუმბურიძეს მივმართე: არ იძსასურებდა მამუკა ნიკლა-

କବିତାରେ ପଦମୂଳରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ
କବିତାରେ ପଦମୂଳରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ

ჩემი საქართველო აქ არის, სულში მოელგანე ალმასი, ზე-ციონ დაშვებული მადლით და მინას მოპიბინე თავთავით....

ჩემი საქართველო ჩემშია, ციდან მონაქროლი ლაშეარით, მტრისგან გაჩეხილი ვაზიდან სისხლად გადმოღვრილი ბადაგით....

ჩემი საქართველო ჩემშია, ცხრა გზით, ცხრა კლიტულით, ცხრა კარით...

ჩემი საქართველო ჩემშია!
შენი საქართველო სად არის?

მანანა გაბაშვილი

საქართველოს მხარეები, როგორც ეკიანის ძლიერების საძირკვლი

(სერგი მაკალათიას დაბადებიდან 120 წლისთავისადმი
მიძღვნილი V რესპუბლიკური სახაცირო კოცენტრი)

2013 წლის 2 დეკემბერს 120 წლის შესრულდა სერგი მაკალათიას დაბადებიდან. მაშინ როდესაც სამეგრელოში, სოფელ სეფიეთში (აბაშის რაიონი) პირველი ვაჟის დაბადებით გახარებული ოჯახი თოვლების სრილით და უფლისადმი მშურვალე ლოკვით ამ დღეს აღნიშნავდა, ვინ წარმოიდგენდა, რომ 120 წლის შემდეგ ამ დღეს სხვა დროში უკვე სხვა თაობები გაისხენებდნენ. ეს განაპირობა გზამ, რომელიც სერგი მაკალათიამ გაიარა და რომელიც ქართული საქმისა და სამშობლოს მსახურებისკენ იყო მიმართული. ამაზე საუბრობდნენ მისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც 2013 წლის 7 დეკემბერს მარტვილში გაისხნა და სადაც სერგი მაკალათიას სამეცნიერო ლგანწლს მის ცხოვრებასთან კავშირშიც განიხილავდნენ. ამ დღეს, ისევე როგორც 10 წლის წინათ (2003 წ. 19 დეკემბერს), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გამართულ ს. მაკალათიას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე დაისვა კითხვა, რომელსაც ხმირად სვამენ. კერძოდ, თუ როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა ამდენი საქმის გაკეთება, მითუმეტეს, რომ მას მრავალ ხელშემშეულ ფაქტორთან ერთად უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. თანაც დაბრკოლებები მხოლოდ ზოგიერთი კოლეგისაგან არ მომდინარეობდა, მასში მაშინდელი რეზიმიც იყო ჩართული. ამასთან დაკავშირებით პროფ. ი. გაგოშიძე აღნიშნავს: „ყველა ვინც პირადად იცნობდა ბატონ სერგი მაკალათიას, დამეთანხმება, რომ ეს იყო უაღრესად თავაზიანი, თბილი და საოცრად კეთილგანწყობის პიროვნება და მით უფრო საოცრის რომ მისი ცხოვრება კონფლიქტებით იყო სავსე და მას უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა თავისი მოღვაწეობის მანძილზე. რატომ დაიცვა სერგი მაკალათიამ თრივე დისერტაცია რუსეთში (1939, 1948წ.) და არა საქართველოში და რა უნდოდა ქართველების ჯგუფს მოსკოვში, მისი დისერტაციის ჩასაგდებად რომ გამოცხადდა?“

თუმცა ამ ჯგუფმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია და სერგი მაკალათია წარმატებულად დაცული დისერტაციის შემდეგ საქართველოში ეთნოგრაფიის პირველი მეცნიერებათა დოქტორი გახდა. მაგრამ ამავე წელს, გორის მუზეუმის დირექტორობიდან, რომლის დაარსებასა და მოწყობაში მისი როლი განსაკუთრებულია, იარღიყით „ანტისაბჭოთა ელემენტი“, გაათავისუფლეს.

ცნობილია, რომ თავად ს. მაკალათიას თავი შორს ეჭირა ინტრიგებისგან, მე ამებებისათვის არა მცალია, იტყოდა და თავის საქმეს აგრძელებდა. ს. მაკალათიასთან ბრძოლის ერთ-ერთ მიზეზს, პროფ. ი. გაგოშიძე მის მრავალმხრივობაშიც ხედავდა. მისი სიტყვით, ს. მაკალათიამ იმდენი გაკეთა, რაც ერთი მოზრდილი მრავალდარგოვანი ინსტიტუტისთვისაც კი ცოტა არ იქნებოდა. მისი სიტყვით, ეს იყო უნივერსალი მეცნიერის ტიპი, რომელიც XIX საუკუნეშიც კი დიდი იშვიათობა გახლდათ. ის კი ჭეშმარიტი პროფესიონალი იყო მის მიერ არჩეულ ყველა დარგში — ისტორიაში, ეთნოგრაფიაში, არქეოლოგიაში, ნუმიზმატიკაში თუ სამუზეუმო საქმიანობაში. ამიტომაც ნიშანდობლივია, მარტვილში საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩასული მეცნიერები ამ დარგებს რომ წარმოადგენდნენ. ს. მაკალათიაც მიიჩნევდა, რომ ყველა ისტორიკოსი გარკვეული უნდა ყოფილიყო ისტორიულ დისციპ-

ლინებში. ალსანიშნავია, რომ დღეს ვიწრო სპეციალიზაციამ და ამათუმიმ სფეროს დაშორებამ ერთმანეთისგან კვლავ აქტუალური გახადა პრობლემების მთლიანობაში გააზრების აუცილებლობა. ეს იმ თემაზე კოდანც კარგად გამოჩნდა, რომელიც კონფერენციაზე იყო წარმოდგენილი.

* * *

მანამდე კვლავ გვინდა დავუბრუნდეთ კითხვას, რომელიც მარტვილის სამეცნიერო კონფერენციაზეც დაისვა: როგორ შეძლო ს. მაკალათიამ ამდენი საქმის გაკეთება მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა? ამასთან დაკავშირებით მისი ბიოგრაფიის განხილვისას ორ ფაქტორზე გამახვილდა ურადღება — ოჯახსა და საზოგადოებაზე. აღინიშნა როგოვე ფაქტორის მნიშვნელობა იმ საზოგადოებისთვის, რომელიც ახალ თაობას სამშობლოს მსახურებისთვის ამზადებდა. მაგრამ საამისოდ აუცილებელი იყო გამძლე და ამტანი თაობის აღზრდა. ეს წინავე მკაცრ აღზრდასთან ერთად შრომას, რასაც პატარაობიდანვე აჩვევდნენ.

ქართული საზოგადოებისთვის ყველაზე დიდ სიმდიდრეს განათლება წარმოადგენდა. სიკედილის წინ სერგის მამამაც ეს ანდერძად (სერგიმ მამა 5 წლისამ დაკარგა) დაუტოვა თავის ახალგაზრდა ცოლს, რადაც უნდა დაჯდომოდ შვილებისათვის განათლება მიეცა. მინაღორა თურქებიმ მეუღლის მნიშვნელობის პირნათლად შეასრულა. მაღლიერმა შვილმაც დაუფასა მას ამაგი, რის გამოც დედას განსაკუთრებული ადგილი ეკვავა მის ცხოვრებაში.

სერგის მამა და პაპა სასულიერო პირები გახლდნენ. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ადამიანებისადმი, განსაკუთრებით გაფრვებულებისადმი, დიდ ზრუნვას იჩენდნენ. სერგის მამამ იოსებშება, სოფელ სეფიეთში მეგობრის — თეფო უორდებისა — თანადგომით პირველი სამრევლო სკოლა დაარსა, სადაც ცნავლა ეპრთულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს იყო რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, რომლის უკანაც ეროვნულად მოაზრობება ქართული საზოგადოების დიდი ძალისხმეული იდგა.

სენაკის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში სნავლის გაგრძელება (დაასრულა 1916 წ.) უმნიშვნელოვანების ეტაპი იყო ს. მაკალათიას ცხოვრებაში. აქ მასზე დიდი გავლენა მოახდინა პედაგოგმა გასილ ბარნოვმა. იგი თავის მონაცემებს ეროვნულ გრძნებებს უღვივებდა და დემონსტრაციულად ელაპარაკებოდა ქართულად, რასაც მაშინ სემინარიაში ყველა ვერ ბედავდა. სწორედ ვასილ ბარნოვმა ურჩია თავის მონაცემებს, იმ ინტერესებიდან გამომდინარე, მასში რომ შენიშნა, ეთნოგრაფიისათვის მოეციდა ხელი. XIX საუკუნეში ამ დარგისადმი ყურადღებას გამოხატავდნენ ილია, აკაკი, ვაჟა, თავად ვასილ ბარნოვი და სხვ. არ არის შემთხვევითი, თავისი პარველი სამეცნიერო სამინისტროში ერთ დროს აკრძალულიც ყოფილა. როდესაც ს. მაკალათიამ 1939წ. ლენინგრადში დასერტაცია დაიცვა, ეს ამ უნივერსიტეტისთვისაც იმდენად დიდი მოვლენა აღმოჩნდა, რომ მას საკავშირო პრესაც გამოეხმაურა სტატიით:

„პირველი ეთნოგრაფიული დისპუტი ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში“. საქმე ის არის, რომ ბოლო რვა წლის მანძილზე საბჭოთა უნივერსიტეტში ეთნოგრაფია აღარ ისწავლებოდა. ამიტომაც ს. მაკალათიას ოპონენტებმა, ცნობილმა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა ვ. სტრუვემ და დ. ზელენინმა, ისევე როგორც დისპუტში მონაწილე სხვა მკლევარებმა, კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ამ დისერტაციით, ბოლოს დაბოლოს ეთნოგრაფიამ კვლავ მოიპოვა თავისი კუთვნილი ადგილი მეცნიერების სხვა დარგებს შორის.

1918- ს. მაკალათია ახალდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის პირველი ნაკადის სტუდენტი გახდა, სადაც ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა დიდი სამეცნიერო სკოლა, რომლის გარეშეც, რაც თაობებს შორის უწყვეტ კაშშირსაც ეფუძნება, შეუძლებელია სერიოზულ მეცნიერებაზე ლაპარაკი. სწორედ ამ სკოლების ნგრევამაც დღეს ათასი ჯურის თვითმარჯვია ავანტიურისტის მოსკოვის შეუწყის ხელი მეცნიერებაში, უფრო სწორად გადამწერთა (ნიგნებიდან თუ ინტერნეტიდან), რომლებიც მეცნიერების სახელით მეცნიერებას ანგრევენ. ისინი არა მხოლოდ საქმეში ჩაუსედავ მკითხველთა ნანილის დეზორინტირებას ეწევიან, არამედ ზერელედ მოაზროვნე რეფორმატორებისაც, რომლებიც ინტელექტუალებით ზღებით ზომავენ და ასეთ ახალგაზრდებშიც ხედავენ ქართულ მეცნიერების მომავალს.

— საჭმელად. — თქვა მან მოძრაობითაც გაამყარა ნათქვამი.

გუშინდელს აქეთ უფრო გამბედავი გამზღარიყო. კონჩე-ტინას ნიკაპზე ხელი მოჰკიდა, თავი აუწია და მის სახეს ექიმი-ვით დააკვირდა.

— თქვენ ცუდად ჭამა. ახლა ეს ყველაფერი ჭამა.

კონტენტინაზ ამჯერად შინ წაიყვანა. დედამ, ჩაფიქრებულ-
მა თუ არა, ჩაფიქრებული სახით მაინც, ღუმელში ნაკვერ-
ცხალს შებერვა დაიწყო. ამერიკელის დაახახვისას წასვლა მო-
ინდომა, მაგრამ არა, არა, მეზღვაურმა შეაჩერა.

— მე არა შეწუხება, — თქვა მან, — მე სტუმარი.

და ეს უხერხულობა რომ გამოისწორებინა, თან კონჩეტი-ნასეკო მოპოდიშებით გაიხედა, ვარდები აიღო და ქალბატონ კიულოტის მიართვა. ეს უკანასკნელი საგონიერებლში ჩავარდა.

— ლარნაკში ჩადე, — უთხრა კონჩეტინამ. — ესიამოვნება.

გაოგნებამ ქალბატონ კიულლოტოს რაღაც გაურვეველი ბურტყუნი ამოათემევინა. ოთახის ბოლოში კარგა ხანს იქექქ-ბოდა, როგორც იქნა იპოვა ლარნაკი და ყვავილები შიგ ჩატენა, მობრუნდა და ყველაფერი მაგიდაზე დადო, შუაში კი არა, ამერიკელის წინ.

— Good! — თქვა ამ უკანასკნელმა.

შსუბუქი შორიაობით ცყვავილები შეასრორა. გამოლეხზებული ქალბატონი კიუღლოტო ფეხზე იდგა. ამერიკელმა ის დასვა. კონჩეტინამ ვერა გაიგო რა და ის გააკეთა, რაც გულით უნდო-

და: თეტვები დააწყო მაგიდაზე. ჯონი დიდი გულმოდგინებით სხინდა ყუთებს და შიგთავს ამაყად უჩვენებდა ქალებს. ჭამეს. სათანადო მიმიკით აზრთა გაცვლა-გამოცვლა შესაბამისად ხდებოდა კონჩეტინასა და მეზღვაურს შორის: კონჩეტინას კონ-სერვები უგემრიელესად მიაჩნდა, ჯონი კი სულაც აღტაცებული იყო; მეზღვაურსა და ქალბატონ კიულონტოს შორის: ჯონი აძა-ლებდა კიდევ ეჭამა და ქალბატონი კიულონტო კი მადლობას უხ-დიდა და აგებინებდა, რომ უკვე ყელამდე იყო სავსე. ლროდადრო ქალბატონი კიულონტო მეოცნებებს სახით ვარდებს გახედავდა. მას ჰქონდა ფართო, მსუქანი სახე, საკმაოდ შთამბეჭდავი.

ვახშემი დასრულდა, ამერიკელმა გულილიად გაიცინა და შემდეგ უცრად განითლებული წამოდგა და უთავბოლოდ აპურტყუნდა, მისი ჩიქოროთული ნაუბრიდან კონჩეტინამ და დედამისმა გამოიცნეს და ყურებს არ დაუჯერეს, რომ ქალბატონ კიულოტოს მისი ქალიშვილის კინოში წაყვანის ნებართვას სთხოვდა. ნებართვის?! კონჩეტინამ მხრები აიჩეჩა. ქალბატონი კიულოტოს გადარეული მზერა ვარდებისთვის მიებჯინა. კინოში? ქალბატონმა კიულოტომ, ალალბედზე თანხმობა მისცა. მეზღვაურმა მომხიბელელად გაიღიმა, დაიხარა და ქალბატონ კიულოტოს გადაეხვია, რომელმაც სულმთლად თავგზა-აბნეულმა ღრმა ბაჟშვილიდან გამოყოლილი ჟესტით სქელი ცერა თითით მეზღვაურის შუბლზე პატარა ჯვარი გამოსახა.

მეცხრე დღეს კონჩეტინა გამოერკვა გალუბნებისგან — სხვათა შორის ბედნიერი გალუბნებისგან, რომელშიც ამერიკელი ამყოფებდა. რიტუალური სტუმრობის დრო ახლოვდებოდა, დედა შენიდან გაუშეა, ახალი პერანგი ჩაიცვა (რომელიც ეკესი პაკეტი Lucky Strike დაუჯდა), სუნამოთი წყალდიდობა მოიწყო და დაელოდა. ჯონი მოვიდა, შეწუხდა ქალბატონი კიულონტოს არყოფნით და სინანული გამოთქვა. ეს ყვავილების ერთ-ერთი დღეთაგანი იყო. მან ორი თაიგული მოიტანა, კერძოდ ვარდების. კარგი დიასახლისის გულმოდგინებით გუშინნინდელი თაიგულები აიღო, ქუჩაში გადაყარა (უნესოები კი არ არიან ნეაპოლში). რამე ზედმეტი თუ გაქს,

ქუჩაში უნდა მოისროლო, წესია ასეთი), მობრუნდა და ახალი თაიგულები ლარნაკებში ჩადო.

— მაკოცე. — უთხრა მოთმინებადაკარგულმა კონჩეტინამ.

ჯონიმ აკოცა. ლოყაზე. მაგრამ კონჩეტინამ სახე მობრუნა. მათი ბაგები ერთმანეთს შეხვდა. ვაშა! ჯონიმ უკან არ დაიხია. სანგრძლივი, სეროზული, გულმოღვინე კოცნა გამოვიდა. რაზეც ჯონიმ საგონებელში ჩავარდნილი სახით წამოიძახა:

— გიყვარგარ?

— სულელო. — უთხრა კონჩეტინამ.

როგორც იქნა, მისთვის ჩვეულ მეტყველებას, სიტუაციას დაუბრუნდა. ისევ ძველებურად თავისუფლად იგრძნო თავი, სანოლზე გაიშვართა, დიდ, სპილენძის ბურთულებიან სანოლზე, სადაც ღამე დედასთან ერთად ეძინა. გადასაფარებელზე ხელის დატყაბუნებით ჯონი მიინვია. კაცი სანოლზე ჩამოჯდა. ქალმა კოფთაზე ღილების შეხსნა დაიწყო. ერთი, ცუდად მიკერბული (სულ ასე მაღაზიებში), მოწყდა. კონჩეტინა მოტრიალდა, ღამის მაგიდაზე რომ დაედო, და მაშინ თავის მხართან დაინახა ჯონის სახე — დამფრთხალი, შენუხებული.

— არა, არა, — თქვა კაცმა. —

ჯერ უნდა ჩვენი დაქორწინება.

— რა თქმა უნდა, — თქვა კონჩეტინამ და თავის ქვედაბოლოს ელვას ეცა.

მაგრამ ჯონიმაც დაადო ხელი ელვას. კონჩეტინამ ხელზე თავაზიანად დაუტყაპუნა.

— ნუ იქნები ასე სულსწრაფი.

— არა, — თქვა ჯონიმ, — ჯერ ჩვენი დაქორწინება.

გამოჭერილი კონჩეტინა ნახევრად წამოიწია, მერდზე ხელები გადაიჯვარედინა. შერცხვა.

— ცოლად გინდა შემირთო?

ქალი გაოგნებული უყურებდა.

— დიახ.

კაცმა საქადალდე ამოილო.

— უკვე ყველა საბუთი მაქვს.

კონჩეტინამ სასწრაფოდ შეიკრა ყველა ლილი და ქვედაბოლო ჩაისწორა.

— შენ არ გინდა? — ჰერთხა ჯონიმ შენუხებული გამომტყველებით.

მას არ უნდოდა?! წერაპოლელი, ღარიბი, ომის დასასრულის ამ აურ-ზაურში ჩაკარგული გოგოსთვის ამერიკელზე დაქორწინება ჰერუ იყო, საფრანგეთის აკადემია იყო, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტობა იყო. კონჩეტინას ერთ წამს თვალთ დაუბნელდა. შემდეგ მის წინ გულლად გადაშლილი ამ სახის, მაგიდაზე მდგარი ვარდების ამ ორი თაიგულის მიმართ სინაზით აიგვია და პატიოსნად მოქცევის საჭიროება იგრძნო.

— იცი, ეს არაა აუცილებელი.

ჯონიმ წარები შექმუხნა. გულწრფელად შეშფოთებული იერი ჰქონდა.

— აუცილებელი, — თქვა მან. — ყველა საბუთით.

კონჩეტინას კიდევ სურდა ჯადოსნური ოცნების გახანგრძლივება მცირე ხნით. ჯონის ხელი აილო და მოეფერა. და მცირეოდენი დუმილის შემდეგ დაბალი ხმით თქვა:

— მე უკვე გათხოვილი ვარ...

ჯონი წამოდგა, ხელი სპილენძის სანოლის თავს მოჰკიდა.

— გათხოვილი ხარ?

— კი.

ჯონის თავიდან ისეთი სახე ჰქონდა, რომ კარგად ვერ გაიგო. შემდეგ გაიღიმა, თავი გააქნია და თითის წვერებზე რბილი

ლად, თეძოების რხევით, თითქოს ცეკვავსო, ოთახი შემოიარა. გავლისას დაუდევრად, ვითომ სასხვათაშორისოდ აღებდა კარადას, ბუფეტს, სწევდა სუფრას. თითოეული ოპერაციის შემდეგ კონჩეტინასკენ მობრუნდებოდა, ხელებს შლიდა, თითქოს ეუბნებოდა ვერაფერი ვიპოვეო. ბოლოს თავის აზრი გამოთქვა.

— ხედავ? არა ქმარი.

— წავიდა.

ერთი ხელით დოინჯი ჰქონდა შემოყრილი, მეორით კეფიდან შუბლისკენ მეზღვაურის კებს ამოძრავებდა და კონჩეტინას ნათქვამს გამოწვლილვით განიხილავდა.

— ტყვე?

— არა. წავიდა. მიმატოვა.

— მაშ განქორწინდები.

— აქ შეუძლებელია განქორწინება.

ჯონიმ გულიანად უნდობლად გაიცინა. სხვები მოატყუე! და კონჩეტინასაც ერთ წამს ეჭვი შეეპარა, იმედი გაუჩნდა. კი ჯონის უთხრეს, რომ განქორწინება აკრძალულია იტალიაში. მაგრამ ამ ომის დროს? ამ არეულობის დროს? და თანაც თუ ამერიკელის გულისთვის განქორწინდები?

— დიახ, — თქვა ქალმა.

— ხომ ნამდვილად გინდა ჩემთან დაქორწინება?

— კი.

— Good! — თქვა ჯონიმ გადაჭრით. — Very good. ხვალ მე უნდა გავემზავრო. ჩემი გემი კასაბლანკაში მიდის ერთი თვით. ეს ხანი შენ გაშორების საქმეს მოაგვარებ, და რომ დავბრუნდებით, დავქორწინდებით.

მივიდა ქალთან, მხრებში ხელი მოჰკიდა და ტუჩებში აკოცა, სერიოზულად კონჩეტინა ლოგინზე გადაწვანდა. მაგრამ ჯონი მოსცილდა. ხელით დამაშვიდებელი მოძრაობა გააკეთა, სარკესთან ქუდის შესწორებაც არ დავიწყებია და დაჯერებული ნაბიჯით სახლიდან გავიდა. რამდენიმე წუთის მერე მობრუნდა და თან სამი ბოთლი ლვინონ და ქალბატონი კიულოტო მოიყოლა, რომელსაც ქუჩაში წასწყდომის მანანწალა სულივით მოხეტიალეს. გაიმართა ნიშნობის ძალზე მშვიდა, მაგრამ გულითადი სალამო, სამივე ბედნიერი იყო. წასვლისას ჯონიმ ისევ ტუჩებში აკოცა კონჩეტინას (ამას უკვე დაქორწინებულივით აკეთიერდა, საოცრად მშვიდად) და წაგდა, დატოვა ოცი დოლარი განქორწინების ხარჯებისთვის და უიმედო საგონებელში ჩავარდნილი ორი ქალი.

პირველი ქალბატონი კულოტო გამოფეხი ზღვდა.

— დონ ჯენაროს უნდა ვკითხოთ. — თქვა მან.

ამით ხვალიდან დაკავდებოდნენ. ეს ჯენარო ერთი მაღალი მოხუცი იყო, ბევრი კბილი აღარ შერჩენოდა, მაგრამ ჯერ მაინც მხნედ გამოიყურებოდა. ასე 1925 წელს, რამდენიმე თვე ადგილობრივ ცნობილ ადვოკატთან შიკრიკად მუშაობდა. ამ დიდებული წარსულისა და ბედის წყალიბით უბანში სახელგანთქმული იურიდიული პირი შეეწილი იყო. ძალზე სერიოზულად „ადვოკატს“ უნიდებდნენ და საჩითირო შემთხვევებში კონსულტაციებს სთხოვდნენ. დონ ჯენარო ჩვეულებრივ რჩევისთვის მოსულებს სერვან-მაიორის პატარა ქუჩაზე მდებარებოდა ბარში იღებდა, სადაც მისი ყოფნა ერთგვარ საქმიან ატმოსფეროს ქმნიდა. კონჩეტინას მონათხრობმა დააინტერესა. დაიწყო რაღაც მაღალფრთხოების იურიდიული ტერმინების ლულლული (მეგვიდრეობის მიღება კანონიერად, უანდერძოდ, გარდაცვლილისგან, ქორწინების გამოუყენებ-



მხატვარი გეგა პაქსაშვილი

ლობა), მაგრამ მალევე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, სამწუხა-
როდ, მის ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, იტალიაში გან-
ქორნინება შეუძლებელი გახლდათ. რელიგიური ინსტანციების
გავლა იყო საჭირო. ეს კი ხანგრძლივი და ძნელი იქნებოდა.

— მას უნდა, რომ ერთ თვეში განქორნინებული ვიყო, —
თქვა თვალზე ცრემლმომდგარმა კონჩეტინამ.

ალალბატზე, თითქოს ამას რაიმეს მოგვარება შეეძლო,
კონჩეტინამ ჩესტერფილდის ერთი ყუთი მართვა ძღვნად.
დონ ჯენარომ ყუთი აილო და ძალზე გამოსული კაცივით ჯერ
ქალბატონ კიულოტოს შესთავაზა სიგარეტი, მერე კონჩეტი-
ნას, მერე თვითონ მონადირე ძალის უზარმაზარ ცხვირებულ-
ნეტარებით გაატარ-გამოატარა ერთი ღერი და მოუკიდა. შემ-
დეგ იდაყვებით პატარა მრგვალ მაგიდას დაეყრდნო, გაფან-
ჩული წარები მოქმუხნა და საკითხს ჯიქურ შეუტია:

— მართლა უნდა შენზე დაქორნინება იმ ამერიკელს?

— დიახ, — უპასუხა კონჩეტინამ.

— რატომ?

ნიკაბის, გულმკერდისა და ხელების ერთიანი მოძრაობით
კონჩეტინამ გამოხატა აზრი, რომ არ იცოდა. იდეა! დონ ჯენა-
როს კლიენტის ხელიდან გამვება არ უნდოდა. კლიენტი კლი-
ენტია. მთვარე უნდა? მოაჩვენე თავი, რომ ექებ მთვარეს.

— მზად ვარ დავიწყო საჭირო მოქმედება...

წინადადებას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია, დონ ჯე-
ნარომ დაწყებული ხაზგასმით გააგრძელა.

— მცირეოდენი ავანსი დამჭირდება.

— არავითარი ავანსი, — მოქრა ქალბატონმა კიულოტომ.

ქალბატონ კიულოტოს სულ რაღაც ორი-სამი აზრი ჰქონ-
და, მაგრმ მათ არასდროს გადაუხევევდა. ამ აზრთაგან ერთი ის
იყო, რომ წინასწარ არასდროს უნდა გადაიხადო. დონ ჯენარომ
სასწრაფოდ დაიხია უკან და საკითხს სხვა მხრიდან მოუარა.

— და შენი ქმარი? დიდი ხანია, რაც ვაქრა?

— უკვე სამი წელია.

— მაშ ალარასდროს დაბრუნდება.

ქალბატონ კიულოტოს დამცინავმა ღიმილმა გადაუარა
სახეზე. ქმარი და დაბრუნდება (მეორე აზრი)!

— მაშ კეთილი, — თქვა ჯენარომ, — ასეთ მდგომარეობა-
ში ისღა დაგრჩენია უთხრა, რომ მოიპოვე განქორნინება, რომ
ყველაფერი მოგვარებულია. ეგ ამერიკელი ყოჩალი ბიჭი ჩანს.
იმედი არ უნდა გაუცრუო.

გულეკეთილები არიან წეაპოლში.

— ეგ საემარისი არ იქნება, რომ დაგვაქორნინო, — თქვა
კონჩეტინამ.

მაგიდაზე კევლავ იდაყვდაყრდნობილმა, სიგარეტის კვამ-
ლის გამო მარჯვენა თვალმოქატუტულმა, ნამდვილმა დემონმა
დონ ჯენარომ კოტიტა (ცერი გულმკერდზე მიიკაუზნა და თქვა:
— სწორედ მანდ ჩავერევი.

ცოტა დაახანა.

— მე დაგაქორნინებთ.

ქალბატონმა კიულოტომ მსწრაფლ გადახედა თავის
ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

— ადვოკატს არ შეუძლია ვინმეს დაქორნინება. — თქვა მან.

— ბრიყვი! ეტყვი, რომ მერი ვარ.

ეს იდეა ეტყვობა ძალიან მოსწონდა, დონ ჯენაროს. სკამზე
გაიჯგიმა, მის მსხვილ ნაკვთებზე უკვე გამოხატულიყო
დი-
დებულების ინშატი. მაგრამ ქალბატონი კიულოტომ გაბრაზე-
ბული ხარის თვალებით, კუტტად აკვირდებოდა: დაგლეჯილი
პიჯაკი, უსაყველო პერანგი...

— არ დაიჯერებს. — თქვა ბოლოს.

— მის დროს... — თქვა დონ ჯენარომ.

— და როგორ ჩავატაროთ ცერემონია მუნიციპალიტეტში?

კონჩეტინამ ჩანთა აილო, სარკე ამოილო და ტუჩებზე წი-
თელი საცხი წაისვა. დიდი სისულელე იყო ეს ყველაფერი. მან
ხელი ჩაიქნია. მაგრამ დონ ჯენაროს ჯერ სულაც არ ჩაექნია
ხელი.

— ეტყვი, რომ იტალიაში, როცა ხელმეორედ ქორნინდე-
ბიან გაშორების შემდეგ, მერი შინ მოდის. აურზაური რომ არ
ატყდეს; ეს სავებით ბუნებრივია. და კიდევ, რას კარგავ?

მაგიდის ქვეებ სწრაფად რებები აჩვენა.

— წაგიყვანს ამერიკაში. ამერიკაში საბუთები, უუფლე...

ხატზე დაიჯიცებდი, რომ ცხოვრების სამი მეოთხედი
State Building-ის იმპერიის ჩრდოლში ჰქონდა გატარებული.
კონჩეტინა დაფიქტებული იერით უყურებდა, სარკე წინ ედო,
თითო ტუჩის კუთხესთან შეჩერებოდა.

— ჰა? — თქვა დონ ჯენარომ.

— ცოტა უკეთ უნდა ჩაგაცათ, — თქვა ქალბატონმა კიუ-
ლოტომ, ოღონდ არ დააზუსტა ეს ცერემონიის ბრწყინვალე-
ბისთვის იყო საჭირო თუ დამაჯერებლობისთვის.

— უჱ, — თქვა მოხუცა. — ოთხი დოლარი რომ მოგეცათ...

ქალბატონი კიულოტოს გავეშებულმა გამომეტყველებამ
მსწრაფლ გადახედინა თავისი ტარიფები.

— ორი დოლარი?.. ორი. — გაბედულად გაიმეორა, რად-
გან რინგე ქალი დუმდა. — ორ დოლარად სენიორივით გამო-
ვწყობი.

სკამზე გადაწვა, ზურგსუნიდან ძევლი პორტფელი ამოილო.

— შეხედეთ. ეს პორტფელი მექნება.

და ზედ ხელის ზურგი ძალზე წამახალისებლად დაუტყაპუნა.

— ჰა? ეს მშვენიერი ჰალსტუხი...

ოცდათორმეტი დღის თვეზე, წინასწარ გამოგზავნილი
დეპეშისა და საქორნინო ხარჯების გადმოგზავნის შემდეგ,
ჯონი მოვიდა — ამჯერად ტაქსით, ისე იყო დატვირთული.
კონსერვების ყუთები, სიგარეტები, ბაკალავრის, მაროკო-
ული ბალიში, ქოშები, ხალიჩა. სიხარულით ცამდე იყო, ღილი-
ნებდა, შლიდა თავის ხალიჩას, იხდიდა და იხურვდა თავის
კეპს. განსაკუთრებული ამ განქორნინების საჩქარებ მოხიბლა.
ახლა შეეძლო ელიარებინა: ეჭვობდა, რომ ამას მეტი დრო
დასჭირდებოდა. იტალია, ნამდვილად, იყო **very good country**.
მერი რომ შინ მოვიდოდა, ეს სავსებით ბუნებრივ და ამავე
დროს თავაზიან კომპრომისად ეწვენებოდა ადგილობრივი აკ-
ვიატებული აზრების გათვალისწინებით. ჯონი საქმაოდ ნახე-
ტიალები კაცი იყო და იცოდა, რომ უცხოეთში ზოგჯერ უცნა-
ურ ჩევეულებებს გადაეყრდნო. სამაგიეროდ, საბუთების სა-
კითხში დიდი ჩავირკიტება გამოიჩინა. განქორნინების ეს გა-
დანწყვეტილება ნამდვილად წესრიგშია? იმდენი თაღლითი
ადვიკატია. უნდოდა ამ გადაწყვეტილების ნახვა. კონჩეტინას
საკამაო ძალა და გულგრილობა დასჭირდა სიმშვიდის შესა-
ნარჩუნებლად, უთხრა, დოკუმენტი მუნიციპალიტეტში მაქეს
წარდგენილი, და მეორე დილას, დასჭირდებოდა ადგილობრივი აკ-
ვიატებული აზრების გათვალისწინებით. ჯონი საქმაოდ ნახე-
ტიალები კაცი იყო და იცოდა, რომ უცხოეთში ზოგჯერ უცნა-
ურ ჩევეულებებს გადაეყრდნო. სამაგიეროდ, საბუთების სა-
კითხში დიდი ჩავირკიტება გამოიჩინა. განქორნინების ეს გა-
დანწყვეტილება ნამდვილად წესრიგშია? იმდენი თაღლითი
ადვიკატია. უნდოდა ამ გადაწყვეტილების ნახვა. კონჩეტინას
საკამაო ძალა და გულგრილობა დასჭირდა სიმშვიდის შესა-
ნარჩუნებლად, უთხრა, დოკუმენტი მუნიციპალიტეტში მაქეს
წარდგენილი, და მეორე დილას, დასჭირდებოდა ადგილობრივი აკ-
ვიატებული აზრების გათვალისწინებით. გაიკავა თავისი ტა-
ვის გადახედების გასანდობად. იმას ამ ამბავმა ღიმილი
მოპევარა და, ერთი პაკეტი სიგარეტის სანაცვლოდ, სასწრა-
ფოდ იყისრა განქორნინების მშვენიერი გადაწყვეტილების
შედგენა. შთაგონების ცეცხლით აღვისლომა კონჩეტინასათვის
ძალზე სასიამოვნო რამდენიმე საქები წინადადებაც ჩანართო,
იქამდეც კი მივიდა, რომ მას „ქრის ერთგულებისთვის წამე-
ბულის“ კვალიფიკაცია მიანიჭა.

ცერემონია ორი დღის შემდეგ შედგა, კონჩეტინას სახლში.
მცირეოდენმა მილაგებამ თავსი საკმაოდ საზეიმო იერი მია-
ნიჭა. თავსი პორტფელით, ღმერთმა უწყის სად დაქირავებუ-
ლი რედინგობით, მუცელზე შემოხვეული ძევლი დროშით
დონ ჯენარო სწორედ სათანადოდ გამოიყურებოდა. მკაცრი
იერით, დაკვირვებით დაინწყო ჯონის საბუთების შემონმება
და საყვედლური გამოთქვა ერთ-ერთზე წაცხებული მელნის
ლაქის გამო: ეს დოკუმენტი სანდოდ არ მეჩვენებაო, განაცხა-
და. ჯონის დიდი ძალისხმევა დასჭირდა, მის დასარწმუნებ-
ლად და, ამ შენიშვნით აგანგაშებულმა და შეხურებულმა, ვე-
ღლა გაბედა განქორნინების გადაწყვეტილებისთვის თვალის
გადავლება. დონ ჯენარომ კიდევ რაღაც გაურკვეველ ჩანა-
ნერთა წიგნში რაღაც საბუთზე მოაწერინა ხელი და ქადაგება
გაუმართა მეულლის ძალზე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლო-

ფილუმენა

მე შენზე ვიღაპარაკებ, ფილუმენა. ამ საღამოს მე მხოლოდ შენზე ლაპარაკი შემეტყველია. ვიცი, იტყვიან: რომ შენ ცდებოდი; რომ უკეთესი იქნებოდა თუ ჯანდაცამდე გზას დაულიცავდი შენს დუკას; რომ ეს უფრო სწორი და უფრო იოლი გამოსავალი იქნებოდა. ისინი მართალი არიან, ფილუმენა, ცამდე მართალი. შენი თავგადასავალი არაა კარგი მაგალითი. სიყვარულის ამბები იშვიათადაა სამაგალითო.

გასული თვის დამდეგს ნებაბოლში გავტერდი და ბრა ვიქირავე. ბინა, როგორც ვფიქრობ, იქდა შეიძლება იპოვოს კაცმა, ნახევრადჩამონგრეული, მაგრამ კეთილშობილური, სვეტებიანი დარბაზით და გიგანტური ავეჯით განწყობილი, ბაროკოს განთავის ამპირის სტილში. ბინის პატრონს, პატარა, მელოტ და დამფრთხალ კაცს ვკითხე, ჩემთვის დამლაგებელი ქალი ეშოვნა — ხომ არსად ეგულებოდა. ფილუმენა მირჩია. კეთილი, ფილუმენა იყოს! ის ნაშეუდღესვე მოვიდა. მისი დანახვისას თავიდან რაღაცნარად შევწყები. მართლა ძალიან მოხუცი იყო. ალბათ, სამოცდათხუთმეტი წლისა. და სუსტი, პატარა, გამხდარი, სული ძლივს ედგა. სხვა დეტალები ასწორებდნენ ამ პირველ შთაბეჭდილებას: პირდაპირი, თავდაკერძებული მზერა; კისრამდე მეკურად შექრული შავი კაბა. და აგრეთვე რაღაც პანანა კეკლუმობანი, თეთრი გახამებული საყელო და საკმაოდ თვალში მოსახვედრი საყურები — ალმასის ნამსხვრევებში ჩამჯდარი დიდი ამეთვისტოებით. დაბოლოს, ლოკაზე ნაიარევი აბოლოებდა ფილუმენსათვის გარეული იერის მინიჭებას.

მაშინვე შევთანხმდით ჩევრი თანარსებობის წესებზე. რადგან რესტრორანში ვფიქრობდი სადილობას და ვამშმობას, ფილუმენას მხოლოდ ბინის დალაგება ვთხოვე. ნიკაპის ენერგიულ მოძრაობით დამეთანხმდა და ამ ჟესტი საბოლოოდ დამარწმუნა თავის ენერგიულობაში. ასევე მინდოდა დილადფრიან მისულიყო ჩემთვის საუზმის მოსამზადებლად, მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთსავე ენერგიულ, გამოკვეთილ უარს შევეჯახე, როგორც წინა თანხმობა იყო.

— არა, — მითხრა მან. — ეს შეუძლებელია. მაგ დროს დაკვებული ვარ. მხოლოდ თერთმეტ საათზე შემიძლია მოსვლა. მაგრამ ქუჩაში ბარია. იქ შესანიშნავ ყავას მოგართმევენ.

საუზმის თაობა არ ვიყავი ჩამოყალიბებული და აღარ დავიუნე. სხვათა შორის, მალე შევნიშნე, რომ ჩემი აზრები, ამიქმედებული თუ შეჩერებული, ფილუმენასთვის დიდს არაფერს წარმოადგენდა. ზოგადად მოსამსახურე ქალებისგან ერთადერთ რამეს ვითხოვ მტკიცედ: გარეულენენ. ფილუმენა გაუთავებლად ლაპარაკობდა. მე ვთქვი: ლაპარაკობდა. არ მითქვამს, მელაპარაკებოდა-მეტე. ფილუმენა მშვენივრად ლაპარაკობდა მარტო და შინ მოძრუნებულს მისი ხმა კიბის საფეხურზეც კი მესმოდა. როდესაც მისი თვალთახედვის არეში მოგვხდებოდი, მხოლოდ რამდენიმე მაპროვოცირებელი კითხვის გადმოგდებით კმაყოფილდებოდა.

— ასე არ გონიათ?... ბატონი არ მეთანხმება?

მე მნიშვნელობისგან განძარცული ბუზღუნით ვპასუხობდი. ის ლაპარაკობდა, მე ვპუზღუნებდი და ორივე ჩევრის საფიქრალს ვფიქრობდით. მაგრამ მაინც ეტყობა, ჩემი ბუზღუნი გულთან უფრო ახლოს მიჰკონდა, ვიდრე მეგონა. ერთ დღეს, როდესაც ჩემი კაბინეტის კარი დავხურე, ფილუმენამ გააღო.

— მეშინია, — თქვა მან. — მარტოდმარტოს ამ დიდ სახლში, ჩემს ასაკში...

ეშინია? მას? მაინც ხომ მარტოს ვტოვებდი, როდესაც შინიდან გავდიოდი. არასოდეს დაუჩივლია. და ცოტა ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ რამის ან ვინებს შიში ჰქონდა. ერთ დღეს ნასადილევის შეაძილები მყოფი კივილმა წამომახტუნა. აივანზე გადამდგარი ფილუმენა ორ მტკირთავს ლანძნლავდა, არმშუნებდა, რომ მათი მიმოსვლა და ხმაური გამაღვიძებდა (მისი კივილიც კმაროდა). ეს შიში უეჭველად მართებული საბაბი იყო ჩემთვის ზრდილობის წესების შესახსენებლად: მოხუცი ქალი რომ

ლაპარაკობს, უნდა უსმინონ. ეს ცნობად მივიღე. ეს პატარა მოხუცი ქალი უკვე მიღვიძებდა გრძნობას, სადაც ერთდღოულად სინაზე და პატივისცემა იყო თავმოყრილი. ამიერიდან ჩემი კარი მუდამ ღია გახლდათ, შორიდან მესმოდა მისა ლაპარაკი და მორიდებული ფუსჯუსის ხმა, ვხედავდი ჩარიგებულ, დიდებულ ოთახებში როგორ მიმოდიოდ გერბიან სავარლებსა, პოლიქრომულ ანგელოზებზე დაყრდნობილ დევების მავიდასა და ზოლიანმოსასასამიან ზანგებზე დაყრდნობილ, მორყეულ ტორმერებს შორის. იმისდა მიხედვით თუ რომელ ოთახში იმყოფებოდა, ეს ბუზტბუზტი ზღვის მიმიუცევასავთ მოისმოდა, ხან მკაფიო ხმად, ხანაც სანაპიროს კენჭებზე ტალღების ხმაურად. ბოლოს ყური მივუგდე. მოგეხსენებათ, მნერალი რაც არის. ყველა მიზეზით წყვეტის მუშაობას. კარგი საბოლოიშოც მზად აქეს: ეს შესაძლოა რომანისთვის გამოადგეს...

ნაუბარის ნამცეცებით და ნაცეხებით, რადგან სულ მიმოდიოდა (და კიდევ, უნდა ვაღიარო, იტალიური კი კარგად მესმოდა, მაგრამ ნეაპოლური კილონ ნაკლებ გასაგები იყო ჩემთვის), ბოლოს და ბოლოს ალმოგინიერ, რომ ფილუმენას ყველა სიტყვა ძირითადად მიმართული იყო ვინმე დუკასადმი. ნელ-ნელა ჩემს წინაშე სახე გამოიკვეთა. ბატონი დუკა სულაც არ უფრთხოდა თრიპინ ქარს, ბატონ დუკას ჰქონდა დუელი, ქალებთან კი, ოჲ, ოჲ, ოჲ! დიდხანს, არ ვიცი რატომ, მეგონა, რომ საქმე კარგა ხნის წინათ გარდაცვლილ, ძველ დამქირავებელს ეხებოდა. მოსამსახურები ასე არიან, მათ მოგონებებში ცოცხლობენ ძველი დროის ადამიანები, რომლებიც ენატრებათ. ერთი მოსამსახურე ქალი მყავდა, რომელიც ადრე ინგლისის ელჩთან მსახურობდა, და იძულებული გავხდი დამეთხოვა, იმდენად აგრესიულ ზიზიდით ადარებდა ჩემს მისაღებ ოთახს და ჩემს ექვსიოდე ჰალსტუქს ელჩს სამ დარაბაზსა და მისი ტიტულისთვის შესაფერის მდიდრულ გარდერობს. ბოლოს ერთ დღესაც, შევეკითხე:

— დიდი ხანია, რაც თქვენი დუკა გარდაიცვალა?

ფილუმენამ დამჭრთხალი თვალებით შემომხედა და სწრაფად გადაისახა პირვევი.

— სულაც არ მომკვდარა. ასეთ რამეებს რატომ ამბობთ? ის ჩემი ბატონია.

— კიდევ ხართ მასთან?

— არასადროს მივატოვებ. — მიპასუხა რაღაცნაირი გულმურებელით.

ჩევნ აპსურდულ დიდ დარბაზში ვიყავით. ორ-სამჯერ უკვე მქონდა ნათევამი ფილუმენასთვის, რომ არ ღირდა მისი დალაგება, რადგან სტუმრების მიღებას არ ვაპირებდი. მაინც ალაგებდა. აივნის სამი კარ-ფანჯრიდან არეულ-დარეულად შემოდიოდა მზე ქუჩის ხმაური, შემწვარი თევზის სუნი და პირველ სართულზე განლაგებული მლექსავის სალესის ღრაფიალი.

— მაშ, ფილუმენა, მასთან ცხოვრობდა?

— დიახ, — თქვა მან, — რა თქმა უნდა.

— და ეგ სამუშაო საკმარისი არა თქვენივის?

— ოჲ, როგორ არა! ისეთი უნესრიგოა. ყველაფერს იქითაქეთ ყრის, სულ კუდში უნდა სდიო...

— კი მაგრამ ჩემთან რატომლა მუშაობდა?

ცოცხს მიეყრდნო, რომელიც მისა სმაღლე იყო.

— ფული მჭირდება, — მომიჭრა მოკლედ.

— თქვენ გჭირდებათ ფული?

ისლა უნდა გამეგო, რომ ამ მორიდებული იერის პატრონი, ამ პატარა შავ ბოლომდე მკაცრად ღილებშეერულ კაბაში გამონდებილი ფილუმენა სადღარების ნაყოფს ზრდიდა? მაგრამ ფილუმენას ასაკში შვილები კიდეც რომ მყოლოდა, იმ ხნისანი უნდა ყოფილი იყო ჩემთვის ზრდილობის წესების შესახსენებლად: მოხუცი ქალი რომ შეეძლებოდათ.

— აჲ, არ! — მითხრა. — ჩემს ასაკში... მას სჭირდება ფული...

— ვინ მას?

— მის აღმატებულებას.

— დუკას?

მაპატიებთ. კარტეზიანულო გონებავ, მე მიჭირს ხოლმე სწრაფად გაგება.

— მას სტირდება ფული? თქვენს პატრონს? და თქვენ მასთან რჩებით?

— ცხადია, — თქვა მან — უკვე ორმოცდათი წელია იქვარ.

— და იცის, რომ ჩემთან მუშაობთ?

მიპასუხა ფრაზით, რომელიც განსაკუთრებულად ბუნდოვანი მეჩვენა.

— ყურადღებას არ აქცევს, poveretto! არასდროს იცოდა ფულის თველა.

ისევ შეუდგა გვას. ზურგი შემაქცია, პატარა, ვიწრო ზურგი. ბუტბუტი განახლდა: ბატონი დუკა არ არის კარგად, ნამდები სტირდება და ყველაფერი ძალიან ძვირია, და რა უნდა ელაპარაკო? დუკებს არაფერი გაეგებათ ამ საქმეებში. გული მომენტურა. ხედავ, ლაპარაკობ, ხუმრობ. და შენს გვერდით ასეთი დრამა, ასეთი შენთვის გაუგებარი სიღარაცე და უმნეობაა. ვფიქრობდი ამ დუკაზე, ამ მოხუც მოსამსახურე ქალზე... ცოტა მოგვიანებით თეთრეულის რეცხვის საკითხი გვქონდა გადასაწყვეტი და მოხერხებულად უთხარი ფილუმენას:

— ორი პერანგია აქ, რომელიც მაინცდამაინც არ მიხდება. იქნებ ვინები გყავთ, ვისაც მისცემდით...

უფრო მკაფიოდ ვერ მივანიშნებდი დუკაზე. პატივისცემა, რომელსაც ეს მოხუცი ქალი გამოხატავდა მის მიმართ, მეც გადმომედო. მაგრამ ფილუმენა უფრო სადა ადამიანი იყო.

— ბატონი დუკა ამაზე უკეთეს პერანგებს ატარებს. მხოლოდ თეთრ პერანგებს ატარებს. ფერადი პერანგები ვულგარულად მიაჩნია.

ქსოვილი ხელით მოსინჯა.

— ამისგან ცხვირსახოცებს გავუკეთებდი. ბევრი აღარა აქვს.

— ცისფერ ცხვირსახოცებს? — ვთქვი მე, წინა შენიშვნით ჯერ კიდევ შეურაცხყოფილმა.

— დილით გასეირნებისას შეიძლება გამოადგეს. მის აღმატებულებას კიდევ აქვს საცხენოსნო კოსტიუმი.

— ცხენოსნობს?

მე მანსარდაში შეყუული, სიცივით აკანკალებული მოხუცი წარმომედგინა.

— არა, — თქვა ფილუმენამ სავსებით ბუნებრივად. — არა, აღარ შეუძლია. ძალზე ხნიერია, მაგრამ დილაობით ვია კარაჩიოლოზე გასეირნებისას საცხენოსნო კოსტიუმს იცვამს. ძალიან უხდება. უცვეთია საცხენოსნო კოსტიუმი.

თუმც პერანგების საქმემ სასურველი შედეგი არ მოიტანა, ჩვენს შორის ყინული მაინც საბოლოოდ გალლვა. ახლა ფილუმენას და მე ნამდვილი საუბრები გვქონდა. ერთ დღეს გავდედე და ნაირევზე დაველაპარაკე.

— ეჭვიანმა. — თქვა ფილუმენამ და თვალში ღიმილი გაუკრთა.

გაოცებას გაოცება მოპყვებოდა. ვიცოდი, რომ ნებაპოლში კიდევ იყო ეს პრაქტიკა — მოღალატე ან თავქარანი ქალის-თვის სახეზე წიშნის დადება. მაგრამ ეს სულაც არ იყო კეთილშობილი წრის ჩეცულება.

— ფილუმენა! თქვენ ფატალური ქალი იყავით?

— ჰე, — თქვა მან, — მახინჯებს წიშანს არ ადებენ. ბოსტენულის გამყიდველს იცნობთ?

— რომელ ბოსტენულის გამყიდველს?

— უჟ! — თქვა აღშფოთებულმა. — თქვენ ვერაფერს ხედავთ. წერა, სულ წერა...

აიგანზე გამიყოლა. პირდაპირ მართლაც იყო ბოსტენულის გამყიდველი, რომელიც ადრე არ შემინიშნავს და ვისი დახლებიც ქუჩაზე გადმოდიოდა. გამყიდველი დიახაც იქ იყო, სკამზე ჩამომჯდარი წინაკის კალათებსა და პომიდორის ყუთებს შორის.

— ჩემზე დაქორწინება უნდოდა. — თქვა ფილუმენამ.

— უნდა დათანხმებულიყვანით. — ვუთხარი მე — არაა ცუდი ბოსტენულის გამყიდვლობა.

ზიზღით მოპრუნა ტუჩები.

— მაშინ ბოსტენულის გამყიდველი არ იყო.

— რას აკეთებდა?

— რაღაც-რაღაცაცებს. — მითხოა ბუნდოვნად, თავი რომ არ შეერცვინა. — უიმედობისგან შეუდგა ვაჭრობას, როცა მე უარი ვუთხარი.

— ასე ძალიან უყვარდით?

— გიუი იყო, — თქვა ფილუმენამ უბრალოდ.

თავი დაბარა და დახვეწილი კეკლუცი მოძრაობით თითო საყურის ქვეშ შეიცურა.

— მან მაჩუქა. ძვირფასია.

სამი სართულის ქვემოდან ბოსტენული გამყიდველმა შეგვიშნა. წამოდგა, მდაბლად მოგვესალმა, წელში მოიდრიკა და ხელით ნახევარნერ მოხაზა. გაშეშებულ, თავდახრილ, კისერზე ხელმიდებულ ფილუმენას ლოყები შეეფაკლა. ბოსტენულის გამყიდველი ქვემოდან ამოჰცურებდა.

— მის აღმატებულებას ძალზე ახალგაზრდად მოეჩვენა.

— თქვა ფილუმენამ.

— აღალზე ახალგაზრდად? თვალწინ იოხმოცს კარგა გვარიანად გადაცილებული კაცი მედგა. ფილუმენამ ჩემი ფიქრი ამოიცნო.

— იმდენი ხანი გავიდა. — თქვა და შემდეგ კმაყოფილი იერით დაუმატა:

— ისევ ვუყვარვარ. არ დაქორწინებულა.

ქვემოთ მოხუცი თავის სკამს მოუბრუნდა. მაგრამ მისი მზერი ისევ ჩვენები იყო მომართული. თავს იქნევდა, თოთქოს ამბობს: „არ ინერვულოთ, მე აქ ვარ.“ მისი პომიდორები, მისი წინაკები, აივნის წითელი წემისვერებიც იქ იყო.

— მაგისგან მიმაქვს ბოსტენული. ფულს არ მახდევინებს.

— მაშ დუკა იყო თქვენი ქორწინების წინააღმდეგი? ამას გულში ღვაროლი არ დარჩა.

— მის აღმატებულებას მიაჩნდა, რომ კარგად მოიქცა. — თქვა ფილუმენამ.

ერთი წამით ბრაზმა წამომიარა. მისი აღმატებულება სხვა თვალით დავინახე. რაღაცის თქმა დავაპირე. ფილუმენას შევხედე და გავჩერდი. აქ, ამ აივანზე, ნემსინვერების შუაგულში რაც უნდა მეთქვა, მაინც არ შეისმენდა. და კიდევ რა საჭირო იყო მისთვის თვალის ახელა? ცხადია, არაფრისთვის, გარდა მისი გულის გატეხისა. რამდენიმე დღის შემდეგ ფილუმენა, არ ვიცი, რაზე მელაპარაკებოდა, და შევამჩნიე, მისი საყურები გამჭრალიყო.

— თქვენი საყურები?

ფილუმენა ყმანვილქალივით შეტრიალდა და მკაცრი სახით გასუსვა ჩვარი წითელი ხის მაგიდას.

— დღეს არ გაიკეთეთ?

— ლომბარდში წავილე. — ჩაილუდლულა.

ჩემს კაბინეტში გავცედი. ჯახაჯუზი აფუტეხე უჯრებს. გაცოფებული ვიყავი. ოჳ, ეს დუკა! ახლა საყურები! დარბაზში მივბრუნდი.

— აიღთ. — ვუთხარი. — შეთანხმებული ვიყავით, რომ ჯამაგირი თვის ბოლოს უნდა მომეცა. ახლავე გაძლევთ, ოლონდ იმ პირობით, რომ ახლავე წახვალოთ და გამოიხსინოთ თქვენის საყურების ბორი.

ჩემი ტონი ცოტა მკაცრად მეჩვენა და ხუმრობის ყაიდაზე.

— რას იფიქრებენ ჩემზე უბანში? მოსამსახურე ქალი და უსაყურებელი...

ჩემი სიბრაზზე უცრად დაცხრა. ვფიქრობდი ამ მოხუც კაცსა და ფილუმენაზე, რომელთაც გუშინ საღამოს, ვინ იცის, ალბათ საჭმელიც არ ჰქონდა.

— გმადლობთ, — მითხრა ფილუმენამ. — ეს ძალიან გამო-
მადგება. მომავალ კვირას დაბადების დღე აქვს. მეგობრები
უნდა დაპატიჟოს. ვახშამი არა, ძალიან ძვირი დაჯდება. ისე
წასახმეს შეძლება. ნაშუადლევს მოვა ხალხი ასე ერთი ან ნახევა-
რი საათით, არავინ შეწუხდება.

ვაგლას, უნდა ვიფიქროთ, რომ ღარიბისთვის, თუნდაც დუ-
კასთვის, ერთი საათი მეტისმეტია. როდესაც მომდევნო კვირაში
ფილუმენამ ამ სამხარზე დამატიეთა (და მიუხედავად იმისა, რომ
ფილუმენამ ეს მანვევა ათასნირ პრეტექსტში შეახვია: დუკას
უყვარს კითხვა, მწერალი და ისიც პარიზიდან ჩამოსული, აინტე-
რესებსო), წამსვე მივხვდი, რომ იქ მხოლოდ ადგილობრივი დუ-
კებისგან მისი უარყოფისა და იმის გამო ვიყავი მიპატიუებული,
რომ უკეთესი, უფრო შესაფერისი ვერავინ იპოვეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, დუკა თოთქმის ნანგრევებად-
კცეულ კეთილნაგებ სასახლეში ცხოვრობდა. ეზოში სხვადასხ-
ვა ხელობის გილდიები დაბანაკებულიყვნენ. თვით ცხენიც კი
იყო ჰაერზე გამოსული. ფილუმენა გამოვიდა კარის გასაღებად.
ლამაზი ქუდი ქურა და ფარფლებანი წინასაფარი ეცვა. ქათი-
ნაური რომ ვუთხარი, ტუჩზე თითო მიიღო. ძალზე ლამაზი, ქან-
დაკებებითა და მწვანე მცენარეებით შემეული გალერეით ჩემ-
საზე სამჯერ დიდ დაპაზში შემიყვანა. იქ ორი მოცინარი მო-
სუცი დამზვდა. ერთი დუკა იყო, მეორე — პრინცი გრანაიანი.
მოცინარი, კარგად ვთქვა. მეგონა, საქმე ადამიანთა ნარჩენებ-
თან მქონდა. შესაძლოა ნარჩენები იყვნენ, მაგრამ, როგორც
ჩანდა, კარგ მდგომარეობაში მყოფი და კმაყოფილი თავიან-
თი ხევდრისა. ერთს, უფრო პატარას (დუკას), და მეორეს, ძალ-
ზე გრძელს, ერთნაირი სახე ჰქონდათ, ლია, ქველი, გადარეცხი-
ლი ქვის ფერი, ცისფერი თვალები. დუკას მონიკლიც ეცეთა,
რომლის ანარეკლიც უამიდან უამზე სიცოცხლეს მატებდა მის
გამომეტყველებას. ისინი შესაუბრნენ პარიზზე, ცოტა თავისე-
ბურ პარიზზე, რომლის თაობაზეც ჩემზე მეტი იცოდნენ: მაქ-
სიმზე, კაფე დე პარიზზე, ბულვარებზე, ტაბარინებზე (იტალიუ-
რად ფრანგული სიტყვა ტაბარინი აღნიშნავს ყველაფერს, და-
მის კლუბებიდან დაწყებულს ფოლი-ბერებით დამთავრე-
ბულს). პრინცი ღილინებდა მხიარული ქვრივის არიას:

ლიზონ, მანონ, ტუაზონ...

მაშინ, როცა დუკას მელავზე ხელმოკიდებული ახალგაზ-
რდული შემართებით მიყვავდი დიდი მაგიდისენ, რომელზეც
ბოთლები და რაღაც სასუსნავები იყო განლაგებული, იქ დიდი
სიურპრიზი მელოდა: ვიცანი მმევნიერი ნაქარგი სუფრა, რო-
მელიც წესისამებრ, ჩემთან უნდა ყოფილიყო. ფილუმენას
შევხედე, მშვიდი, თავდაჯერებული ლიმილი ჰქონდა. მეც გა-
მელიმა. ბოლოს და ბოლოს, ჩემთან ამ სუფრას არ ვხმარობ-
დით. და რა უნდა ყოფილიყო იმაზე უფრო ბუნებრივი, რომ
ფილუმენამ ერთი დღით ჩემგან ითხოვა?

— პორტვეინი? — მითხრა დუკამ. — პარიზში უყვართ
პორტვეინი.

— ფინჯან ჩაის ვაჭვილინებდი.

დუკამ და პრინცმა მოისურვეს ამ უცნაური გემოვნებით
კარგა გვარიანად გახალისება. კვლავ ქალებზე მუსაიფს შე-
ვუდექით. დუკასაც და პრინცსაც ამ თემაზე რამდენიმე ანეკ-
დოტი და მოგონება ჰქონდათ. დუკას თუ დაგუჯერებდით,
იტალიული ქალები უფრო ქალურები იყვნენ. ფრანგ ქალებში,
მისი აზრით, ყოველთვის იყო რაღაც ძალზე გონივრული. იმე-
დოვნებდა, რომ ეს შენიშვნა ჩემს თავმოყვარეობას არ ლახავ-
და. არა, სულაც არ მიღახავდა თავმოყვარეობას. ესპანელებ-
ზეც ბერი ჰქონდა სათქმელი.

— ჰე, — თქვა პრინცმა, — გახსოვს ინესი, სევილიაში...

ამ ინესის გახსენებაზე ერთმანეთს ქიმუნჯები უთავაზეს.
მომღერალი ყოფილა, თუ სწორად გავიგე. რის შემდეგაც
პრინცმა თავისი აზრი მოგვახსენა ინგლისელებზე: ათიდან
ცხრა არაფრად ვარგა, მაგრამ მეათე ნამდვილი სამოთხეა.
რას ვფიქრობდი ინგლისელ ქალებზე? უნდა მეღიარებინა,
რომ არაფრალი არ ვფიქრობდი. რომ მხოლოდ ერთი ინგლი-

სელი ქალი მიყვარდა ჩემს ცხოვრებაში. ის თექვსმეტი წლისა
იყო, მე თხუთმეტის.

ამის შემდეგ ზარის ხმა გაისმა. დუკა და პრინცი ჭიქებით
ხელში კარისკენ შებრუნდენ. ისე აშკარად ეტყობოდათ, რომ
ვიღაცას ელოდნენ, ეს უკვე უხერხულობას იწვევდა. მათი მო-
ლოდინის ობიექტი მხოლოდ და მხოლოდ ბოსტნეულის მოუ-
ცი გამყიდველი ყოფილიყო. ის დარბაზის წირთხლზე შეჩერ-
და, ფილუმენა მის ზურგსუკან მოხანდა. სალამი მოგვცა. არაჩეულებრივი ხილით სავსე კალათა ეჭირა ხელში. დუკამ მადლობა გადაუხადა მწყალობლური გულითადობით.

— კარგია, ჩემი მეგობარო. ძალზე კარგია. მადლი მომიხ-
სენებია. აქ დადეთ. და ერთი ჭიქე პორტვეინი აიღეთ.

პატივისცემის გამოხატვით, მაგრამ უდრევად, მტრული მზე-
რით, ბოსტნეულის გამყიდველმა უარი თქეა სასმელზე. ცხადია,
შეუფერებელი საციილი იყო ამის ჩადენა, მაგრამ მე ჩავიდინე.

— აბა, ვნახოთ, ფილუმენა, — ვთქვი მე — თქვენ თუ მა-
ინც შეძლებთ მის დათანხმებას.

სამარისებური სირუმე ჩამონენა. ჩემზე მომართულ ოთხივე
მზერაში — დუკას, პრინცის, ფილუმენას, გამყიდველის —
აშკარად ერთი და იგივე შეკითხვა ამოვიკითხე: განა პარიზში
სტუმრები მოსამსახურებს ელაპარაკებიან?

* * *

ამ დილას დავკრძალეთ ფილუმენა. ჩენენ — ბოსტნეულის
გამყიდველმა, კონსიერემა, ბაყალმა, მენალემ, ჩენენ ქუჩაზე
მცხოვრებმა ნოტარიუსმა, მლესავმა პირველი სართულიდნ, რ-
კონა-კავეულის ვაჭარმა, მლებავმა და მისმა სამა მუშა
ქალმა, მკითხავმა და თვით ჩამომხმარმა მოზარდმა, რომელ-
საც ჩემთვის უბეში დამალული კონტრაბანდული ამერიკული
სიგარეტები მოაქვს. ფული შევაგროვეთ და ფილუმენას ამ ქა-
ლაქში ამ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ყველაზე ლამაზი
გასვენება ჰქონდა. მას, ასე სუსტსა და პატარას, კედლის გას-
წვრივ რომ მიცუქცუქებდა ხოლმე, კორტეჟი ჰქონდა, რო-
მელმაც ნახევარ საათს მოძრაობა გადაკეტა, ჰქონდა უზარ-
მაზარ კატაფალკი თავივე მხარეს საყვირებიანი ანგელოზე-
ბით, ჰქონდა ყვავილთა დიდრონი თავისები, ორი ათასი კა-
ცი მიაცილებდა. პროცესის თავში, გვერდიგვერდ, უბრად,
დუკა და ბოსტნეულის გამყიდველი მიაბიჯებდნენ.

დაკრძალვის შემდეგ, შინ დავბრუნდი. სასწრაფო საქმე
მქონდა. მაგრამ ვერაფრის გაკეთება შევძელი. ყელში ბურთ-
გაჩრილი, გულმოკულული შენზე ვფიქრობდი ფილუმენა. შენ-
ზე ვფიქრობდი, პატარა მოხუცო, პატარა გულუბრყვილოვ, პატარა
სენ-ბერნარო. შენზე ვფიქრობდი. თავში სხვადასხვა
აზრი მომდიოდა. რის მაქნისნი იყვნენ ეს აზრები იმ მაგალი-
თის წინაშე, შენ რომ დაგვიტოვე? ბოსტნეულის გამყიდველი
მოვიდა ჩემ სანახავად. კვლავ შავი, სამღლოვიარო კოსტიუმი
ეცვა, კიდევბეჭერებილი საყველო ეცეთა. მითხრა:

— ახლა ამ დუკას უნდა მივხედოთ.

ვთქვი:

— სულ მარტო დარჩა, საბრალო კაცი.

— ეგ არაა საბრალო კაცი, — მიპასუხა ბოსტნეულის გამ-
ყიდველმა სიძულვილით აღსავეს ხმით. — ურჩეულია, გეუბ-
ნებით. ეგონიზმის გამო შეუშალა ხელი ფილუმენას დაქორწი-
ნებას ჩემთან. რომ არ დაეკარგა. რადგან კარგად უვლიდია. უ-
რჩეულია. მოვკლავდი. მაგრამ ფილუმენა, ზეცამი, ძალზე
უბედური იქნება, მას რომ ამაკლდეს. შევთანხმდით. ბა-
ყალი ხორცით მოამარავს, მუქთად. აფთიაქარი წამლებით, მე ბოსტნეულით. მრეცხავი ქალი თეთრეულს მოუვლის. არა,
არაფერი მოაკლდება.

და დაამატა:

— ამას ფილუმენასთვის ვაკეთებთ.

ფრანგულიდან თარგმნა
დალი იაზილება

პირანტიური

კვალი

ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ფილმია, საქამაოდ უფერული და უღიძლამო. არც თავისი ქაჯობით გამოიჩინება, არც დაპყრობილი მწვერვალებით, მაგრამ სამუდამოდ ჩაგრჩება მეხსიერებაში ერთი საგულისხმო დეტალის გამო. ერთ ეპიზოდში ფილმის რიმელილაც პერსონაჟს ასხენებენ, რომელიც მაღალი უნდა გამოჩნდეს ეკრანზე, ალბათ ტამარა ჰეჭვიაო, იმიტომა რომა ყველან „ცარიცა ტამარას“ ეძახიანო. ეს მეტ-სახელი არ უკავშირდება რუსეთის ისტორიას, არც ჩინური წარმომავლობისა და არც ურუგვაული ეთქმის, მას ერთადერთი წყარო მოეპოვება, თვალსაჩინო და ეჭვმუტანები წყარო, სახელდობრ — ლერმონტოვის ცნობილი ლექსი (ბალადას რომ უწოდებენ), სათაურად „თამარი“.

აღნიშნული ფილმი დოკუმენტური არ გახლავთ და სასამართლოში წარსადგენ სამხილად არ გამოდგება, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები (შედევრი იქნება თუ რიგითი ეგზემპლარი) მეტნაკელებად ასახავს ცხოვრებისულ სინამდვილეს და, ამდენად, ზემოთქმული „ცარიცა ტამარა“ (ირონიული ელფერით) უჭოჭმანოდ უნდა ვირწმუნოთ, მით უფრო, რომ გამოთქმა იგი, ალბათ, ნებისმიერ ჩვენგანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეხვედრია.

აი, ეს ყოფილა ჩვენი ბედი და მართლაც დაიჯერებ, რომ ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერიო, როგორც ბრძანებდა წმ. ილია მართალი. აბა თავად განსაჯეთ, რატომ მოხდა, რომ მაინც დამანანც ლერმონტოვმა გაუთქვა სახელი ჩვენს სახელოვან მეცე-ქალს, ვისაც ქართველი მემატიანე ამგვარად ამკობდა: „ერაყს მყოფნი მეტენენი, გინა მეტანგენი თამარის შესხმათა მუსიკელობდან; ფრაგნი და ბერქენი, ზღვასა შინა მენავენი, ნიავ-ეტოლობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდიან“.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს წიკო მარი ალშორთებით შენიშვნავდა: მამო ვოსტორგოვს რა უნდა მოეთხოვოთ, როცა თვით დიდებულმა რუსმა პოეტმა, კავკასიის ბუნების უბადლო მგოსანმა ლერმონტოვმა თავის ერთ ლექსში ღვთაებრივი თამარი აქცია ფანტასტიკურ, ქართული სულისათვის საძლებელ გარყვნილ დიაცად, რომელიც ყოველ გამტლელ-გამომვლელს ნებდება. „აქ ხომ პირდაბერილი უფსკრულია ფანტაზიასა და სინამდვილეს შორის“, — ასკვნიდა ლვანლმო-სილი სწავლული.

1918 წელს ზურაბ ავალიშვილმა, რუსეთიდან სამშობლოში რომ ბრუნდებოდა, თავის დღიურში ჩაიწერა: „თამარ დედოფლის კოშკთან მაგონდება აკად ნიკო მარის გაკვირვება, თუ რისთვის გარდაქმნა ლერმონტოვმა საქართველოს ისტორიის დიადი, ხატად მიჩნეული თამარი დარიალის კლდიდან შემთხვევით საყვარლების გადამგდებ დიაცად. მე კი მგონია, რომ ეს უფრო გაართობს „ვალოდიებსა“ და „შუროჩებს“.

Сплетались горячие руки,
Уста прилипали к устам,
И странные, дикие звуки
Всю ночь раздавались там.

საფიქრებელია, რომ ამგვარ ცილისნამებას ლერმონტოვი თავად როდი შეთხზავდა და ამიტომაც არ წყდება მისი ლექსის სავარაუდო წყაროთა ძიება და კვლევა. ზოგი მათგანი საეჭვოა, ზოგიც — მეტნაკლებად დამაჯერებელი. მაშასადამე, არსებობის უფლება შეიძლება ჰქონდეს იმ ვერსიასაც, რომელიც დამოწმებულია ინგლისელი მწერლის ევან ჯონის რომანში „ხვალვე გაეშურე შინ“ (ნიუ-იორკი, 1950), სადაც მოთხოვილია ნორვეგიელი რაინდის ანდრეს ვარინგერის თავგადასავალი ჯვარისნულ ლაშქრობათა ეპოქაში, კერძოდ XII საუკუნის დამლევს.

„ერთ მშვენიერ დღეს ნორვეგიელი რაინდი ჩადის კონსტანტინოპოლში და ჩაირიცხება ვარიაგთა გვარდიაში. ბიზანტიის სატახტო ქალაქი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე, მაგრამ ბიზანტიის კეისარი — გაცილებით ნაკლებს. „თანდათან ვხვდებოდი, რომ კაცი, რომელიც მართავდა იმპერიას, იყო არა იმდენად ტირანი, რამდენადაც — დამტხვეული“, — გვაუწყებს ანდრესი. მას მხედველობიდან არ გამოპარგა კეისრის დადებითი თვისებანი (მმართველობის ნიჭი და უნარი, მოსახლეობის დაბალი ფერების მფარველობა), მაგრამ შავი ფერი ჩრდილავდა თეთრს და ნოქავდა. ნორვეგიელი რაინდის სიტყვით, ანდრონიკე კეისარმა უკვე ცხადყო, რომ ბიზანტიაში არც ერთი სულიერის სიცოცხლე თუ თავისუფლება არ იყო ხელშეუხებელი, არც ერთი სულიერის რეპუტაცია არ იყო დაცული ცილისნამებისან. ადამიანებს ბოლოს ულებდა ნაჯახი ან თოკი, ხოლო სიმართლეს — ქალალდზე დაწერილი სიტყვა. ბრალიანთა თუ უბრალოთა სიკედილით დასჯის წესი ყოველთვის საზარელი იყო — სხვების შესაძრნუნებლად და დასამორჩილებლად.

ჯერ კიდევ იერუსალიმში ყოფისას სმენია ანდრეს ბიზანტიის კეისრის აღვირას ანდრობა. იქაური არქეპისკოპოსი იხსენებდა, რომ ახალგაზრდობის წლებში ანდრონიკე „წმიდა ქალაქი“ ჩაბრძანებულა. ეს კაცი არ მომწონდა, ამბობს არქიეპისკოპოსი, მაგრამ ქალებს ძალიან მოსწონდათ; „როდესაც მან დატყვა ჩვენი ქალაქი, აქ მცხოვრები ცოლიანი მამაკაცების ნაევარს მაინც სწყუროდა, რომ ყელი გამოეჭრათ მისთვის“.

ანდრონიკეს თავის ხანგრძლივ ყარიბობაში თურმე ისეთი „საქმენი საგმირონია“ ჩაუდენია, გაოცებას რომ გამოიწვევდა თვით მისი დამასკოელი თუ ბალდაცელი მასპინძლების პარამაზებში. იმჟამად კეისარი უკვე სამოც წელს იყო გადაცილებული და ჭაბუკური ენერგია ალარ მოსდევდა, მაგრამ ნადირობისას მისი ხელით განგმირულ ყოველ ირემსა თუ ტახს, კონსტანტინოპოლში დაბრუნებამდე, თითო ქალწული მაინც ენირებოდა.

ნორვეგიელი რაინდი ასე გვიხატავს ბიზანტიის კეისრის პორტრეტს, რომელიც პირზენდად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს.

1184 წელს კონსტანტინოპოლში მყოფი ანდრესი, როგორც კეისრის ვარიაგთა გვარდიის წევრი, საპატიო ამალის შემადგენლობაში ეგებება კავკასიიდან ხომალდით ჩამოსულ „ქართველთა დედოფლად თამარს“. ოქროს რქის სანაპიროზე დამხვდურთა წინა რიგებში დგას ანდრესი და მოხარულია, რომ ნილად ხვდება ასეთი პატივი.

ნორვეგიელი რაინდი თამარის შესახებ გვაუწყებს შემდეგს: „იგი მიეკუთვნებოდა ბაგრატიონთა სამეფო გვარს, რომელიც განთქმულია მოხდენილი მამაკაცებითა და



მახატვარი ნოდარ ბადურშვილი

შპვენიერი ქალებით. გამოირჩეოდა მართლაც თვალისმოძრავი სილამაზით და დაწყებული ლოკებდათხუპნული და მოუხეშავ, ზიზილ-პიპილა სამოსელში გამოწყობილი ბიზანტიელი სეფექალები. თავისი სათნოებით იგი აშკარად აღმატებოდა მათ, თუმცა ავყია ადამიანებმა მალე მოჰკიდეს ხელი ამ სათნოების შემწიკვლას“.

ანდრესის სიტყვით, გასაოცარი იქნებოდა, რომ ანდრონიკე არ მოხიბლულიყო ქართველი სტუმრის მშვენებით, არ აღძეროდა ჩვეული ჟინი და არ შეეთავაზებინა თავისი სარეცელი, როგორც ქორნინების პრელუდია, მაგრამ ანდრესი იმასაც ხვდება, თუ რას გამოიწვევდა გვირგვინოსანი სტუმრის გულში ასეთი წინადადება: „მისი პასუხი ადვილი გამოსაცნობი იყო. მაგრამ ზიზღიან უარსაც კი არ უნდა მიეყვანა ანდრონიკე ისეთ სულმდაბალ შურისძიებამდე, რაც მან ჩაიდინა მისი რეპუტაციის შებლალვით“.

შემდეგ აღნერილია იპოდრომზე გამართული შეჯიბრება ცხენბურთში ბიზანტიულ და ქართველ დიდებულებს შორის (თვით ანდრონიკე კეისრის მონაწილეობით). ანდრესი გვამცნობს, რომ ბიზანტიულებს ძლიერ უყვარდათ ცხენბურთი და, ჩანს, შეთვისებული ჰერინდათ ქართველებისგან, რომელთა მინა-წყალი ესაზღვრება ირანს, სადაც ხსენებული თამაში წარმოიქმნაო.

ანდრეს არ გამორჩენია ანდრონიკეს სიმკვირცხლე და შემართება ცხენბურთში. როდესაც კეისარმა ცხენი გააჭენა ქალთა ტრიბუნისაკენ მათი ტაშის მოსახვეჭად, ნორვეგიელ-მა რაინდმა იმასაც მოჰკრა თვალი, რომ „თამარ დედოფალმა ძალზე სუსტიანი ღიმილი უძღვნა ანდრონიკეს“.

ცხენბურთით ხომ გაართო კეისისარმა ქართველი სტუმრები, მერე სანადიროდ ეპატიუება რამდენიმე დღით მცირე აზის სანაპიროზე.

ანდრესი ხშირ-ხშირად დაეცეტება ქალაქში, სადაც კეის-რის ქალაქებარეთ ყოფნის გამოისობით აღარ იგრძნობა ჩვეული ციებ-ცხელება.

„ვხვდებოდი ადამიანებს, რომლებიც გაცილებით ნაკლებს ლაპარაკობდნენ სიცილიასთან მიმდინარე ომისა თუ მთავრობის ავკარგის შესახებ და გაცილებით მეტს — ფულზე, ქალებზე ანდა მომავალ მარულაზე“, — გაკვირვებით გაძმოგვცემს ნორვეგიელი რაინდი.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმა ვარიაგმა თავისიანებთან მოიტანა წერილი, რომელსაც წარყვდომიდა პარფუმერის დუქანში („უფალმა უწყის, ამ კაცს იქ რა ესაქმებოდა!“ — დაცინვით შენიშვნას ანდრესი).

ნერილში ნათქვამი იყო, რომ უქრისტიანებამა ხელმწიფემ, ავტოკრატორმა, მოციქულთა თანასწორმა (ანდრონიკეს ტიტულები გახლავთ) ნადირობა მოაწყო პატივსაცემად სტუმრისა იმ ქვეყნიდან, რომელიც ვალდებულია კონსტანტინოპოლის ვაჟასალი თუ არა, მოკავშირე მაინც იყოს. ნერილი აღნერდა ძალზე სამწუხარო ფაქტს — კეისრის სტუმართმოყვარეობის ბოროტად გამოყენებას, განსაკუთრებით გინეკიონთან დაკავშირებით, და გადაკრულად მოიხსენიებდა ერთ „ზორბა და ვნებიან ეთიოპიელს“.

ანდრესი თავის კოლეგას ურჩევს, ამ ქალალდს ნურავის ჩააპარებ და აქვე მოსპერ, ძირგამომტხრელ საქმიანობასა და შეთქმულებასთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მაგრამ პასუხად ესმის, რომ წერილის სხვა ეგზემპლარები მაინც მიაღწევენ კეისრის სასახლეს, თუკი სწორედ იქიდან არ გაუვრცელებათ.

ანდრესი გულისძინყრომით შენიშვნავს: „ცილისწამეპამ ფეხი აიდგა, რათა ექოდ გაჲყოლოდა საუკუნეებს“.

ნორვეგიულმა რაზმდა არ იცის, ბიზანტიელ სეცექალთა-
გან ვისი საქციული მიაწერეს თამარს; არც ის იცის, როდის შე-
იტყო ქართველმა სტუმარმა, თუ რას ჩურჩიულებდნენ და რას
წერდნენ მისი ღირსების დასაკინიძებლად; მან მხოლოდ ის
იცის დანამდვილებით, რომ თამარს არ დაუყოვნებია კონს-

ტანგტინოპოლის მიტოვება და სამშობლოსაკენ გამზავრება — „რამხელა რისხვითა და ზიზღით, ეს შეიძლება მხოლოდ ვივა-რაუდო. და მას ალარასოდეს უნახავს ეს ქალაქი“.

როგორც ვხედავთ, ანდრეს ვარინგერისა თუ მისი სულის-
ჩამდგმელი ავტორის სიმპათია-ანტიპათიები ძალზე მკაფი-
ოდ არის გამოთქმული და, ალბათ, არავითარ კომენტარს არ
მოითხოვს.

მიუხედავად კველაფრისა ანდრესი სიბრალულით მოგვითხრობს აჯანყებულ დიდგვაროვანთა მიერ ანდრონიკე კეისრის დამხრის ეპიზოდებს.

იპოდრომზე ათასობით მაყურებელს მოუყრია თავი სეირის საყურებლად. ნაცემ-ნაგვემი, თვალდათხრილი და მკლავებმოქრილი არსება, ოდესლაც ანდრონიკე კეისარი რომ იყო, კოჭლი და ქეციანი აქლემის ზურგზე შესვეს და მოელი არენაშემოატარეს. მერე დაიწყო ხანგრძლივი წამება მომაკვდავით კეისრისა. ანდრონიკემ მხოლოდ ორჯერ ამოილო ხმა. ჯერ უზენაესს შეევედრა: უფალო, შემიწყალეო; ცოტა სული მოითქვა და წარიტურჩულა მათი მისამართით, ვინც თავს ირთობდა უმწეო მსხვერპლის სადისტურო წამებით: „რისთვის გინდათ დაამსხვრიოთ უკვე დათორგუნული ლერწამი?“ ანდრესის სიტყვით, „დანარჩენი იყო დუმილი და შესაძლოა — ზიზღიც!“

ანდრონიკეს დამხობის შემდეგ ნორვეგიული რაინდი ტო-
ვებს კონსტანტინოპოლს და ამზობს: „აღარასოდეს ვისურ-
ვებდი ფეხის დადგმას ამ ქალაქში“.

...ინგლისელი მწერლის ბოლოსიტყვაობაში ჩამოთვლილია გამოყენებული წყაროები. ეს გახლავთ, უპირველეს ყოვლისა, ჯვაროსნულ ლაშქრობათა აღმოსავლეთ-დასავლეთის მემატიანეების ცნობილი კრებულის ტომები, XIX საუკუნეში რომ იბეჭდებოდა საფრანგეთში (სხვათა შორის, მათგან დიდად არის დავალებული კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“).

ევან ჯონის რომანის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ჯვაროს-ნული“ ნაწილი დამყარებულია სანდო წყაროებზე და მასში მოქმედებენ რეალურად არსებული პირი (რენო დე შატილიონი, გიორგი ტვირთვალი, მარიამ კომენცისი, სულტანი სალადინი და სხვანი). რა თქმა უნდა, ეს დასკვნა არ ეხება რომანის სამიჯ-ნურო ხაზს (ანდრესი და ივეტა). ასევე საისტორიო წყაროების მიხედვით არის გადმოკერძული ანდრონიკე კეისრის დროინდელი ბიზანტიის ამბეჭი. გათვალისწინებულია გამოჩენილი ინგ-ლისელი ისტორიკოსის უილიამ გაბონის ნაშრომიც და, ანდრეს ვარინგერის ჩანაწერებაზე ერთად, ჭეშმარიტი თვითმხილველის — ბიზანტიილი მემატიანის ნიკიტა ხონიაზეს თხზულება.

ბიზანტიის საშინაო და საგარეო კითხვება XII საუკუნის დამლევს, ანდრონიკე პორტრეტი, მისი ავხორცული თავგა- დასვლება და მის მიერ გაჩაღებული სასტიკი ტერიორი, მისი დამხობისა და სიკედილის ამბევი — ყოველივე ეს დაწვრილე- ბით არის ასახული ნიკიტა ხონიატეს თხზულებაში და ევან- ჯონი ხშირად სიტყვა-სიტყვით მისდევს თავის წყაროს.

ამგვარად, ინგლისელი მწერლის რომანი „პიზანტიურ“ ნაწილშიც ერთგულია ისტორიისა. მაგრამ თამარ მეფის ვიზიტი კონსტანტინოპოლში გამონაკლისს უნდა წააგვადეს. არც ქართულ წყაროებში და არც ნიკიტა ხონიატეს დეტალურ თხრობაში ანდრონიკეს დროინდელი ბიზანტიის შესახებ ერთი სიტყვითაც არ არის მინიჭებული, რომ თამარი ოდესმე სტუმრად სწვევია კონსტანტინოპოლს.

ალბათ არ არის გამორიცხული, რომ თამარი მართლაც ჩა-
სულიყო კონსტანტინოპოლში; არ არის გამორიცხული, რომ
თავდებული და აღვირახსნილი ანდრონიკე მონისტული-
ყო თავისი შორეული ნათესავის მშვენიბით და, ცხადია, არც
ის არის გამორიცხული, რომ უარით განრისტებულ კეისარს
ცილისნამება გაევრცელებინა მეზობელი და ერთმორნმუნე-
ქჟაყნის დედოფლაზე.

ମାଗରାଥ ଦେଖିଲୁା ନିମ୍ନଲିଖିତ କଣ୍ଠରେ ପରିଚୟ ଦିଲୁଛନ୍ତି ।